კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

მაია ბრეგაძე

მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

საქართველოს პირველი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების რეპრეზენტაცია 1918-1921 წლების პრესაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **ნანა ამირანაშვილი**

თბილისი, საქართველო, 2024 წელი

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომში გამოყენებული მასალა ციტირებული და დამოწმებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო ნაშრომის სტანდარტის შესაბამისად.

მაია ბრეგაძე

ნაშრომის წარდგენის თარიღი: 20.01.2024 წ.

მადლიერების გვერდი

სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა და შესაბამისად, სამეცნიერო სივრცეში პატარა წვლილის შეტანა, ჩემი შეგნებული ცხოვრების მიზანს წარმოადგენდა, ამიტომ ძალიან დიდი მადლობა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს, ჩემი ოცნება რეალობად რომ აქცია. ასევე, მადლიერი ვარ სამეცნიერო კონფერენციებსა და შემეცნებით ექსკურსიებში მონაწილეობის შესაძლებლობისთვის - ჩემს სამეგობრო წრეს ბევრი ძვირფასი ადამიანი შეემატა.

დიდი მადლობა ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ ნანა ამირანაშვილს. მას მადლობა ეკუთვნის არა მარტო როგორც კომპეტენტურ მრჩეველს, გვერდში მდგომს, პედაგოგსა და დამკვალიანებელს, არამედ ოჯახის წევრივით მზრუნველსა და მოამაგე ადამიანს. უსაზღვრო მადლობა და დიდი ბოდიში მას ბევრი უძილო ღამისა და კოლოსალური შრომისათვის, რომელიც ჩემი ნაშრომის სრულყოფისათვის გასწია.

გულითადი მადლობა მინდა გადავუხადო სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს, ქალბატონ ხათუნა კაჭარავას. მისი რჩევები, გამხნევება და გვერდში დგომა უდიდესი სტიმული იყო ჩემთვის რთული სამუშაო პროცესისას.

განსაკუთრებული მადლობა არაჩვეულებრივ ქალბატონ ნინო მინდიაშვილს და სადისერტაციო საბჭოს ყველა წევრს იმ საოცარი გარემოს შექმნისათვის, რომელიც იშვიათია დღევანდელ დღეს, ასევე, ყოველი სიტყვისა და სწავლებისათვის.

უღრმესი მადლობა ჩემი საკვალიფიკაციო ნაშრომის ექსპერტებს, ქალბატონებს: მარი წერეთელსა და ციცინო ბუკიას გაწეული შრომისათვის, ასევე ზუსტი, საჭირო შენიშვნებისა და რჩევებისათვის.

უზომოდ მადლიერი ვარ ჩემი ოჯახის, მშობლებისა და, განსაკუთრებით, ჩემი შვილისა, მორალური და ფიზიკური გვერდში დგომის გამო. რომ არა ეს ადამიანები, არაფერი გამომივიდოდა.

ასევე, ჩემი გამორჩეული მადლობა რევაზ ბერულავას, დაუზარელი და ოპერატიული დახმარების, გვერდში დგომისა და იმ იუმორისათვის, რომელსაც ნებისმიერ რთულ სიტუაციაში პოზიტიური მუხტი მოჰქონდა.

დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომელიც სათითაოდ ვერ ვახსენე, რწმენისა და იმედისათვის... ჩვენ ერთად შევძელით ეს!

ა ნ ო ტ ა ც ი ა

სადისერტაციო ნაშრომი **,,საქართველოს პირველი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების რეპრეზენტაცია 1918-1921 წლების პრესაში“** ეძღვნება ქართული ჟურნალისტიკის განვითარების ისტორიაში ეპოქალური პერიოდის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრესის შესწავლას.

საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ, მიუხედავად მისი ხანმოკლე არსებობისა, შექმნა დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელიც ფასეულია როგორც შემეცნებითი თვალსაზრისით, ასევე, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მიმართულებითაც.

მეოცე საუკუნის 20-იანი წლების პრესა, საკუთარი გამოცდილებითა და განვლილი გზით, ქართული ჟურნალისტიკის წინაპირობაცაა, როგორც თანამედროვე სახელმწიფო გამოწვევების ერთგვარი რეტროსპექტივა.

აღნიშნული პერიოდის იდეოლოგიურად დაპირისპირებულ მმართველ ძალებში იკვეთება ოთხი ძირითადი მიმართულება: საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მიმართ მერყევი სოციალ-დემოკრატები, ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლის გზით სიახლისაკენ ორიენტირებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ასევე, მნიშვნელოვან პოლიტიკურ სპექტრს ქმნიან სოციალიზმის იდეოლოგიით განმსჭვალული სოციალ-ფედერალისტები და რევოლუციური ცვლილებების დიდი ქომაგი ქართველი ესერები. ასეთმა დისპოზიციამ მკაფიოდ განსაზღვრა იმ პერიოდის მედიადისკურსი.

ნაშრომში შესწავლილია საქართველოს პირველი რესპუბლიკისდროინდელი (1918-1921) პერიოდული გამოცემები: ,,ერთობა“ (სოციალ-დემოკრატები), ,,საქართველო“ (ეროვნულ-დემოკრატები), ,,სახალხო საქმე“ (სოციალ-ფედერალისტები), ,,შრომა“ (სოციალ-რევოლუციონერები) და სამთავრობო გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, რომლებმაც სრულად მოიცვა

საქართველოს პირველი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები და ასახა იმ პერიოდის ქართული ჟურნალისტიკის დამოუკიდებელი და დემოკრატიული მაჯისცემა.

ნაშრომი მოიცავს 1918-21 წლებში ქართული პლურალისტური და დამოუკიდებელი პრესის კონტენტის კვლევას და საქართველოში დამკვიდრებული მრავალპარტიულობის ფონზე გამოკვეთილი დემოკრატიის მახასიათებლების შესწავლას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე ასახული პუბლიცისტიკის კვლევა გვაძლევს ჟურნალისტური პროფესიული სტანდარტებისა და პასუხისმგებლობის, ასევე, საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკის შეფასებისა და შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბების საშუალებას.

რამდენიმე პარტიული გაზეთის მიხედვით ჩატარებული კვლევა მნიშვნელოვან საკვანძო საკითხებზე მსჯელობისა და დებატების კომპლექსური ანალიზის საფუძველია. საკვლევი გაზეთების პუბლიკაციები განხილულია ერთმანეთთან მიმართებით, რაც გარკვეულწილად, თანამედროვე ჟურნალისტიკის პრობლემატიკასაც ეხმიანება იდეური და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დისერტაციაში წარმოდგენილი თითოეული საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებელია ცალკე იქცეს ფუნდამენტური ნაშრომის იდეად. ამ ეტაპზე, ჩვენ შევისწავლეთ ის ვექტორები, რომლებითაც დაიწყო საქართველოს ისტორიაში თავისუფალი, ახალი ეპოქა, ამიტომ რამდენიმე საკვანძო საკითხის წინ წამოწევითა და ავთენტური გადააზრების საფუძველზე წარმოვაჩინეთ საუკუნისწინანდელი თავისუფალი და პლურალისტური პრესის სახე.

საკვალიფიკაციო ნაშრომი საქართველოს პირველი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების რეპრეზენტაციის მცდელობაა ლიდერი პოლიტიკური პარტიების პერიოდული ბეჭდური ორგანოებისა და

სამთავრობო გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციების მიხედვით.

Annotation

The dissertation "Representation of the social and political processes of the First Republic of Georgia in the press of 1918-1921" is dedicated to studying the press of the Democratic Republic of Georgia, a pivotal period in the development of Georgian journalism.

The First Republic of Georgia, despite its brief existence, established significant experience in democratic development, valuable both from a cognitive and state-political perspective.

The press of the 1920s, with its unique experience and trajectory, stands as a precursor to Georgian journalism, offering a retrospective of modern state challenges.

Among the ideologically opposing ruling forces of the mentioned period, four main directions emerge: the social democrats, hesitant towards the complete independence of Georgia; the national democratic party, oriented towards novelty through the struggle for national identity; the social federalists, imbued with socialist ideology; and the Georgian SRP, who are strong advocates of revolutionary changes. This disposition clearly defined the media discourse of that period.

The paper examines the periodicals of the First Republic of Georgia (1918-1921): "Unity" (social-democrats), "People's Matter" (social-federalists), "Georgia" (national-democrats), "Labor" (social-revolutionaries), and the government newspaper "Republic of Georgia," which fully encompassed the social and political processes of the First Republic of Georgia and reflected the independent and democratic spirit of Georgian journalism of that period.

The work includes the research of the content of the Georgian pluralist and independent press in 1918-1921 and the study of the features of democracy that emerged against the background of multi-partyism established in Georgia.

The research of journalism reflected in the press pages of the Democratic Republic of Georgia allows us to evaluate journalistic professional standards and responsibility, as well as the public relations policy, and draw appropriate conclusions.

Research conducted by several party newspapers forms the basis for a comprehensive analysis of discussions and debates on key issues. Newspaper publications are discussed in relation to each other, echoing, to some extent, the problems of modern journalism from an ideological and worldview perspective.

It should be noted here that each issue presented in the thesis is so important that it could be considered separately as the basis for a fundamental paper. At this stage, we have studied the vectors that initiated a free, new era in the history of Georgia. Therefore, by highlighting key issues and drawing on authentic thinking, we have illustrated the emergence of a free and pluralistic press in the previous century.

The qualification paper is an attempt to depict the social and political processes of the First Republic of Georgia based on the periodicals of the leading political parties and publications in the government newspaper "Republic of Georgia."

ს ა რ ჩ ე ვ ი

ა ნ ო ტ ა ც ი ა v

A n n o t a t i o n viii

შ ე ს ა ვ ა ლ ი 1

თავი 1. ახალი ეპოქა - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 33

1.1. საქართველოს პირველი რესპუბლიკის დემოკრატიული მოდელი და პოლიტიკური სპექტრის მიმოხილვა 33

1.2. ქართული პერიოდიკის მესვეურები - პოლიტიკოსი პუბლიცისტების პორტრეტები 44

1.3. ქართული პოლიტიკური მჭევრმეტყველება დამოუკიდებლობის სამწლიანი პერიოდის პარტიული გაზეთების მიხედვით 59

თავი 2. ქართული ბეჭდური მედიის დემოკრატიული მოდელი 1918-1921 წლებში 72

2.1. პლურალისტური და პოლარიზებული პრესის ერთიანი პლატფორმა 72

2.2. ბოლშევიზმის კრიტიკა წამყვანი პარტიების გაზეთების პრიზმაში 77

2.3. პროპაგანდა და პოლიტიკური დებატები საქართველოს 1919 წლის დამფუძნებელი კრების წინასაარჩევნო პერიოდში 83

თავი 3. ქართული პრესა - დემოკრატიული ღირებულებების რეფლექსია 98

3.1. გაზეთი ,,ერთობა“ - მუშათა კლასი სოციალიზმის აღმშენებლობის მთავარი ძალა 98

3.2. ეროვნული საკითხი გაზეთ ,,საქართველოს“ პუბლიკაციებში 107

3.3. გაზეთი ,,სახალხო საქმე“ - სოციალიზმი და ეროვნული იდეა 115

3.4. გაზეთი „შრომა“ - რევოლუციისა და პროლეტარიზმის ფილოსოფიური გააზრებისათვის 124

3.5. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“ - საქართველოსა და გერმანიის სტრატეგიული პარტნიორობის ანალიზი 133

3.6. სიღრმისეული ინტერვიუს თვისებრივი ანალიზი 141

დ ა ს კ ვ ნ ა 151

ბიბლიოგრაფია 157

დანართი №1 168

დანართი №2 174

დანართი №3 178

დანართი №4 184

დანართი №5 188

დანართი №6 191

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თემის აქტუალურობა

დღევანდელ საქართველოში პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის პრესის მიმართ ინტერესი ძალიან დიდია, თუმცა, მთელი რიგი სირთულეების გამო ჯერ კიდევ სრულფასოვნად არ არის შესწავლილი 1918-1921 წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები. ამ მხრივ საინტერესოა ის ჟურნალისტური ხელწერა, რომელიც დამოუკიდებლობის საწყისი ეტაპის ქართული ბეჭდური მედიისთვის იყო დამახასიათებელი. **აღნიშნული პერიოდის პრესის ისტორიის ცალკეული პრობლემების შესწავლა მკვლევართათვის ახალი გამოწვევაა**, იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ ქართული ჟურნალისტიკა საბჭოთა რეჟიმის პირობებში შეზღუდული და მიუწვდომელი იყო მწვავე პრობლემათა მიჩქმალვისა თუ გაყალბების მიზნით. მას შემდეგ, რაც საქართველომ ისევ მოიპოვა დამოუკიდებლობა, ამ ეპოქამ სხვა ინტერესი შეიძინა. გვაქვს მოვლენების ერთმანეთთან შედარებისა და ახლებურად, სხვა რაკურსით გადააზრების საშუალება.

ლიბერალური პრინციპების მემკვიდრე ქართული პოლიტიკური პრესა შემდეგი განზომილებების აბსტრაქტს წარმოადგენდა: რწმენისა და გამოხატვის თავისუფლება, კანონის უზენაესობა, ადამიანის პერსონალური ავტონომიურობა და ინდივიდუალური უფლებები, რელიგიური ტოლერანტობა. ჟურნალისტურ პუბლიკაციებში რეფლექსირებულია სწორედ ის ღირებულებები, რომლებიც დღევანდელმა დემოკრატიულმა და ლიბერალურმა საზოგადოებამ აღიარა. ამიტომაა საინტერესო და მნიშვნელოვანი აღნიშნული მედიალანდშაფტის ფუნდამენტური გამოკვლევა.

დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული ქვეყნის მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი პროგრესულად მოაზროვნე, თავისუფალი

იდეებისა და ეროვნული თვითშეგნების საზოგადოების ფორმირებაა. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვან როლს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ასრულებს. მედია, თავისი შინაარსითა და გავლენით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს განვითარებას.

პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ბეჭდური მედიის შინაარსი ნაკლებადაა გამოკვლეული. იმ პერიოდის დღევანდელობასთან მიმართების განსაზღვრა ძალიან საინტერესო და საჭიროა. ვფიქრობთ, მთავარი პერიოდული გამოცემების პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ტენდენციების შესწავლა მომავალშიც საკმაოდ **აქტუალური** იქნება. მნიშვნელოვანია **პარალელების გავლება, უცნობი ფაქტების წინ წამოწევა, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი და აღნიშნული პროცესების ავთენტური გადააზრება.**

დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პერიოდს დამსახურებულად ეწოდა ახალი ეპოქის დასაწყისი და მას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია და სტატია მიეძღვნა, მაგრამ კვლევები, მცირე გამონაკლისის გარდა, ძირითადად, ისტორიული და პოლიტოლოგიური ხასიათისაა.

სადისერტაციო ნაშრომი ოთხი ძლიერი პოლიტიკური ძალის პერიოდული გამოცემისა და სამთავრობო გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკის“ კვლევაა ერთმანეთთან მიმართებით და წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვანი საკითხების შეფასებას. სწორედ ეს ხდის წინამდებარე ნაშრომს აქტუალურს და ანიჭებს მას სამეცნიერო ღირებულებას.

კვლევა განხორციელდა 1918-21 წლების აღნიშნული პარტიული გამოცემებისა და სამთავრობო გაზეთის პუბლიცისტიკის შინაარსობრივი და ჟანრობრივი ანალიზის, ასევე, გაზეთების სტრუქტურისა და არქიტექტონიკის თავისებურებების გათვალისწინებით.

საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბება

საკვლევი თემა მრავალაქცენტიანი და პრობლემური კონტენტის შემცველია. საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდული გამოცემები საკუთარი თავისებურებებითა და შინაარსით ქმნიდნენ თავისუფალ და პლურალისტურ მედიაგარემოს. იმ წლების ბეჭდური სიტყვის შესწავლა დღესაც დიდ მნიშვნელობას იძენს, რადგანაც თანამედროვე მედიის კვლევა და დემოკრატიულ ღირებულებათა რეფლექსია წარმოუდგენელია ისტორიული გამოცდილების გარეშე, რომელიც ქართულმა ჟურნალისტიკამ დააგროვა.

საკვლევი თემატიკის მრავალი ასპექტიდან იკვეთება **პრობლემა**, რომელიც 1918-21 წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებისა და დემოკრატიზაციის პროცესის პრესაში ასახვის დინამიკაზე დაკვირვებას გულისხმობს, რაც იმ პერიოდის მნიშვნელოვანი პარტიული გამოცემების კონტენტის შესწავლას მოიაზრებს.

გამომდინარე აქედან, წინამდებარე ნაშრომი ფართომასშტაბიანი ჟურნალისტური კვლევაა, რომელიც განხორციელდა წყაროებზე დაყრდნობით და აღნიშნული წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემოსა და სახელმწიფოს დემოკრატიზაციის პროცესების ახლებურ შეფასებას გვთავაზობს.

კვლევის მიზნები და ამოცანები

საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის პრესის შესწავლა საჭირო და მნიშვნელოვანია არა მარტო პოლიტიკური თვალთახედვით, არამედ კულტურული კონტექსტითაც.

1918-21 წლების ქართული გაზეთების გადახედვისას ნათლად ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი პროცესები დაიტია ამ სამმა წელმა. შესაბამისად,

პრესა წარმოადგენდა პოლიგონს განსჯისა და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი დებატებისათვის. საინფორმაციო ბრძოლის ველზე თვალშისაცემია პოლიტიკურ ძალთა შორის რადიკალური დაპირისპირებები, არათანმიმდევრულობა, სტრატეგიული მიზნებისა და გეგმების სხვადასხვაობა.

იმ პერიოდის საქართველოში ათეულობით გაზეთი გამოდიოდა სხვადასხვა ენაზე. პრესა ეხმაურებოდა ყველა სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ მოვლენას, ამიტომ ბუნებრივია, გამოცემებში დომინირებს პარტიული ინტერესები. ქართველი მწერლები თუ საზოგადო მოღვაწეები სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებასთან თანამშრომლობდნენ. საგაზეთო სტატიებში ჩანს ის სიძნელეები, რომლებიც დემოკრატიული პროცესების განვითარებასთან არის დაკავშირებული.

საკვლევი თემის **მიზანია** საქართველოს **ისტორიული**, **პოლიტიკური** და **საზოგადოებრივი მოცემულობის** ფონზე სახელმწიფო სტრუქტურებში შემავალი პარტიების ბეჭდური ორგანოების **თანამედროვე მიდგომებით** კვლევა. თითოეული გაზეთის ფურცლებზე გამოკვეთილი პრიორიტეტული პრობლემის შესწავლა, ასევე, საკვანძო საკითხებზე მსჯელობის ურთიერთმიმართების განსაზღვრა, რაც, საბოლოო ჯამში, კომპლექსურად წარმოგვიდგენს 1918-21 წლების პუბლიცისტიკის დემოკრატიულ ხასიათსა და აღნიშნული ეპოქის **საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს.**

კვლევის პროცესში გამოიკვეთა გარკვეული **ამოცანები:**

- ქართული თუ უცხოენოვანი რელევანტური ლიტერატურის შესწავლა და თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევების მიხედვით **ინფორმაციის დახარისხება;**
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის **პოლიტიკური სპექტრისა** და **პუბლიცისტიკის შესწავლა** პარტიულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიების მიხედვით;
- საგაზეთო ტექსტების თემატური კვლევა და მოცემული ბეჭდური ორგანოს **პრიორიტეტის განსაზღვრა**;

- ქართული პოლიტიკური **რიტორიკის შეფასება** მახასიათებელი კომპონენტების გათვალისწინებით;
- პარტიების იდეოლოგიათა **კომპარატივისტული ანალიზი** სააგიტაციო და პროპაგანდისტულ მასალებზე დაყრდნობით;
- საქართველოს **საგარეო ურთიერთობების, ევროპული კურსისა და დემოკრატიული მოდელის** მნიშვნელობის წარმოჩენა პრესაში.

შედეგად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების შესწავლის ფონზე ნათლად განისაზღვრება საქართველოს პირველი რესპუბლიკის პრესის ძირითადი მახასიათებლები.

საკვლევი კითხვები

საკვლევი პრობლემის შესაბამისად ჩამოყალიბდა შემდეგი **საკვლევი კითხვები:**

1. რა **ისტორიულ და პოლიტიკურ** ვითარებაში გამოიცემოდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის გაზეთები?
2. რა **ძირითადი ტენდენციები** არსებობდა აღნიშნული პერიოდის პრესაში?
3. რამდენად ადეკვატური იყო თითოეულ გაზეთში გაშლილი **პოლიტიკური დებატები** და შეესაბამებოდა თუ არა საზოგადოებრივ მოთხოვნებს?
4. როგორ აისახა პუბლიცისტიკაში **საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები** დემოკრატიული განვითარების, საგარეო ურთიერთობებისა და და ევროპული განვითარების კურსის თვალსაზრისით?

მიზნისა და ამოცანების ჩამოყალიბების შემდეგ საკვალიფიკაციო ნაშრომის **ჰიპოთეზა** ასე განისაზღვრა: საქართველოს პირველი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემო იყო დემოკრატიული და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხები 1918-1921 წლების პრესაში

აისახებოდა არა მიკერძოებულად და ვიწროპარტიული ხედვით, არამედ ობიექტური სიზუსტით.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევისთვის აუცილებელი საჭიროებაა როგორც ჟურნალისტური, ასევე ისტორიული და პოლიტიკური სამეცნიერო **ლიტერატურის მიმოხილვა.**

პირველი რესპუბლიკისადმი დაინტერესება სულ უფრო და უფრო იზრდება. განსაკუთრებით, მეცნიერული აქტიურობით გამოირჩევა 2018 წელი, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ გრანდიოზულად აღნიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლისთავი. ამ პერიოდში დაიბეჭდა მნიშვნელოვანი სამეცნიერო სტატიები დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ. 2018 წელს უკავშირდება სოლიდური ნაშრომის - **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონის** შექმნა. ცნობილმა ქართველმა მკვლევრებმა 1918-21 წლებს მიუძღვნეს მონოგრაფიები, სტატიები, მიმოხილვები და, შესაბამისად, ბევრმა გამოუქვეყნებელმა ფაქტმა და მოვლენამ იხილა დღის სინათლე. ,,ენციკლოპედია-ლექსიკონი“ აქამდე ჩატარებული კვლევების ერთგვარი შეჯამებაა და პასუხობს კითხვას - რა ვიცით პირველი ქართული რესპუბლიკის შესახებ. სტატიები სამ თემაზეა: პიროვნებათა ბიოგრაფიული მონაცემები, ორგანიზაციების ისტორიები და მოვლენების აღწერა. ენციკლოპედიის მთავარი თავისებურება ისაა, ,,რომ მასში განხილული ისტორიული პიროვნებების, ორგანიზაცია-დაწესებულებებისა და მოვლენების დიდი უმრავლესობა პირველად გაშუქდა ამ სახის ნაშრომში“ (შველიძე, 2018, გვ. 6).

ენციკლოპედიის სტატიები ეძღვნება დემოკრატიული რესპუბლიკის მრავალფეროვან სამყაროს, მის კულტურულ-პოლიტიკურ და ინტელექტუალურ აღმავლობას. რა თქმა უნდა, ვეცნობით დოკუმენტურ

მონაცემებს აღნიშნულ წლებში გამოცემული ყველა ჟურნალისა და გაზეთის შესახებ.

2020 წელს გამოიცა წიგნი, რომელიც ავტორებმა **ოთარ ჯანელიძემ, მირიან ხოსიტაშვილმა** და **ლევან თაქთაქიშვილმა** დემოკრატიული რესპუბლიკის ნაბეჭდ პროდუქციას მიუძღვნეს. **„ბეჭდვითი სიტყვა თბილისში (1918-1921წწ.)“** დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის თბილისში იმხანად არსებული სტამბებისა და გამომცემლობების შესახებ. აქვე ვეცნობით სხვადასხვა მიმართულების გამოცემებსა და დოკუმენტურ მასალას (სამეცნიერო წიგნები, საბავშვო, მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები), საქართველოში ბეჭდური პროდუქციის შექმნისა და განვითარების ისტორიას. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდი და ის გარემო, რომელმაც გამოაცოცხლა და პლურალიზმისა და თავისუფლების მწვერვალზე აიყვანა ქართული პრესა. წიგნში აღნუსხულია ყველა ის ჟურნალ-გაზეთი, რომელიც აღნიშნულ წლებში გამოდიოდა. სახელწოდებებს ახლავს მოკლე ანოტაციაც თუმცა, გაზეთების მიმოხილვას დასახელებულ ლიტერატურაში მხოლოდ 22 გვერდი უჭირავს (ჯანელიძე, ხოსიტაშვილი, & თაქთაქიშვილი, 2020).

მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა და საქართველოს პოლიტიკურმა მდგომარეობამ დიდი გავლენა მოახდინა ლოკალურ მედიაზე და ჩამოაყალიბა მისი ხასიათი, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეპოქის ისტორიული კონტექსტის ცოდნას. **ზურაბ ავალიშვილის** პარიზში 1924 წელს გამოცემული და უკვე თბილისში 1929 წელს თარგმნილი წიგნი - **„საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“** თავისუფალი და სუვერენული საქართველოს განვითარების საერთაშორისო ურთიერთობებს ეხება. მასში შესულია ავტორისეული შენიშვნები და ავტობიოგრაფიული მომენტები, რომლებიც მოიცავს მთელ პერიოდს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სახელმწიფოების მიერ მის იურიდიულ აღიარებამდე. ზურაბ ავალიშვილის წიგნი დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრების სამწლიანი პერიოდის ისტორიულ-პოლიტიკური

ნარკვევებია. ავტორი სრულად ასახავს ურთულეს მოვლენებს, რომლებიც წინ უძღოდა ჩვენი ქვეყნის გათავისუფლებას. წიგნი გვაცნობს საქართველოს ,,დემოკრატიული“ მთავრობის პოლიტიკის პერიპეტიებსა და სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების ნიუანსებს (ავალიშვილი, 1929).

ისტორიკოს **ოთარ ჯანელიძის** 2018 წელს გამოცემული წიგნი ,,**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები“** საქართველოს პირველი რესბუბლიკის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა. მასში დეტალურადაა აღწერილი 1918-21 წლების საქართველოს ვითარება. ნარკვევები ჩვენი ქვეყნის კარდინალური საკითხების დოკუმენტურ კონსტატაციას წარმოადგენს. ერთი თავი ადგილობრივი თვითმმართველობის პრესას, საერობო ჟურნალ-გაზეთების მიმოხილვას ეთმობა.

1918-21 წლებში საქართველოში დამკვიდრებული მრავალპარტიულობის, პლურალიზმის, პრესის თავისუფლების, დემოკრატიული არჩევნების ტრადიციის, უაღრესად ,,დემოკრატიული კონსტიტუციის არსებობის გახსენება ხელს შეუწყობს სახელმწიფოებრივი აზროვნების, ევროპული, დემოკრატიული და სამოქალაქო ღირებულებების გაცნობიერებას“, რაც, ავტორის აზრით, ჯერ კიდევ სუსტადაა გამოვლენილი ქართულ სინამდვილეში (ჯანელიძე, 2018, გვ. 6).

1918-21 წლებში ბეჭდური მედიის საკმაოდ ფართო სპექტრი არსებობდა: თემატიკის მიხედვით - პარტიული, სამხედრო, სახელოვნებო, ლიტერატურული, რელიგიური, პედაგოგიური. ჟურნალ-გაზეთები, ქართულის გარდა, გამოდიოდა რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. საკუთარი პერიოდული გამოცემები ჰქონდათ დიდ ქალაქებს - ბათუმსა და ქუთაისს, რეგიონებს, გარკვეულ კოოპერატიულ კავშირებსა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს. სწორედ ამ უკანასკნელს მიმოიხილავს საკუთარ წიგნში ოთარ ჯანელიძე.
ავტორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული პერიოდის საქართველოში გამოცემული მრავალპარტიული პრესის, პლურალიზმის, პუბლიცისტების აქტივობებისა

და შეხედულებათა ჭიდილის, ასევე, ძირითადი დემოკრატიული მიმართულებების გახსენება და აქტუალიზება ხელს შეუწყობს სახელმწიფოებრივი აზროვნების, ევროპული, დემოკრატიული და სამოქალაქო ღირებულებების გაცნობიერებას.

ეროვნული ძალების, პოლიტიკური ლიდერების, ქართული პერიოდიკის მესვეურთა შესახებ წერისას გავეცანით **გურამ შარაძის** რამდენიმე ტომისაგან შედგენილ გამოცემას **,,უცხოეთის ცის ქვეშ“**. აღნიშნულ მხატვრულ-პუბლიცისტურ მრავალტომეულში თავმოყრილია ყველა პოლიტიკური ლიდერის ბიოგრაფიული მონაცემები. ,,უცხოეთის ცის ქვეშ“ ქართული ემიგრაციის ,,აღმდგარი“ ისტორიაა (შარაძე, 1991).

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა ავტორთა კრებული **,,ახალი ეპოქის დასაწყისი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“**. კრებული წარმოადგენს 1918-21 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ მნიშვნელოვან და საინტერესო კვლევებს ისტორიის, სამართლის, განათლების, კულტურისა და ჟურნალისტიკის მიმართულებით. წიგნად შეკრული სამეცნიერო პუბლიკაციები ძალიან ბევრ საინტერესო ფაქტსა და მოვლენას ფენს ნათელს. ისტორიული გამოცდილება ხელს შეუწყობს პოზიტიური განწყობის ჩვენი ქვეყნის წარსულიდან დღევანდელობაში გადმოტანას ,,და პირველი რესპუბლიკის გამოცდილების გაზიარებას, ამ უმნიშვნელოვანესი პერიოდის გაცოცხლებას - როცა საქართველო ქმნიდა თავის წილ ევროპასა და დემოკრატიას“ (შენგელია, 2018, გვ. 7).

გარდა ამისა, ჩვენ გავეცანით სადისერტაციო ნაშრომებს, რომლებშიც შესწავლილია საკვლევი პერიოდის გამოცემები სხვადასხვა მიმართულებით. ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარმა რუსუდან ვაშაკიძემ ნაშრომში ,,**საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა 1917-1918 წლების ქართულ პრესაში“** გამოკვეთა ის აქცენტები, თუ რატომაა მნიშვნელოვანი მოცემული პერიოდის პრესის კვლევა და ღრმა ანალიზი, როგორ აისახა პერიოდული

გამოცემების ფურცლებზე დამოუკიდებლობის იდეა, როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა სიტყვით, რა სიღრმეებს მოიცავდა ქართული პუბლიცისტიკა. ამ საკითხებზე ავტორი ოთხი პარტიული გაზეთის ,,საქართველოს", ,,სახალხო საქმის", ,,ალიონისა" და ,,ერთობის" მიხედვით მსჯელობს. რუსუდან ვაშაკიძე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების თარიღის, 26 მაისის მნიშვნელობას ეხმიანება და გამოკვეთს ქართველი საზოგადო მოღვაწეების უდიდეს როლს ამ მიმართულებით. საგულისხმოა, რომ აღნიშნული დისერტაცია 1918-21 წლების საგაზეთო პუბლიკაციების კვლევის ერთ-ერთი პირველი მცდელობაა. პრესის ანალიზის პარალელურად ნაშრომი ასახავს თვალსაჩინო მწერლების პუბლიცისტურ მიდგომებს, მათ იდეოლოგიას. საბოლოო ჯამში, კვლევა ქმნის 1917-18 წლების თავისუფალი და პლურალისტური ქართული პრესის პორტრეტს.

ქეთევან გოცირიძის სამაგისტრო ნაშრომში **,,სამოქალაქო ნაციონალიზმის ფორმირების მცდელობა 1918-21 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში"** საინტერესოდაა წარმოდგენილი ისტორიული ვარიაციები ერის მნიშვნელობის დადგენასა და იმ პერიოდში ჩამოყალიბებულ ნაციონალიზმზე. განხილულია პოლიტიკური პარტიების, მათი ლიდერების პოზიციები, ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა ერისთვის მნიშვნელოვან საკითხებსა და მიმდინარეობებზე, აღწერილია პოლიტიკური ელიტა, მისი მსოფლმხედველობა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები (გოცირიძე, 2017).

მკვლევარმა **ნათია კენჭიაშვილმა** საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლის იუბილეს მიუძღვნა სამეცნიერო სტატია, რომელშიც განხილულია ქართული პოლიტიკური მჭევრმეტყველების ნიმუშები 1918-21 წლების პრესის მიხედვით. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქართველ პოლიტიკოსთა სიტყვით გამოსვლებზე, რომლებიც სრულად იბეჭდებოდა პერიოდულ გამოცემებში. აქვე ვხვდებით მნიშვნელოვანი საგაზეთო ტექსტების მცირე მასშტაბის რაოდენობრივ კვლევას. ავტორი წარმოადგენს პუბლიკაციების სისტემურ ანალიზს, ყურადღებას ამახვილებს

პოლიტიკური რიტორიკის დეტალებზე და გვთავაზობს დემოკრატიული რესპუბლიკის პუბლიცისტიკის პოლიტიკური დისკურსის მიმოხილვას (კენჭიაშვილი, 2018, გვ. 201).

ციცინო ბუკიამ 2020 წელს გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი მონოგრაფია **,,გაზეთი ,,საქართველო"** (1918-1919 წწ.)". წიგნი ეძღვნება ეროვნული ორიენტაციის პარტიულ ბეჭდურ ორგანო ,,საქართველოს". კვლევიდან ცხადი ხდება, რომ აღნიშნული გაზეთი პატრიოტული ორიენტირით ცდილობს მოვლენათა პრეზენტაციას. ,,საქართველო" თავისი ისტორიული რეალობისათვის დამახასიათებელ ყველა საკითხსა თუ პრობლემას ეროვნული თვალსაზრისის გათვალისწინებით განიხილავდა და წყვეტდა" (ბუკია, 2020, გვ. 10). ნაშრომში ავტორი ყველა საკვანძო საკითხს ეხმიანება და დეტალურად გადმოსცემს ,,საქართველოელთა" პოზიციას. თავებადაა გამოყოფილი ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორებიცაა; კრიტიკა გაზეთის ფურცლებზე, იდეოლოგია, პოლემიკა, პრობლემები და გამოწვევები. ციცინო ბუკია განიხილავს ეროვნულ-დემოკრატთა შეხედულებებს ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით (მიწის საკითხი, სამხედრო თემატიკა, ევროპული ორიენტაცია).

1919 წლის დამფუძნებელი კრების წინასაარჩევნო პერიოდზე მუშაობისას ჩვენი თვალთახედვის არეში მოექცა **შოთა კეჟერაშვილის** სამეცნიერო ნაშრომი **,,1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები და პოლიტიკური პარტიების პროგრამები"**, რომელიც ეხება 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებს საქართველოში. არჩევნებს, რომელიც დემოკრატიული პრინციპებისა და საყოველთაო თანასწორობის უფლების სრული დაცვით ჩატარდა. ავტორი გვაწვდის საინტერესო ინფორმაციას წინასაარჩევნო მოსამზადებელ სამუშაოებზე, მთელ პროცესზე, განიხილავს პარტიულ პროგრამებს, მათ დაპირებებსა და იდეოლოგიას, დიდ ყურადღებას უთმობს საარჩევნო დებულებას. იმავე საკითხების შესწავლის შედეგად ჩვენ გავიზიარეთ შოთა კეჟერაშვილის შეხედულებები არჩევნების მოსამზადებელი პერიოდის მაღალორგანიზებულობის, არჩევნების ჩატარების დემოკრატიული

პრინციპების, თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის მაღალი ინდექსის შესახებ (კეჟერაშვილი, 2019).

მასალების შესწავლისას დავრწმუნდით, რომ არჩევნებში მონაწილე პარტიებისთვის ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე საკუთარი აზრის პოზიციონირება და სხვათა შეხედულებების დისკრედიტირება აგიტაციის ერთ-ერთ ძირითად მეთოდს წარმოადგენდა.

საარჩევნო კამპანიის თეორიული ანალიზისას საკუთარ დასკვნას გვთავაზობენ **თათია ნიკვაშვილი** და **ცირა ჯანანაშვილი.** დამფუძნებელი კრების არჩევნებისადმი მიძღვნილ სტატიაში ავტორები ყურადღებას მიაპყრობენ, რომ ცვლილებების ეტაპზე მყოფ საქართველოში არჩევნების მიმართ შეინიშნებოდა დიდი ემოციური ფონი, რომელიც დღემდე ამ პროცესების თანმდევია. მსოფლიო წინასაარჩევნო აგიტაციამ აგრესიული და საკმაოდ არაცივილიზებული სახე მიიღო და აქედან გამომდინარე, ვრწმუნდებით, რომ საუკუნის წინ ჩატარებულმა დამფუძნებელი კრების არჩევნებმა დემოკრატიის ყველა პრინციპის დაცვით ჩაიარა (ნიკვაშვილი & ჯანანაშვილი, 2018, გვ. 261).

უდავოა, რომ 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკა საკუთარი არსებობით ეკუთვნის საქართველოს ისტორიის იმ მნიშვნელოვან მონაკვეთს, რომელმაც სერიოზული გავლენა იქონია საქართველოს ახლო წარსულზე, ვგულისხმობთ დამოუკიდებლობის მეორედ გამოცხადების პერიოდს, 1991 წელს. ქართულ ბიბლიოგრაფიაში არსებული მრავალი ისტორიული ნაშრომის მიუხედავად, მკვლევარი **ირაკლი ირემაძე** მიიჩნევს, რომ თანამედროვე საქართველოში აღნიშნული მონაკვეთი საქართველოს ისტორიის მივიწყებული პერიოდია (ირემაძე, 2021).

ირემაძის აზრით, პრობლემას წარმოადგენს საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება მცირეწლოვანი დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ. ავტორი მიიჩნევს, რომ მიზეზი, ერთი მხრივ, საბჭოთა რეჟიმის მიერ დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერებისა და პოლიტიკური იდეების

მიმართ გატარებული უმკაცრესი რეპრესიებია, ხოლო მეორე მხრივ, პოსტსაბჭოთა ეპოქაში ეს პერიოდი ილიას მკვლელების მიერ მართულ რესპუბლიკად მოიხსენიება.

ავტორი ავითარებს თეორიას, რომ საქართველოს მაშინდელი რესპუბლიკა მიდიოდა დემოკრატიზაციის გზით სოციალიზმისაკენ, რომ საქართველოს მმართველი ძალისათვის სოციალისტური სისტემის დამყარება რჩებოდა მთავარ პრიორიტეტად და ფართომასშტაბიან დემოკრატიზაციას, სისტემურ რეფორმებსა და კაპიტალიზმის განვითარებას გეგმავდა. ირაკლი ირემაძე მიიჩნევს, რომ, აქედან გამომდინარე, ქართული დემოკრატიული ძალების უმთავრეს საზრუნავად იქცა პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება.

საინტერესოა მკვლევრის დასკვნები და ახლებური მიდგომები, რომელთა მიხედვითაც საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ,,ევროპული სახელმწიფოს მშენებლობის თვალსაზრისით, მყარი გამოცდილება და პოლიტიკურ ღირებულებათა ჩარჩო დაუტოვა თანამედროვე ქართულ სახელმწიფოს“, თუმცა ამ მოდელის გააზრება და გადაფასება სრულყოფილად ჯერ კიდევ არ მომხდარა (ირემაძე, 2021) .

ამავე ავტორს ღირებული კვლევები აქვს გერმანია-საქართველოს ურთიერთობაზე, პოლიტპარტიებსა და მათ პროგრამებზე, დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ. ცნობილია, რამდენად ქმნიდა პოლიტიკურ ამინდს ქვეყნის შიდა და გარე ფაქტორები და ირაკლი ირემაძის შრომები მათი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კონტექსტსში ახლებურად გააზრების საშუალებას იძლევა.

მე-20 საუკუნის დასაწყისის პერიოდიკა შინაარსობრივად ძალზე მრვალაფეროვანია და აზრთა სხვადასხვაობის პრეზენტაციას წარმოადგენს, რაც გულისხმობს განსხვავებული იდეოლოგიის პარტიების დაპირისპირებებს. **მანანა შამილიშვილი** და **მარი წერეთელი** მიიჩნევენ, რომ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მედიაკლიმატის

თავისებურებების შესწავლას დღევანდელი, თანამედროვე მედიის კვლევისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს: ,,თანამედროვე მედიის კვლევა, მისი დემოკრატიული არსის გააზრება ყოვლად შეუძლებელია იმ კლასიკური გამოცდილების გარეშე, რომელიც ქართულმა ჟურნალისტიკამ ისტორიულად დააგროვა". მკვლევრები აღნიშნულ პერიოდს განიხილავენ ქართული დემოკრატიული ჟურნალისტიკის განვითარების ერთიან პროცესად, ლიბერალური ღირებულებებისადმი მის ბუნებრივ სწრაფვად, რაც დამოუკიდებლობის ხანმოკლე ეტაპზე თავისუფალმა და პლურალისტურმა მედიაგარემომ ასახა (Shamilishvili & Tsereteli, 2016, p. 342).

მარი წერეთლისა და მანანა შამილიშვილის მეორე სტატია, **,,საქართველოს რეგიონული კონფლიქტების რეპრეზენტაცია 1918-1921 წლების პრესაში"**, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას ეძღვნება. სწორედ პარტიული პრესის შესწავლის მეშვეობით იკვეთება ისტორიული ასპექტები, წარსულისა და თანამედროვე მოვლენების ურთიერთმიმართების სპეციფიკა. ნაშრომი საყურადღებო აღმოჩნდა წარმოჩენილი პუბლიცისტური აქცენტებითა და მონიშნული პერიოდის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ასპექტებით (შამილიშვილი & წერეთელი, 2018, გვ. 512).

გაზეთ ,,საქართველოს" პოლიტიკური კონტენტის თანამედროვე შეფასებებს გვთავაზობს მკვლევარი **ხათუნა ჭანიშვილი.** სამეცნიერო სტატია **,,1918 წლის გაზეთ ,,საქართველოში" გამოქვეყნებული რამდენიმე პუბლიკაციის ფილოსოფიური გააზრებისათვის"** სამეცნიერო შრომების კრებულში **,,ახალი ეპოქის დასაწყისი-საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)"** დაიბეჭდა. მოგვიანებით, მან თანაავტორ **მარიამ მანჯგალაძესთან** ერთად სერიოზული ნაშრომი მიუძღვნა დამოუკიდებლობის აქტის მნიშვნელობასა და 1918-21 წლების პრესის ენას. **,,საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პუბლიცისტური გააზრება და ენობრივი პოლიტიკის საკითხები"** დემოკრატიულ პუბლიცისტურ გარემოსა და თავისუფლების არსის გაცნობიერებას ეძღვნება. მკვლევრების ორიენტირია 26 მაისის მნიშვნელობის თანამედროვე ინტერპრეტაცია და სოციალ-დემოკრატებისა და ეროვნულ-

დემოკრატების აზრობრივი და მენტალური სხვადასხვაობა. ავტორების აზრით, ,,სოციალ-დემოკრატები მეტწილად მომავლის განჭვრეტის უუნარობითა და უმართავი ემოციებით განსხვავდებიან ეროვნულ-დემოკრატებისაგან“ (ჭანიშვილი & მანჯგალაძე, 2021, გვ. 71).

ხათუნა ჭანიშვილი მიიჩნევს, რომ სამეცნიერო სივრცეში დღემდე მნიშვნელოვან **პრობლემად** რჩება ის მოცემულობა, რომ 1918-21 წლების პერიოდული გამოცემების ფუნდამენტური შესწავლა არ მომხდარა. ამის მიზეზი, ვგულისხმობთ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სისტემის ანარქიულობას, მკვლევრის აზრით, გასაგები, მაგრამ არაობიექტურია. პრობლემას წარმოადგენს დროისა და ეპოქის ასწლოვანი სხვაობის ფონზე ქვეყნის კურსთან, გონიერებასთან, სტიქიურ მოვლენებსა და უსიცოცხლო ფაქტებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებზე პასუხის სწორად და ადეკვატურად გაცემა: ,,ვართ თუ არა საუკუნისწინანდელი რეალობის უშუალო მემკვიდრენი და გამოძერწა თუ არა კონკრეტულმა ისტორიულმა რეალობამ ჩვენი ცხოვრება? “ ნამდვილად ვალდებულნი ვართ, მოვლენები რეტროსპექტულად და კონტექსტუალურად გავიაზროთ და ამ პროცესში ვიყოთ შეძლებისდაგვარად შეუმცდარი. ხათუნა ჭანიშვილი განიხილავს, არის თუ არა ერთი სამეტყველო და სააზროვნო ველის ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა აზროვნებას შორის დიდი სხვაობა (ჭანიშვილი, 2018, გვ. 352).

დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში გამოცემული სამთავრობო გაზეთი **,,საქართველოს რესპუბლიკა“** მკვლევარ სერგი მინაშვილის კვლევის ობიექტი გახდა და 2004 წელს მან მცირე მოცულობის ნაშრომი მიუძღვნა დამოუკიდებელი საქართველოს ,,პრესის ფლაგმანს“. ავტორი მიმოიხილავს გაზეთის შინაარსს, ახდენს საკვანძო საკითხების იდენტიფიცირებასა და სტატიების კლასიფიცირებას მნიშვნელობების მიხედვით. შედეგად, გამოკვეთს გაზეთის მიზანს - იდეოლოგიურ და პროპაგანდისტულ საქმიანობას. საგაზეთო ტექსტების ანალიზიდან წარმოჩნდება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია, საზოგადოების მისწრაფებები,

სახელმწიფოებრივი ხედვა. მრავალ მიმართულებაში წამყვანი ადგილი პოლიტიკას უჭირავს: ,,ბუნებრივია, რომ ახალფეხადგმული სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავი პოლიტიკური წონასწორობის შენარჩუნება და განმტკიცებაა“ (მინაშვილი, 2004, გვ. 6). მკვლევარი ზოგადად ეხება საქართველო-გერმანიის ურთიერთობის მნიშვნელობასაც, გამოყოფს სტატიებს და გვთავაზობს საკუთარ დასკვნებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მამია ბალახაძე საქართველო-გერმანიის ურთიერთობების ფართო სპექტრსა და ამ ორ ქვეყანას შორის არსებული პარტნიორული თანამშრომლობის გეოპოლიტიკური მიზეზების ახსნას უძღვნის ვრცელტანიან მონოგრაფიას. წიგნში **,,საქართველო-გერმანიის ურთიერთობები“,** საფუძვლიანადაა შესწავლილი გერმანული დიასპორის საწყისები. ავტორი მსჯელობს გერმანელი კოლონისტების საქართველოში გადმოსახლების მიზეზებსა და მათ როლზე ქართველთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მამია ბალახაძე აღწერს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის სიღრმეებს, დაწყებული პირველი კავშირებიდან, დღევანდელობით დასრულებული. საყურადღებო აღმოჩნდა საქართველო-გერმანიის პარტნიორობა 1918 წელს. მკვლევარი საუბრობს აღნიშნული თანამშრომლობის გეოსტრატეგიულ მიზნებზე, სავაჭრო და სამხედრო კომუნიკაციებსა და პოლიტიკურ ასპექტებზე (ბალახაძე, 2021).

ლაშა ბაქრაძის წიგნი **,,ქართულ-გერმანული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს“** მნიშვნელოვანია აღნიშნული პარტნიორობის გასააზრებლად. ავტორი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს გეგმებზე, იმედებსა და მოლოდინებზე. ასევე, აღწერს ქართული კომიტეტის საქმიანობასა და ინიციატივებს. ნაშრომში გვხვდება დოკუმენტური ინფორმაცია, ამონარიდები ოფიციალური წერილებიდან და ბევრი მნიშვნელოვანი წყარო (ბაქრაძე, 2009).

ისტორიკოს **დიმიტრი შველიძის** წიგნში **,,პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში“** დეტალურადაა გადმოცემული ჩვენს ქვეყანაში

პარტიული სისტემის შექმნის ისტორია, საზოგადო მოღვაწეთა თავდაპირველი შეხედულებები, მათი პოლიტიკური აზროვნება. ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს სოციალ-ფედერალისტებს, რადგანაც მიიჩნევს, რომ აღნიშნული პარტიის ისტორია უპირველესად დასაძლევი ბარიერია პოლიტიკური პროცესებისა და პირველი რესპუბლიკის კვლევით დაინტერესებული მეცნიერებისათვის. ,,ფედერალისტები ცდილობდნენ ეროვნულ ნიადაგზე გაეერთიანებინათ სხვა პარტიები და მიმდინარეობები, მოეხდინათ ეროვნულ-პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია და ამ გზით ხელში თავად აეღოთ განმათავისუფლებელი მოძრაობის სადავეები“ (შველიძე, 1993, გვ. 5).

დემოკრატიული რესპუბლიკის დომინანტი პოლიტიკური პარტიის **,,ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918)“** აღწერილი აქვს **ვახტანგ გურულს**. ავტორი გვაბრუნებს სოციალ-დემოკრატიის წარმოშობის სათავეებთან და გვაცნობს მესამე დასის პოლიტიკოსთა აზრებს, შეხედულებებს, ქმედებებსა და გადაწყვეტილებებს. შედეგად, გამოკვეთილია საქართველოს საუკუნისწინანდელი პოლიტიკური ვითარება (გურული, 1999).

პოლიტიკური პარტიების მრწამსისა და იდეოლოგიის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს კვლევაში. ფაქტობრივად, პერიოდულ გამოცემებში, სწორედ მათი ევოლუცია, პროგრამები და პრაქტიკული საქმიანობაა გადმოცემული. ამ მხრივ საყურადღებოა **მიხეილ სართანიას** სამაგისტრო ნაშრომი **,,სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“,** რომელიც აღნიშნული პარტიის პოლიტიკურ ცხოვრებას ასახავს. ნაშრომში იკვეთება ქართველ ესერთა როლი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. აღსანიშნავია რამდენიმე საკვანძო საკითხი, რომელთა გარშემოც ავტორი ავითარებს კვლევას: ესერები და აგრარული საკითხი, კონსტიტუცია, ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი. მიხეილ სართანია ნაშრომის ბოლოს ესერების ლიდერებზე

საუბრობს და აღნიშნავს, რომ ამ ქართული პოლიტიკური ძალის როლი დღევანდელ კვლევებში უსამართლოდაა მიჩქმალული (სართანია, 2019).

,,სახალხო საქმის“ რედაქტორისა და პუბლიცისტის **სამსონ ფირცხალავას** მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტზე მნიშვნელოვანი შრომები აქვთ მკვლევრებს: **მ. წერეთელს, ლ. ნანიტაშვილსა და ზ. ცხადაიას.** (ნანიტაშვილი, 1993), (ცხადაია, 2016), (წერეთელი, 2017).

მარი წერეთლის ნაშრომში **,,სამსონ ფირცალავა“** შესწავლილია სამსონ ფირცხალავას ცხოვრების გზის მნიშვნელოვანი ეტაპები. ავტორი აანალიზებს საზოგადო მოღვაწის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, მის პუბლიცისტურ და კრიტიკულ ნააზრევს და ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს მის დანატოვარ დოკუმენტური ხასიათის შრომებს, რომლებიც ფასდაუდებელია იმ ეპოქის წარმოსაჩენადაც. ამიტომ, აღნიშნული კვლევა ჩვენთვის დასაყრდენი აღმოჩნდა, რათა გამოგვეკვეთა სამსონ ფირცხალავას პუბლიცისტური პორტრეტის კონტურები. ჩვენც იგი, როგორც პუბლიცისტი და რედაქტორი, 1918-1921 წლების პუბლიკაციების ანალიზის საფუძველზე წარმოვაჩინეთ, რადგანაც მისი ცხოვრების ეს პერიოდი ნაკლებად შესწავლილია.

მისასალმებელია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდის შესწავლით დაინტერესდა ამერიკელი ისტორიკოსი **სტივენ ჯონსი,** რომელმაც თავისი ნაშრომი პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას მიუძღვნა: ,,The Making of Modern Georgia: The First Georgian Republic and Its Successors, 1918-2010” - თანამედროვე საქართველოს დაბადება: პირველი ქართული რესპუბლიკა და მისი მემკვიდრეები 1918-2010“ (ჯონსი, 2018).

საყურადღებოა კანადელი ისტორიკოსის, ჟურნალისტისა და პოლიტოლოგის **ენდრიუ ანდერსენის** წიგნი **,,საქართველო და საერთაშორისო შეთანხმებები“,** რომელშიც უცხოელი მკვლევარი მიზნად ისახავს, კოლეგა-ისტორიკოსებს გააცნოს ის საერთაშორისო შეთანხმებები და ხელშეკრულებები, რომლებიც

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებს არეგულირებდა 1918-21 წლებში (ანდერსენი, 2020).

ჩვენი თვალთახედვის არეში მოექცა **მაგდა მემანიშვილის** სადისერტაციო ნაშრომი **,,ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი ,,საქართველო" 1915-1921 წწ. (აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და საინგილოს პრობლემატიკა)**. ავტორის მიზანია, შეისწავლოს საქართველოს სამი რეგიონის - აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და საინგილოს ყოფა-ცხოვრება გაზეთ ,,საქართველოს" პუბლიკაციების მიხედვით. როგორც ვხედავთ, კვლევა ერთ მიმართულებაზეა ფოკუსირებული. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ნაშრომის ფარგლებში არ მოვიაზრებთ აღნიშნული თემატიკის განხილვას, მაგდა მემანიშვილის დისერტაცია საყურადღებო აღმოჩნდა თავად პერიოდული ორგანოს შესახებ გადმოცემული ინფორმაციით (მემანიშვილი, 2011).

1918-21 წლების განათლების პოლიტიკაზე საინტერესო სტატიის ავტორია **თინათინ მაჭარაშვილი.** იგი განათლების პოლიტიკას სხვადასხვა ჭრილში განიხილავს და მიიჩნევს, რომ ნაციონალიზაციის საკითხის მოგვარება უშუალო კავშირში იყო სახალხო განათლებასთან. მკვლევრის სამიზნე ობიექტები, რასაკვირველია, პარტიული პერიოდული ორგანოებია. სტატიამ წარმოჩენილი ტენდენციების მიხედვით ასახა სახელმწიფოს ევოლუციის სურათი (მაჭარაშვილი, 2022).

დემოკრატიული რესპუბლიკის პრესის ფუნქციონირების პარამეტრებსა და ქვეყანაში პლურალისტური მედიაგარემოს შექმნის მიზეზებს იკვლევს **ნანული ტალახაძე.** საქართველოში ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად ავტორი ადამიანის უფლებების დაცვისა და სოციალური თანასწორობის მაღალ ინდექსს ასახელებს. მკვლევარს შესწავლილი აქვს პარტიული პრესა, ცალკეული საგაზეთო პუბლიკაციები. სტატია **,,უფლებრივი თანასწორობის პრობლემა 1918-1921 წლების ქართულ პრესაში"** დაგვეხმარა პოლიტიკური

პარტიების ფსიქოლოგიური კონტურების აღქმასა და მათი იდეოლოგიების უკეთ გამორკვევაში (ტალახაძე, 2021).

მედიატექსტების მიხედვით შესწავლილი მასალის კონცეპტუალური ანალიზის განსახორციელებლად გამოვიყენეთ **შოთა გაგოშიძის** წიგნი **,,ქართული ჟურნალისტიკის ისტორია XX საუკუნის 20-იანი წლები“** (გაგოშიძე, 2004), **ნოდარ ტაბიძის ,,პუბლიცისტიკის საკითხები“** (ტაბიძე, 2011), **თამაზ ჯოლოგუას ,,ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“** (ჯოლოგუა, 2013), **გივი კაპანაძის ,,ქართული მედია და საქართველოს საგარეო პოლიტიკა“** (კაპანაძე, 2013). მისასალმებელია, რომ ინტერესი და სურვილი საქართველოს ისტორიაში ,,ახალ ეპოქად“ წოდებული პერიოდის სიღრმისეული შესწავლისა, დიდია. ჩვენი ნაშრომიც ამ კონტექსტში გვინდა მოვიაზროთ.

კვლევის თეორიული საფუძვლები

მოცემული ნაშრომი ეყრდნობა თეორეტიკოსთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საზოგადოების აზრზე ზემოქმედების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მედიის პოლიტიკურ პროცესებთან აფილირებაა.

წინამდებარე კვლევის ძირითად თეორიულ საფუძველს წარმოადგენს 1918-21 წლების მედიასივრცის პოლიტიკური ისტორიის, სტრუქტურისა და კულტურის ფართო კონტექსტის კვლევა ქართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი რეალობის პრიზმაში.

ამ კუთხით, ჩვენს კვლევას მიესადაგა **დენიელ ჰელინისა** და **პაოლო მანჩინის** თეორია მედიასისტემების შესახებ, იგივე, პოლიტიკური სისტემების სამი მოდელი, რომელიც პოლიტიკურ და მასმედიის სტრუქტურებს შორის სისტემური კავშირების იდენტიფიცირებას მოიაზრებს. მართალია, ეს თეორია დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მედიასისტემების კვლევას ეხება და არც 1918-21 წლებს ემთხვევა, მაგრამ ავტორთა ნააზრევის მრავალი ვარიაციის კვალიფიცირებისას რიგი ერთობლივი მახასიათებლები

შეინიშნება. მკვლევრები ეყრდნობიან რა ,,პრესის ოთხ თეორიას“, მიჰყვებიან ზიბერტის, პეტერსონისა და შრამის კვლევებს და მოჰყავთ არგუმენტები: ,,პრესა ყოველთვის იძენს იმ ფორმას და შესაბამისობაში მოდის იმ სოციალურ და პოლიტიკურ სტრუქტურებთან, რომლებშიც ის ოპერირებს“ (ჰელინი & მანჩინი, 2015, გვ. 9).

ჰელინი და მანჩინი შემოთავაზებულ მოდელებს იდეალურს უწოდებენ და მიიჩნევენ, რომ ისინი ქვეყნების მედიასისტემებს პირობითად შეესაბამება. თეორეტიკოსები გვთავაზობენ დაჯგუფებული ქვეყნების სქემას, რომელიც მათ მედიამოდელების მიხედვით შექმნეს: პოლარიზებული ანუ პლურალისტური მოდელი მოიცავს ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებს, დემოკრატიული კორპორატივიზმის მოდელი - ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპას და ლიბერალიზმის ანგლოსაქსური მოდელი - კანადას, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს.

ჰელინისა და მანჩინის თეორიის მოდელი ჩვენი ქვეყნის პრესას მიესადაგა პოლიტიკური პარალელიზმის კომპონენტებითა და ინდიკატორებით. ერთ-ერთი კომპონენტის მიხედვით, ავტორები მიიჩნევენ, რომ მედიასა და პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებობს ორგანიზაციული კავშირები და რომ ჟურნალისტები გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში პუბლიცისტის როლს ირგებდნენ და ორიენტირებული იყვნენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. მკვლევრების აზრით, მედიასისტემები პოლიტიკური ისტორიის, სტრუქტურისა და ზოგადი კულტურის კონტექსტების გავლენით ყალიბდება. ანუ, პოლიტიკური სისტემების პრინციპული მახასიათებლები მედიაინსტიტუტების სტრუქტურაზე ნამდვილად ახდენს გავლენას.

კვლევის მიხედვით, ჩვენი ქვეყანა უფრო ჩრდილო-ცენტრალურ, იმავე დემოკრატიულ-კორპორატივიზმის მოდელის ჩარჩოს მოირგებს, რადგანაც იგი პრესის თავისუფლებითა და საგაზეთო ინდუსტრიის ადრეულ ეტაპზე განვითარებით ხასიათდება. ,,აქ გაზეთების ცირკულაციის დონე მაღალია. ქვეყნების ისტორია ძლიერი პარტიული და სხვა სოციალურ ჯგუფებთან

დაკავშირებული პრესის არსებობით გამოირჩევა“. სწორედ მეოცე საუკუნის ოციან წლებს მოიაზრებს ეს დეფინიცია, როდესაც რიგ ქვეყნებში დემოკრატიული კორპორატივიზმი აღმოცენდა.

ნაშრომის ერთ-ერთ ქვეთავში გადმოცემული პოლიტიკური დისკურსის თავისებურებების, ასევე, 1919 წლის დამფუძნებელი კრების წინასაარჩევნო პერიოდში დებატებისა და აგიტაცია-პროპაგანდის ნიმუშების შესწავლისას დავეყრდენით ე.წ. ,,პროპაგანდის თეორიებს“. დაინტერესებულ მკვლევრებს შორის ჩვენ გამოვყავით **ჰარლოდ ლასუელი** და **ჯონ დიუი.** მიუხედავად იმისა, რომ ისინი საკუთარ ნაშრომებში უფრო თანამედროვე მედიასაშუალებებს სწავლობენ და აფასებენ, ჰაროლდ ლასუელის ,,კომუნიკაციის ხუთკითხვიანი მოდელი“ საუკუნისწინანდელი პუბლიკაციების კვლევისასაც რელევანტური აღმოჩნდა. ,,ვინ, რა მიზნით, რა სიტუაციაში, როგორი სტრატეგიების გამოყენებით და რომელ აუდიტორიასთან აღწევს მიზანს და შედეგს“, ამ მოდელით დეტალურად გავაანალიზეთ 1919 წლის დამფუძნებელი კრების წინასაარჩევნო პერიოდის დებატებისა და პროპაგანდის შემცველი პუბლიკაციები და იგი იდეალურად მოერგო პოლიტიკური მეტყველების, რიტორიკული ანალიზის მსვლელობასაც.

აღნიშნული თეორიით საზოგადოებასთან ურთიერთობის პარამეტრებს ლასუელი აგებს სწორედ აუდიტორიისათვის მისაწოდებელ საკვანძო ინფორმაციაზე. სწორედ ამ სისტემაზეა დაწერილი მისი წიგნი ,,ვინ აღწევს, რას, როდის, როგორ?“, რომელშიც ავტორი დაწვრილებით განიხილავს ხელისუფლების ქმედებების სტრატეგიებსა და ხერხებს და მათ პოლიტიკური პროპაგანდის ჩარჩოში ათავსებს. მისი აზრით, პროპაგანდა სხვა არაფერია, თუ არა ცალკეული ლიდერების, ან დაჯგუფებების მიერ საზოგადოების შეხედულებების შეცვლა საკუთარი ინტერესების შესაბამისად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება (Lasswell & Atkins, 1924, p. 520).

ჩვენთვის საყურადღებო აღმოჩნდა ამავე ავტორის მეორე კვლევა, რომელიც ლასუელმა მასობრივი კომუნიკაციებისადმი მიძღვნილ ლექციებზე ჩაატარა. მან კონკრეტული მიმართულებების ხუთკითხვიანი მოდელი შექმნა: ,,ვინ საუბრობს, ვის ესაუბრება, რას აცნობებს, რა საშუალებით აწვდის, რა ეფექტით.“ ეს ბიჰევიორისტული კვლევა მოგვიანებით, 1940 წელს გამოქვეყნდა, მაგრამ ზედმიწევნით მოერგო ჩვენს ნაშრომს, რადგან ამ შემთხვევაში აუდიტორია მიწოდებულ ინფორმაციაზე ,,სტიმული-რეაქციის“ პრინციპით რეაგირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ კომუნიკაცია რეციპიენტზე პირდაპირ ზემოქმედებს (Laswell, 1940).

ჰაროლდ ლასუელის სამტომეული ,,პროპაგანდა და კომუნიკაცია მსოფლიო ისტორიაში“ მიჩნეულია მასმედიის ფუძემდებლურ ნაშრომად. აქ ფუნდამენტური თეორიაა, თუ როგორ მართავს საზოგადოებას ხელისუფლება, რა მეთოდით და რა შედეგს აღწევს (Lasswel, 1979).

ჰაროლდ ლასუელის თეორიაში განხილულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებული პროპაგანდა, მისი თავისებურებები და თანმხლები პრობლემები. პროპაგანდა, ერთგვარად, მართვის მექანიზმია. მისი გამოყენების ხერხებს მსოფლიო ისტორია უძველესი დროიდან იცნობს და მიუხედავად იმისა, რომ ეს თეორიები 1921 წლის შემდგომ შეიქმნა, იმდენად კლასიკურია, რომ ზუსტად მოირგო საკვლევი თემატიკა.

ლასუელის სამეცნიერო კვლევები კლასიკური მემკვიდრეობაა და დიდ დახმარებას უწევს სოციალური მეცნიერებების თეორეტიკოსებს. შესწავლილი პუბლიკაციების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერები, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები საკუთარი სიტყვის წარმოთქმისა და წერის დროს, წინასაარჩევნოდაც და სხვა დროსაც, ერგებიან ჰაროლდ ლასუელის თეორიებს (Lasswell, 2006).

ლასუელის შეხედულებებს იზიარებს მკვლევარი **უოლტერ ლიპმანი.** მართალია, იგი განიხილავს ფსევდოდემოკრატიული და პლურალისტური იდეების საწინააღმდეგო მაგალითებს, რომელთა შედარებითი ანალიზისას

დავადგინეთ, რომ ჩვენი საკვლევი პერიოდის ქართული ბეჭდური მედია სწორედ პლურალისტურ და დემოკრატიულ პრინციპებზეა დაყრდნობილი (Липман, 2004).

ლიპმანისა და ლასუელისაგან განსხვავებით, **ჯონ დიუის** თეორია საზოგადოებას ანიჭებს უპირატესობას და აქცენტს მის განვითარებაზე აკეთებს. ის მიიჩნევს, რომ განათლებული საზოგადოება თავად გადაწყვეტს, რა არის მისთვის უკეთესი და შეძლებს ინფორმაციის ობიექტურობის გარჩევას. ამ შემთხვევაში პროპაგანდა კარგავს თავის ერთპიროვნულ გავლენას (Dewey, 1927). ჩვენ აქ შუალედური ვერსია ავირჩიეთ. სწორედ იმ სამწლიან პერიოდში საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე იდგა განათლების მხრივ, ამიტომ პოლიტიკური ელიტის პროპაგანდა გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და არჩევანის მისაღებად.

ისტორიული კვლევის კატეგორიები მკვლევრებმა **ჯოზეფ ჰილმა** და **ავგუსტ კერბერმა** იმ პრინციპით გააერთიანეს, რომელიც ზუსტად მიესადაგა ჩვენს ნაშრომს. მათი შეფასებით, ისტორიული კონტენტის შემცველი კვლევები იძლევა თანამედროვე პრობლემების გადაწყვეტის წარსულში მოძიების შესაძლებლობას. ეროვნული ღირებულებები, დემოკრატიული ასპექტები, პლურალიზმისა და თავისუფალი სიტყვის არსებობა მედიაში, პოლარიზებული პრესა და, შესაბამისად, ასეთივე საზოგადოება დღეს მეტად პრობლემურია, ვიდრე საუკუნისწინანდელ საქართველოში (Hill & Kerber, 1967). ავტორები, ასევე, აღნიშნავენ, რომ ისტორიული კვლევა იძლევა წარსულის შესახებ აწმყოში არსებული მონაცემების გადაფასების საშუალებას, გამოკვეთს აწმყოს შესაძლებლობებსა და მომავლის ტენდენციებს. ჰილისა და კერბერის თეორიებზე დაყრდნობით, კონკრეტული ტერმინებით ჩამოვაყალიბეთ პრობლემის დეფინიცია, მონაცემების შესატყვისი წყაროების განსაზღვრა, მოგროვება, კლასიფიკაცია და დამუშავება და საბოლოოდ, მივიღეთ საკვლევი ობიექტის (მედიატექსტების) დაბალანსებული სინთეზი.

თეორეტიკოსი **ვალტერ ბორგი** მიიჩნევს, რომ დოკუმენტური პუბლიკაციების კვლევას განაპირობებს მტკიცებულებების, ანუ ემპირიული საბუთების მოპოვება, რის შემდგომაც ხდება მათი შეფასება და სინთეზი ფაქტების დადგენისა და წარსული მოვლენების შესახებ დასკვნების გამოტანის მიზნით. სწორედ ესაა რეკონსტრუქციის აქტი, რომელიც კრიტიკული კვლევა-ძიების პრიზმაში ხორციელდება და მიზნად ისახავს წარსული ეპოქის ობიექტურ და კეთილსინდისიერ რეპრეზენტაციას (Borg, 1963).

ისტორიული წარსულის კვლევის შესახებ საინტერესოდ მსჯელობს მეცნიერი **ჰომერ ჰოკეტი**. რა თქმა უნდა, ჩვენს შემთხვევაში ვერ გამოვიყენეთ უშუალო დაკვირვება, მხოლოდ ,,დატოვებული კვალის" მიხედვით შევძელით წარსული მოვლენების ინტერპრეტირება. გავიზიარეთ რა ჰოკეტის თეორია, მსჯელობა, ძირითადად, დავაფუძნეთ პირველად წყაროებზე - საგაზეთო პუბლიკაციებზე (Hockett, 1955).

ანტიკურ პერიოდში ბერძენმა ფილოსოფოსმა **არისტოტელემ** ორატორული ხელოვნების შესწავლას ვრცელი ნაშრომები მიუძღვნა და ჩამოაყალიბა იგი, როგორც სასწავლო დისციპლინა. პოლიტიკოსთა სიტყვით გამოსვლების კვლევისას მოვიშველიეთ აღნიშნული თეორეტიკოსის კლასიკური გამოცდილება მჭევრმეტყველების მიმართულებით. არისტოტელეს სკოლა რიტორიკას მიიჩნევდა დარწმუნების მეცნიერებად. ბერძენი ფილოსოფოსის აზრით, საუკეთესო გზა - ადამიანში დადებითი ემოციის შესაქმნელად ამბის თხრობის ხელოვნება იყო. ამ მხრივ მისი **,,რიტორიკა"** დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას და ირგებს მოდერნისტულ მიდგომებს. არისტოტელე მთლიანობაში ორატორული გამოსვლების შემდეგ კომპონენტებს გამოყოფს: მოლაპარაკე, ის რის შესახებაც ლაპარაკობს და ვისადმიც არის სიტყვა მიმართული. მისი თეორიით, სიტყვა მიემართება მსმენელს, თავად მჭევრმეტყველება კი სამი სახისაა: სათათბირო, სამართლებრივი და ეპიდიქტიკური. ამ უკანასკნელის განმარტება ასეთია: იგი შეიცავს ან ქებას ან ძაგებას. შესაბამისად, პუბლიკაციები, რომლებიც დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური რიტორიკის შესწავლისას გამოვყავით,

ეპიდიქტიკური სახისაა, ექვემდებარება რა საკუთარი შემოქმედებისა და ღვაწლის დადებითად წარმოჩენას და ოპონენტების დისკრედიტაციას (არისტოტელე, 1981).

კომუნიკაციის დასავლური თეორიული მოდელების შედარებამ, თუნდაც წინასაუკუნის ბეჭდური მედიის ლანდშაფტთან, საშუალება მოგვცა, წარმოგვეჩინა ის ფაქტორები, რომლებითაც პრესა დემოკრატიზაციის ეტაპზე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებზე მოქმედებდა.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები

კვლევის მეთოდოლოგია ითვალისწინებს საკვლევი თემატიკის ირგვლივ გამოქვეყნებული მასალების მოძიებას, წყაროების შესწავლას, მათ გაანალიზებასა და დამუშავებას. სოციალური მეცნიერებებისათვის დამახასიათებელია მჭიდრო კავშირი თეორიასა და ემპირიულ კვლევებს შორის.

ნაშრომში გამოყენებულია კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში მოვლენათა **ურთიერთგანპირობებულობისა** და **ურთიერთკავშირის პრაგმატული მეთოდოლოგია.**

სადისერტაციო ნაშრომისათვის, მისი შინაარსობრივი ფაქტორისა და ისტორიული სპეციფიკიდან გამომდინარე, შევაგროვეთ **მეორადი მონაცემები** და გამოვიყენეთ **თვისებრივი** კვლევის მეთოდების რამდენიმე ვარიანტი. აღნიშნული მეთოდები ყველაზე რელევანტურია ისტორიული წარსულის შესასწავლად.

პრობლემის კვლევა განხორციელდა ინტერდისციპლინური მიდგომებით. როგორც ვიცით, თვისებრივი მეთოდები სხვადასხვა კვლევით ტექნიკას აერთიანებს (სიღრმისეული ინტერვიუ, ბიოგრაფიული ინტერვიუ, ზეპირი

ისტორია, წერილების, პირადი დღიურების შესწავლა, მონოგრაფიული დაკვირვება, წერილობითი დოკუმენტების შესწავლა და სხვა).

,,ტექსტების კვლევას ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მედიურ კვლევებში, რადგანაც თავად მედიატექსტი, როგორც პარადიგმა, გვევლინება ტექსტების კლასების ერთობლიობად“ (მაისაშვილი & ტორაძე, 2019, გვ. 26). თვისებრივი კვლევისას გამოვიყენეთ ტექსტური მასალების შინაარსობრივი (კონტენტ) ანალიზი, რამაც მონაცემების კანონზომიერებისა და მნიშვნელობების ინტერპრეტირების საშუალება მოგვცა.

კონტენტანალიზს რამდენიმე განსაზღვრება აქვს. ძირითადად იგი სისტემატიზებული პროცედურაა ჩაწერილი ინფორმაციის შინაარსის გასაანალიზებლად. აღნიშნული მეთოდით ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემებსა და მათ კონტექსტს შორის დადგინდა მყარი მიმართებები. ამავე მეთოდით შეჯამებულ იქნა საკვლევ საკითხზე აქამდე არსებული ინფორმაცია, ტექსტები, შრომების შინაარსი და ანალიზი. ასევე, აღვრიცხეთ, გადავამოწმეთ და შევაფასეთ ჩვენთვის საინტერესო კვლევების თეორიები.

კონტენტანალიზი, რეალურად, ტექსტების დეტალური და სისტემატური ანალიზია. ჩვენც გამოვიყენეთ კვლევის ეს მეთოდი, რათა გამოგვევლინა სამიზნე ობიექტის, საგაზეთო პუბლიკაციების შინაარსი და ტენდენციები. მეთოდების გაცნობისას შევეხეთ თეორეტიკოსების სახელმძღვანელო დებულებებს მეთოდოლოგიების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მკვლევრები ტექსტების იდენტიფიცირებასა და კლასიფიცირებას რამდენიმე ნიშნით ახდენენ - იკვეთება აშკარა და ლატენტური შინაარსი, სადაც შინაარსისა და ფორმის ელემენტები განიხილება ამა თუ იმ მედიუმთან კავშირში (წულაძე, 2020, გვ. 219).

განისაზღვრა რა ძირითადი მეთოდი ჩვენი კვლევისათვის, თემატური ანალიზისას თავად ტექსტის შინაარსზე გადავიტანეთ ფოკუსი. პროპაგანდასა და წინასაარჩევნო დებატების მედიატექსტებზე მუშაობისას კი **სტრუქტურული ანალიზის** მიდგომები ჩავრთეთ. მიუხედავად იმისა, რომ

ტექსტების შინაარსის მნიშვნელობა კვლავ წამყვან პოზიციაზე რჩებოდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო იმ ფორმების შესწავლაც, რა სტრატეგიების გამოყენებით ცდილობდნენ პუბლიკაციების ავტორები მკითხველის (საზოგადოების) დარწმუნებას. საგაზეთო სტატიები დაჯგუფდა კატეგორიებად კოდირების პრინციპით. შემდგომ მასალა გავაანალიზეთ კლასიფიცირებულ ტექსტებს შორის უმთავრესი მახასიათებლის, **ინტერტექსტურობის** მიხედვით: ,,ტექსტები ერთმანეთისაგან იზოლირებულად ვერ იარსებებს, მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია. ამიტომ, მკვლევარმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს კავშირები და მოცემული ტექსტის მიმართება ამავე ჟანრის სხვა ტექსტებთან უნდა იკვლიოს“ (წულაძე, 2020, გვ. 241).

პრესის, და ზოგადად, მედიის კვლევისას, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდად გვევლინება **დისკურსის ანალიზი,** ვინაიდან ის სწავლობს ტექსტებში გაცოცხლებულ ენას, რომელსაც საზოგადოებაზე ზეგავლენა შეუძლია. როგორც ვიცით, დისკურსის ანალიზის რამდენიმე მიდგომა არსებობს. ჩვენ შევჯერდით ერთ-ერთ მათგანზე, რომელიც ,,ტექსტისა და ტექსტურობის“ სახელით არის ცნობილი. ამ მიდგომის მიხედვით, ტექსტი, იგივე დოკუმენტური ნარატივია, ხოლო ტექსტურობა იმ მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც მის ლოგიკურ მთლიანობას უზრუნველყოფს. ამ მიდგომის მიხედვით, გავაანალიზეთ, როგორ სოციალურ და პოლიტიკურ გარემოში შეიქმნა ტექსტი. დისკურსის ანალიზის მეშვეობით გამოვიკვლიეთ 1918-21 წლების პუბლიკაციები, როგორც პოლიტიკური ორატორული ხელოვნების ნიმუშები, რითაც გამყარდა აზრი, რომ იდეოლოგია ძალაუფლებაში მყოფი ადამიანების პოზიციების ლეგიტიმაციას ახდენდა. აქვე შემოვიტანეთ **რიტორიკული ანალიზი,** რომელიც გვევლინება კრიტიკის ერთ-ერთ ფორმად და აერთიანებს რიტორიკის სამ კომპონენტს - ტექსტს, ავტორსა და აუდიტორიას.

პუბლიკაციები გვაძლევს წარსულის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას. ამან გვიბიძგა, რომ კონკრეტული პუბლიკაციის მიღმა გავსულიყავით და

დაგვესვა კითხვები დარგის ექსპერტებისათვის, თუ როგორ ესმოდათ მათ ტექტების მნიშვნელობა და რა გავლენას ახდენდა დოკუმენტური ინფორმაცია მათზე. ანუ, მივედით **სიღრმისეული ინტერვიუს** აუცილებლობამდე. კონკრეტული კონტექსტით მიმდინარე ინტერვიუმ შექმნა გარკვეული ფაბულა, კოლექტიური ნარატივი - მკვლევართა შორის გაზიარებული და შეჯერებული კონვენციური წარმოდგენები.

დავძენთ, რომ ჩვენი კვლევისათვის რელევანტური აღმოჩნდა **სანდოობის კონსტრუქციული ტიპი**, რადგანაც ჩვენ მიერ მიღწეული შედეგი, გარკვეულწილად, დამოკიდებულია არსებულ კვლევებსა და თეორიებზე.

საკითხი იმდენად კომპლექსურია, გადაჭარბებული ნათქვამი არ იქნება, თუკი მას ისტორიული, პოლიტიკური და ჟურნალისტური მიმართულებების კოლაბორაციას ვუწოდებთ, ამიტომ შეგვიძლია ჩვენი მცირე კვლევის პროტოგამოცდილებად ისტორიული და პოლიტოლოგიური ნაშრომებიც მოვიაზროთ.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა

ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მეცნიერულ **სიახლეს** წარმოადგენს ის, რომ საქართველოს ერთი სამთავრობო და ოთხი პარტიული გაზეთის მედიატექსტების მიხედვით შესწავლილია ქართული პოლიტიკური მეტყველება. ჩვენ განვიხილეთ წინასაარჩევნო სააგიტაციო გამოსვლებისა და დებატების ჟურნალისტური მიდგომები.

სიახლეა 1918-21 წლების პლურალისტური და პოლარიზებული პრესის თანამედროვე თვალით შეფასება, მოცემული გაზეთების პუბლიკაციებზე დაყრდნობით.

აღნიშნულ პერიოდში მოღვაწეობდნენ პოლიტიკოსები და პუბლიცისტები, რომელთა საქმეებისა და სახელების ხსენებაც კი მრავალი წლის განმავლობაში აკრძალული იყო. ჩრდილში აღმოჩნდა ბევრი მნიშვნელოვანი

პიროვნება. ჩვენ შევეცადეთ, შეგვესწავლა პუბლიცისტიკა ოთხი წამყვანი პარტიის პოლიტიკური ლიდერებისა, რომელთა შემოქმედება ნაკლებადაა ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის. შედეგად, შეფასდა პოლიტიკოსების პუბლიცისტური მოღვაწეობა.

სიახლეა ქართველი სოციალ-რევოლუციონერების, იმავე ესერების, პარტიული ბეჭდური გამოცემის, გაზეთ ,,შრომის" პუბლიცისტიკის კვლევა.

სიახლე შემოვიტანეთ სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურაშიც. ნაშრომის შუა ნაწილში განხილულია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ყველაზე აქტუალური საკითხების გარშემო პარტიული ორგანოებისა და სამთავრობო გაზეთის მსჯელობის დესკრიფციები, და ბოლო თავი ეთმობა თითოეული გაზეთის კონტენტის კვლევას ერთი პრიორიტეტული საკითხის მიხედვით.

წინამდებარე ნაშრომში გთავაზობთ საუკუნისწინანდელი მნიშვნელოვანი ფაქტებისა და მოვლენების **ახლებურ** წარმოჩენასა და აქტუალიზებას, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოებრივი აზროვნების განმტკიცებას, ევროპული და დემოკრატიული ღირებულებების გაცნობიერებას, გადაფასებასა და დამკვიდრებას.

საქართველოს ისტორიაში ამ უმნიშვნელოვანესი პერიოდის დემოკრატიული მოდელის შესწავლა, სახელმწიფოებრივი აზროვნების სტრუქტურის სწორად წაკითხვა და პოლიტიკური პროცესების ავთენტური გადააზრება დიდ **პრაქტიკულ მნიშვნელობასაც** იძენს, რადგანაც დღევანდელი სახელმწიფო სწორედ საუკუნის წინანდელი რესპუბლიკის პრინციპებზეა აგებული. ჩვენი ქვეყნისთვის საძირკველს წარმოადგენს 1918 წლის დემოკრატიული საქართველოს მოდელი. დღესაც, ფაქტობრივად, 1921 წლის კონსტიტუციას ვეყრდნობით.

ასევე, გვინდა აღვნიშნოთ, რომ რაკი საკითხის ამოწურვა მისი მოცულობიდან და სირთულიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, შეუძლებელია, გადავწყვიტეთ, პერიოდული გამოცემების შინაარსობრივი

კლასიფიკაციის შემდგომ თითოეული გაზეთიდან განსახილველად გამოგვეტანა ერთი პრიორიტეტული თემა.

ვფიქრობთ, თავისი აქტუალურობით, საკითხის შესწავლის სტრატეგიული მიმართულებითა და მნიშვნელოვანი იდეურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, ნაშრომი დარჩება ქართული ჟურნალისტური სივრცის განუყოფელ ნაწილად.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან, ხოლო ძირითადი ნაწილი იყოფა სამ თავად და 12 ქვეთავად. პირველ და მეორე თავებში წარმოდგენილია სამ-სამი ქვეთავი, ხოლო მეოთხე თავი 6 ქვეთავს მოიცავს. ყოველი მომდევნო ქვეთავი წინა ქვეთავის შინაარსობრივ და ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს.

პირველ თავში განხილულია პირველი რესპუბლიკის დემოკრატიული მოდელი და პოლიტიკური სპექტრი, რომელიც განსაზღვრულია თვალსაჩინო პუბლიცისტებით (მეორე ქვეთავი). თავი სრულდება პოლიტიკური მჭევრმეტყველების დისკურსით, რომელსაც აღნიშნული პუბლიცისტები ქმნიდნენ (მესამე ქვეთავი).

მეორე თავი იწყება 1918-21 წლების პრესის პლატფორმის მიმოხილვით, რომელშიც წარმოდგენილია პოლარიზებისა და კონსენსუსის შემთხვევები. მომდევნო ქვეთავის საკითხი ,,ბოლშევიზმის კრიტიკა“ კონსენსუსის თვალსაჩინო მაგალითია, ხოლო ,,პროპაგანდა და დებატები“ - ოპონირებისა და დაპირისპირებების (მესამე ქვეთავი).

მესამე თავი ოთხი პარტიული ორგანოსა და სამთავრობო გაზეთის შესწავლას ეძღვნება და პრესის ერთ მთლიან ლანდშაფტს ქმნის. მკვლევრებთან ჩაწერილ

და ჩვენ მიერ გაანალიზებულ სიღრმისეულ ინტერვიუს კი ლოგიკურად მივყავართ დასკვნით ნაწილამდე.

სადისერტაციო ნაშრომი ეყრდნობა 1918-1921 წლების ხუთი გაზეთის თითქმის ყველა გამოცემისა და 90-მდე სამეცნიერო ნაშრომის ანალიზს.

თავი 1. ახალი ეპოქა - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

1.1. საქართველოს პირველი რესპუბლიკის დემოკრატიული მოდელი და პოლიტიკური სპექტრის მიმოხილვა

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დემოკრატიულმა მოდელმა, რომელიც ევროპეიზმის იდეითა და დასავლური ორიენტაციით გამოირჩეოდა, ღრმა კვალი დატოვა და საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ორიენტირად იქცა. ქართული პოლიტიკური თვითმყოფადობის აღდგენა, გარკვეულწილად, ქვეყნის გარეთ მიმდინარე პროცესების ქვეყნის შიგა ფაქტორებთან თანხვედრამ განაპირობა. მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა იყო 1917 წლის ორი რევოლუცია და ცარიზმის დამხობა რუსეთში. რომანოვების ხელისუფლების დაცემა ნიშნავდა რუსეთის საუკუნოვანი დამპყრობლური პოლიტიკით შემუშავებული კავკასიის პროკონსულობის გაუქმებას. მეორე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა პირველი მსოფლიო ომი, რომლისკენაც მიმართული იყო მთელი მსოფლიოს ყურადღება. კავკასიური ქვეყნების სახელმწიფოებრივი თვითმმართველობის აღდგენა აღარ ჩანდა არარეალურ და მიუწვდომელ ოცნებად. თუმცა, საქართველოს დამოუკიდებლობა მეყსეულად არ გამოცხადებულა. ჯერ შეიქმნა ამიერკავკასიის სამხედრო მმართველობა. მას მოჰყვა ფედერაციული სახელმწიფოებრივი გაერთიანება, ამიერკავკასიის კომისარიატი, ამიერკავკასიის სეიმი.

1917 წლის ნოემბერში გაიმართა საქართველოს პოლიტიკური პარტიების, სხვადასხვა საზოგადოებრივი და საქველმოქმედო ორგანიზაციის შეკრება, რომელმაც აირჩია ეროვნული საბჭო და მისი თავმჯდომარე - ნოე ჟორდანია.

საინტერესოა, თუ როგორ განისაზღვრა ჩვენი ქვეყნის ორიენტაცია პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას. ჩვენ შევისწავლეთ ოთხი პარტიული გაზეთის - ,,ერთობის“, ,,საქართველოს“, ,,სახალხო საქმის“, ,,შრომისა“ და

ხელისუფლების ბეჭდური ორგანოს ,,საქართველოს რესპუბლიკის“ პუბლიკაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმირებისას პირველი მსოფლიო ომი არ იყო დასრულებული. ერთმნიშვნელოვანია, რომ ახლადშექმნილმა სახელმწიფომ პოლიტიკურად სწორად შეაფასა და საკუთარი დამოკიდებულება განსაზღვრა ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის მიმართ. საქართველომ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, რაც ასახა კიდეც 1918 წლის 26 მაისს მიღებულ დამოუკიდებლობის აქტში.

1917 წლის მარტიდან საქართველოში და საზღვრებს გარეთაც პრესის ფურცლებზე კეთდებოდა განცხადებები, რის მიხედვითაც ჩანს, თუ როგორ მიმდინარეობდა საზოგადოებრივი პოლიტიკური აზრის მომწიფების პროცესი, რომლის მთავარი ვექტორიც დამოუკიდებელი საქართველოს იდეა იყო. თუმცა, ,,საერთო ეროვნული ცნობიერების არსებობის გარდა, აუცილებელი იყო პოლიტიკური კულტურის ქონა, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა“ (მაცაბერიძე, 2019, გვ. 107).

შესწავლილი მოვლენებისა და ფაქტების მიხედვით, იკვეთება ხალხის მხარდაჭერა ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეისა და სახელმწიფოებრივი პროცესების მიმდინარეობის მიმართ. ქართული საზოგადოების განვითარება ისე წარიმართა, რომ ხალხი გაცნობიერებულად გაჰყვა პოლიტიკურ ძალებს, მისთვის უცხო არ იყო დემოკრატიული პრინციპებისა და ნორმების გაგება. აქედან გამომდინარე, საზოგადოება დადებითად შეხვდა ქვეყნის დემოკრატიული მშენებლობის შესახებ გაკეთებულ განცხადებებს და სრული ნდობა გამოუცხადა მას.

პარტიების ფორმირება და პოლიტიკური ელიტის არსებობა აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის. ჩვენს ქვეყანაში უკვე არსებობდა სრულყოფილი პოლიტიკური სპექტრი - პარტიები, განსაზღვრული იდეოლოგიით, სტრუქტურებითა და

მხარდამჭერებით. ამგვარად, იკვეთება, რომ საზოგადოებაცა და პოლიტიკური ძალებიც სრულ მზაობაში იმყოფებოდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად. პლურალისტური პრესის ადეკვატურად შესაფასებლად აუცილებლად მიგვაჩნია საუბარი წამყვანი პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიისა და მრწამსის შესახებ.

1918 წელს საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს მთავრობა კოალიციურია. პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება ჩამოყალიბდა საქართველოს სოციალ-დემოკრატთა, ეროვნულ-დემოკრატთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა, სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო, მიწის მესაკუთრეთა და სომხეთის რევოლუციური ფედერაციის პოლიტიკური პარტიებით. ამ ძალების ურთიერთთანამშრომლობის შესასწავლად რელევანტურია ბეჭდური გამოცემების: ,,ერთობა“ (სოც-დემოკრატები), ,,სახალხო საქმე“ (სოციალ-ფედერალისტები), ,,შრომა“ (სოციალ-რევოლუციონერები) და ,,საქართველოს“ (ეროვნულ-დემოკრატები) კვლევა, რომელიც ცხადყოფს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობებსა და განწყობებს.

პარტიული კოლაბორაცია ძალიან კარგად ჩანს მინისტრთა კაბინეტის ფორმირებისას. მთავრობაში წამყვან პოზიციებს, მიუხედავად სოციალ-დემოკრატების დომინანტი მდგომარეობისა, სხვა პარტიების ლიდერებიც იკავებენ: **გიორგი ჟურული** (ეროვნულ-დემოკრატი) - ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, **გიორგი ლასხიშვილი** (სოც.ფედერალისტი) - განათლების მინისტრი, **შალვა მესხიშვილი** (სოც.ფედერალისტი) - იუსტიციის მინისტრი, **ივანე ლორთქიფანიძე** (სოც.რევოლუციონერი) - გზათა მინისტრი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური სპექტრის ,,უპირობო ლიდერი **სოციალ-დემოკრატიული პარტია** იყო, რომელმაც 1919 წლის თებერვალში გამართულ პირველ საყოველთაო დემოკრატიულ არჩევნებში ხმათა 80 პროცენტზე მეტი მოიპოვა“ (ირემაძე, 2021). არ

შეცვლილა ოპოზიციური მხარე და ის, ძირითადად, სამი პოლიტიკური პარტიით განისაზღვრა: სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები და ეროვნულ-დემოკრატები.

სოციალ-დემოკრატები ერთ-ერთ პირველ პოლიტიკურ ძალად ჩანან საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორიაში. 1892 წლიდან ისინი ცდილობენ, თავი დაიმკვიდრონ საკუთარი პროგრამითა და მტკიცე იდეოლოგიით. ისინი ისე განიხილავდნენ დემოკრატიას, როგორც წარმატებული მმართველობის ფორმას, მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობითა და თავისუფალ გარემოში ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნით.

ქართველ ლიდერებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ევროპელ სოციალისტებთან და მათ იდეოლოგიასაც კარგად იცნობდნენ. მმართველ პარტიას სრულად ჰქონდა გათვითცნობიერებული, რომ ევროპის მასშტაბით პირველ სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოვიდა.

პერიოდული გამოცემები ცხადყოფს, რომ სოციალ-დემოკრატებთან, როგორც წამყვან პოლიტიკურ ძალასთან, დიდ წინააღმდეგობაში მოდიოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და სოციალისტ-ფედერალისტური პარტიების შეხედულებები.

სოციალისტ-ფედერალისტებმა ეროვნული იდეოლოგიაც ეროვნულ-დემოკრატებისაგან საკმაოდ განყენებულად წარმართეს. ისინი სოციალ-დემოკრატებთან ერთად საქართველოს ავტონომიის იდეას ავითარებდნენ. ეროვნულ-დემოკრატიული ძალა კი, პირიქით, საქართველოს დამოუკიდებლობას ესწრაფოდა. მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, სოციალ-დემოკრატებმა მაინც მოახერხეს და ,,თავიანთი წითელი დროშის ქვეშ გააერთიანეს მშრომელი ხალხი, მაშინ, როდესაც ნაციონალისტებს ბორძიკით მისდევდა უკან თავადაზნაურობა, ხუცობა, სტუდენტობა და ინტელიგენცია“ (შველიძე, 1993, გვ. 45). ამის გამომწვევ მიზეზად შეიძლება

ჩაითვალოს ის, რომ სოციალ-დემოკრატებმა სწორად დასვეს პოლიტიკური აქცენტები.

სოციალ-დემოკრატებს ბევრ მნიშვნელოვან საკითხში უპირისპირდებოდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა - სოციალ-ფედერალისტთა პარტია. წყაროების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ **სოციალ-ფედერალისტთა პარტიას** ქართული ინტელიგენციის არაერთი თვალსაჩინო მოღვაწე წარმოადგენდა, ამიტომაც ის სიძლიერით ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდა. ძლიერებაზე მიუთითებს ისიც, რომ მისი წარმომადგენლები, სხვა წამყვანი პარტიის წევრებთან ერთად, შედიოდნენ ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის შემადგენლობაში, ხოლო შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველ კოალიციურ მთავრობაში. მოგვიანებით, პარტიის წევრებს ვხვდებით საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და პარლამენტში.

პარტიის პერიოდული ორგანოს ,,სახალხო საქმის“ ფურცლებზე იკითხება, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევდნენ ფედერალისტები ავტონომიისა და ფედერაციის პრობლემებს. ისინი მცირერიცხოვან ბურჟუაზიას კი არა, სრულიად მშრომელი ხალხის ინტერესებს იცავდნენ და ითხოვდნენ ავტონომიას: ,,ჩვენ ვითხოვთ ისეთ ეროვნულ ავტონომიას, რომელიც იქნება სრულიად დემოკრატიული და რომელიც მოწყობილი იქნება ერის უმრავლესობის, მშრომელი ხალხის დასაცავად“ (ბენდიანიშვილი, 1980, გვ. 174). სოციალ-ფედერალისტები, სოციალ-დემოკრატებთან (მენშევიკებთან) ერთად, ავტონომიის მოთხოვნითაც კმაყოფილდებოდნენ, მაშინ, როცა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ, მართალია, თებერვლის რევოლუციამ რუსეთი უკან დახია აქტიური საგარეო პოლიტიკისაგან, მაგრამ მას მაინც არ ეთმობოდა ამიერკავკასია და ცდილობდა მის საქმეებში ჩარევას. სწორედ ამიტომ საქართველოში მოღვაწე პარტიულ ძალებს უჭირდათ რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება.

წყაროების შესწავლითა და აღნიშნულ საკითხზე ისტორიული კვლევებით ცხადი ხდება, რომ სოციალ-დემოკრატებიცა და სოციალ-ფედერალისტებიც დიდ მიღწევად მიიჩნევდნენ, რუსეთისაგან ავტონომიით გამოყოფილი საქართველო, შეძლებისდაგვარად, ამ გზით ყოფილიყო საკუთარი თავის ბატონ-პატრონი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1918 წლის 26 მაისს ფედერალისტები საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში შევიდნენ და საკმაოდ მნიშვნელოვანი თანამდებობები დაიკავეს. კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში ფედერალისტები ფლობდნენ სახალხო განათლებისა და იუსტიციის მინისტრის პორტფელებს, ასრულებდნენ მნიშვნელოვან დიპლომატიურ მისიებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ, ზოგადად, სოციალ-ფედერალისტთა პარტიამ საკონსტიტუციო კომისიაში პროექტის ოცდაჩვიდმეტი შესწორება შეიტანა (ჯანელიძე, 2023).

საინტერესოა, სოციალისტ-ფედერალისტების თანამშრომლობა ქვეყნის წამყვან ძალასთან - სოციალისტ-დემოკრატებთან. 1918 წლის ერობის არჩევნებში ეს ორი პარტია ერთი ბლოკის ფორმატით იღებდა მონაწილეობას, თუმცა, იმავე წლის ბოლოდან მათ შორის გაღრმავდა დაპირისპირება და სოციალისტ-ფედერალისტები ოპოზიციურ ფლანგზე გადავიდნენ.

როგორ შეიძლება შეფასდეს საქართველოს **სოციალ-რევოლუციონერთა პარტია** მათი პარტიული ბეჭდური ორგანოს გაზეთ ,,შრომის“ პუბლიკაციებსა და საარქივო წყაროებზე დაყრდნობით?

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია ყველაზე მეტადაა კავშირში რუსეთთან. ესერები, სწორედ რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისაგან გამოყოფის შედეგად დაფუძდნენ, როგორც პოლიტიკური ძალა. თუმცა, ესერთა წრეები 1901 წლიდან არსებობდა, როგორც რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის შემადგენელი

დაჯგუფებები. აღსანიშნავია ისიც, რომ მცირერიცხოვან ორგანიზაციებში ქართველებთან ერთად რუსებიც შედიოდნენ.

ისტორიული კვლევების მიხედვით, 1917 წლამდე ადგილობრივი სოციალისტ-რევოლუციონერთა წარმომადგენლობა კვლავ რუსეთის ესერთა პარტიის თანამშრომელია, მაგრამ უკვე ვხვდებით ეროვნული განწყობის ელემენტებს, ხოლო 1918 წლის თებერვლიდან რუსეთის ესერთა პარტიიდან ნელ-ნელა იწყება ქართველების ჩამოცილება. 1918 წლის ივნისში უკვე ჩატარებულია სოციალისტ-რევოლუციონერთა პირველი დამფუძნებელი ყრილობა, პარტიული ლოზუნგით ,,მიწა და თავისუფლება“. ეს მოწოდება ერთგვარი გაიდლაინია 1870-იანი წლების ,,ხალხოსნების“ პოლიტიკური დაჯგუფებისა და ესერებიც თავს მათ ღირსეულ მემკვიდრედ მოიაზრებდნენ.

ისტორიკოსთა უმრავლესობისათვის სოციალისტ-რევოლუციონერები მაინც რუსული ზეგავლენის ქვეშ მყოფ პარტიად აღიქმება. მკვლევართა აზრით, ესერებს თითქოს ენანებათ რუსული პოლიტიკური ძალისაგან გამოყოფა და ცალკე პარტიად ჩამოყალიბება. სოციალ-რევოლუციონერების ასეთი განწყობა ინტერნაციონალიზმისა და ეროვნული ნიჰილიზმის ნაზავად მიიჩნევა, რომელმაც თავისებური დაღი დაასვა ესერული ოპოზიციის საქმიანობას საქართველოს პარლამენტში და მათ დამოკიდებულებას ეროვნული მიმართულების პარტიებისადმი.

საქართველოში სოც-რევოლუციონერთა პარტია ორგანიზაციულად ნაკლებად ძლიერი იყო. ამის მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ სოციალ-დემოკრატიის ფართო გავლენა საზოგადოების უდიდეს ნაწილზე და მეორე მიზეზად სახელდება საკმაოდ საინტერესო ფაქტი, რომ ესერებმა, საბოლოოდ, ეროვნული ორიენტაცია გამოავლინეს. მიუხედავად ჯერ კიდევ დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციის არარსებობისა, ისინი საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მწარედ აკრიტიკებდნენ მთავრობის გეზს, რომელიც თითქოს, სოციალიზმის

მშენებლობას ამოფარებული, ცდილობდა ბურჟუაზიული სისტემის განმტკიცებას. სოციალიზაციის საკითხში ისინი აზრობრივად ეთანხმებოდნენ სოც-ფედერალისტებს.

პარტიის მეორე ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა ივანე გობეჩია, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ესერთა პარტიის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას ბრძოლა ექნებოდა ორ იდეურ მიმდინარეობასთან: რუსულ ბოლშევიზმსა და ქართულ მენშევიზმთან.

სოციალისტ-რევოლუციონერები წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესების საჭიროებას ხედავდნენ, ასევე, მოითხოვდნენ სამუშაო დღის შემცირებასა და საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას. ამ გარკვეული პოზიციითაც ესერები თანხვედრას პოულობდნენ სოციალ-ფედერალისტებთან. ორივე მიიჩნევდა, რომ მშრომელი მასის დიდი ნაწილისათვის აუცილებელი იყო სოციალისტური გარდაქმნები. ,,თავისუფალ მიწაზე თავისუფალი მუშა“, ,,სოციალისტური ძალაუფლებიდან - სოციალიზმისაკენ“, - ასეთი იყო ქართველ ესერთა მთავარი გზავნილი ხალხის, უმთავრესად გლეხობისადმი, რომელთა წიაღშიც ეგულებოდა ამ პარტიას მხარდამჭერთა უმრავლესობა“ (ჯანელიძე, 2018, გვ. 216).

ესერთა პარტია თავიდანვე ოპოზიციურადაა ჩამოყალიბებული. აღნიშვნის ღირსია, რომ სოციალისტ-რევოლუციონერები არ ყოფილან უბრალო სტატისტის როლში. ისინი საკმაოდ ძლიერი და ნაყოფიერი მუშაობითაც გამოირჩეოდნენ და ხელისუფლებისა და სხვა ოპოზიციური პარტიების საკმაოდ მწვავე და პირდაპირი კრიტიკითაც.

ქართული პოლიტიკური სპექტრის შედარებით სრულყოფილი სურათი რომ მივიღოთ, ჩვენს მიმოხილვას დავასრულებთ საქართველოს **ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის** პრეზენტაციით.

ისტორიკოსთა აზრით, ეროვნულ-დემოკრატები თერგდალეულთა შეხედულებებით საზრდოობდნენ და მათი იდეოლოგიის პარტიულ ჭრილში ფორმირებას თითქმის 6 ათეული წელი დასჭირდა. საბოლოოდ, 1917 წლის 4 ივნისს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე დამტკიცდა პარტიის წესდება და პროგრამა. ეროვნულ-დემოკრატებმა საკუთარი წრე თავადაზნაურთა პროგრესული ნაწილის, მრეწველთა, მეურნე-გლეხთა და ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლებისაგან დააკომპლექტეს.

ჩვენ შევისწავლეთ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბეჭდური ორგანოს გაზეთ ,,საქართველოს“ პუბლიკაციები და გამოვყავით ის ძირითადი პრიორიტეტები, რომლებიც წარმოაჩენს პოლიტიკური ძალის იდეოლოგიასა და მრწამსს. ეროვნულ-დემოკრატების იდეოლოგია ემყარებოდა ეროვნული სუვერენიტეტის იდეას, სახელმწიფოს მშენებლობას კერძო საკუთრების ნიადაგზე, მთელი ხალხის უფლებრივ თანასწორობასა და მმართველობის დემოკრატიული მოდელის ჩამოყალიბებას.

პუბლიკაციებში ჩანს სოციალ-დემოკრატების რეალური კრიტიკა. ის, რომ ქვეყნის სათავეში მოსულ ძალას ვერ გადაეწყვიტა ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, გაზეთი ,,საქართველო“ ამაზე ხმამაღლა და მოურიდებლად წერდა. ,,ამიერკავკასია არ გამოეყო რუსეთს მაშინ, როდესაც ამას საქართველოს ინტერესები მოითხოვდა, არამედ მაშინ, როდესაც ამიერკავკასიის დემოკრატია იძულებული იყო ეს ნაბიჯები გადაედგა“ (საქართველო, 1918, გვ. 1).

როგორც ქვემოთ, გაზეთის პუბლიკაციების ანალიზიდან დავინახავთ, ეროვნულ-დემოკრატებს მთავრობის პოლიტიკა აღიზიანებდათ, სოციალ-დემოკრატების მოქმედებას მფრთხალ ნაბიჯებად აღიქვამდნენ და ბრალს სდებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისადმი ინდიფერენტულ განწყობაში, რადგან მიაჩნდათ, რომ ისინი რუსეთისადმი ლოიალურ

მიდგომას ინარჩუნებდნენ. ამის საილუსტრაციოდ ბევრი მწარე სტატია გამოაქვეყნეს: ,,ოპოზიციაში იცით როდის ჩავდექით? თქვენს ცრუ პოლიტიკას ფარდა რომ ავხადოთ და გაგაფრთხილოთ“, - იბეჭდება 1918 წლის 19 ივნისის 110-ე ნომერში და იქვეა გამოთქმული წუხილი აღნიშნულის გამო: ,,გული გვტკივა, როდესაც ის პარტია, რომელიც განაგებს დღეს რესპუბლიკას, იმდენად ანტიპარლამენტარული და ანტილიბერალურია, რომ მოპირდაპირე პარტიის პოზიციას ღალატად მიიჩნევს!“

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობით სისტემად, მთელი პოლიტიკური სპექტრის კონსენსუსით, საპარლამენტო რესპუბლიკა განისაზღვრა. სოციალისტებისათვის პრიორიტეტს წარმოადგენდა საპარლამენტო მოდელი, რომელიც უნდა განმტკიცებულიყო ძლიერი თვითმმართველი ერთეულებით. სოციალისტური სისტემის დამყარება ასე ერთბაშად შეუძლებელი აღმოჩნდა. ძირითად ვექტორებად ფართომასშტაბიანი დემოკრატიზაცია, სისტემური რეფორმების გატარება და კაპიტალიზმის განვითარება იქნა მიჩნეული. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დემოკრატიის გზით სოციალიზმისაკენ მიდიოდა“ (ირემაძე, 2021).

მიუხედავად შიდა დაპირისპირებებისა და წინააღმდეგობებისა, ფაქტია, რომ პოლიტიკურმა ძალებმა მაინც შეძლეს და კომპრომისებისა თუ კონსენსუსის მიღწევით, ჩამოაყალიბეს დემოკრატიული რესპუბლიკა, მიიღეს კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც, ბევრი დემოკრატიული უფლება განისაზღვრა.

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წარმომადგენლები ,,სახალხო საქმეში“ მწვავედ აკრიტიკებდნენ მთავრობის გაუმართაობასა და სახელმწიფოს სისუსტეს, ხოლო ეროვნულ-დემოკრატები საკუთარ ოპოზიციურ მოსაზრებებს გაზეთ ,,საქართველოში“ ბეჭდავდნენ და მთავრობას ქვეყანაში არსებულ ანარქიაში ადანაშაულებდნენ. ძალიან დიდი

დაპირისპირებით წარიმართა დეკლარაციის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესი. საბოლოოდ, საბჭოს უმრავლესობამ მაინც დაამტკიცა წარდგენილი სახელმწიფო დოკუმენტი და მთავრობას ნდობა გამოუცხადა. გაზეთ ,,ერთობის“ 1918 წლის 18 ივნისის გამოცემაში ვკითხულობთ ნოე ჟორდანიას სიტყვას, რითაც მან სხდომა დაასრულა: ,,საქართველოს პირველი მთავრობის პირველი დეკლარაციის განხილვამ ნამდვილი პარლამენტარული განწყობა შექმნა ეროვნულ საბჭოში“ (ერთობა, 1918, გვ. 3).

მთავრობის დეკლარაციის მწვავე განხილვა ოპოზიციური პარტიების მხრიდან წარმოაჩენს საქართველოს პირველი რესპუბლიკის დემოკრატიულ გარემოს. 21-ე საუკუნის თანამედროვე თვალით გაანალიზებული მოვლენები, რომლებიც პრესამ ობიექტური სიზუსტით შემოგვინახა, გვიჩვენებს, ,,რამდენად ცხოველმყოფელი იყო პოლიტიკური პროცესი 1918-1921 წლების საქართველოში, როგორ ყალიბდებოდა ხელისუფლების ინსტიტუტი მრავალპარტიულ სისტემაში, როგორი იყო ოპოზიციის მონაწილეობა სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში“ (ჯანელიძე, 2018, გვ. 39) .

როდესაც დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ სპექტრს ვაკვირდებით, ეთნიკურ საკითხსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. ქართული პოლიტიკური პარტიების გარდა, არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს ეროვნული უმცირესობების, კერძოდ, აზერბაიჯანელი მაჰმადიანების, სომხების, ბერძენებისა და რუსული ინტერესების გამომხატველმა ორგანიზაციებმა. ეს ინფორმაცია მოწმობს, თუ რაოდენ ტოლერანტული და ლიბერალური პრინციპებით სუნთქავდა დამოუკიდებელი რესპუბლიკა. სახელმწიფოს ლიდერები ანგარიშს უწევდნენ უმცირესობას და საზოგადოებაში სრულყოფილი ინტეგრაციის საშუალებას აძლევდნენ მათ.

საქართველომ 1918-21 წლების პოლიტიკური სპექტრის დემოკრატიული სისტემის მშენებლობას, იმ პერიოდის რთული საგარეო ვითარებისა და ქვეყნის შიდა დაძაბულობის მიუხედავად, წარმატებით გაართვა თავი. სულ

მოკლე დროში საფუძველი ჩაეყარა ბევრ მნიშვნელოვან პროექტს, მოხდა მნიშვნელოვანი ინსტიტუციების ფორმირება, გატარდა ფუნდამენტური რეფორმები. ქვეყნის პროგრესი თვალსაჩინო იყო არა მარტო ქართველების, არამედ უცხოელი დიპლომატებისთვისაც.

ქვეყანა ადგა ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზას, - ასეთი იყო ყველა პოლიტიკური ძალის აღქმა.

1.2. ქართული პერიოდიკის მესვეურები - პოლიტიკოსი პუბლიცისტების პორტრეტები

ქართველი პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები პრესის მეშვეობით გამოხატავდნენ საკუთარ აზრსა და შეხედულებებს. მათი მიზანი საზოგადოებაში მხარდამჭერებისა და თანამოაზრეების მოპოვება იყო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრესა პარტიებისათვის უმთავრეს საშუალებას წარმოადგენდა ადგილობრივ თვითმმართველობებთან დასაკავშირებლად.

ქვეყნის წამყვანი ძალა **სოციალ-დემოკრატიული** პარტია გახდა, რომლის წევრთა რაოდენობაც 80 000-სს აჭარბებდა. პარტიის ლიდერები იყვნენ ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ირაკლი წერეთელი, აკაკი ჩხენკელი, კარლო ჩხეიძე, რაჟდენ არსენიძე, ევგენი გეგეჭკორი, ლევან ნათაძე. ჩვენი ყურადღება ამ უკანასკნელმა მიიპყრო, არა მხოლოდ როგორც სოციალ-დემოკრატების პოლიტიკურმა ლიდერმა, არამედ პარტიის ბეჭდური ორგანოს ,,ერთობის" რედაქტორმა და პუბლიცისტმა, მითუმეტეს, როდესაც ეს თვალსაჩინო მოღვაწე პერსონალურად არავის უკვლევია.

ლევან ნათაძის პარტიული მოღვაწეობა 1902 წლიდან იწყება, როდესაც ის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის აგიტატორი გახდა. შემდგომ იგი ქართველ სოციალ-დემოკრატებს შეუერთდა. ლევან ნათაძე პუბლიცისტურ საქმიანობასაც საკმაოდ ადრეული პერიოდიდან ეწევა. ცნობილია მისი კრიტიკული და სამეცნიერო-პოპულარული წერილები,

რომლებსაც ჟურნალ ,,კვალში“ აქვეყნებდა. სანამ გაზეთ ,,ერთობაში“ გადაინაცვლებდა, იგი გაზეთ ,,ბორბას“ რედაქტორობდა. როგორც პოლიტიკოსი, ლევან ნათაძე საკმაოდ ავტორიტეტული ფიგურა გახლდათ, იყო ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების, სხვადასხვა კომისიის წევრი. პროფესიიდან გამომდინარე (პედაგოგი), განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობდა განათლების რეფორმების შემუშავებაში.

ლევან ნათაძე საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანი პუბლიცისტური წერილების ავტორია, რომლებსაც ის სხვადასხვა გაზეთში აქვეყნებდა. მისი პუბლიკაციები მოიცავს სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებს.

ლევან ნათაძის ორიენტაცია თავდაპირველად არ იყო ეროვნული და ის, როგორც სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა, მართებულ ნაბიჯად არ მიიჩნევდა საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფას. აღნიშნულთან დაკავშირებით მას საკმაოდ ხისტი წერილები აქვს გამოქვეყნებული და თავს ინტერნაციონალური პარტიული ორგანიზაციის წევრად აცხადებს. ის კრიტიკული პუბლიკაციებით მწვავედ პასუხობს შალვა ნუცუბიძესა და ლეო ქიაჩელს. ყოველი მისი აზრი დასაბუთებული და არგუმენტირებულია. ნათაძეს შეუძლია დაასახელოს მსოფლიოში წამყვანი ქვეყნების მაგალითები, ადეკვატურად შეუსაბამოს ისინი საკუთარ შეხედულებას და ამით შეძლოს საზოგადოების დარწმუნება. მისი წერილები არასდროსაა მშრალი და ზედაპირული. საქართველოს სუვერენობასთან დაკავშირებითაც ის მოქნილად იყენებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და შვეიცარიის კანტონების მაგალითებს და შეუპოვრად ედავება მოწინააღმდეგეებს. აღნიშნული პერიოდის მიმოხილვა ჩვენი კვლევის ფარგლებს სცილდება, ამიტომ ვუბრუნდებით 1918 წელს, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა, ხოლო ლევან ნათაძე დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი სოციალ-დემოკრატების პარტიული სიით.

საკვლევად გამოვყავით მისი სტატიები ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნის თემატიკაზე, რომლებშიც ის პროგრესულ და განსხვავებულ იდეას

სთავაზობდა ხელისუფლებას. მისი პროექტი პირდაპირ უკავშირდება ეროვნული უმცირესობის საკითხს. ლევან ნათაძე თვითმმართველ ერთეულებში ერთგვაროვან, ეროვნულ შემადგენლობას მოიაზრებდა. ,,ეროვნული თემის“ მონახაზი მან გერმანელი თეორეტიკოსების კარლ კაუცკისა და ოტო ბაუერის შრომებზე დაყრდნობით შეიმუშავა.

1920 წლის რამდენიმე ნომერში გაგრძელებებით იბეჭდება ლევან ნათაძის სტატია ,,ეროვნული უმცირესობის უფლებების უზრუნველყოფა“. პირველი ვრცელი პუბლიკაცია აღნიშნულ თემატიკაზე 64-ე ნომერშია. გამომდინარე საქართველოს მრავალეთნიკური მოსახლეობიდან, ყველაზე რთულად კონსტიტუციაში ეროვნული უმცირესობების საკითხი უნდა მივიჩნიოთ. ლევან ნათაძე ახასიათებს საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას და ერთგვარ ისტორიულ ანალიზს გვთავაზობს. სტატია ფსიქოლოგიურ ჭრილშიც შეიძლება განვიხილოთ, რამეთუ აღწერილია თითოეული ერის ფსიქოტიპი. ავტორი თავდაპირველად პრობლემებზე ერების მენტალობიდან გამომდინარე მსჯელობს და შემდეგ გადადის ტერიტორიულ საკითხზე: ,,ესაა პერსონალური პრინციპი, რომლის მიხედვითაც, დამოუკიდებლად ტერიტორიისა, თითოეული ეროვნების ყველა წევრმა უნდა შეადგინოს ერთი ეროვნული კავშირი, რომელიც გაუძღვება თავის ეროვნულ და კულტურულ საქმეებს“ (ერთობა, 1920, გვ. 2).

როგორც აღვნიშნეთ, ლევან ნათაძის პუბლიკაციები ლოგიკური სიცხადით გამოირჩევა. ის სიღრმისეულად ხსნის პრობლემის არსს, მიზეზს, დაწვრილებით აღწერს განვითარების თითოეულ ეტაპს. მომდევნო ნომრებში გაგრძელებულ სტატიებში ის უკვე ფინანსური პრობლემების გადაჭრის გზებს ეძებს, შემდგომ ასაბუთებს ეთნიკური უმცირესობების განათლების საჭიროებას. ყველა დეტალის ანალიზის შედეგად გვთავაზობს დასკვნას: ,,ეროვნული უმცირესობების მოთხოვნილებების უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს“ (ერთობა, 1920, გვ. 2).

სამწუხაროდ, ლევან ნათაძის შეთავაზებული გეგმის განხორციელება დაბრკოლდა თავად ეთნიკურ უმცირესობათა არალოიალური დამოკიდებულებით ქართული სახელმწიფოსადმი.

ლევან ნათაძეს აქვს წერილები კულტურული ღირებულებებისა და ერის თვითშეგნების შესახებ, რომლებშიც საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური ცხოვრება გლობალურ ჭრილშია განხილული. ამის დადასტურებაა სტატია ,,ერის თვითგამორკვევა და კომუნისტი", რომელიც ,,ერთობის" 145-ე ნომერში გამოქვეყნდა. პუბლიკაციაში უკვე აშკარაა ანტირუსული განწყობა. ავტორი აკრიტიკებს კომუნისტების შეხედულებებს, ამხელს საქართველოსა და სხვა თავისუფალი ერების მიმართ მათ უარყოფით დამოკიდებულებას. ,,კომუნისტებს ალაპარაკებს საბჭოთა რუსეთის ინტერესები. მათი მიზანია საქართველო რუსეთისათვის, ისე როგორც ყველა ერი რუსეთისათვის. ისინი გვიკიჟინებენ, რომ ეროვნული უმცირესობის პროგრამა არის საქართველო ქართველებისთვისო. ჩვენი სოციალ-დემოკრატია კი მოსურნეა მცირე ერებს საქართველოში მიენიჭოს რაც შეიძლება მეტი უფლებები, იმ პირობით თუ მოსახლეობის უმრავლესობის (ქართველების) უფლებები არ შეილახება" (ერთობა, 1920, გვ. 2).

როგორც ვხედავთ, ლევან ნათაძეს, როგორც დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოღვაწე პოლიტიკოსსა და პუბლიცისტს, შეცვლილი აქვს პირვანდელი დამოკიდებულება. წარსულში საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე 1921 წლის რუსული ანექსიის შემდგომ სამშობლოში დარჩა და აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის, რომ არ გადასულა რუსი ბოლშევიკების მხარეს, არამედ ჩაერთო წინააღმდეგობის მოძრაობაში. ჩვენ არ ვიცით, როგორ განვითარდებოდა მისი ცხოვრება, რადგან მალევე გარდაიცვალა ტიფით. ცნობილია, რომ ლევან ნათაძის დაკრძალვა საზოგადო მოღვაწეთა დიდების პანთეონში ანტისაბჭოთა დემონსტრაციად გადაიქცა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სოციალური ბაზა ფართო იყო და იგი მოიცავდა ქართველი ინტელიგენციის ნაწილს, მეწარმეებს, თავადაზნაურობისა და ვაჭართა ფენის წარმომადგენლებს. პარტიაში გაწევრიანებული იყვნენ შემლებული გლეხებიც. ცნობილი ეროვნულ-დემოკრატები არიან: სანდრო შანშიაშვილი, სპირიდონ კედია, გერონტი ქიქოძე, გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი გვაზავა, შალვა ამირეჯიბი, ვასილ წერეთელი, შალვა ქარუმიძე, რევაზ გაბაშვილი.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და დამფუძნებელი, პუბლიცისტი და მთარგმნელი **გიორგი გვაზავაა**. მან ბრწყინვალე განათლება მოსკოვის საიმპერატორო და სორბონას უნივერსიტეტებში მიიღო.

გიორგი გვაზავა თავისი ცხოვრების განმავლობაში ძალიან ბევრი მასშტაბური პროექტისა თუ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საქმის უშუალო ინიციატორი და მონაწილე იყო. იგი ახალგაზრდობიდან შეუდგა პუბლიცისტურ საქმიანობას, ხოლო საქართველოში დაბრუნების შემდეგ აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პრესასთან. გიორგი გვაზავა ფიქრობდა, გამოეცა გაზეთი ,,ავტონომიური საქართველო“, დაახლოებით 1906 წელს, მაგრამ სახელწოდების გამო ისეთი უსიამოვნება და დაბრკოლებები შეხვდა, რომ იდეა ვერ განახორციელა.

გიორგი გვაზავას პოლიტიკური ასპარეზი ფართოდ 1917 წლიდან გაიშალა, როდესაც ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის მიერ შექმნილ ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობაში შევიდა. ის აქტიურად ერთვებოდა ქვეყნისათვის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში, არ ერიდებოდა კრიტიკულ მსჯელობას, ერთიანობისა და კონსოლიდაციის გზების ძიებას.

1918 წლიდან გიორგი გვაზავა მოლაპარაკებებს აწარმოებდა ტრაპიზონსა და ბათუმს შორის, რასაც წარმატებით გაართვა თავი.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში გიორგი გვაზავა დამფუძნებელი კრების დეპუტატი, საკონსტიტუციო კომისიის წევრი და მდივანი, პარლამენტის სარეგლამენტო და საგარეო საქმეთა კომისიის წევრი იყო.

სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებელი მაჯისცემის შეწყვეტის შემდგომ მას ემიგრაციაში მოუწია საქართველოს უფლებებისათვის ებრძოლა და პარიზში დაიწყო გაზეთ ,,საქართველოს“ გამოცემა. არის მრავალი შრომისა და საინტერესო მონოგრაფიის ავტორი. სამწუხაროა, რომ ასეთი პატრიოტი საფრანგეთში, უცხო მიწაზე გარდაიცვალა და პარიზში დაკრძალეს. ამგვარ ცნობებს გვაწვდის ისტორიოგრაფია მისი მოღვაწეობის შესახებ.

ჩვენი კვლევის შედეგად ნათელი გახდა გიორგი გვაზავას, როგორც პუბლიცისტის, მოღვაწეობის ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, მისი მსჯელობისა და არგუმენტაციის უნარი. შესაშური არგუმენტებით მიჰყავს მას მსჯელობა სახელმწიფოსა და მოქალაქის თანაბარუფლებიანობის მნიშვნელობამდე. ადამიანი, მოქალაქე, ერთბაშად სუბიექტიც არის და ობიექტიც, მას უფლებაც აქვს და მოვალეობაც სახელმწიფოს მიმართ. სწორედ ამ განწყობებს იკვლევს და გვთავაზობს პოლიტიკური მოღვაწე. მისი, როგორც კონსტიტუციური კომისიის წევრის არგუმენტები გაითვალისწინეს საქართველოს პირველი კონსტიტუციის შექმნის დროს.

გიორგი გვაზავა დემოკრატიის პრინციპების უზადო და განუხრელი დამცველი იყო, მისთვის უცხო და მიუღებელი გახლდათ ვიწროპარტიული ხედვა და პროპაგანდისტული აზროვნება. დემოკრატიზაციის პროცესების პრეზენტირებას მან რამდენიმე ვრცელი სტატია მიუძღვნა სათაურით ,,საქართველო და დემოკრატიზმი“, რომელიც მომდევნო ნომრებშიც გრძელდება“ (გვაზავა, 1920, გვ. 4).

დღეს გვესმის, რომ რისი ღირსიც ვართ, სწორედ ისე ვცხოვრობთ. საუკუნისწინანდელ პრესაში ამ სიტყვებით იწყებს ერთ-ერთ სტატიას გიორგი გვაზავა. მისი აზრით, დემოკრატიულ რესპუბლიკას ქმნიან და ინარჩუნებენ მხოლოდ ეროვნული განვითარების, საზოგადო კულტურისა და სახელმწიფოებრივი შეგნების მოქალაქეები.

გვაზავა, როგორც ერთ-ერთი ინიციატორი, პრინციპულად გამოვიდა დამფუძნებელი კრების წინაშე, საქართველოს მიერ ,,ერთა ლიგაში“ წარმომადგენლების გაგზავნის საკითხთან დაკავშირებით და თავადვე მიიღო მონაწილეობა ამ მისიაში. ევროპიდან დაბრუნებული პუბლიცისტი დანანებითა და აღშფოთებით წერდა, რომ ევროპა არ ფლობდა სწორ და ობიექტურ ინფორმაციას საქართველოს შესახებ და ის, რომ ჩვენს ქვეყანაში თითქოს ბოლშევიკური წყობა იყო, მტკნარი სიცრუე გახლდათ. ,,მე საჭიროდ ვცანი გამეცნო მათთვის საქართველოს წარსული და თანამედროვე მდგომარეობა და დამემტკიცებინა, რომ მართალია საქართველოში სოციალისტური წყობაა დამყარებული, მაგრამ ჩვენ ბოლომდე ვებრძვით ბოლშევიკებს“ (გვაზავა, 1920, გვ. 3).

გიორგი გვაზავას ღრმად სწამდა და დიდი იმედი ჰქონდა ევროპის კეთილგანწყობისა. ეროვნული თავისუფლებისა და დემოკრატიზმის პრინციპებზე შექმნილ ,,ერთა ლიგას“ აუცილებლად უნდა მიეღო საქართველო თავის ოჯახში, თანაც ხმათა უმრავლესობით: ,,ისინი გვერდს ვერ აუხვევენ ელემენტარულ საერთაშორისო სამართალს, როცა დაწვრილებით გაიგებენ ჩვენს წარსულ ისტორიას და ჩვენს ახლანდელ დემოკრატიულ წყობილებას“, - ვკითხულობთ 1920 წლის 12 ნოემბრის ნომერში. ერთა ლიგის შესახებ იგი შემდგომაც აგრძელებს საუბარს. ვფიქრობთ, მისი მიზანი საზოგადოების ინფორმირება და ევროპული არჩევანის აუცილებლობის ჩვენება იყო.

საოცარი არგუმენტებითა და დახვეწილი ენით წერს გიორგი გვაზავა საზოგადოების სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე, ქართულ დემოკრატიასა და დამოუკიდებლობის ფენომენზე. რა თქმა უნდა, ბევრი ხალხი, რიცხოვნობით ქართველებს აღემატება. ასევე, საქართველოზე მეტად დიდი ფართობის მქონე ქვეყნებიც არსებობენ, თუმცა ვერც ერთი და ვერც მეორე მოცემულობა სახელმწიფოს დაარსებისათვის არ გამოდგება. უმთავრესი მნიშვნელობა ისევ და ისევ ხალხის კულტურულ განვითარებასა და მის უფლებრივ შეგნებას ენიჭება, - ასე მსჯელობს დიდი პატრიოტი.

,,შვეიცარია 1815 წელს ცნობილი იქნა ნეიტრალურ სახელმწიფოდ, მაგრამ ის გზას არავის უღობავს ოკეანისკენ და ეს ქმნის მისი უსაფრთხოების გარანტს. საქართველო კი დევს მსოფლიო გზაზე“ (გვაზავა, 1920, გვ. 3), - ასეთი უკონკურენტო არგუმენტებით აბათილებს ის აზრებს იმ ოპონენტებისას, რომლებიც გაიძახოდნენ, რომ საქართველომ შვეიცარიის, გერმანიის ან რომელიმე ევროპული ქვეყნის დემოკრატიული წყობის ყალიბი უნდა მოირგოსო.

ეროვნულ-დემოკრატები დისციპლინასა და პასუხისმგებლობას ზენიტში აყენებდნენ. ამ მხრივ საინტერესოა გვაზავას სტატია (1920 წლის 24.12) ,,თავისუფლება და დისციპლინა“, რომელშიც მას ჩამოყალიბებული აქვს სახელმწიფო ინსტრუმენტის შექმნის ნიშან-თვისებები და აკრიტიკებს ნოე ჟორდანიას მისი მიდგომების გამო, პოლიტიკურ პარტიებს სთავაზობს, რომ ერთობლივი ძალისხმევით ააგონ დემოკრატიული სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, რომ - ,,მთავრობის მეთაურს მოსწონს პრინციპი მორჩილებისა“.

გიორგი გვაზავას პუბლიკაციები მოტივირებულობისა და მართებული კრიტიკის თვალსაჩინო მაგალითია. მისი ყველა სტატია ანალიტიკურია და კრიტიკულ მსჯელობას ეყრდნობა. თუმცა, ის არ ერიდება პირდაპირ და საკმაოდ უხეშ ბრალდებებს მმართველი ძალისა და სხვა პოლიტიკური პარტიების მიმართ.

როგორც მკვლევრები წერენ, ყველაზე დიდი წვლილი საქართველოს კონსტიტუციის შექმნაში ეროვნულ-დემოკრატებმა შეიტანეს და აქ უპირველესად ფიგურირებს გიორგი გვაზავას სახელი. მან საკუთარი ცოდნა და გამოცდილება მოგვიანებით წიგნად აკინძა და გამოსცა - ,,ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა“, - ამის შესახებ იტყობინება 1920 წლის 3 აპრილის ნომერი.

გიორგი გვაზავას უდიდეს პატრიოტიზმზე მისი მოგონებების ერთი ამონარიდითაც შეიძლება ვიმსჯელოთ: დამფუძნებელი კრება მუშაობდა

თავგამოდებით, და საქმიანობა არ შეუწყვეტია მაშინაც კი, როდესაც ქალაქს მოაწვა რუსეთის ლაშქარი. ისმოდა ზარბაზნების ხმა და ცაში სკდებოდა ყუმბარები: ,,ჩვენ დავიშალეთ მხოლოდ გათენებისას, როცა საბოლოოდ დავამტკიცეთ ჩვენი კონსტიტუცია - ძირითადი კანონი საქართველოს რესპუბლიკისა“ (ჯანელიძე, 1920).

სოციალ-ფედერალისტების პუბლიცისტიკა ღირსეულმა ქართველმა მოღვაწეებმა შექმნეს: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა, თედო ღლონტი, გიორგი დეკანოზიშვილი... ერთ-ერთ ლიდერს, **სამსონ ფირცხალავას** გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, როგორც ღირსეულ პედაგოგს, განათლებულ პოლიტიკოსსა და თვალსაჩინო პუბლიცისტს. ამაზე მეტყველებს მისი საგაზეთო პუბლიკაციები და საჯარო გამოსვლები.

სამსონ ფირცხალავამ ადგილი დაიმკვიდრა როგორც პერიოდულ გამოცემათა დამაარსებელმა და რედაქტორმა. იგი ინტენსიურად აქვეყნებდა საავტორო სტატიებს. სწორედ აღნიშნული საპროგრამო ხასიათის პუბლიკაციები მოექცა ჩვენი თვალთახედვის არეში და გახდა ჩვენი კვლევის მთავარი წყარო.

სამსონ ფირცხალავას ყველა სტატიას საინტერესო და ინფორმაციული სათაური აქვს: ,,ეროვნება და ეროვნული თავისუფლება“; ,,საკუთარი ძალა“, ,,მთავრობა და თვითმმართველობა“, ,,ნახული და გაგონილი“, ,,სახელმწიფო“, ,,იარაღი“.

,,სახალხო საქმის“ რედაქტორი ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე ყველა პრობლემურ და აქტუალურ საკითხზე წერდა. მისი სტატიები, ხშირ შემთხვევაში, ორ ან სამ საგაზეთო სვეტს მოიცავს. მოცულობის მიუხედავად, პუბლიკაციები მრავლისმთქმელია და მხოლოდ მშრალი ინფორმაციით არ შემოიფარგლება. ავტორი გამოყოფს რომელიმე მნიშვნელოვან მოვლენასა ან ფაქტს და მის გარშემო ავითარებს კრიტიკულ მსჯელობას. გამოკვეთს მიზანს, სვამს კითხვებს და ეძებს პრობლემის გადაჭრის საშუალებებს.

როდესაც თემატიკა ზოგადსაკაცობრიოა, აქაც რედაქტორის მსჯელობა ვარირებს პიროვნულ სუბიექტივიზმსა და ანალიტიკურ რაკურსს შორის.

სამსონ ფირცხალავა წერს სამხედრო საკითხზე, ერის თვითმყოფადობასა და თავისუფლების ფენომენზე, გერმანიისა და საქართველოს ურთიერთდამოკიდებულებაზე, ეთნიკურ და რელიგიურ ტოლერანტობაზე. მისი ნააზრევი სახელმწიფოს თავისუფლების შემეცნებისთვის პროგრესულია და ინდივიდუალურ კონცეფციას ქმნის. იგი ქართველი ერის თავისუფლებას ქართული დემოკრატიის მონაპოვრად მიიჩნევს (ბრეგაძე, 2023, გვ. 45) .

დამოუკიდებლობა, თავისთავად, უდიდესი ბედნიერებაა, ამ თემაზე დაწერილ მის ყველა პუბლიკაციაში. როცა ვკითხულობთ პუბლიცისტის მოსაზრებას პიროვნული თავისუფლების შესახებ, შეგვიძლია პარალელი გავავლოთ, რომ ბევრს თავისუფლება ყველაფრის თქმისა და ქმედების უფლებად მიაჩნია. სწორედ ეს პრობლემა იდგა საუკუნის წინაც. საქართველოს დამოუკიდებლობის სრული გააზრებისათვის ავტორი არ იშურებს მაგალითებს წარსულიდან, ცდილობს, აჩვენოს საზოგადოებას, თუ რამხელა ბედნიერება გვხვდა წილად და დაანახოს სირთულე მთელი რიგი საპასუხისმგებლო საკითხებისა.

მრავალი პუბლიკაცია აქვს ავტორს ეროვნული თვითმყოფადობისა და თვითშეგნების საკითხებზეც. 1918 წლის 27 მაისის გამოცემაში დაიბეჭდა ვრცელი სტატია სათაურით: ,,ერის უფლება და მოვალეობა“, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ეროვნული თავისუფლება უდიდესი საკითხია და მან საბოლოოდ უნდა გაიკაფოს გზა. თავად ეროვნება ქმნის უძლიერეს ფაქტორს საზოგადოების ზრდისა და განვითარებისათვის. სოციალ-დემოკრატების ლიდერი მიიჩნევდა, რომ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელიც ადამიანის თავისუფალი არსებობა უნდა ყოფილიყო და ამ თავისუფლების ქვაკუთხედი - ეროვნებაა. ადამიანის განვითარება გადაჭრით მოითხოვს ეროვნულ ატმოსფეროს. თუმცა, ეროვნული თავისუფლება სრულიადაც არ გულისხმობს კარჩაკეტილობასა

და გათიშვას. და აქაც გვხვდება დღევანდელობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა, უცხო ხალხის ჩვეულებების ათვისებისა და ჩვენში დამკვიდრების შესახებ. აი, რას წერს საუკუნის წინ აღნიშნულთან დაკავშირებით სამსონ ფირცხალავა: ,,ერი ვითარდება საკუთარი გზით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერმა არავინ მიიკაროს და შეითვისოს, არ ისესხოს უცხო კულტურიდან რამე", და აქვე, რედაქტორი განმარტავს, რომ ,,ერი მოითხოვს გადმოიღოს უცხოელთა ღირსება, წესი, ცოდნა-გამოცდილება, ეს ყოველივე მან უნდა გადაადნოს თავის გულში და ისე მიაწოდოს თავის შვილებს" (ფირცხალავა, 1918, გვ. 2).

სამსონ ფირცხალავა ზედმეტ გულუბრყვილობაში სდებდა ბრალს მთავრობას გერმანიასთან მიმართებით. მისი აზრით, გერმანია საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ იმდენად დააფასებდა, რამდენადაც მასში დაინახავდა პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ და სამხედრო ძალას. იგი წუხდა, რომ თუკი გერმანიის ინტერესის საგანი სხვა სახელმწიფო გახდებოდა, საქართველო დაუცველი და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობისათვის სრულიად მოუმზადებელი დარჩებოდა. ამიტომ, ,,ნაკლებ დავეყრდნოთ გარეშე ძალას და რაც შეიძლება მეტი ვიზრუნოთ საკუთარი მოქმედებისათვის" (ფირცხალავა, 1918, გვ. 1).

ქართული არმიის შექმნისა და გაძლიერების აუცილებლობაზე სამსონ ფირცხალავას რამდენიმე პუბლიკაცია აქვს დაწერილი: ,,ჯარის საჭიროება", ,,იარაღი". აღნიშნული საკითხი მას გამოტანილი აქვს ვრცელ სტატიაშიც ,,ეროვნება და ეროვნული თავისუფლება." რეგულარული არმიის ნაცვლად საზოგადო მოღვაწე სახალხო მილიციის შექმნის იდეით იყო გატაცებული და, დიდი ალბათობით, მისი სტატიები სოციალ-ფედერალისტთა ნააზრევის კონსტატაცია იყო.

საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, სამსონ ფირცხალავა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რელიგიურ და ეთნიკურ ტოლერანტობას, მაგრამ აქვე სინანულით აღნიშნავდა, რომ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები ხშირად ამჟღავნებდნენ

არაკეთილგანწყობას ქართველებისადმი. მეტიც, თბილისში გამოდიოდა მათი რამდენიმე პერიოდული ორგანო, რომლებშიც ისინი აშკარა აგიტაციას ეწეოდნენ საქართველოს წინააღმდეგ. პუბლიცისტი ხელისუფლებას მეტი სიფხიზლისა და სიმკაცრისაკენ მოუწოდებდა. აღიშნულ საკითხებზე ის მსჯელობს სტატიაში ,,სახელმწიფო“: ,,საყოველთაო გულკეთილობასა და სიბრალულზე სახელმწიფო არავის უშენებია და ვერც ჩვენ ავაშენებთ. სახელმწიფოს არსებობისათვის, რაც არ უნდა დემოკრატიული იყოს, აუცილებელია განსაზღვრული წესები“ (ფირცხალავა, 1918, გვ. 3).

სამსონ ფირცხალავას პუბლიკაციები გამოირჩევა აზრის სიღრმითა და სიცხადით. ავტორი წერს სადა და მკითხველისათვის ადვილად გასაგები ენით. მას მთელი საქართველოს საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრი უდიდეს პატივს სცემდა, გარდა ქართული ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლებისა. ჩვენ არ მოვიყვანთ აქ ქართველი ბოლშევიკის, ფილიპე მახარაძის შეფასებებს, ეს არ არის ჩვენი კვლევის მიზანი, მაგრამ მისი სიტყვები, რომ ,,სამსონ ფირცხალავას გარეშე ეროვნებისა არც არაფერი სწამს და არც არაფერი მიაჩნია“, შეურაცხყოფის ნაცვლად, ხაზს უსვამს მის ეროვნულ სულისკვეთებას.

სოციალ-რევოლუციონერთა პარტიული ბეჭდური ორგანოს შესწავლისას დავრწმუნდით, რომ ქართველი ესერების ბირთვს ქმნიდნენ საკმაოდ ორგანიზებული, ინტელექტუალურად ჩამოყალიბებული პატრიოტები: ლეო შენგელაია, გრიგოლ ნათაძე, ვლადიმერ და ივანე გობეჩიები, ივანე ლორთქიფანიძე, ილია ნუცუბიძე.

სოციალ-რევოლუციონერების ერთ-ერთი ლიდერი და გაზეთ ,,შრომის“ ერთგული პუბლიცისტი **ლეო შენგელაია** 1908 წლიდან იყო რუსეთის სოციალისტურ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი. რევოლუციური საქმიანობისთვის იგი დააპატიმრეს და რუსეთის ციხეში იხდიდა სასჯელს. საქართველოში დაბრუნებისთანავე 1918 წლიდან ლეო შენგელაია სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის თავმჯდომარე და გაზეთ ,,შრომის“ რედაქტორი გახდა.

ლეო შენგელაია წყაროებში იხსენიება, როგორც დიდი თეორეტიკოსი და პარტიის მთავარი იდეოლოგი. ის 1919 წლის დამფუძნებელი კრების დეპუტატი და პარლამენტში ესერთა ფრაქციის თავმჯდომარეა. პარტიის პროგრამისა და სამოქმედო გეგმის ავტორადაც ლეო შენგელაიაა დასახელებული. იგი ესერების აგრარული რეფორმის შემქმნელია.

ლეო შენგელაიას სტატიები, როგორც მისი სიტყვები, ანალიტიკური ხასიათისაა. პუბლიკაციები არ გამოირჩევა მკვეთრი და ხმამაღალი, თვალშისაცემი ფრაზებით. პირიქით, სათაური ძირითადად ასახავს იმ საკითხს, რომელზედაც შემდგომაა საუბარი. მაგალითად, ,,სიკვდილის დასჯის შესახებ", ,,აგრარული რეფორმის შესახებ", ესერების სტრატეგიული გეგმა" და ა.შ. მიუხედავად ამისა, საკმარისია ტექსტის პირველი აბზაცი ჩავიკითხოთ, ის უფრო და უფრო გვიპყრობს აქტუალობითა და საკითხისადმი სიღრმისეული მიდგომით.

ლეო შენგელაია საინტერესოდ მოუთხრობს მკითხველს ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ, შლის და აშინაარსებს მოვლენას. სტატიებში ბლომადაა მაგალითები წარსულიდან, ავტორიტეტების გამონათქვამები, რაც, საბოლოო ჯამში, საყოველთაო დადებით განწყობას ქმნის ავტორის ნააზრევის მიმართ. ავიღოთ, თუნდაც, გახმაურებული საქმე საქართველოში სიკვდილით დასჯის შესახებ.

როგორც ვიცით, საქართველოში სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის უმაღლესი ფორმა, ისტორიული წარსულიდან მოქმედებდა. დოკუმენტური მასალებიდან ცნობილია, რომ სიკვდილით დასჯა უმძიმესი ბოროტმოქმედებისათვის საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 5 ივლისს დააკანონა. ამ თემაზე ოთხივე წამყვანი პარტია პოზიციონირებდა.

პუბლიკაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გვაოცებს საკითხის ცოდნით, მისი ანალიზით, დასაბუთებითა და არგუმენტაციით. ლეო შენგელაია სიკვდილით დასჯას წარსულიდან გადმონაშთ ბოროტ ტრადიციად მიიჩნევდა. მაშინ, როდესაც დემოკრატიულმა წყობამ,

თავისუფალმა ნაბიჯებმა მოიტანა ლიბერალური სუნთქვა, ჰუმანური ღირებულებები, რატომ უნდა ყოფილიყო ევროპულ საქართველოში ჯალათის ინსტიტუტი? ძირითადად, ლეო შენგელაია, სოციალ-დემოკრატებს სწორედ აღნიშნული კანონის მიღებაში სდებდა ბრალს. უჩიოდა მთავრობის უნიათობას, ლამის მშიშრებსა და ლაჩრებს უწოდებდა სოც-დემოკრატებს და აღნიშნავდა, რომ მათ ისე ეშინოდათ ნებისმიერი დამნაშავისა, თითქოს იგი სახელმწიფოს დააქცევდა. ,,ჩვენ არ შეგვიძლია დავიცვათ ჩვენი სამშობლო მარტო დახვრეტით ან ჩამოხრჩობით. ის არგუმენტი, რომ უნდა დავხვრიტოთ იმის გამო, რომ სატუსაღოები არ გვაქვს, ცინიზმის უმაღლესი გამოხატულებაა“ (შენგელაია, 1918, გვ. 2).

ზოგადად, ლეო შენგელაია არასდროს საუბრობს არაარგუმენტირებულად. როგორც კვლევამ აჩვენა, მისი სიტყვა ყოველთვის დაფუძნებულია მყარ მასალაზე. ამ ეტაპზეც, ის არ ღაღადებს, როგორც ჰუმანისტი, სიბრალულისა და რელიგიური მიმტევებლობის პათოსით განმსჭვალული. სვამს პრობლემურ კითხვებს, რომლებიც მიემართება არამარტო მთავრობას, ოპოზიციურ პარტიებს, ხანდახან საზოგადოებასაც. გაამართლა თუ არა სიკვდილით დასჯის ინსტიტუტმა, შემცირდა თუ არა დანაშაულის რაოდენობა, ან სიმძიმე? მას მოჰყავს სტატისტიკური მონაცემები, მაგალითები სხვადასხვა ქვეყნის ისტორიული წარსულიდან. ადარებს, აჯამებს, აანალიზებს და ბოლოს, იძლევა რეკომენდაციებს. მწვავეა მისი გამოსვლები მმართველი ძალის წინააღმდეგ.

მნიშვნელოვანი პუბლიკაციები აქვს ლეო შენგელაიას სოციალიზმის დიფერენციაციისა და რელიგიური გენეზისის შესახებ. ჩვენ შევისწავლეთ მისი მსჯელობა სახელმწიფოებრივი ანარქიის გამომწვევ ფაქტორებსა და აჯანყებათა მიმდინარეობების გარშემო. ყველა სტატია პუბლიცისტიკის სწორუპოვარ ნიმუშს წარმოადგენს საკუთარი სტილით, სტრუქტურით, ენით, მსჯელობითა და არგუმენტაციით. პუბლიცისტი ერთნაირად კომპეტენტურია პოლიტიკურ სფეროში, აგრარულ საკითხსა და ეკონომიკის სივრცეში, ეხმიანება თავდაცვის თემას, დიდი განცდით წერს მუშათა კლასის

შესახებ, შესწავლილი აქვს ფინანსური პოლიტიკა და საყურადღებო რჩევებს აძლევს ხელისუფლებას.

ლეო შენგელაია საქართველოს იძულებით გასაბჭოების შემდგომ, ყველაზე საშიშ პერიოდშიც აგრძელებდა პუბლიცისტურ საქმიანობას და უშიშრად აკრიტიკებდა საბჭოთა რეჟიმის პოლიტიკურ კურსს. რასაკვირველია, მისი პატრიოტიზმი ვერაფრით დარჩებოდა უპატიებელი. 1937 წლის 22 ივლისს ის დააპატიმრეს, როგორც ანტისაბჭოური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ამავე წლის 2 ოქტომბერს სამხედრო სასამართლომ მას დახვრეტის განაჩენი გამოუტანა, რომელიც 3 ოქტომბერს, ღამით მოიყვანეს სისრულეში. ლეო შენგელაია დახვრიტეს, როგორც ეროვნული იდეოლოგიის დამცველი და საბჭოთა წყობის მტერი, კანონით, რომლის წინააღმდეგაც იგი მთელი თავისი ძალისხმევით იბრძოდა.

როგორც კვლევამ აჩვენა, პირველმა რესპუბლიკამ, მიუხედავად მისი ხანმოკლე არსებობისა, დემოკრატიული ორიენტაციის საკმაოდ მაღალი ინდექსი შექმნა. პრესის ფურცლებზე მწვავე დებატების, ოპონირებისა და კრიტიკის მიღმა ჩანს ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული ქართული ევროპეიზმის იდეა. იკვეთება უპრეცედენტო პლურალისტული გარემო და ქვეყნის კეთილდღეობისათვის გაერთიანებული სხვადასხვა პოზიციის ეროვნული ძალების სამაგალითო და მაღალღირებულებითი პოლიტიკური გემოვნება.

იმ პერიოდში მოღვაწე ქართველი საზოგადო მოღვაწეები, უკვე ცნობილი მწერლები და პუბლიცისტები, ბოლო ძალისხმევით იბრძოდნენ ქვეყნის წინაშე წარმოქმნილი სირთულეებისა და პრობლემების აღმოსაფხვრელად. მათმა კალამმა შექმნა დემოკრატიული და თავისუფალი პრესა.

1.3. ქართული პოლიტიკური მჭევრმეტყველება დამოუკიდებლობის სამწლიანი პერიოდის პარტიული გაზეთების მიხედვით (პუბლიცისტური დისკურსის მედიატექსტებში ასახვის თავისებურებანი)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის პოლიტიკური მჭევრმეტყველების თავისებურებების გამოვლენა აღნიშნული წლების სამთავრობო და პარტიულ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების საფუძველზე, ჩვენი ნაშრომის სიახლეა.

ჩვენ შევისწავლეთ 1918-21 წლების ქართველი პოლიტიკური ლიდერების სიტყვიერი სარბიელი. აღნიშნული პერიოდის პოლიტიკური მეტყველება განსხვავებული ტიპისაა, სხვა შინაარსის მატარებელია და, ამავდროულად, მოიცავს საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

კვლევის შედეგად, ჩამოვაყალიბეთ და გავაანალიზეთ 1918-21 წლების პოლიტიკური რიტორიკის ძირითადი მახასიათებლები. ასევე, განვსაზღვრეთ ტექსტების ენის ფუნქციათა რეალიზაციის თავისებურებანი და სტატიების ჟანრობრივი კლასიფიკაცია. სტატიების კვლევა განხორციელდა შემდეგი მონაცემების იდენტიფიკაციითა და დაჯგუფებებით:

სტრუქტურულად: ტექსტის აგება, ფორმატი და მოცულობა.

შინაარსობრივად: პოლიტიკური ენა, ლოგიკა, პრობლემის გაშლა, იდეა, საუბრის მეთოდები, დასკვნა და რეკომენდაციები.

ჟანრობრივად: მოხსენება, მიმოხილვა, საჯარო თქმა (სიტყვით გამოსვლა სხდომებზე).

ნათელია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პუბლიკაციებში მიმოხილვასა და სააგიტაციო სიტყვას. ორივე ჯდება შინაარსობრივ და ჟანრობრივ პარამეტრებში. **მიმოხილვა** წარმოადგენს საჯარო სიტყვას,

რომელშიც განხილულია ნებისმიერი აქტუალური მოვლენა, ხოლო **სააგიტაციო სიტყვა** მიზნად ისახავს, გააკეთოს მნიშვნელოვანი მოწოდება და გავლენა მოახდინოს აუდიტორიაზე. ,,პუბლიკაციების შესწავლისას იკვეთება პოლიტიკური დისკურსის ძირითადი მიმართულება - დაარწმუნოს აუდიტორია. პოლიტიკური ლიდერები საკუთარ სიტყვაში იყენებენ მიზანმიმართულ ენობრივ სტრატეგიებსა და ლოგიკას" (ბრეგაძე, 2023, გვ. 562).

,,პოლიტიკური მეტყველება, ხშირ შემთხვევაში, ენის საკითხებს ეჯახება. ეს საკითხები კი ვარირებს სიტყვის შერჩევიდან ენის არჩევამდე. გამოდის, რომ სიტყვით გამომსვლელი, ორატორი, იყენებს ენის თვისებას, ავითარებს პოლიტიკურ შეხედულებას და აწოდებს პუბლიკას ისე, როგორც თავად სურს" (Chilton, 2004, p. 14).

ახალშექმნილი რესპუბლიკის ხელისუფალთა წინაშე დგას ბეჭდური სიტყვის თავისუფლებისა და სამთავრობო პერიოდული გამოცემის შექმნის საკითხი. მალევე ჩნდება სახელისუფლებო ოფიციალური გაზეთი **,,საქართველოს რესპუბლიკა",** ქართველი საზოგადო მოღვაწის - პავლე საყვარელიძის რედაქტორობით.

ამ გაზეთის 1918-21 წლების თითქმის ყველა ნომრის შესწავლის შედეგად გამოვკვეთეთ თემატური და სტრუქტურული ჩარჩო, ტექსტების წყობით, აგებულებით, მიდგომებით, შინაარსითა და ჟანრით.

,,საქართველოს მოამბის" ფურცლებზე ვხვდებით მთავრობის სხდომათა დეტალურ ანგარიშებს. აქ სიტყვასიტყვით, დახვეწილი ენობრივი ფორმულირებითაა გადმოცემული სხდომათა მიმდინარეობა. აღწერილია კამათი, პოლემიკა, შეკითხვები, მომხსენებელთა სიტყვით გამოსვლები. ეს უკანასკნელი, რაკი საგაზეთო პუბლიკაციას წარმოადგენს, სწორედ მედიატექსტის სახეს იძენს.

ჩვენ შევძელით აღნიშნული მასალის (საგაზეთო ტექსტების) სისტემატიზება და კლასიფიკაცია შინაარსის მიხედვით. კვლევის შედეგად წარმოჩნდება პუბლიცისტური დისკურსის მედიატექსტებში ასახვის თავისებურებანი და ძირითადი ღირებულებითი ვექტორები. გამოცემების მედიაპლატფორმა პოლიტიკური შინაარსისაა. ეს საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ და პუბლიკაციები პოლიტიკური რიტორიკის ჭრილში განვიხილოთ.

დადგინდა, რომ ,,საქართველოს რესპუბლიკის“ არაოფიციალური განყოფილების ყველა სტატია საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესებს ეძღვნება. ამით ცხადი გახდა, რომ გაზეთში განხილული აქტუალური საკითხები დემოკრატიულ-პოლიტიკურ კონტექსტში უნდა ვიკვლიოთ.

,,საქართველოს რესპუბლიკის“ სტატიები, რომელთა შეფასება შეიძლება პოლიტიკური რიტორიკის პარამეტრებით, სარედაქციოა. მივიჩნევთ, რომ ძირითადი მეკალმე ასეთ შემთხვევაში რედაქტორი პავლე საყვარელიძეა. ,,საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობას შეუდგა. ეს იყო საქართველოს დემოკრატიის მტკიცე და გაფოლადებული გადაწყვეტილება, ნაკარნახევი რევოლუციის, სამშობლოს და თავისუფლების ინტერესებით“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1918, გვ. 2).

კონკრეტული დარგის, ჩვენს შემთხვევაში, პოლიტიკური რიტორიკის ნიმუშებს ბევრი აქვთ საერთო. მახასიათებლებზე დაკვირვებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ მედიატექსტებზე გავლენას ახდენს ის ეპოქა, რომელშიც იწერება ტექსტი.

ორატორული ხელოვნების კვლევა მოვარგეთ ჰაროლდ ლასუელის, უოლტერ ლიპმანისა და ჯონ დიუის თეორიებს. აქედან გამომდინარე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ტექსტები რიტორიკული ხასიათისაა და გამოირჩევა საკუთარი, მკვეთრად გამოხატული მიზანდასახულობით.

ამ დარგის თეორეტიკოსები, არისტოტელედან მოყოლებული, ოდითგანვე გამოყოფდნენ რიტორიკის ოთხ მიზანს: დარწმუნების, ინფორმირების, გამოხატვისა და გართობისას (to persuade, to inform, to express, to entertain). ჩვენ მიერ სისტემატიზებული მედიატექსტების არქიტექტონიკა პირველ სამ მიზანს აერთიანებს. დავამატებთ იმასაც, რომ პოლიტიკური მჭევრმეტყველება იყოფა შემდეგ ჟანრებად: სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო. სწორედ ამ თემებზეა აგებული გაზეთში გამოქვეყნებული ყველა **მოხსენება** და **მიმოხილვა,** ანუ საჯარო სიტყვა.

ერთ-ერთი თეორეტიკოსი, რომლის მეთოდითაც დემოკრატიული რესპუბლიკის ორატორთა სიტყვით გამოსვლები შეფასდა, არისტოტელეა. ბერძენი ფილოსოფოსის აზრით, არგუმენტაციის დეფინიციის განმსაზღვრელი ძირითადი კონცეფცია დარწმუნების ხელოვნებაა. ,,მჭევრმეტყველების ხელოვნების მეთოდი დარწმუნების მეთოდია, დარწმუნება კი დასაბუთებაა. ყველაზე მეტად გვწამს ის, რაც დასაბუთებულად მიგვაჩნია“ (არისტოტელე, 1981, გვ. 33). ქართველი პოლიტიკოსები აუდიტორიის დარწმუნების უზადო ხერხებს ფლობდნენ, რასაც ცხადყოფს პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მათი მოხსენებები და გამოსვლები.

,,საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი ტექსტები მიეკუთვნება პოლიტიკური მჭევრმეტყველების დარგს. მათ გააჩნიათ ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი პროგრამულობა და მიზანდასახულობა, კერძოდ, კონკრეტული სტატიების მიზანს წარმოადგენს ქართველი საზოგადოების ინფორმირება, მის მსოფლმხედველობაზე გავლენა, მისი აქტიურობის გამოწვევა და სოციალური პროცესების წახალისება (ბრეგაძე, 2023, გვ. 562).

მიუხედავად იმისა, რომ ,,საქართველოს რესპუბლიკა“ სამთავრობო ბეჭდური ორგანო იყო, გაზეთში გამოქვეყნებული პარლამენტისა და

დამფუძნებელი კრების სხდომების ანგარიშების მეშვეობით შესაძლებელი გახდა რიტორიკის ნიმუშების გამოყოფა და შეფასება.

უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა აღნიშნულ საკითხზე სოციალ-დემოკრატების პარტიული ორგანოს **„ერთობის“** პუბლიკაციების შესწავლა. ქვეყნის მმართველი ძალის ორატორები გაზეთის ფურცლებზე ჭეშმარიტ საკომუნიკაციო პროცესს ქმნიან. მონოლოგებში აღინიშნება მჭევრმეტყველების ლოგიკური ოპერაციები, ენობრივი და სტილისტური მიდგომები, რომლებიც მჭევრმეტყველების ხერხების გამოყენების მცდელობაა აუდიტორიის დასარწმუნებლად. ყოველივე ეს ქმნის ტექსტობრივ მიდგომას, რომლის მიხედვით, ტექსტი მიჩნეულია, როგორც გამონათქვამთა ერთობლიობა - ერთი მთლიანი ერთეული. მაგალითად მოვიყვანთ ირაკლი წერეთლის სიტყვით გამოსვლას ეროვნულ საბჭოში 1918 წლის 15 ივნისს. სოციალ-დემოკრატების ლიდერი აჟღერებს პარტიის პრინციპებს შემუშავებული დეკლარაციის მიმართ, დასაბუთებულად მიჰყავს მსჯელობა საკვანძო საკითხების გარშემო და პასუხობს გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს. გაზეთში ხაზგასმულია დამსწრეთა დადებითი განწყობა მონოლოგის დასრულების შემდგომ (ერთობა, 1918, გვ. 1).

ირაკლი წერეთლის გამოსვლები ეროვნული საბჭოს სხდომებზე ზოგჯერ მწვავე კრიტიკით სრულდება. სწორედ აქ ვხვდებით არისტოტელეს ეპიდიქტიკას - ოპონენტთა დისკრედიტაციასა და ბრალდებებს. წერეთლის სიტყვები სარკაზმის ელემენტებსაც შეიცავს. აი, როგორ ეხმიანება ის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას: ,,პარტია, რომელსაც ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში აქვს ფესვი მოკიდებული და არავითარი ღირებულება არ შეუქმნია, და რომელსაც პოლიტიკური ანბანიც არ აქვს შეგნებული“, სწორედ რომ არასასიამოვნო და არასწორი დამოკიდებულებაა ,,თერგდალეულთა მემკვიდრეებისადმი“ (წერეთელი, 1918, გვ. 1).

,,ერთობაში“ იბეჭდება პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას გამოსვლების ვრცელი ტექსტები, რომლებიც პოლიტიკური

დისკურსის კონსტრუირების შესანიშნავი მაგალითია. კვლევისას დადგინდა, რომ სოციალ-დემოკრატების ლიდერის მჭევრმეტყველება უმთავრესად საქართველოს წინაშე არსებული პრიორიტეტების არგუმენტებითაა წარმოდგენილი. აღნიშნულ პერიოდში საქართველოსათვის პრობლემურ და აუცილებლად გადასაწყვეტ საკითხად რჩებოდა ქართული ჯარის შექმნა. სწორედ ამაზე აკეთებს აქცენტს ქვეყნის მესაჭე და წითელი გვარდიის ღირსებებზე მიუთითებს: ,,თუ დღეს ჩვენ რევოლუციის მონაპოვარით ვსარგებლობთ და თავისუფლება შედარებით უზრუნველყოფილია, ეს სავსებით უნდა მიეწეროს წითელი გვარდიის მოქმედებას“ (ჟორდანია, 1918, გვ. 1). ნოე ჟორდანია წითელ გვარდიას ქვეყნის დემოკრატიის წინააღმდეგ ყველაზე საშიში მტრის, ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ შეიარაღებულ ძალად თვლის და ამ კანონპროექტის მიღების ინიციატორია.

სოციალ-დემოკრატების ღირსებების დემონსტრირებას ახდენს საკუთარ გამოსვლებში ლევან ნათაძე. ესეც საზოგადოების აზრზე ზეგავლენის მოხდენის ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდია. ლევან ნათაძის სიტყვით გამოსვლები შედარებით გაწონასწორებულია, დაფიქრებული და მომზადებული მსჯელობის სახე აქვს. ჩანს, რომ სიტყვის ავტორს ღმად აქვს შესწავლილი საკითხის მნიშვნელობა და ოპონენტებსაც მიზანშეწონილი პასუხებით ეხმიანება: ,,ფეოდალურ სტადიას უნდა მოჰყვეს ბურჟუაზიული, ურომლისოდაც ნაბიჯს ვერ გადავდგამთ სოციალიზმისაკენ“, - ასე აბათილებს ნათაძე ოპონენტთა რეპლიკებს თანაპარტიელების მიმართ (ნათაძე, 1918).

მემარჯვენე ოპოზიციური ძალის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთ **,,საქართველოში“** ცნობილი ქართველი პუბლიცისტების სტატიებია წარმოდგენილი. პოლიტიკური მეტყველების განსახილველად საკმარისია შევისწავლოთ ეროვნულ-დემოკრატების რამდენიმე ლიდერის სიტყვით გამოსვლა, რომლებიც სრულადაა დაბეჭდილი გაზეთ ,,საქართველოს“ ფურცლებზე.

,,საქართველოს“ პუბლიცისტი გიორგი გვაზავა დამფუძნებელ კრებაზე ხშირად გვევლინება ორატორად. მისი სიტყვა დემოკრატიული ღირებულებებისა და ერის თვითმყოფადობის ჭეშმარიტი გამოხატულებაა. ,,როგორც ბუნებაში არის ყველანაირი მოძრაობა და ის ემორჩილება ერთ დიად კანონს - მიწის მიზიდულობას, სწორედ ასევე თავისუფლება არის უმთავრესი ძალა, რომელიც ბოლოს და ბოლოს დაიმორჩილებს ყოველგვარ სოციალურ მოძრაობას“ (გვაზავა, 1918, გვ. 2).

გიორგი გვაზავას ყველა პუბლიკაცია მკაფიოდ განსაზღვრავს პრობლემას, სვამს კითხვებს, ეძებს პასუხებს, ასაბუთებს საკუთარი პარტიის მსოფლმხედველობას. გვაზავას მჭევრმეტყველება უმეტესწილად კრიტიკულია და არ ერიდება უმრავლესობისა და სხვა ოპოზიციური პარტიების მხილებას: ,,დიდი ხანია ჩვენ ავცდით რეალურ პოლიტიკას. ჩვენ ვივიწყებთ ჩვენს სასიცოცხლო ინტერესებს და ისიც ვერ მოგვიხმარია, რაც გვაქვს, ის უფლებანი, რაც 20 საუკუნის მანძილზე ხმლით და სისხლით გამოუგლეჯია ბედის ხელიდან ჩვენ წინაპრებს“ (გვაზავა, 1918, გვ. 3).

გაზეთ ,,საქართველოს“ ფურცლებზე ხშირად გვხვდება საზოგადო მოღვაწის, კრიტიკოსისა და პუბლიცისტის გერონტი ქიქოძის სტატიები. სიტყვები, რომლებსაც ის წარმოთქვამს დამფუძნებელი კრების სხდომებზე, პოლიტიკური მჭევრმეტყველების კლასიკური ნიმუშებია. მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მისი პუბლიკაციები ქართულ-გერმანული ურთიერთთანამშრომლობის შესახებ: ,,გერმანიას არანაირი ინტერესი არ აქვს, რომ ჩვენი ეროვნული განვითარება შეაფერხოს, ვინაიდან ის მისთვის არც ეკონომიკურად და არც პოლიტიკურად არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს“. ავტორი დაბეჯითებით საუბრობს ორმხრივ სარგებლიანობასა და ინტერესებზე. ლოგიკური ხერხებითა და არგუმენტირების ხელოვნებით გერონტი ქიქოძე, რასაკვირველია, ახერხებდა საზოგადოების დარწმუნებას (საქართველო, 1918, გვ. 1). ამავე თემატიკას ეძღვნება გაზეთის წინა ნომერში დაბეჭდილი ვრცელი პუბლიკაცია ,,რუსეთ-გერმანიის შერიგება და საქართველო“. გერონტი

ქიქოძის სიტყვით გამოსვლები და სტატიები ერთგვარი ისტორიული მიმოხილვაა. მაგალითები წარსულიდან და პარალელები იმ პერიოდის მოვლენებთან ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს. ასეთი ტიპისაა 14 თებერვლის 36-ე ნომერში გამოქვეყნებული სტატია ,,რევოლუცია და საქართველო".

ერთ-ერთი თვალსაჩინო ეროვნულ-დემოკრატი უკვე ხანდაზმული ნიკო ნიკოლაძეა. ეს გამორჩეული ქართველი მოღვაწე მაგალითს წარმოადგენდა არა მარტო თანაპარტიელებისთვის, არამედ მთელი პოლიტიკური საზოგადოებისათვისაც. რასაკვირველია, ჩვენ შევისწავლეთ ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური ნარკვევები. გაზეთი ,,საქართველო" ბეჭდავდა ნიკო ნიკოლაძის სტატიებს, აქვეყნებდა მის საჯარო გამოსვლებს. ნიკო ნიკოლაძეს საკუთარი ეროვნული პოზიცია ყველა მნიშვნელოვან საკითხსა და პრობლემაზე აქვს გამოხატული. მისი სიტყვა სავსეა ემოციით, სამსჯელო საკითხის სიღრმისეული ცოდნით.

ნიკო ნიკოლაძის პუბლიკაციები გასაგები ენითა და სიცხადით გამოირჩევა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მას ახასიათებს აზრისა და არგუმენტების საოცარი მოქნილობით გადმოცემა, რაც დარწმუნებული ვართ, იწვევდა აუდიტორიის კეთილგანწყობას. მის მჭევრმეტყველებას მსმენელი და მკითხველი საზოგადოების მობილიზება, წარმოთქმულზე კონცენტრირება და ნდობის მოპოვება შეეძლო.

პერიოდული გამოცემა **,,სახალხო საქმე"** სოციალ-ფედერალისტების პარტიული ორგანოა. პარტიის მესვეურებს მიაჩნდათ, რომ დამოუკიდებლობა რევოლუციური ძალების შეკავშირებით მიიღწეოდა. გაზეთი ეროვნული და პატრიოტული საკითხების ერთგვარ სინთეზია. არაერთ ნომერში ვხვდებით მთავრობის დადგენილებებს, დებულებებს, მნიშვნელოვან განცხადებებს, მოწოდებების შემცველ პუბლიკაციებს.

,,სახალხო საქმის" ფურცლებზე პოლიტიკური მჭევრმეტყველების ასპექტების განსაზღვრისათვის დავეყრდენით მისი რედაქტორის სამსონ

ფირცხალავას პუბლიკაციებს. ორატორული ოსტატობა, ძირითადად, გამოვლენილია დამფუძნებელი კრების სხდომებზე საჯაროდ წარმოთქმულ მოხსენებებში. სამსონ ფირცხალავას აზრით, ეროვნული თავისუფლება ისეთი ფენომენია, რომელიც მოითხოვს პოლიტიკურ თავისუფლებას შიგნით და ეროვნულ დამოუკიდებლობას გარეთ. მისი თითოეული ტექსტი რიტორიკის ყველა პარამეტრს აკმაყოფილებს. სიტყვა არის ლოგიკურად გამართული, საკუთარი არგუმენტებითა და ცნობილი მაგალითებით გამყარებული, ახასიათებს პროგრამულობა და მიზანდასახულობა. თითოეული პუბლიკაციის ბოლოს პასუხს სცემს პრობლემურ კითხვებს. მსგავსი კონსტრუირებული მონოლოგით სამსონ ფირცხალავას ნამდვილად არ გაუჭირდებოდა საზოგადოების უმეტესი ნაწილის მიმხრობა. თუმცა, მისი სიტყვა იმდენად მშვიდი, პოზიტიური და იმედიანია, რომ ზოგჯერ უტოპიურის შეგრძნებას ტოვებს.

ძირითადი აქცენტი სამსონ ფირცხალავას რიტორიკაში ეროვნულ თვითშეგნებასა და სახელმწიფოებრივ აზროვნებას უკავშირდება. ავტორი საუბრობს ქართველთა წარმომავლობაზე და ხაზგასმით მოუწოდებს მკითხველს, ყველა მოვალეობაზე წინ ერის თავისუფლება დააყენოს: ,,ეს ჩვენი მოვალეობაა გარდასულ თაობათ წინაშე“, და აქვე სვამს შეკითხვას: ,,ეს უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, გაბედულად და ამის შესახებ კამათი შეუძლია მხოლოდ მონობაში დაბადებულ ცოცხალ მკვდრებს, მაგრამ რა სახით უნდა განხორციელდეს და რა ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს ქართველი ერის თავისუფლება“ (ფირცხალავა, 1919, გვ. 3)?
250-ე ნომერში ქვეყნდება ამ შეკითხვაზე პასუხი. გზა სამნაირი არსებობს: სრული დამოუკიდებლობა, ავტონომია უნიტარული ან ფედერაციული რუსეთის სახელმწიფოში და ავტონომია დამოუკიდებელ ფედერაციულ ამიერკავკასიაში.

გაზეთ ,,სახალხო საქმის“ შინაარსობრივი სახე შესაძლებელია რაოდენობრივად ასე წარმოვადგინოთ: პირველ ადგილზეა მიწის საკითხი,

რაოდენობრივი მაჩვენებლით მას უტოლდება პუბლიკაციები განათლებასა და ქართულ-გერმანული ურთიერთობების შესახებ. დიდი ყურადღება ეთმობა სამხედრო და ეთნიკური უმცირესობის საკითხებს. 1918 წლის დეკემბერში ყოველდღიურად ქვეყნდება პუბლიკაციები ქართულ-სომხური კონფლიქტის თაობაზე.

ქვეყნის ოთხი ლიდერი პარტიის რიგებში მოხვედრა ნამდვილად არ იყო იოლი და ქართველი ესერების სახელით ცნობილმა სოციალ-რევოლუციურმა პარტიამ ეს მოახერხა. მათი პარტიული ბეჭდური ორგანო გაზეთი **„შრომა“** მრავალფეროვანია როგორც შინაარსობრივად, ასევე ჟანრობრივადაც. პარტიის იდეოლოგია ასახულია გაზეთის ფურცლებზე და სახელსაც ნამდვილად ამართლებს. სტატიების უმეტესობა რევოლუციური იდეალიზმის პროპაგანდით სუნთქავს.
გაზეთი ,,შრომა“ საინტერესოა საავტორო სტატიების მიხედვით და აქვე უნდა აღვნიშნოთ პარტიის ლიდერების სიტყვით გამოსვლების შესახებ. ერთიცა და მეორეც ჩვენ მიგვაჩნია პოლიტიკური მჭევრმეტყველების ხორცშესხმულ გამოხატულებად. პოლიტიკური რიტორიკით გამოირჩევა პარტიის ლიდერების ლეო შენგელაიასა და ივანე გობეჩიას გამოსვლები.

ლეო შენგელაიას სიტყვა სიკვდილით დასჯის გაუქმების თაობაზე სრულად აჩვენებს არგუმენტაციულ სტრატეგიებსა და მჭევრმეტყველების ტექნიკას, რომელიც ასე დამახასიათებელია პოლიტიკური მჭევრმეტყველებისთვის (შენგელაია, 1919, გვ. 2).

,,რუსეთის დროებითმა მთავრობამ გააუქმა ეს სამარცხვინო ინსტიტუცია და ეს იყო სიმბოლო რევულუციის მორალური ჯანმრთელობისა. ამით გამოიხატა გამარჯვება და სულიერი ძლიერება დემოკრატიზმის. ხოლო მთავრობა გამოცემული დეკრეტით არათუ გვეთანხმება, არამედ მოითხოვს ამ კანონის უფრო გაფართოებას“, - მსჯელობს შენგელაია და სვამს რიტორიკულ შეკითხვას: ,,რამდენად გაამართლა ამ ინსტიტუციამ? ქვეყნის მმართველმა სოციალ-დემოკრატიამ დაკარგა თავისი არამარტო სოციალური

და დემოკრატიული, არამედ კულტურული სახეც! სოციალური თვალსაზრისით სიკვდილით დასჯის გამართლება და დასაბუთება შეუძლებელია“ (შენგელაია, 1919, გვ. 3)! ლეო შენგელაიას პუბლიცისტური გამოსვლები სწორედ რომ დარწმუნების ხელოვნების კლასიკური ნიმუშია.

ჩვენ შევისწავლეთ პარტიის ლიდერის ივანე გობეჩიას დამფუძნებელ კრებაზე წარმოთქმული საჯარო სიტყვაც, რომელიც სრულადაა დაბეჭდილი გაზეთის სხვადასხვა ნომერში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი რიტორიკა, ბოლშევიზმსა და კონტრრევოლუციურ შენაერთებზე: ,,როგორია ჩვენი სამხედრო მდგომარეობა? არც სახალხო მილიცია, არც მუდმივი რეგულირებული ჯარი. ხალხისთვის იარაღის ხმარება მაინც გვესწავლებინა, ეს მეტ სარგებლობას მოგვიტანდა და ნაკლები ფულიც დაგვეხარჯებოდა. ირგვლივ მტრები და არცერთი მოკავშირე! - აი, ჩვენი ტრაგიკული მდგომარეობა“ (გობეჩია, 1919, გვ. 3). ივანე გობეჩია წუხს საქართველოს მდგომარეობაზე, გამოყოფს კონკრეტულ პრობლემას, ხაზგასმით აღნიშნავს სირთულეს და მსმენელსა თუ მკითხველს სთავაზობს საკითხის გადაჭრის გზებს.

გაზეთ ,,შრომის“ ტექსტები, როგორც საავტორო, ასევე სარედაქციო, სრულად ითვალისწინებს აუდიტორიას, მასთან არის საკომუნიკაციო პროცესში. სტატიები იწერება როგორც ავტორისეული ნააზრევით, ასევე გაჯერებულია მაგალითებითაც. ტექსტები ერგება ჰაროლდ ლასუელის თეორიულ მოდელს.

განსაკუთრებით კრიტიკისას ხშირია ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, მკვლევართა და პოლიტიკოსთა არგუმენტების ციტირება. მაგალითები ლოგიკურ ბმაშია ძირითად თემასთან და სრულად ამყარებს ავტორთა შეხედულებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

გაზეთ ,,შრომის“ პუბლიკაციები პარტიულ გაერთიანებებს, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის პოლიტიკური კომუნიკაციის თვალსაჩინო გამოვლინებაა. საგაზეთო ტექსტები, პრობლემაზე მორგებული

სათაურებით, წარმოადგენენ ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე კრიტიკული მსჯელობის ნიმუშს.

ესერების ბეჭდური ორგანო ერთიანი მიზნის მისაღწევად ნამდვილად იყენებდა პოლიტიკური მჭევრმეტყველების სხვადასხვა ასპექტს, როგორც ცალკეულ პუბლიკაციებში, ისე ლიდერთა გამოსვლებში. ,,შრომის" სტატიები თავისუფალი, პრობლემაზე ორიენტირებული, კრიტიკული ხასიათითა და იმედიანი პათოსით არის კონსტრუირებული, რაც სწორედ პოლიტიკური რიტორიკისთვის არის ნიშანდობლივი.

დასასრულ, უკვე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ გაზეთების: ,,საქართველოს რესპუბლიკის", ,,ერთობის", ,,სახალხო საქმის", ,,შრომისა" და ,,საქართველოს" **პრესის პროფილი**. აღსანიშნავია, რომ პუბლიკაციები არ არის ვიწროპარტიული, და არც რომელიმე კერძო სუბიექტისა თუ კლასის ინტერესის გამომხატველი: ტექსტები მიეკუთვნება **პოლიტიკური მჭევრმეტყველების ჟანრს,** პოლიტიკოსები საკუთარი დისკურსით ახერხებენ მომხრეების შენარჩუნებას, ოპონენტების დისკვალიფიკაციასა და საზოგადოების დარწმუნებას საკუთარი ნააზრევის ობიექტურობაში. რიტორიკა შინაარსობრივად **ლიბერალური, დემოკრატიული ფასეულობების პრეზენტაციაა.** ამიტომ, რელევანტურია დასკვნა, რომ 1918-21 წლების პრესა უხარვეზოდ ირგებს პოლიტიკური მჭევრმეტყველების ჩარჩოს, ახდენს კლასიკური ლიბერალური ღირებულებების გენერირებას და წარმოადგენს ჯანსაღი პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის მქადაგებელი ქართული ჟურნალისტიკის უპრეცედენტო მოდელს.

პოლიტიკოსთა რიტორიკის შესწავლილმა ნიმუშებმა ნათლად გამოავლინა დემოკრატიულ საქართველოში პოლიტიკური სიტუაციების თავისებურებები, პოლიტიკოსთა ურთიერთდამოკიდებულებები, მათი მეტად თუ ნაკლებად გამოხატული დემოკრატიული ქმედებები, ხოლო ერთმანეთისაგან განსხვავებულმა თეორიებისა და მიდგომების ანალიზმა აჩვენა, რომ პოლიტიკური რიტორიკა რთული და კომპლექსური

დისციპლინაა, რომლის პრაქტიკაში გამოყენება საკმაოდ ეფექტიანია და ხელშესახებ შედეგებს იძლევა.

თავი 2. ქართული ბეჭდური მედიის დემოკრატიული მოდელი 1918-1921 წლებში

2.1. პლურალისტური და პოლარიზებული პრესის ერთიანი პლატფორმა

პლურალიზმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში პოლიტიკურ მოსაზრებათა მრავალფეროვნებასა და მათ აღიარებას მოიაზრებს. თუ გადავხედავთ პარტიულ პრესას, დამოუკიდებლობის სამწლიან პერიოდში ნამდვილად იკვეთება პოლიტიკური სტაბილურობის (მიუხედავად ცხარე დებატებისა), ინდივიდუალური უფლებების დაცვის, პოლიტიკური გამჭვირვალობის, რელიგიური ტოლერანტობის, აზრთა სხვადასხვაობის მიმღებლობისა და სიტყვის თავისუფლების ელემენტები, რაც ნიშანდობლივია პლურალისტური საზოგადოებისათვის. აღნიშნულ დეფინიციას (მოსაზრებას) ასაბუთებს ჩვენ მიერ გამოკითხული ყველა მეცნიერ-მკვლევარი.

მიუხედავად ჟურნალისტური სიტყვის პირდაპირობისა და სრული თავისუფლებისა, პოლიტიკური ბეჭდური მედიის ფურცლებზე ხშირი იყო ცხარე კამათი, ბრალდებები, მხილება, და ზოგჯერ სუბიექტური აზრის ინტერპრეტირების ფაქტებიც. ფაქტობრივად, საინფორმაციო ომის მთავარ იარაღს პრესა წარმოადგენდა.

ჩვენ ვემხრობით მკვლევართა იმ უმრავლესობას, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა სოციალ-დემოკრატების მიერ არ იყო ბოლომდე გააზრებული, არამედ იგი წარმოადგენდა გაუბედავ გადაწყვეტილებას და არა წინასწარ დაგეგმილი იდეის განხორციელებას, რასაც ადასტურებს 1918 წლის 26 მაისს გაზეთ ,,ერთობაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაცია და მისი სათაური: ,,იძულებითი ნაბიჯი“. თუმცა, შეიძლება მათი მერყეობა სიფრთხილითა და წინდახედულებით გავამართლოთ, რომელიც საქართველოს იმდროინდელი საკმაოდ რთული პოლიტიკური გარემოებით იყო გამოწვეული. ,,ერთობის“ სხვა ნომრებში ისინი

უბრუნდებიან ამ დამოკიდებულებას და თავს იმართლებენ იმით, რომ ,,ჩვენ პატარა ერი ვართ და დამოუკიდებლად არსებობა არ შეგვიძლიაო“.

საპირისპირო ემოცია და სრული აღფრთოვანებაა ეროვნულ-დემოკრატების ,,საქართველოში“. გაზეთი მთელ ერს მოუწოდებს სახელმწიფო აღმშენებლობისაკენ. ,,დღეიდან საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება აღდგენილია. გაუმარჯოს საქართველოს“ (საქართველო, 1918, გვ. 1)!

ანალოგიურ ემოციას ვხვდებით სოციალ-ფედერალისტების გაზეთ ,,სახალხო საქმის“ ფურცლებზე.

ქართველი ესერების ბეჭდური გამოცემის პირველი ნომერი 1918 წლის 3 აგვისტოს დაიბეჭდა, ამიტომ ჩვენ ვერ შევადარებთ მას აღნიშნულ ოთხ გაზეთს, თუმცა, მალევე მის ფურცლებზეც გამოჩნდა ერის დამოუკიდებლობის მიმართ სოციალ-რევოლუციონერთა თვალთახედვა.

ფაქტია, რომ მოგვიანებით, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში ოთხივე პარტია საკუთარი წვლილით ამაყობს. თითოეული პოლიტიკური ძალა ცდილობს, დააკნინოს მოწინააღმდეგე და ბრალი დასდოს მას არაგულწრფელობასა და სიყალბეში.

საქართველოს დამოუკიდებლობა, აგრარული რეფორმა, ფინანსური პრობლემები, ჯარისა და თავდაცვის ორგანოების ფორმირება - ეს ის საკვანძო საკითხებია, რომელთა გარშემო პოლიტიკურ პარტიებს დიდი დაპირისპირება ჰქონდათ და არ ერიდებოდნენ მწვავე პოლემიკას. ფაქტობრივად, აზრთა სხვადასხვაობის ასეთმა გამოხატვამ გვაჩვენა, რომ საუკუნის წინათაც იყო პარტიების პოლარიზება, რასაც, ავტომატურად, თან ახლდა საზოგადოებრივი აზრის დიფერენცირებაც.

ეროვნულ-დემოკრატები ბევრ საკითხში უპირისპირდებოდნენ ქვეყნის მთავარ ძალას. პარტიები არ ერიდებოდნენ საკუთარი პოზიციის გაჟღერებას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების,

როგორც დემოკრატიული ფასეულობის არსებობას. თუმცა, აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება ორიოდე ფაქტს, როდესაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანებით, მცირე ხნით დაიხურა ეროვნულ-დემოკრატების ბეჭდური ორგანო ,,საქართველო". ერთ-ერთ მიზეზად სახელდება დიდი ბრიტანეთის მიმართ სერიოზული კრიტიკა (იმ პერიოდში დიდი ბრიტანეთის ჯარები საქართველოში შემოვიდნენ და ჩვენს ქვეყანას, გერმანიის მარცხით იმედგაცრუებულს, ინგლისის პროტექტორობის იმედი ჰქონდა).

სოციალ-ფედერალისტები მკვეთრი პოზიციით იგერიებდნენ კრიტიკულ თავდასხმებს. ,,სახალხო საქმის" ერთ პუბლიკაციაში ისინი ბრალს სდებენ ეროვნულ-დემოკრატებს პოლიტიკური სპექტრის გახელჩასა და პოლარიზებაში: ,,გაზეთ ,,საქართველოში" წერენ, რომ ქართული საზოგადოება იყოფა ორ უმთავრეს ბანაკად - სოციალისტურად და არასოციალისტურად. ,,ყველა შუათანა ჯგუფები ქრებიან და უნდა გაქრნენ. სოციალ-ფედერალისტები, როგორც შუათანა ჯგუფი მოისპობა და ბრძოლის ველზე დარჩება ორი ძალა: ნაციონალ-დემოკრატები და სოციალ-დემოკრატები" (სახალხო საქმე, 1919, გვ. 1). სწორედ ამ სტატიით ფედერალისტებმა ეროვნულ-დემოკრატები მთავრობასთან ჩუმ გარიგებაში დაადანაშაულეს.

ქართველი ესერები მხარს უბამენ ფედერალისტებს და მოვლენებს უფრო მეტი სარკაზმით აღწერენ: ,,ჩვენში არსებობს ორი ნაციონალურ-დემოკრატიული პარტია. მათ შორის განსხვავება ის არის, რომ ნაც-დემოკრატია №2 გამოდიოდა არჩევნებში №1-ით, ხოლო, ნაც-დემოკრატია №1 მე-2 ნომრით" (შრომა, 1919, გვ. 2). აქვეა განცხადება, რომ თბილისის საქალაქო არჩევნებში გაიმარჯვა ნაციონალ-დემოკრატიამ (ედპ) ნომერმა 2-მა, ანუ სოციალ-დემოკრატების პირველ ნომრად წოდებულმა ქალაქის ბურჟუაზიამ და მეშჩანობამ.

ესერებისა და ფედერალისტების ბრალდებების მიუხედავად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია შეუვალი იყო და მკვეთრად გამოხატავდა საკუთარ აზრს. ,,საქართველოს“ ტექსტები შეიძლება გამოვარჩიოთ კრიტიკისა და ოპონირების სერიოზულობით: ,,გაზეთ ,,ერთობას“ ერთი ცუდი ზნე სჭირს. მოწინააღმდეგის აზრს ბოლომდე არ წაიკითხავს, შუაზე გაწყვეტს, თავისებურ კუდს გამოაბამს და შემდეგ თავადვე მოჰყვება ,,მოთქმა-გოდებას“: დახეთ რა თქვეს, რა დაწერესო“ (საქართველო, 1918, გვ. 1) .

რაც უნდა ხაზი გავუსვათ სერიოზულ დაპირისპირებებს აგრარული რეფორმის, სიკვდილით დასჯის გაუქმების, გერმანია-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობისა და ბოლშევიკებისადმი საერთო აგრესიული განწყობის შესახებ, უდავოა, რომ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას პარტიები უსმენდნენ ერთმანეთს, ეკითხებოდნენ, ითხოვდნენ პასუხებს, არგუმენტებს, დასაბუთებას და, საბოლოოდ, სწორედ აღნიშნული თემების გამო, პოლარიზებული პრესა მაინც ქმნიდა პლურალისტური ხასიათის ერთიან პალტფორმას. ამის ნათელი დადასტურებაა გერონტი ქიქოძის, სამსონ ფირცხალავას, ნიკო ნიკოლაძის დამაჯერებელი სიტყვით გამოსვლები და სტატიები. ,,თქვენ უნდა შეიგნოთ, რომ სახელმწიფოს აშენების დროს საჭიროა ყველა სახელმწიფოებრივი ელემენტის გამოყენება, პარტიული რწმენის დამოუკიდებლად, საჭიროა შეთანხმებული პლატფორმის შედგენა“ (საქართველო, 1918, გვ. 2) .

პარტიებს შორის კონსენსუსის ერთ-ერთი ასეთი მაგალითია საქართველო-გერმანიის საკითხი, რომელიც ადასტურებს ჩვენს პოზიციას ერთიანი პლატფორმის შესახებ. ევროპული ორიენტაცია, პირველი რესპუბლიკის უცილობელ არჩევანს წარმოადგენდა, თუმცა, სხვადასხვა პარტიული ძალა მეტ-ნაკლები სკეპტიციზმით უყურებდა იმავე გერმანიის პროტექტორობის საკითხსაც. აღნიშნულთან დაკავშრიებით ვლინდება ოპონირების ჯანსაღი ლოგიკა და არა საწინააღმდეგო აზრით გამოხატული უაზრო

დაპირისპირებები. დავამატებთ, რომ სოციალ-დემოკრატების ოპტიმისტური შემართებისაგან განსხვავებით, სოციალ-ფედერალისტების შეხედულებები ამ მხრივ გაცილებით მოკრძალებულია. შესაძლოა, ეს აიხსნას სიფრთხილით, ან სოციალ-ფედერალისტების თავიდანვე სკეპტიკური დამოკიდებულებით პროტექტორი სახელმწიფოსადმი. ფაქტია, რომ ხელისუფლების დიდი ენთუზიაზმი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ გაუზიარებია.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამ უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე. კერძოდ, მეზობელმა სახელმწიფოებმა (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი) გერმანიის კაპიტულაცია საქართველოს დამარცხებასთან გააიგივეს და გადაწყვიტეს, ესარგებლათ ამ მდგომარეობით. მათი მიზანი ზოგიერთი ტერიტორიის მითვისება იყო. შედეგად, რუსეთის მხარე იერიშზეც გადმოვიდა.

სწორედ აქ გამოჩნდა ქართველი პოლიტიკოსების უდიდესი პატრიოტიზმი და უზადო დიპლომატიური გამოცდილება. ასევე, დავინახეთ პოზიციისა და ოპოზიციური მხარის ერთსულოვნების სამაგალითო ნიმუში. ერთბაშად, ყველა პარტიულ გაზეთში ქვეყნდება საყოველთაო მობილიზაცია მოწოდებებით. სამთავრობო აპარატი საჯარო განცხადებას აკეთებს და მიმართავს ევროპულ სახელმწიფოებს, რომ აღნიშნული თავდასხმა რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების შედეგია, რაც მცირე ერების დამონებასა და დემოკრატიის დათრგუნვას ემსახურება.

თვალში გვეცემა დღევანდელი სიტუაციის ანალოგი: ხელისუფლება ევროპულ სახელმწიფოებს მიმართავს და ,,იმედს გამოთქვამს, რომ ისინი ხმას აღიმაღლებენ ჩვენი ერისა და დემოკრატიის დასაცავად“ (ბენდიანიშვილი, 1999, გვ. 282).

სამწუხაროდ, წინა საუკუნისაგან განსხვავებით, პლურალიზმისა და ეროვნული ღირებულებებით გაერთიანებულ პლატფორმას, რომელსაც

მეტწილად მნიშვნელოვანი საკითხებისადმი კონსენსუსი ქმნიდა, დღეს ვერსად ვხვდებით.

2.2. ბოლშევიზმის კრიტიკა წამყვანი პარტიების გაზეთების პრიზმაში

ახალი იდეოლოგია, ბოლშევიზმის სახით, წლებთან ერთად სულ უფრო ძლიერდებოდა და 1917 წლის ორი რევოლუციის შემდეგ საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. გრძნობდნენ თუ არა რუსეთიდან მომდინარე რეალურ საფრთხეს ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოში და რამდენად აისახა ეს პარტიული პრესის ფურცლებზე გამოტანილ სტატიებში?

საგაზეთო ტექსტები მოწმობს, რომ ქართველი პოლიტიკოსები სისტემატურად აქვეყნებდნენ პასუხს რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ აგრესიულ ქმედებებზე. თავდაპირველად, როდესაც ახლადწარმოქმნილი დამოუკიდებელი საქართველო პირველ ნაბიჯებს დგამდა, რუსეთის ბოლშევიკური ძალების მხრიდან ბევრი მაპროვოცირებელი ფაქტი დაფიქსირდა. რეპუტაციის შემლახველი მესიჯების სამიზნე არაერთხელ გამხდარა საქართველო.

ბოლშევიზმის საკითხზე შესწავლილი პუბლიკაციები ადასტურებს, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრი საკმაოდ ფხიზლად ადევნებდა თვალს მეზობელ ქვეყანაში მიმდინარე ტოტალური რეჟიმის დამყარების პროცესებს და არ აყოვნებდა რეაგირებას. ფაქტია, რომ ოკუპანტი მხარის ყველა ნაბიჯი რეალურად აღქმული და გაშიფრული იყო.

როდესაც ჩვენ განსხვავებული იდეოლოგიის პარტიების საერთო პლატფორმაზე ვსაუბრობდით, ბოლშევიზმისადმი დამოკიდებულებასაც ვგულისხმობდით. ოპოზიციური თუ სახელისუფლებო ბეჭდური

გამოცემები ერთიანი იდეოლოგიით გამოდიან რუსეთის ხელისუფლებაში ძალადობრივი გზით მოსული ბოლშევიკების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, პარტიების აღნიშნული საკითხის მიმართ დამოკიდებულებაში მცირე სხვაობები მაინც შეინიშნება. მსგავს მყარ პოზიციაზე დგანან ქართველი სოციალ-დემოკრატები და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ხოლო სოციალ-ფედერალისტები და ესერები ხანდახან გარკვეულ ლოიალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ ბოლშევიზმის შეფასებებისას.

ქართველი ინტელიგენცია ერთიანად იზიარებს რევოლუციურ სულისკვეთებას და, ასევე, ერთიანად გმობს ბოლშევიზმს ყველა მისი თანამგრძნობი გაერთიანების ჩათვლით. საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად ბოლშევიკები მართლაც არ ერიდებოდნენ არანაირ უმსგავსობას და ყველა საშუალებას იყენებდნენ პოზიციების განსამტკიცებლად. ,,ბოლშევიზმი მბრძანებლობს, არღვევს, სდევნის ქვეყნის წარმომადგენლობას, დამფუძნებელ კრებას, არა იმიტომ რომ ხალხის უმეტესობა მათ მხარეზეა, არამედ მათ მხარეზე აღმოჩნდა მატერიალურად შეიარაღებული ძალა, ხიშტი“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1918, გვ. 2). რა თქმა უნდა, რუსეთის ბოლშევიკურ პრესაში ასეთმა შეფასებამ გამოიწვია დიდი აგრესია, რასაც თან მოჰყვა რუსული პრესის ფურცლებზე საკმაოდ პროვოკაციული პუბლიკაციები, ცილისმწამებლური განაცხადები და დეზინფორმაციები. ყოველ ასეთ მაკომპრომეტირებელ ქმედებაზე საქართველოს ადეკვატური და ღირსეული პასუხი ჰქონდა. ქართული პრესის ფურცლებზე დეტალურად განიხილებოდა რუსული ინსინუაციები და პროპაგანდა, რაც უარყოფილი იყო ქართული მხარის მიერ: ,,ფანატიკური იდეებით გატაცებულმა ბოლშევიკებმა გააქრეს დემოკრატიული დაწესებულებანი და ეს გახდა ანარქიის გამომწვევი“ (საქართველო, 1918, გვ. 4). ასე რომ, ქართველი მოსახლეობა სრულად იყო ინფორმირებული რუსეთში განვითარებული პროცესების შესახებ.

სოციალ-ფედერალისტების პარტიული ბეჭდური ორგანოს - ,,სახალხო საქმის“ რამდენიმე პუბლიკაციაში შედარებით ნაკლებად მკაცრ შეფასებებს

ვხვდებით ბოლშევიზმის შესახებ. სოც-ფედერალისტები ეთანხმებიან ქვეყნის მმართველ ძალას და ასევე გმობენ ბოლშევიკების ქმედებას, თუმცა ბოლშევიზმს, როგორც რევოლუციურ მოძრაობას და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის ტაქტიკას, გაზეთის ზოგიერთი ავტორი ლოიალურად უდგება, მაგალითად, შემდგომში საქართველოს კომპარტიის წევრი, თედო ღლონტი. იგი წერდა: ,,ბოლშევიზმს ქართველი ხალხი იცნობს, როგორც ველურობას. ბოლშევიკურ მოძრაობაში დავინახეთ მრავალი ბარბაროსობა, როგორც თვით ჩვენივე ხელებით წარმოებულ ომებში, თუმცა ბოლშევიზმს, როგორც პოლიტიკურ სისტემას, ჩვენ ბარბაროსობად არ ვთვლით“ (ღლონტი, 1919, გვ. 2).

დაბეჭდილი ტექსტების მიხედვით, ფედერალისტები ,,ბოლშევიზმს“ სერიოზულ ძალად აღიქვამდნენ და, სავარაუდოდ, მას ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ მიმდინარეობად მოიაზრებდნენ: ,,მოკავშირეებმა სხვადასხვა ფრონტები შექმნეს ბოლშევიკების წინააღმდეგ. ისინი იარაღით და ფულით ეხმარებოდნენ დენიკინს, მაგრამ მოკავშირეები მალე დარწმუნდნენ, რომ ბოლშევიკები სერიოზულ ძალას წარმოადგენენ“ (სახალხო საქმე, 1919, გვ. 2).

მაშინ, როცა თავად ბოლშევიკებს ,,სახალხო საქმის“ ფურცლებზე არაერთი მწვავე კრიტიკული პუბლიკაცია ეძღვნება, რამ გამოიწვია ,,ბოლშევიზმისადმი“ ფრთხილი და ლოიალური დამოკიდებულება? ვფიქრობთ, სოციალ-ფედერალისტები სოციალ-დემოკრატების პოზიციას ეჭვის თვალით უყურებდნენ და ფორსირებულად მიიჩნევდნენ, ყურადღებითა და დაკვირვებით ადევნებდნენ თვალს ცვლილებებით მიმდინარე პროცესებს და საკუთარ ლოგიკურ დასკვნებს შემდგომ აკეთებდნენ. ამის დასტურია 1919 წლის 9 თებერვლის ნომერში სოციალ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერისა და აგიტატორის, თედო ღლონტის მიერ გამოქვეყნებული ვრცელი სტატია, რომელშიც ის აღწერს რუსეთში განვითარებულ მოვლენებს და სოციალ-დემოკრატების შეფასებებს ამ კუთხით გაზვიადებულად მიიჩნევს: ,,ბოლშევიზმის

წინააღმდეგ სოც-დემოკრატებმა იბრძოლეს, მაგრამ მათი შეხედულებები მოძველდა“ (ღლონტი, 1919, გვ. 2).

გაზეთ ,,შრომაში“ გამოქვეყნებული სტატიები ესერების პოზიციას გამოხატავს რუსული ბოლშევიზმის მიმართ და თანხვედრილია სოციალ-ფედერალისტებთან, გმობს რა მათ ველურ და სასტიკ ხასიათს. რამდენიმე პუბლიკაციაში აქაც ჩანს ბოლშევიკებისადმი თანაგრძნობის ელემენტები. ეს მიდგომა ავხსენით იმით, რომ ესერებისა და ფედერალისტებისათვის დენიკინისა და მასთან ერთად ბურჟუაზიული წყობის დამამარცხებელ ერთადერთ სერიოზულ ძალას ბოლშევიკები წარმოადგენდნენ. დენიკინს ეს ორი პარტია რევოლუციის სასტიკ მტრად მიიჩნევდა და ვფიქრობთ, ამით უნდა აიხსნებოდეს მათი ზოგიერთი მოსაზრება. ჩვენს ვარაუდს ამყარებს ივანე გობეჩიას ნააზრევი: ,,ჩვენ დიდი ხანია გათვალისწინებული გვაქვს დენიკინის ჯარის ბნელი ზრახვები და მიზნები. მას უნდა მოსპოს და გაანიავოს ყოველი მონაპოვარი რუსეთის რევოლუციისა“ (გობეჩია, 1919, გვ. 2). უდავოა, რომ რევოლუციისადმი მხარდაჭერაა გამომწვევი მიზეზი ბოლშევიკების მიმართ ესერების ასეთი განწყობისა. სტატიებში გვხვდება ციტატები, რომ ისინი არასოდეს ყოფილან ბოლშევიკების განადგურების მომხრე, რადგანაც მათში ჩანდა დიდი რევოლუციური ენერგია. მეტიც, ქართველ სოციალ-რევოლუციონერებს სურდათ, ბოლშევიკური მოძრაობა სრულად გარდაქმნილიყო რევოლუციურ მოძრაობად. ისინი წერდნენ, რომ აშკარა იყო ბოლშევიზმის გაძლიერების ნიშნები და რომ რეაქციულმა მოძრაობამ ბოლშევიკების მარცხის ნაცვლად მისი მომძლავრება და გამყარება გამოიწვია. ესერების მოწოდებით, ყველა გულწრფელ რევოლუციონერს ბოლშევიკებთან ერთად უნდა ებრძოლა რეაქციის დასამარცხებლად. თუმცა, ესერები არ ამართლებდნენ ბოლშევიკების ბრძოლის ტაქტიკას, საშულებებსა და მეთოდებს: ,,აუცილებლად საჭიროა რევოლუციის დასაგვირგვინებლად, ბოლშევიკურმა მოძრაობამ დაკარგოს თავისი სპეციფიკური ბოლშევიკური ხასიათი და მიიღოს რევოლუციონური მეთოდური მსვლელობა“ (დილიანი, 1919, გვ. 2). ამასთან დაკავშირებით,

საჭიროდ მივიჩნიეთ, მაგალითად მოგვეყვანა ლეო შენგელაიას ერთ-ერთი სტატია, რომელიც ძირითადად საორგანიზაციო საკითხებს ეხებოდა, მაგრამ მასში გაჟღერებულმა ერთმა წინადადებამ დაადასტურა ჩვენი მოსაზრება: ,,ისინი მაინც ლაპარაკობენ როგორც ერთი კაცი და თუ ბოლშევიზმი დღემდე უმკლავდება თავის აუარება მტერს, ამის ერთი უმთავრესი მიზეზი არის სწორედ მისი რკინის დისციპლინა“ (შენგელაია, 1919, გვ. 3).

სოციალ-დემოკრატების იდეოლოგიას, რომ ბოლშევიზმი ,,კომუნისტური ჭირია,“ სრულად და უპირობოდ იზიარებს საქართველოში სიძლიერით მეორე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. მეტიც, ბოლშევიზმის ყოველ მიმდევარს დემოკრატები ფსევდოსოციალისტისა და დემოკრატიის მოღალატის იარლიყს აკერებენ. მათი თვალთახედვით, ბოლშევიკები არიან ყოველგვარი თავისუფლების, ლიბერალიზმის, დემოკრატიზმისა და თანასწორობის მოწინააღმდეგენი. თუკი რამ ძალმომრეობა, ადამიანის უფლებების დარღვევა, განსხვავებული აზრის შეუწყნარებლობა და პრესის ცენზურაა, ბოლშევიკების მოგონილია. ამ პათოსითაა აღბეჭდილი გაზეთ ,,საქართველოს“ სტატიები, რომლებიც ბოლშევიზმის თემასა და მის მიმდევრებს ეხება: ,,ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ყველაზე დაუნდობელი მტრები არიან რუსი ბოლშევიკები, რომლებმაც ამიერკავკასია გაყიდეს“ (ინგილო, 1918, გვ. 2). მეტიც, ისინი არათუ ეთანხმებიან სოციალ-დემოკრატებს, ბრალსაც სდებენ ინდიფერენტულ დამოკიდებულებაში ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბოლშევიკებს ქურდებისა და მაწანწალების ბრბოდ ნათლავს ერთ-ერთი სტატიის ავტორი: ,,რა სნეულებაა იგი და როგორი სიადვილით ედება სუსტ პროვინციებს, ეს ვიცით, არ ვიცით მხოლოდ ის, თუ რა შემუშავებული სისტემით ებრძვის ჩვენი მთავრობა ამ გადამდებ სნეულებას“ (ქართლელი, 1918, გვ. 1).

მსგავსი შინაარსის პუბლიკაციები გაზეთ ,,საქართველოში“ აღწერს ბოლშევიკების ქმედებას რუსეთის დამფუძნებელ კრებაში და აფრთხილებს ქართველ მოსახლეობას მათი ვანდალიზმის შესახებ. ,,რუსეთის

დამფუძნებელი კრების გახსნამდე ბოლშევიკები საშინელ ძალმომრეობას იჩენდნენ. ხალხი მეტად შეავიწროვეს და მსხვერპლიც შეიწირეს. ირაკლი წერეთელი ძლივს გადარჩა სიკვდილს, ხოლო იმავე საღამოს დაჭრეს მაქსიმ გორკი“ (საქართველო, 1918, გვ. 2).

ხუთივე გაზეთი განსაცვიფრებელი ოპერატიულობით აწვდის ქართველ საზოგადოებას რუსეთსა თუ მსოფლიოში, ასევე საქართველოსა და კავკასიაში განვითარებულ მოვლენებს. ინფორმაციულის გარდა, იბეჭდება თეორიულ-პუბლიცისტური სტატიები, რომლებიც, საერთო ჯამში, პუბლიცისტურ-დოკუმენტურ ნარატივს ქმნიან ეპოქისა და ეპოქალური მოვლენების, პოლიტიკური კატაკლიზმების შესახებ.

დასასრულ, თუკი შევაჯამებთ ჩვენ მიერ შესწავლილ მასალებს, აღმოჩნდება, რომ: **,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,ერთობა“** და **,,საქართველო“** ბოლო ამოსუნთქვამდე იცავდნენ ხელისუფლების პოზიციას და არ ყრიდნენ ფარ-ხმალს. ცდილობდნენ, საზოგადოებისათვის სრული ობიექტურობით დაენახვებინათ ბოლშევიკური რუსეთის ნამდვილი სახე, გონს მოეყვანათ საშუალო ფენა და არავითარ შემთხვევაში არ დაეთმოთ მოპოვებული თავისუფლება. **,,სახალხო საქმე“** და **,,შრომა“** აკრიტიკებდნენ ბოლშევიკების ქმედებებს, გმობდნენ მათი ბრძოლის მეთოდებს, მოუწოდებდნენ, შეეცვალათ ბრძოლის ხასიათი და რევოლუციურ გაერთიანებად გარდაქმნილიყვნენ. ისინი მზად იყვნენ, ბოლშევიკებისთვის დაეჭირათ მხარი, ოღონდ რუსეთის რევოლუციური იდეები არ დასამარებულიყო. აქვე აღვნიშნავთ, რომ ისინი განასხვავებდნენ ერთმანეთისაგან რევოლუციასა და ბოლშევიზმს. რევოლუცია მათ მიაჩნდათ პროგრესულად, ხოლო ბოლშევიზმი - დიქტატურად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ბოლშევიკური პრესის შეზღუდვის საფუძველი არ გახდა ამგვარი კრიტიკული მიდგომა. სწორედ ესაა დემოკრატიული გარემო და ევროპული ლიბერალური ღირებულებების დამცველი სახელმწიფო. მაგრამ არსებობს ერთი დიდი ,,მაგრამ“ და თუკი

პირველი რესპუბლიკის მკვლევრების მარი წერეთლისა და მანანა შამილიშვილის აზრსაც მოვიშველიებთ, სწორედ ამგვარმა დემოკრატიულმა გარემომ და დასავლური დემოკრატიისთვის დამახასიათებელმა პლურალიზმმა გამოიწვია ახალგაზრდა რესპუბლიკის დაღუპვა (Shamilishvili & Tsereteli, 2016, p. 349).

2.3. პროპაგანდა და პოლიტიკური დებატები საქართველოს 1919 წლის დამფუძნებელი კრების წინასაარჩევნო პერიოდში

1918-21 წლების პერიოდული გამოცემების კვლევამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ ზოგიერთი მიმართულებით საქართველო ტოლს არ უდებდა ევროპის სახელმწიფოებს. ამის ნათელი დადასტურებაა 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელიც გამოირჩევა ორგანიზების მაღალი ხარისხით, პოლიტიკურ პარტიათა საქმიანი, მრავალფეროვანი პროგრამების დეკლარირებით, დებატების წარმართვის კულტურითა და ჯანსაღი ოპონირებით. საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ყოველდღიურად გამოდიოდა პარტიების ბეჭდური გამოცემები, რომლებიც სერიოზულ აგიტაცია-პროპგანდას ეწეოდნენ.

შესწავლილი პუბლიკაციების კლასიფიცირების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი კითხვები:

1. რა ქმნიდა წინასაარჩევნო პერიოდის დებატების საფუძველს პირველი რესპუბლიკის ლიდერ პარტიათა შორის?
2. როგორ მიმდინარეობდა თითოეული პარტიის პროპაგანდა ბეჭდური მედიის საშუალებით?

დამფუძნებელი კრების მოწვევა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციით იყო განსაზღვრული. ეროვნული საბჭოსა და დროებითი

პარლამენტის წინაშე მას ის პრიორიტეტი ენიჭებოდა, რომ საყოველთაო და თანასწორი არჩევნების გზით უნდა ჩამოყალიბებულიყო.

მთელი იმ ხნის განმავლობაში პარტიებს შორის დაპირისპირებები და სიტყვიერი კამათი არ შემწყდარა. თითოეული პოლიტიკური ძალა ცდილობდა საკუთარი იდეოლოგიის პოპულარიზაციას, საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებას და ამას არა მარტო საკუთარი პროგრამისა და დაპირებების გავრცელების, არამედ კონკურენტი პარტიების დისკრედიტაციის გზით ახერხებდა.

1919 წლის ნოემბერში რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ, როგორც იქნა, პარლამენტის მიერ დამტკიცდა ,,დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“, რომელშიც დეტალურად, მუხლობრივად იყო ჩამოყალიბებული არჩევნების მარეგულირებელი ყველა საკითხი. დებულების სრული ტექსტი დაიბეჭდა სახელისუფლებო გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკაში“, რომელშიც ასევე დაწვრილებით ქვეყნდებოდა სრული განმარტებები საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით. თითოეულ გაზეთს ჰყავდა ერთი ან ორი პუბლიცისტი, რომლებიც ძირითად აგიტატორებად მიიჩნეოდნენ.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, საბოლოოდ, 15 პოლიტიკური სუბიექტის საკანდიდატო სია დაამტკიცა: №1 - წამყვან პარტიას, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მიენიჭა, №2 - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაა, №3 - საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტია, №5 - საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია (დასახელებულია საკვლევი პოლიტიკური პარტიები).

ქართველი სოციალ-დემოკრატები დროებით პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენდნენ და არც დამფუძნებელ კრებაში აპირებდნენ პოზიციების დათმობას, მით უმეტეს, რომ პარტიის იდეოლოგები იყვნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები. მათ 130 კანდიდატი ჰყავდათ წარდგენილი.

სოციალ-დემოკრატების გაზეთ ,,ერთობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სამოქმედო პროგრამით ირკვევა, რომ ისინი უპირველეს ამოცანად ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას ისახავდნენ. აპირებდნენ, მოესპოთ სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობანი კლასებს შორის და ამას დემოკრატიული პრინციპების დაცვით გეგმავდნენ. ისინი საზოგადოებას ჰპირდებოდნენ მშრომელი მასების ინტერესთა დაცვას.

სიით მეორე ნომრად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დარეგისტრირდა. ეროვნულ-დემოკრატების პროგრამა, რომელიც გაზეთმა ,,საქართველომ“ გამოაქვეყნა, გამოირჩეოდა მრავალფეროვნებითა და იურიდიულად გამართული საკითხებით. კვლევისას გამოიკვეთა პარტიის მიერ სწორად დასმული აქცენტები: მოქალაქეთა უფლებები, განათლების საკითხი, ეკონომიკის აღმასვლა მიწის რეფორმის რეგულაციის ფონზე. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაპირებებში დიდი ყურადღება ექცეოდა მეწარმეობისა და ვაჭრობის განვითარების გეგმას. მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხად აღიქმებოდა მშრომელი ხალხის ინტერესები და მიწის საკითხი.

მესამე ნომერი მინიჭებული ჰქონდა სოციალ-რევოლუციონერთა, ესერთა პარტიას. ქართველი ესერების პროგრამაში საკვანძო საკითხს მიწის სოციალიზაცია წარმოადგენდა.

არჩევნებში ხუთ ნომრად საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ მიიღო მონაწილეობა. ფედერალისტების უპირველესი ამოცანა მშრომელი ხალხის გათავისუფლება და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა იყო. პარტია თავიდანვე ილაშქრებდა ყოველგვარი ბურჟუაზიული საწყისის წინააღმდეგ და ქვეყნის სწორ პოლიტიკურ ფორმად სოციალიზმს მიიჩნევდა. იგი იბრძოდა სოციალ-დემოკრატების მიერ შემუშავებული აგრარული კანონპროექტის წინააღმდეგ, რაც აისახა კიდეც მის პროგრამაში.

პოლიტიკურმა პარტიებმა წინასაარჩევნო კამპანია იანვრიდან დაიწყეს. სამთავრობო გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“ დიდი და

ტრაფარეტული ლოზუნგების აფიშირებით შემოიფარგლებოდა, ხოლო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო პოლიტიკური პოზიციები გამოხატული იყო გაზეთ ,,ერთობის“ წინასაარჩევნო პროპაგანდისტული სტატიებით.

1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნების მნიშვნელობას ზუსტად აფასებდა მმართველი პარტია, ამიტომ მას ძალა არ დაუშურებია, პრესის მეშვეობით საკმაოდ ძლიერად წარემართა წინასაარჩევნო კამპანია. ,,საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე ლოზუნგები 11 იანვრიდან ჩნდება: ,,მოქალაქენო, 14,15 და 16 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებია. ემზადეთ არჩევნებისთვის“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1919, გვ. 1)! ლოზუნგები საკმაოდ დიდი შრიფტით თვალშისაცემ ადგილასაა განთავსებული. ძირითადად გაზეთის სახელწოდების ქვემოთ, ყოველი გვერდის დასაწყისში, ან გვერდის შუაში, სპეციალურ ჩარჩოში.

სოციალ-დემოკრატები პუბლიკაციების მეშვეობით ცდილობდნენ საზოგადოების ყურადღების კონცენტრირებას დამფუძნებელი კრების არჩევნების მნიშვნელობაზე. წყაროების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სახალხო არჩევნების დემოკრატიულ პირობებში გამართვას მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი ცდილობდნენ, ეს განემარტათ თითოეული მოქალაქისათვის სწორედ სტატიებითა და პროპაგანდისტული ლოზუნგებით. ამის მანიშნებელია იმავე წლის 34-ე და შემდგომ ნომრებში განთავსებული ლოზუნგი: ,,14, 15 და 16 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებია! მოქალაქენო! ამ დღეს უნდა გადაწყდეს საქართველოს ბედი! თქვენ თვითონ უნდა გამოსჭედოთ იგი! საქართველოს ერთი დიდი მტერთაგანი იქნება არჩევნებისადმი გულცივობა“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1919, გვ. 2)!

თითქმის ყოველ ნომერში გვხვდება პუბლიკაციები არჩევნების ადმინისტრირების შესახებ, რომლებშიც დეტალურად არის ახსნილი მოქალაქეთა და ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობანი. ასევე, ვრცელი

განმარტებებია დაბეჭდილი არჩევნებში მონაწილეობის წესების შესახებ. ,,საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის და დემოკრატიული წესწყობილების დასაცავად, ერთ წუთსაც არ დაივიწყოთ, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები უდიდესი მოვლენაა ჩვენი ერის ცხოვრებაში“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1919, გვ. 1).

გაზეთი **,,ერთობა“** მანიპულაციის დახვეწილი მეთოდების გამოყენებით ცდილობს საკუთარი პარტიის აგიტაციასა და კონკურენტების დისკრედიტაციას. თუკი ,,მთავრობის მოამბე“ უავტორო პუბლიკაციებს აქვეყნებს, გაზეთ ,,ერთობის“ მთავარ აგიტატორად ივანე გომართელი გვევლინება. საზოგადოებრივი აზრის მისამხრობად ვრცელი ტექსტები იბეჭდება ომისა და ჯარის, მოქალაქეთა უფლებების, ეროვნული უმცირესობების, ეკონომიკური მდგრადობის, ფინანსური პოლიტიკის გატარებისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებზე. ყველა სტატია მთავრდება დაახლოებით ასეთი ლოზუნგით: ,,დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა შექმნას ხალხმა, ხალხს კი შეუძლია ენდოს მხოლოდ სოციალ-დემოკრატიას“ (ერთობა, 1919, გვ. 1).

კვლევისას გამოჩნდა, რომ სოციალ-დემოკრატია, მიუხედავად ოპოზიციის ბრალდებებისა, საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევდა გლეხობასა და მუშათა კლასს. 28 იანვარს ივანე გომართელი დიალოგის სახით წარმოდგენილ ვრცელ წერილს აქვეყნებს: ,,გლეხები და სოციალ-დემოკრატიული პარტია“. ეს არაა სტანდარტული ჟურნალისტური სტატია, არამედ გამოყენებულია საუბრის მეთოდი, რომელიც უფრო უშუალოსა და ბუნებრივს, ადვილად აღქმადს ხდის მნიშვნელოვან საკითხებს. ავტორის მიერ მიგნებულია ძირითადი აქცენტი, რომლითაც ის გლეხობის ყველაზე მტკივნეულ ადგილს ეხება: ,,ვინ აღადგინა თქვენი ღირსება? ვინ გააუქმა წოდებები, ვინ მოგაცილათ თქვენ გლეხის სახელი და დაწერა - დღეიდან გლეხი და თავადი სწორ არიან და მოქალაქეებად იწოდებიანო? ვინ და სოციალ-დემოკრატიამ“ (გომართელი, 1919, გვ. 1)!

მმართველი პარტიის სააგიტაციო წერილები შეიძლება ორ ნაწილად დაჯგუფდეს: ერთში სოციალ-დემოკრატები დადებითი კონტექსტით წარმოაჩენენ საკუთარ დამსახურებას, ხოლო მეორე ნაწილში ოპოზიციის შეცდომებზე მიუთითებენ. სტატიაში ,,არჩევნებისთვის" დადანაშაულებული არიან სოციალ-ფედერალისტები და ესერები, რომ მათ არ სურდათ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა. რასაკვირველია, ამგვარი განცხადება ნეგატიურად განაწყობდა თავისუფლებამოწყურებულ ქართველ ამომრჩეველს. ,,იმ დროს, როდესაც ჩვენ რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ვაძლიერებდით საქართველოს დემოკრატიას, ესენი ,,მამაოჩვენოსავით" იმეორებდნენ ავტონომიას. რაც შეეხება მათ სოციალიზმს, ეს მხოლოდ მის უმწეო გამომზიურებაში გამოიხატება" (ერთობა, 1919, გვ. 2).

ალბათ, იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ყველა გაზეთში ქვეყნდებოდა შინაარსითა და სათაურით ერთმანეთის მსგავსი სტატიები: ,,ვინ ავირჩიოთ", ,,ვის მივცეთ ხმა", ,,აირჩიეთ სოციალ-დემოკრატები", ,,პარტიები არჩევნებში", ,,დამფუძნებელი კრება"...

გაზეთ **,,საქართველოს"** პუბლიკაციების სისტემატიზაციისა და ანალიზისას იკვეთება, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მეტ ყურადღებას ოპონენტების კრიტიკას უთმობდა. ცხადია, რომ ეროვნულ-დემოკრატები ამ მეთოდით საზოგადოების გამოფხიზლებასა და რეალური სურათის წარმოჩენას ცდილობდნენ. ისინი საჯაროდ ადანაშაულებდნენ სოც-დემოკრატებს ავტოკრატიულობასა და ,,თვითბატონობის უსამართლო სურვილში".

24 იანვრის ,,საქართველოს" ფურცლებზე თითქმის გაცამტვერებულია მმართველი პარტია და მის წინააღმდეგ წამოყენებულია მრავალი ბრალდება: ეროვნულ-დემოკრატების იდეების მითვისება, დემოკრატიის წინააღმდეგ ფარული ბრძოლა, შინაარეულობის წაქეზება და საქართველოს სახელმწიფოებრივი საქმეების აწეწვა. ,,ტრაგი-კომიკურ მდგომარეობაში

ჩაცვივდნენ სოციალ-დემოკრატები. ისინი ეროვნების წინააღმდეგი იყვნენ, ახლა კი იძულებული არიან თავად დაემყარონ ეროვნებას, ისინი მუშათა კლასს იცავდნენ, ახლა იძულებული არიან სხვებსაც გაუწიონ ანგარიში, აქამდე სახელმწიფოს ებრძოდნენ და ახლა სახელმწიფო უნდა ააშენონ“ (გვაზავა, 1919, გვ. 1).

ეროვნულ-დემოკრატების აგიტატორი გიორგი გვაზავა არ ერიდება არც დანარჩენი ორი პარტიის გაკრიტიკებას და 9 თებერვლის გაზეთში სოც-ფედერალისტებისა და ესერების წინააღმდეგ საკმაოდ მწვავე სტატიას აქვეყნებს სათაურით: ,,უნიადაგო პარტია“. ,,ფედერალისტების პარტიას უნიადაგობაში ეჯიბრება სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია. მათში არავითარი განსხვავება არ არის, ორივეს პარტიული პროგრამა გადმოწერილია რუსული ნაროდნიკების პროგრამიდან. მათი პათოსი ღიმილით იკითხება“ (გვაზავა, 1919, გვ. 2).

აგიტაციური და მოწოდებებით გაჯერებული სტატიები გაზეთ ,,საქართველოშიც“ მსგავსი დასახელებისაა: ,,აირჩიეთ ეროვნულ-დემოკრატები“, ,,ხმა მიეცით სიას №2“, ,,საარჩევნო კამპანია“, ,,არჩევნებისათვის“, ,,მენშევიკების საარჩევნო კამპანია (კრიტიკა), ,,დამფუძნებელი კრება“, ,,ვის უნდა მისცეთ ხმა“, ,,ჩვენი მოვალეობა“, ,,დამფუძნებელი კრება და ჩვენი პარტია“, ,,ჩვენი მდგომარეობა“.

სოციალ-ფედერალისტების მთავარი აგიტატორები თედო ღლონტი და არჩილ ჯაჯანაშვილი **,,სახალხო საქმის“** მეშვეობით ოპონირებდნენ, აქვეყნებდნენ პროპაგანდისტულ სტატიებს, მწვავედ აკრიტიკებდნენ სხვებს და საკუთარი პროგრამის დადებითად წარმოჩენას ცდილობდნენ. ზომიერებით გამოირჩეოდა სამსონ ფირცხალავა. იგი ჩვეული დამაჯერებლობით უფრო საკუთარი პარტიის საქმიანობის პოპულარიზაციას ეწეოდა. ამის დასტურია 12 იანვრის 429-ე ნომერში გამოქვეყნებული სტატია ,,ერის გაჯანმრთელება“, რომელიც არ ეხება საარჩევნო თემატიკას, მაგრამ სააგიტაციო დატვირთვას ატარებს. ავტორი

ჯარის, განათლების, ეკონომიკური მოწყობის პარალელურად ჯანდაცვის ობიექტების შექმნასა და ზოგადად, ამ სფეროს სახელმწიფო სტრუქტურულ ორგანოდ ჩამოყალიბების აუცილებლობაზე საუბრობს.

მასალების შესწავლისას ჩვენი თვალთახედვის არეში მოექცა 434-ე ნომერი, რომლის მიხედვითაც, სოც-ფედერალისტური პარტია საკუთარ მიღწევად მიიჩნევს ქართველი ხალხის ეროვნულობის აღდგენასა და განმტკიცებას და ასევე, დამფუძნებელი კრების მოწვევის მოთხოვნას. ამ პათოსს ავითარებს და კრიტიკის ალში ხვევს სოც-დემოკრატიულ პარტიას არჩილ ჯაჯანაშვილი. ,,სოციალ-დემოკრატია მთელ თავის წარსულში საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას ებრძოდა. მართალია, იგი დღეს თავგამოდებით იცავს ამ დამოუკიდებლობას, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცით დანამდვილებით, რა უფრო ძლიერია ამ დაცვაში - დამოუკიდებლობის საშუალებით თავისი პოლიტიკური ბატონობის განმტკიცება, თუ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა, როგორც იდეალის“ (ჯაჯანაშვილი, 1919, გვ. 2). ავტორი აკნინებს სოც-დემოკრატიის მართვის მეთოდებსაც. მსგავსი განცხადებებია გაკეთებული 11 თებერვლის ნომერშიც.

რაც უფრო ახლოვდება არჩევნების დღე, მით უფრო ცეცხლოვანი და აქტუალური ხდება პუბლიკაციები. ფედერალისტები პირდაპირ სდებენ ბრალს მმართველ პარტიას საქართველოს თავისუფლების მოთხოვნის უგულებელყოფაში: ,,იმ დროს, როდესაც სოციალ-დემოკრატები მარჯვნივ და მარცხნივ უმტკიცებდნენ ყველას საქართველოს დამოუკიდებლად ცხოვრება არ შეუძლიაო და სტატისტიკურ მონაცემებსაც აქვეყნებდნენ, ქართველ ხალხს ტერიტორია არა აქვსო, ჩვენი პარტია სასტიკად ებრძოდა სოციალ-დემოკრატიას და უმტკიცებდა, რომ საქართველოს მოეპოვებოდა საკმაო შინაგანი ძალა დამოუკიდებლად არსებობისათვის“ (ჯაჯანაშვილი, 1919, გვ. 3).

სოც-ფედერალისტების მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე აქცენტის გადატანა სწორი გადაწყვეტილებაა: ,,საქართველოს

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია მუდამ იბრძოდა საქართველოს პოლიტიკური მიზნებისთვის და თავის პრაქტიკულ საქმიანობასაც უფარდებდა საქართველოს გათავისუფლების იდეას“ (ჯაჯანაშვილი, 1919, გვ. 2).

თვალსაჩინოა ,,სახალხო საქმის“ ლოზუნგების მრავალფეროვნება. თითოეულ ნომერს დიდი შრიფტით მკვეთრად გასდევს პროპაგანდისტული მოწოდებები: ,,მხნედ ამხანაგებო! ააფრიალეთ დროშა საქართველოს გათავისუფლებისა და მთელ ქვეყანას მოჰფინეთ თამამი ძახილი - გაუმარჯოს საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიას“ (ჯაჯანაშვილი, 1919, გვ. 1)! ,,მოქალაქენო! ხმა მიეცით ჩვენი დამოუკიდებლობის და მშრომელი ხალხის სიას!“ ,,არ დაჰკარგოთ არცერთი ხმა! ის ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტრების ბანაკშია!“ და ა.შ.

დასასრულ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ არჩევნების დღეს გამოქვეყნებული ორი სტატია, საკმაოდ განსხვავებული და ორიგინალური სათაურებით. ერთია სტატია - ,,ყუთებისაკენ“ და მეორე - ,,№5“. რა თქმა უნდა, ორივე ტექსტი შინაარსობრივად მოიცავს პროპაგანდის მნიშვნელოვან კომპონენტებს და სრულდება პოზიტიური და იმედისმომცემი სიტყვებით: ,,საქართველოს არცერთ პარტიას იმდენი რთული და დიდი საქმე არ აქვს გაკეთებული, რამდენიც სოც-ფედერალისტთა პარტიას. ჩვენ ვგულისხმობთ სოციალურ და ეკონომიკურ რადიკალურ პროგრამას. თავად სოც-დემოკრატიაც აღნიშნავს, რომ იგი დიადია, მაგრამ რთული“ (სახალხო საქმე, 1919, გვ. 2).

სოციალ-რევოლუციონერების გაზეთი **,,შრომაც“** წერს, რომ სოციალ-რევოლუციონერთა პარტია ერთადერთი უღალატო და პრინციპული პარტიაა. მთავარი აგიტატორი ესერების სახელოვანი წარმომადგენელი, ქართველი საზოგადო მოღვაწე ლეო შენგელაიაა.

ესერთა პრესა ერთდროულად და ერთბაშად ილაშქრებს კონკურენტი პარტიების წინააღმდეგ. პუბლიკაციებიდან იკვეთება ბრალდებების ტონი.

,,შრომა“ მწვავედ აკრიტიკებს სოციალ-დემოკრატებსა და ეროვნულ-დემოკრატებს, აიგივებს მათ ერთმანეთთან, ხაზს უსვამს მათ პოლიტიკურ და პროგრამულ იდენტობას, წერს ფედერალისტების დესტრუქციის შესახებ.

ფაქტობრივად, ყველა პარტიის ძირითადი ბრალდება სოციალ-დემოკრატების მიმართ მათი ბურჟუაზიული სულისკვეთება იყო. სწორედ მმართველი ძალის ამ სისუსტეზე ამახვილებდნენ ყურადღებას ესერები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნულ საკითხში ესერების თანამოაზრედ დანარჩენი ორი ოპოზიციური პარტიაც მიიჩნევა, ეს მენშევიკთა დისკრედიტაციის საკმაოდ ძლიერი მცდელობაა. ,,1919 წლის 17 იანვარი უნდა ჩაითვალოს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბურჟუაზიულ მისწრაფებათა გამომზიურების დღედ“, - ავრცელებს ინფორმაციას ,,შრომა“. სტატია სათაურით ,,მენშევიკური დომხალი“ ეხება მთელ რიგ საკითხებს, და განსაკუთრებულად აგრარულ რეფორმას (შრომა, 1919, გვ. 4), აპელირებს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხითა და სოციუმის კეთილდღეობით, რა მიმართულებითაც ესერები მოწინააღმდეგეების ძალისხმევას საერთოდ ვერ ხედავენ: ,,სოც-დემოკრატები ვერ დაიცავენ და ვერ განამტკიცებენ ჩვენს დამოუკიდებლობას, ვერც განავითარებენ და დაალაგებენ ჩვენს ცხოვრებას“ (შრომა, 1919, გვ. 4).

,,შრომა“ ორიენტირებულია საკუთარი განვლილი მუშაობის ანგარიშებზე. ყურადღებას იქცევს გაზეთის ჰედლაინები: ,,მშრომელო ხალხო! №3 თქვენი სიაა! მიეცით მას ხმა!“ ან ,,თქვენი ბედნიერება თქვენს ხელშია!“ ,,ყოველმა ჭეშმარიტმა რევოლუციონერმა საკუთარი ხმა უნდა მისცეს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას!“

მწვავე პოლემიკა გაიმართა (აჟიოტაჟი ატყდა) ,,აგრარული რეფორმის“ გარშემო, რომელიც იმ პერიოდის ერთ-ერთ სერიოზულ სახელმწიფო პროექტად მიიჩნევა. პარტიების კრიტიკული პუბლიკაციებიც, ძირითადად, ამ თემას ეძღვნება.

აგრარული რეფორმა, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი პროგრესული კანონპროექტია, ძალიან დიდი პოლიტიკური დაპირისპირებების საგანი გახდა. საქმეს ართულებდა ის გარემოებაც, რომ აღნიშნული რეფორმა შემუშავებული და მიღებული იქნა სწორედ დამფუძნებელი კრების არჩევნების წინა პერიოდში, ამიტომ საკითხი პარტიებს შორის ხშირად ხდებოდა პოლემიკის მიზეზი.

მაშინდელი მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი სოფლად მკვიდრობდა, ხოლო გლეხების 65 პროცენტს მიწა იჯარით ჰქონდა აღებული. თავადაზნაურობა მიწების დიდ წილს ფლობდა, ამიტომ რეფორმის პირველი ეტაპი - მესაკუთრეთათვის მიწების ჩამორთმევა 1919 წლისათვის, ფაქტობრივად, დასრულებული იყო. საზოგადოებას აღელვებდა, თუ როგორ განაწილდებოდა ჩამორთმეული მიწები, რომელთა გადაცემას კანონმდებლობა არეგულირებდა და სწორედ ეს გახდა სადავო საკითხი პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის. ახალ მესაკუთრეს, სოციალ-დემოკრატების შემუშავებული პროექტის თანახმად, მიწა გადაეცემოდა არა უსასყიდლოდ, არამედ შეღავათიან ფასში. თუმცა, რამდენად იყო ეს ფასი იმ პერიოდისათვის ყველასათვის ხელმისაწვდომი, ამაზე ოპოზიციური პარტიები მთელი წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში მსჯელობდნენ.

გაზეთი **„ერთობა“** წერდა, რომ მიწის კერძო საკუთრებად დაკანონება ძალიან ხელსაყრელია გლეხებისათვის და სახელმწიფოს ეკონომიკური წინსვლისათვის. №11-ში დაწყებული სტატია სათაურით „აგრარული პროექტი“ გაზეთის მომდევნო ნომრებში გრძელდება. „აგრარული რეფორმა ისახავს მიზნად გლეხის, ე.ი. სოფლის მეურნეობის საკითხის მოწესრიგებას. დაწესებული იქნება შეღავათიანი ფასი, რათა ამ მხრით დაფარულ იქნეს ის აუცილებელი ხარჯები, რომელსაც მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარება გულისხმობს“ (ერთობა, 1919, გვ. 2). მომდევნო სტატიაში სოც-დემოკრატები ხსნიან, თუ რატომ არ შეიძლება უფასოდ მიწების დარიგება. მათ ბანკის ვალები და სახელმწიფოს უსახსრობა მოჰყავთ არგუმენტებად.

გაზეთი **„საქართველო“** ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოზიციას ამჟღავნებს. ისინი მიწის უსასყიდლოდ ჩამორთმევის წინააღმდეგნი იყვნენ. ეს უკვე განსხვავებული თვალთახედვაა. „ჩვენი სინდისი სრულებით ვერ ურიგდება იმას, რომ მიწა ჩამორთმეულ უნდა იქნას უსასყიდლოდ. უსასყიდლოდ ჩამორთმევა არის ტაციაობა და ყაჩაღობა“ (საქართველო, 1919, გვ. 3).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თან წერდა, რომ არ იყო წინააღმდეგი მიწის იძულებით ჩამორთმევისა, მაგრამ ჩამორთმევის სოციალ-დემოკრატიულ მეთოდს გმობდა და პრიმიტიულად მიიჩნევდა. საბოლოოდ, დამფუძნებელი კრების არჩევნების წინა დღეებში გამოქვეყნებულ სტატიაში ეროვნულ-დემოკრატები პირდაპირ ბრალს სდებენ მმართველ ძალას უნიათობასა და მისი პროექტის უპერსპექტივობაში: „ასეთია სახელმწიფოებრივი შემოქმედება ჩვენი სოციალ-დემოკრატიისა. ბევრია ცრემლი, ბევრია სისხლი და ეროვნული მეურნეობის არევ-დარევა“ (საქართველო, 1919, გვ. 2).

აგრარულ საკითხთან დაკავშირებით რადიკალური დაპირისპირება გამოავლინა სოციალ-ფედერალისტთა პარტიამ. გაზეთი „სახალხო საქმე“ ბევრს და მწვავედ წერდა აღნიშნულ საკითხზე. სოციალ-ფედერალისტები მკვეთრად და პირდაპირ გამოხატავდნენ საკუთარ პოზიციას მიწის თანხით შესყიდვის წინააღმდეგ:. „მიწა მიწის მუშას, უფასოდ და გამოუსყიდველად!“- იყო მათი სლოგანი. „სახალხო საქმე“ საკუთარ ამომრჩეველს საჯაროდ ჰპირდებოდა, რომ მოსპობდა კერძო საკუთრებას მიწაზე და მის განსაზოგადოებას მოახდენდა.

მიწის საკითხს მშვიდი განწყობითა და ჩვეული ინტელიგენტობით ეხმიანება სამსონ ფირცხალავა. 23 იანვრის ნომერში ის სპეციალურ სტატიას უძღვნის ამ პრობლემას. სამსონ ფირცხალავა დელიკატურად გადმოსცემს საკუთარ შეხედულებებს და სოციალ-დემოკრატებს გადაწყვეტილების სწრაფად მიღებაში საყვედურობს.

ფირცხალავასაგან განსხვავებით, მწვავე კრიტიკულ სტატიებს აქვეყნებს ,,სახალხო საქმის“ პუბლიცისტი და სოც-ფედერალისტთა აგიტატორი თედო ღლონტი. ის პირდაპირ ბრალს სდებს მმართველ პარტიას მუშათა კლასის გაღატაკებასა და ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

14 იანვრის ,,სახალხო საქმეს“ სრულად აქვს წარმოდგენილი აგრარული კანონპროექტი, გამოყოფს შეუსაბამობებს და უღრმავდება ხარვეზებს.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ ქართველი ესერები აგრარულ საკითხში სოციალ-ფედერალისტების მხარდამჭერები იყვნენ. ისინი მოუწოდებდნენ მმართველ პარტიას, დამფუძნებელი კრების არჩევნებამდე თავი შეეკავებინათ ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის მიღებისაგან. ესერები მიიჩნევდნენ, რომ მიწის საკითხი სწორედ ახალმოწვეულ დემოკრატიულ და ხალხის მიერ ნდობით აღჭურვილ დამფუძნებელ კრებას უნდა მიეღო. შესაბამისად, გაზეთ ,,შრომის“ ფურცლებზე სრულად დაიბეჭდა სოციალ-რევოლუციონერების პროგრამა.

იანვრისა და თებერვლის ნომრებში გამოქვეყნებულია საკმაოდ ვრცელი პუბლიკაციები. სოციალ-რევოლუციონერების აზრით, სოციალ-დემოკრატების პროექტი ხელსაყრელი ისევ მდიდრებისთვის იქნებოდა და მუშათა კლასი და გლეხობა კვლავ იმედგაცრუებული დარჩებოდა. ,,მიწა არ უნდა იქცეს ვაჭრობის საგნად“, - იყო ესერების სლოგანი.

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დამფუძნებელი კრების წინასაარჩევნოდ მიმდინარეობდა ,,ფრონტი აგრარული საკითხისა“ და ამ ფრონტზე თითოეული პარტია საკუთარი იდეოლოგიითა და მეთოდებით იბრძოდა, რომლებიც სრულად ჯდება წინასაარჩევნო პროპაგანდისტული ბრძოლის ჭრილში.

წარმოდგენილი მასალებით დავრწმუნდით, რომ ოპონირება და კრიტიკა საინფორმაციო ველზე საკმაოდ მწვავე იყო. დისკრედიტაციის შემთხვევების აღნუსხვისას ყურადღება მიიქცია სოციალ-ფედერალისტების სტატიამ, რომელიც მმართველ ძალას ძალადობასა და შანტაჟში ამხელდა. სანგანიძის

პუბლიკაციაში სოციალ-დემოკრატების მოსალოდნელი ძალადობრივი და მუქარის გზით საზოგადოების დაშინებასა და ზეწოლაზე ამახვილებს ყურადღებას: ,,თუ სოციალ-დემოკრატების იარლიყი არა, საარჩევნო ყუთთან გაბედულად ვერ მიხვალთ. ძალადობა, მუქარა და უსამართლობაა გამეფებული იქ, სადაც უნდა იყოს სამართლიანობა, ძალდაუტანებლობა და პირდაპირობა“ (სანგანიძე, 1919, გვ. 2).

სოციალ-დემოკრატების მწვავე პასუხი გაზეთ ,,ერთობაში“ 16 იანვარს გამოქვეყნდა და ფედერალისტები აღნიშნულ სტატიაში ჭორიკნებად და ცილისმწამებლებად არიან მოხსენიებულნი: ,,ჩვენ არ გამოვუდგებით ამ ნიადაგზე მათთან პოლემიკას. ეს დამამცირებელი იქნებოდა ჩვენი ღირსებისათვის. არ გვგონია ასეთი სათაურებისა და სტატიების განთავსებით სოც-ფედერალისტების კაპიტალს შეემატოს რამე, გარდა ნაგვისა.“

როგორც ვხედავთ, პარტიები ერთმანეთის დაკნინებასა და დადანაშაულებას არ ერიდებოდნენ, რაც ზოგჯერ პოლიტიკურ ეთიკას სცდილდებოდა, თუმცა, ასეთი შემთხვევები ხშირად არ გვხვდება. ამასთან, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ წინასაარჩევნო კამპანია პარტიებს შორის თანაბარ პირობებში მიმდინარეობდა. კონტენტანალიზი გვარწმუნებს, რომ არ იყო არანაირი შეზღუდვა აზრის გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლებისა, არ იკრძალებოდა მიტინგებისა და წინასაარჩევნო შეხვედრების მოწყობა, საჯარო აგიტაცია და, რა თქმა უნდა, პრესაში გამოქვეყნებული სტატიები ამის ნათელი დადასტურებაა.

ოთხივე პარტია, საკუთარი ბეჭდური ორგანოს მეშვეობით, ატარებდა საკუთარ იდეოლოგიურ ხაზს, სარედაქციო პოლიტიკას, ყურადღებას ამახვილებდა პრობლემებზე და ელექტორატს მათი გადაჭრის თავისებურ ვერსიას სთავაზობდა.

ისტორიკოსები და პოლიტოლოგები აღიარებენ, რომ 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები მაღალი დემოკრატიული ხარისხითა და

დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით წარიმართა. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ გამოკვლეული ფაქტებიც იმის მტკიცებულებაა, რომ დემოკრატიული პროცესების მაღალი ინდექსის მიხედვით, ეს არჩევნები მართლაც გამორჩეული და დიდი ისტორიული მნიშვნელობისაა. მიუხედავად მწვავე კრიტიკული წერილებისა და ზოგიერთი შეურაცხმყოფელი პუბლიკაციისა, საარჩევნო აგიტაცია და დებატები საკმაოდ ინტელექტუალურ მედიალანდშაფტს ქმნიდა.

არჩევნების შედეგად, მართალია, უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიულმა ძალამ მოიპოვა, მაგრამ ცალკეული პარტიების იდეები საზოგადოებისათვის საინტერესო და დამაფიქრებელი აღმოჩნდა, რაც აისახა კიდეც მათ გადაწყვეტილებაზე. თუმცა, ეს უკვე სხვა საკითხია და იმდენად აქტუალური, რომ საჭიროებს კიდევ ერთი მიმართულებით სკურპულოზურ კვლევას, რაც ჩვენი ნაშრომის ფორმატით არ არის განსაზღვრული.

დასასრულ, შესწავლილი პუბლიკაციების მიხედვით, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ თითოეული პარტია დემოკრატიული იდეებითა და გულწრფელი პატრიოტული განწყობით იბრძოდა საკუთარი პოზიციების გასამყარებლად და უკეთესი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის.

თავი 3. ქართული პრესა - დემოკრატიული ღირებულებების რეფლექსია

3.1. გაზეთი ,,ერთობა“ - მუშათა კლასი სოციალიზმის აღმშენებლობის მთავარი ძალა

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო **,,ერთობა“** საზოგადოებას ამცნობდა, რომ მუშათა კლასი ,,გახდა ეროვნული კლასი, სოციალ-დემოკრატიული პარტია კი, მისი ავანგარდი“ (ერთობა, 1918, გვ. 1).

გაზეთი ,,ერთობა“, ორგანო ამიერკავკასიის მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა, სახელწოდების შესაბამისად, მუშათა პარტიისათვის დამახასიათებელი პათოსითა და სოლიდარობის ნიშნით ეხმიანებოდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს.

საგაზეთო ტექსტების გაცნობისას ნათელი ხდება სოციალ-დემოკრატების პრინციპები და ხედვა, იკვეთება გაზეთის პრიორიტეტული საკითხებიც: ,,დემოკრატიზმი და ინტერნაციონალიზმი, - აი, ის ორი მთავარი ბურჯი, რომელსაც იმთავითვე ეყრდნობოდა ჩვენი პარტია თავის მუშაობის დროს, დემოკრატიულ და ინტერნაციონალურ იდეებს იგი 25 წლის განმავლობაში სთესდა“ (ერთობა, 1918, გვ. 1).

გაზეთის ნომრების შესწავლისას გამოიკვეთა მკაფიო პოზიცია და სოციალ-დემოკრატების მთავარი სათქმელი. ისინი უარყოფდნენ კლასობრივ დიქტატს, მჭიდრო კავშირში იყვნენ ევროპულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებთან და საპარლამენტო გარდაქმნის ევროპულ გეზს მისდევდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წლის პუბლიკაციებთან შედარებით, გაცილებით საინტერესო და მრავალფეროვანია ამავე წლის მეორე ნახევრისა და 1919 წლის ნომრები. თავდაპირველად გაზეთში საკმაოდ ერთფეროვანი წერილები იბეჭდება. აქ ვერსად ვხვდებით ეროვნულ-დემოკრატების, სოციალ-ფედერალისტების და თუნდაც, ესერების პარტიული ორგანოების

მსგავს მრავალფეროვნებას. ვფიქრობთ, სტატიებით გაზეთის დატვირთვა უფრო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაიწყო.

გაზეთი ,,ერთობა", რომელიც 1917 წლის 15 მარტს დაარსდა, ოთხგვერდიანი იყო. პირველი გვერდის ზედა მხარეს, მარცხენა კუთხეში განთავსებულია წარწერა - სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. პარალელურად, მარჯვენა მხარეს ვკითხულობთ სოციალ-დემოკრატების ლოზუნგს: ,,პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!" პარტიული ორგანოს სახელწოდების ,,ერთობის" გასწვრივ გაშლილია პარტიული ორგანოს სრული დასახელება. ლოზუნგის ქვემოთ მოცემულია რეკვიზიტები: გაზეთის გამოწერა ერთი თვით 9 მანეთი, ცალკე ნომერი კი 40 კაპიკი ღირს. აქვეა განცხადებების ფასი და პირობები. რედაქცია და კანტორა მდებარეობს ერთ შენობაში, გოლოვინის პროსპექტზე, ნომერ 12-ში. ,,ერთობა" იბეჭდებოდა ,,რუხაძის სწრაფლმბეჭდავ სტამბაში", რომლის მისამართიც იყო გაბაევის შესახვევი №1.

როგორც აღვნიშნეთ, ,,ერთობა" არ გამოირჩევა მრავალფეროვანი პუბლიკაციებით. იგი შემოიფარგლება ინფორმაციული ტიპის სტატიებით. ძირითადად, თვალსაჩინოა პერმანენტული რუბრიკები, როგორებიცაა: ,,ახალი ამბები", ,,გზა და გზა", ,,პრესა", ,,პროვინციის ქრონიკა", ,,ჟურნალ-გაზეთებიდან", ,,მუშათა შორის", ,,დეპეშები". რუბრიკას ,,პროვინციის ქრონიკა" ცვლის ,,პროვინცია", ,,ახალ ამბებს" - ,,უკანასკნელი ცნობები", ხოლო რუბრიკა ,,მუშათა შორის" ზოგჯერ ჩანაცვლებულია ,,მუშათა კლასისთვის" განკუთვნილი პუბლიკაციებით.

ნომრების შესწავლისას ყურადღება მიიქცია ცალკეულმა სტატიებმა: ,,ჩვენი პოლიტიკა", ,,მოცლილი ხალხი", მუშათა კლასი და ერი", ჩვენ და დემოკრატია", ,,ეროვნული საკითხი ჩვენში".

საგაზეთო პუბლიკაციები უმეტესწილად უავტორო. აქაც გვხვდება ფსევდონიმები: რისხვა, ქვაყუდელა, საწყალი მუშა, მებრძოლი, პრომეთეოსი, ვერხვი...

გაზეთს თავდაპირველად სოციალ-დემოკრატი ვლადიმერ ბობოხიძე რედაქტორობდა, ხოლო 1920 წლის ზაფხულიდან - ლევან ნათაძე. თუმცა, მათი სახელები არ იხსენიება. ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ ერთი მიზეზით. პიროვნების ვინაობა ,,ერთობის“ მკითხველისათვის არ იყო პრიორიტეტი და კმაყოფილდებოდა იმით, რომ სტატიები ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების ეგიდით იბეჭდებოდა.

საკვლევი პარტიული ორგანოების მიმოხილვისას ყურადღება დავუთმეთ 26 მაისის ისტორიული მნიშვნელობის შეფასებებს. პარადოქსია, მაგრამ საზეიმო განწყობას სოციალ-დემოკრატების პარტიულ ორგანოში ვერსად ვხვდებით. 25 მაისის ნომერში დაბეჭდილია სტატია სათაურით ,,იძულებითი ნაბიჯი“, რომელიც ცხადყოფს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება უფრო მექანიკური პროცესი იყო სოციალ-დემოკრატებისათვის, ვიდრე ეროვნული იდეით განმსჭვალული ქმედება. ჩვენი დასკვნის მართებულობას იგივე პუბლიკაცია ადასტურებს: ,,თუ ჩვენ დღემდე თავგამოდებით ვიცავდით ამიერკავკასიის მთლიანობას, დღეს შეიძლება გარემოებამ გვაიძულოს ცალკე მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, რადგან ამიერკავკასიის მთლიანობა უკვე დარღვეულია“ (ერთობა, 1918, გვ. 1).

ამაღლებული და ეროვნული იდეით განმსჭვალული ტექსტები არც 26 მაისის ნომერში გვხვდება. ერთობ სიმპტომური და მრავლისმთქმელია სტატია ,,ჩვენი ბედი“, რომელიც ერთგვარად წინა ნომერში გამოხატული განწყობის რეაბილიტაციის მცდელობას წარმოადგენს, ხსნის, თუ რატომ მიაჩნია სოციალ-დემოკრატიას საქართველოს დამოუკიდებლობა ,,იძულებით ნაბიჯად“: ,,ხელმძღვანელ პარტიას უფლება არ აქვს მთელი ხალხის სიცოცხლე, ბედი და არსებობა სასწორზე დადოს, როცა ბრძოლის მოგების რაიმე, თუნდაც მცირედი გარანტია არ არსებობს“ (ერთობა, 1918, გვ. 1).

,,ერთობის“ რედაქცია განიცდის ამიერკავკასიის დაშლას და მზადაა საკუთარი სისხლი დაღვაროს, ყველაფერი გასწიროს ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის, მაგრამ, როდესაც რუსეთისაგან მხოლოდ

ბოლშევიკური მუქარა ისმის, ოსმალეთი საქართველოს დაპყრობაზე ოცნებობს, გერმანია საკუთარ ინტერესებს იცავს, ხოლო ინგლისი მხოლოდ ომზე ფიქრობს, ხსნის ძალა მხოლოდ მათ ხელთ არაა. ასეთი პათოსითა და სინანულით აღწერს საერთაშორისო მოვლენების ფონზე საქართველოს მდგომარეობას ,,ერთობა". თუმცა, იქვე შეინიშნება იმედიანი განწყობა და სურვილი გერმანიასთან თანამშრომლობისა. სტატიაში ,,ახალი ორიენტაცია" პარტია მსჯელობს საქართველოს სამომავლო გეგმებზე.

26 მაისის ნომერში, გარდა აღნიშნული პუბლიკაციებისა, არის შემდეგი რუბრიკები: ,,პრესა", ,,დეპეშები" და ,,ახალი ამბები", რომლებშიც არანაირი განწყობა არ ჩანს ზეიმისა და დღესასწაულისა. საინტერესოა, როგორ იმოქმედებდა ეს ყოველივე ,,ერთობის" მკითხველზე, მაშინ, როდესაც 28 მაისს სტატიაში ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა" დაბეჭდილია: ,,საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება საგარეო ურთიერთობის ძალდატანებით წარმოიშვა და ჩვენ მოვალენი ვართ იგი დავიცვათ" (ერთობა, 1918, გვ. 1). ვიცით, რომ ,,ერთობის" მკითხველში საზოგადოების დიდი ნაწილი მოიაზრება, რომელმაც სოციალ-დემოკრატებს მიანდო საკუთარი რეალობისა და ცხოვრების წესის განსაზღვრა.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, საქართველოს გათავისუფლების ფაქტმა ,,ერთობის" ფურცლებზე საკმაოდ ჩვეულებრივად და უფრო საგანგაშო განწყობით ჩაიარა, ვიდრე სასიხარულოდ და იმედისმომცემად. სტატიებში გამახვილებულია ყურადღება პრობლემებზე. სოციალ-დემოკრატები სვამენ კითხვას, ,,როგორი უნდა იყოს ჩვენი საერთო პოლიტიკური ხაზი, რომ ეს დამოუკიდებლობა ფიქციად არ იქცეს"? აქვე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მომდევნო სამი წლის განმავლობაში მათ არასდროს გაუმეორებიათ მსგავსი მოსაზრება, არ დაუყვედრებიათ არც ოპოზიციისა და არც საკუთარი თავისთვის ამ ნაბიჯის გადადგმა, არამედ თავიანთი შესაძლებლობიდან გამომდინარე, მართლა ცდილობდნენ, ბოლომდე დაეცვათ პოზიციები და რეალური დაბრკოლებების მიუხედავად, დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის იდეის ერთგულნი დარჩნენ.

სოციალ-დემოკრატები საკუთარ თავს უბრალო ხალხის ქომაგებად მიიჩნევენ: ,,სოციალ-დემოკრატია მთელი დემოკრატიის პარტიაა, ყველა მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა ნუგეშია“ (ერთობა, 1919, გვ. 1).

როგორ ვითარდებოდა კრიტიკა გაზეთის ფურცლებზე? ანალიტიკური და კრიტიკული პუბლიკაციები ,,ერთობაში“ 1919 წლიდან მეტად გვხვდება. კრიტიკა მწვავდება 1920 წელს. გაზეთში ქვეყნდება სტატიები შემდეგი სათაურებით: ,,საჭირბოროტო საკითხები“, ,,უტიფარი ოპოზიცია“, ,,თავაშვებული ოპოზიცია“ და ა.შ. ,,რყევას განიცდიან ბოლშევიკურად განწყობილი ნაწილი, ესერები და ფედერალისტები. ისინი თავისებურ დასკვნებს აკეთებენ და ჩვენ, ვისაც ისტორიამ დაგვაკისრა ბრძოლა სოციალიზმისათვის, საკუთარ საქმიანობაში გვეცილებიან“ (ერთობა, 1919, გვ. 1). სოციალ-დემოკრატები რეალურად მიიჩნევდნენ, რომ მათ წილად ხვდათ იშვიათი ისტორიული როლი, რომელიც მოიაზრებდა ძველი პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობის დარღვევასა და სრულიად ახალი სახელმწიფოს აშენებას. ამ წლების განმავლობაში განხორციელებული რეფორმებისა და პროგრესული ნაბიჯების მიზეზად ასახელებდნენ საკუთარ პოლიტიკურ ერთიანობას. ნოე ჟორდანიამ 1920 წლის პირველ აპრილს, პარტიულ თათბირზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ პარტიას ჰქონდა ნათელი პოლიტიკური წარმოდგენა და ის მოქმედებდა როგორც ერთი კაცი, დისონანსისა და განხეთქილების გარეშე.

სოციალ-დემოკრატებს მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრება და პრობლემები ყველაზე მეტად აღელვებდათ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ის კატეგორიაა, რომელმაც სრული მხარდაჭერა გამოუცხადა პარტიას და ხელისუფლების სათავეში მოიყვანა იგი. ყველა ნომერში, 1918 წლიდან მოყოლებული 1921 წლამდე, ერთი ან ორი რუბრიკა აუცილებლად ეძღვნება აღნიშნულ თემას: ,,მუშათა შორის“, ან ,,მუშათა კლასისთვის“ და ასევე, ,,მუშათა წერილები“. პირველ კატეგორიაში აისახება რომელიმე ფაბრიკის ან დაწესებულების მუშების შთაბეჭდილებები, მუშათა პროფესიული კავშირების სხდომები, რაიმე ტიპის შეკრებები და შეხვედრები. მეორე

კატეგორიში კი გადმოცემულია მუშათა პოზიცია რომელიმე მნიშვნელოვან საკითხზე.

თავად გაზეთის ლოზუნგში ,,პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით," გამოიხატება ,,დედააზრი მატერიალისტური, მებრძოლი ფილოსოფიისა". თუ როგორი მნიშვნელოვანი იყო მუშათა საკითხი სოციალ-დემოკრატიისათვის, ამას 1919 წლის 1 მაისის ნომერიც ასახავს. გაზეთის ოთხივე გვერდი ამაღლებული განწყობის პუბლიკაციებითაა გაჯერებული, რადგან პირველი მაისი მუშათა საერთაშორისო დღეა: ,,შრომის დღესასწაული", ,,პირველი მაისის იუბილე", ,,მუშათა კლასის დღესასწაული", ,,მაისობა", ,,პირველი მაისი ახალ პირობებში"...

შესწავლილი პუბლიკაციები ეხება მუშათა პრობლემებს, არანორმირებულ სამუშაო დღეს, არაჯანსაღ და საფრთხის შემცველ სამუშაო პირობებს. სტატიები ასახავს უსაფრთხოების ზომების ნაკლებობას, ან სრულიად არარსებობას, შესაბამისად, მუშაობის პროცესში დაინვალიდებული, ან ჯანმრთელობაშერყეული მუშების დაზღვევის პრობლემებს. აღწერილია, თუ როგორ მდგომარეობაში უწევთ მუშაობა ქართველ მუშებს ზოგიერთ ,,გაზულუქებულ" და ურჩ ფაბრიკა-ქარხნის მეპატრონესთან. ,,სოფლიდან ჩამოსული მუშა იძულებულია თავისი შრომა მიზერულ ფასებში მიჰყიდოს კაპიტალისტს. მაგრამ უფრო სავალალო მდგომარეობაშია ადგილობრივი მუშა" (ერთობა, 1918, გვ. 4). ამავე სტატიაში ვკითხულობთ, რომ ბევრია ბასრი იარაღების შედეგად დაინვალიდებული ახალგაზრდა. პირობები იმდენად საზიანოა, საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას, ,,ამიტომ მუშათა მოთხოვნით დაწესდა საავადმყოფო კასები, რომელთა დანიშნულებაა, მუშებს ავადმყოფობის დროს დახმარება გაუწიოს, გადაუხადოს გაცდენილი დღეების საფასური და უყიდოს წამლები". აღნიშნულ პრობლემასთან საბრძოლველად, მთავრობის გადაწყვეტილებით, მიღებულია კანონი მუშათა დაზღვევის შესახებ, რაც იმ პერიოდისთვის საკმაოდ პროგრესული ნაბიჯი იყო.

სოციალ-დემოკრატების სამოქმედო პროგრამაში მათ ცალკე პუნქტი მიუძღვნეს მუშების საკითხს და 1918 წლის 22 იანვრის მე-16 ნომერში საზოგადოებას ვრცლად წარუდგინეს სამოქმედო გეგმა. პირველი, რის დაკანონებასაც აპირებს ხელისუფლება, 8 საათიანი სამუშაო დღეა. ასევე, მოწესრიგებული უნდა იყოს სამუშაო პირობები და უსაფრთხოების სისტემა. 16 წლამდე მოზარდებს უნდა აეკრძალოთ მუშაობა. აქვე გათვალისწინებულია ქალთა შრომის შემამსუბუქებელი ფაქტორები, სახელმწიფო დაზღვევა, ასევე, მუშათა უფლებების დარღვევისათვის მეპატრონის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.

სოციალ-დემოკრატებს მუშათა პროფესიული განათლების საკითხიც აღელვებდათ. 1919 წლის 30 იანვრის რუბრიკაში ,,მუშათა შორის", საუბარია სწორედ პროფესიონალი კადრების აუცილებლობაზე. ასეთი მუშები გათვითცნობიერებული უნდა ყოფილიყვნენ არა მხოლოდ პრაქტიკულ საქმიანობაში, არამედ თეორიულადაც. ისინი უნდა გასცნობოდნენ კლასობრივი ბრძოლებისა და წინააღმდეგობების ევროპულ მაგალითებს, რათა განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გადმოეღოთ.

ბევრი სტატია ეხება მუშათა პროფესიული კავშირების მნიშვნელობასაც. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის წლებში თბილისსა და რეგიონებში 113 პროფესიული გაერთიანება არსებობდა. 1919 წლის 11 აპრილს გაიმართა პროფესიული კავშირების პირველი ყრილობა, რომლის დღის წესრიგშიც შედიოდა შრომის სამინისტროს სამუშაო ეტაპები, შრომის ბაზარი და სხვა ამოცანები. ამ ყრილობაზე შრომის სამინისტროსთან ერთად მიიღეს გადაწყვეტილება, შექმნილიყო სატარიფო პალატა, რომელიც იქნებოდა შრომითი დავებისა და სხვა პრობლემური საკითხების მარეგულირებელი ორგანო. სტატიებიდან ცნობილი ხდება, რომ მუშათა პროფესიულ კავშირებს უკვე გაერთიანებული ჰყავდა საავადმყოფოებში, სახელმწიფო დაწესებულებებში, მშენებლობებზე დასაქმებულები, მაგრამ ცდილობდა ღვინისა და ლიმონათის ქარხნების მუშების, მკერავების, მღებავებისა და რესტორნების პერსონალის მიზიდვას. ,,ეს გაამლიერებს ორგანიზაციებს,

რომლის მიზანია დახმარება და დაცვა თითოეული მუშისა და მოსამსახურისა" (ერთობა, 1919, გვ. 4). ასევე, მთავრობამ გააუმჯობესა იურიდიული მომსახურება, რათა ყოველ მოსამსახურეს შეძლებოდა, კონსულტაცია მიეღო საკუთარი უფლებების შესახებ. ,,შეიქმნება მუშათა ბიურო და ამიერიდან აღვირახსნილ ხაზეინებს ლაგამი ამოედებათ და თუკი ამდენ ხანს მუშების შრომის ნაყოფი სხვის ჯიბეში ჩადიოდა, ამიერიდან მათ ვეღარავინ გაატყავებს" (ერთობა, 1919, გვ. 4).

უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტორიც, რომ სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში სათანადოდ განვითარებული არ იყო. დამოუკიდებლობის სამწლიანი პერიოდის განმავლობაში ხელისუფლება სუსტი შეიარაღებული ძალებით ცდილობდა გამკლავებოდა შიდა აჯანყებებს ახალციხეში, სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთსა და დუშეთში. ასევე, საქართველო მუდმივად განიცდიდა საფრთხეს მეზობელი ქვეყნებიდან. ჩასაფრებული ოტომანთა იმპერია, რუსი ბოლშევიკები, გენერალი დენიკინი, შეტაკებები სომხეთსა და აზერბაიჯანთან. ამ სიტუაციამ ისე ჩამოშალა ეკონომიკა, რომ მუდმივად ჩერდებოდა ქარხნები, იფიცებოდნენ მუშები. ასეთ პირობებში ძალიან რთული იყო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარება, და ზოგადად, ქვეყნის ევროპული გეზით აღმშენებლობაზე ფიქრი.

1919 წლიდან პერმანენტული რუბრიკების ნაცვლად ჩნდება საინტერესო პუბლიკაციები, რომელთა დიდი ნაწილი კვლავ მუშათა კლასის გარშემო ტრიალებს: ,,უბრალო მუშის ტკივილი", ,,მუშათა ნაყოფიერებისათვის", ,,სასურსათო ორგანიზაციები", ,,მკერავი ქალები, ,,პარიკმახერთა პრობლემები", ,,რა აკლია მუშას".

პუბლიკაციების კვლევამ მუშათა საკითხის შესახებ ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი ფაქტი გამოკვეთა. ფაქტობრივად, აღნიშნული საკითხი არ არის ერთგვაროვანი და ერთი კუთხით განსახილველი. მუშათა კლასი, რომელსაც ქმნიდა პროლეტარიატი, გარკვეულწილად, დაკავშირებული იყო სოციალიზმის მშენებლობასთან, რაც გულისხმობს, რომ საზოგადოების ეს

ნაწილი სოციალ-დემოკრატების თვალში აღიქმებოდა სოციალიზმის მშენებლობის ბირთვად. ასევე, მუშათა კლასს ეყრდნობოდა ქვეყნისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სეგემენტის, მრეწველობის განვითარება, რაც ეკონომიკური წინსვლის საწინდარი იყო. ამიტომაც, საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურაში არსებობდა ორი ანგარიშგასაწევი ძლიერი ერთეული: მიწათმოქმედებისა და შრომის სამინისტროები. სწორედ ამ უკანასკნელის დიდი დამსახურებაა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება: კანონი შრომითი ხელშეკრულების შესახებ, საერთო საქალაქო ,,საავადმყოფო კასის" დაარსება, დაზღვევა და საპენსიო საკითხი, შრომის პირობებისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება, სამუშაო ქირის მოწესრიგება და სხვა რეგულაციები. მეტის გაკეთება საქართველოს რესპუბლიკას არ დასცალდა. ,,მთავრობას აქვს მიზანი უფრო გააძლიეროს მართვა-გამგეობა, მხედრობა, გვარდია და შინაური წესრიგი და დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ეს იქნება ზედმიწევნით შესრულებული და ყოველნაირი საფრთხისაგან ამოვალთ გამარჯვებული", - ნოე ჟორდანიას ამ სიტყვას მთავრობის სხდომაზე დადებითი ოვაციები და აპლოდისმენტები მოჰყვა (ერთობა, 1919, გვ. 2).

პუბლიკაციებით დავრწმუნდით, რომ სოციალ-დემოკრატები მუშათა საკითხს ყველაზე დიდ ყურადღებას უთმობდნენ. გარდა დასახელებული თემებისა, გამოჩნდა, რომ მუშათა კლასი წარმოადგენდა საზოგადოების ძლიერ და დიდ ნაწილს, რომელსაც გლეხობასთან ერთად მიზანშეწონილი პოლიტიკური ბრძოლა უნდა ეწარმოებინა და მტკიცე ნიადაგი მოემზადებინა საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობისათვის სოციალიზმის გასამარჯვებლად.

3.2. ეროვნული საკითხი გაზეთ „საქართველოს“ პუბლიკაციებში

გაზეთი „საქართველო“ ერთ-ერთი ავტორიტეტული პოლიტიკური ძალის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბეჭდური ორგანოა. აღნიშნული გაზეთის კვლევისას თვალსაჩინოა ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა, რომელიც თანდათან პოლიტიკური პროგრამის ჩარჩოში მოექცა და ხელი შეუწყო მომავალი პარტიის იდეურ ფორმირებას. ეროვნულ-დემოკრატებს თავისუფალი ბეჭდური სიტყვის ძალაც კარგად ესმოდათ, ამიტომ პარტიის შექმნისთანავე დაიწყეს ზრუნვა საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს ჩამოყალიბებაზე.

1915 წლიდან პერიოდული გამოცემების „კლდისა“ და „იმერეთის“ ნაცვლად თბილისში დაარსდა ყოველდღიური გაზეთი „საქართველო“. როგორც ისტორიოგრაფები მიიჩნევენ აღნიშნულმა პერიოდულმა ორგანომ მთელი საქართველოს მასშტაბით ერთიანი ეროვნული მიმართულების შექმნას ჩაუყარა საფუძველი.

პუბლიკაციების იდეური ანალიზისას დავეყრდენით პარტიის სახელმწიფო არქივში დაცულ პროგრამას, რომლის დებულება სამ ძირითად მიზანს გამოკვეთს: ეროვნული სუვერენობა, სოციალური ცხოვრების შენება და სახელმწიფოებრივი მოწყობა მთელი ერის თანასწორობის ნიადაგზე. ყოველივე ეს დიდი ილიას წამოწყებათა საფუძველზეა დამყარებული.

გაზეთი „საქართველო“ მოიხსენიება, როგორც ყოველდღიური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სალიტერატურო ბეჭდური ორგანო. პირველივე გვერდზე, დაბეჭდილია გაზეთის რეკვიზიტები და მისამართი: „საქართველოს“ რედაქცია მდებარეობს სასახლის ქუჩის №5-ში, ქართული ქარვასლის შენობაში. აქვეა საფოსტო მისამართიც: თბილისი, ფოსტის ყუთი №76, ტელეფონი რედაქციისა და კანტორისა - 15—73.

პუბლიკაციების სტანდარტი ასეთია: საგაზეთო მასალა გარკვევით უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე, რომელზეც აღნიშნული იქნება ავტორის ვინაობა და მისამართი. გაზეთის გამოწერის ღირებულება 3 თვით წარმოადგენს 40 მანეთს. ცალკეულად მისი ღირებულება 1 მანეთია. განცხადებების ფასიც ცვალებადია. პირველ გვერდზე სტრიქონი 1 მანეთი და 50 კაპიკი, ხოლო ბოლო გვერდზე 1 მანეთი ღირს.

რედაქცია მუშაობს დილის 9 საათიდან 3 საათამდე, გარდა უქმე დღისა, ხოლო კანტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე. სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ,,საქართველო," გაბაევის შესახვევში, ნომერ 47-ში მდებარეობდა.

როგორც წესი, იმ პერიოდის ყველა ქართულ გაზეთს სახელწოდების პარალელურად იდეოლოგიური სლოგანი გასდევს. ამ მხრივ გამონაკლისს არც ,,საქართველო" წარმოადგენს. ,,გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა. განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, აგრეთვე საპროფესიო და სატექნიკო ცოდნათა გავრცელებას" (საქართველო, 1918, გვ. 1).

პირველ გვერდზე, საყურადღებო ინფორმაციების ანონსის გარდა, კომერციული და პირადი დანიშნულების განცხადებებია განთავსებული. მეორე და მესამე გვერდებზე - ანალიტიკური სტატიები.

გაზეთ ,,საქართველოს" აქვს რამდენიმე პერმანენტული რუბრიკა: ,,ომი", ,,ბოლშევიკების დიქტატურა", ,,ქრონიკა", ,,პრესა", ,,საქართველოს პარლამენტში", ,,კორესპონდენცია", ,,პროვინციელის ფიქრები". ხშირია პუბლიკაციები, რომლებიც, აქტუალობის მიხედვით, რამდენიმე ნომერში გრძელდება: ,,სომეხი ხალხი და დაშნაკცუტიუნი", ,,საქართველოს დამოუკიდებლობა". ასეთი სტატიები, ძირითადად, მნიშვნელოვან საკითხებს ეხება. სათაურები საინტერესო და თვალშისაცემია: ,,ქართველი მენშევიკები", ,,მენშევიკების საქანელა", ,,პროვინციის ხმა", ,,ქართული

უნივერსიტეტი“, ,,ბოლშევიკები და სომხური საკითხი“, ,,ეროვნული საკითხი“, ,,პროგრამა მინიმუმი და მაქსიმუმი“, ,,ზავის გარშემო“, ,,სასურსათო საქმეები“, ,, ეროვნული ფინანსები“. აშკარაა, რომ სტატიების ასეთი დასათაურება მკითხველის დაინტერესებასა და ყურადღების მიპყრობას ისახავდა მიზნად.

გაზეთის პირველ გვერდზე ჩამოთვლილია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პუბლიცისტთა სახელები. როგორც სხვა პარტიულ გამოცემაში, აქაც გვხვდება ფსევდონიმებით გამოქვეყნებული სტატიები: მოკეთე, ქართელი, ალაზნისპირელი, შეუპოვარი, კალმისწვერა.

გაზეთ ,,საქართველოს“ 1918-21 წლების ყველა ნომერი, რომლებიც შევისწავლეთ, დაცულია თბილისის ეროვნულ საპარლამენტო ბიბლიოთეკაში. ორიგინალები მოიპოვება ქუთაისის ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც, თუმცა, გარკვეული ნაწილი საკმაოდ დაზიანებულია და ინახება სპეციალურ სათავსოში.

პუბლიკაციები დაწერილია კარგად გასაგები ენით, რაც ცხადყოფს, რომ წერილები საზოგადოების ყველა ფენისათვის ადვილად აღსაქმელი იქნებოდა. მასალები სარწმუნო და ობიექტური წყაროებიდანაა მოპოვებული. ხშირია დამოწმებანი, რათა ინფორმაცია რაც შეიძლება დამაჯერებელი იყოს. ,,გაზეთი ეცდება კერძო ინტერესები ეროვნულ ინტერესებს ანაცვალოს, პარტიულ მართლმორწმუნეობას სულიერ ხალვათობას და მუდმივ იჭვიანობას თავისუფალი ძიება დაუპირისპიროს“, - ვკითხულობთ ,,საქართველოს“ ფურცლებზე.

პუბლიკაციებში აქცენტირებული ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და შენარჩუნების, ასევე, ქართული ენის, ეკლესიისა და კულტურული თვითმყოფადობის თემატიკის მიხედვით, გამოიკვეთა ეროვნული საკითხი, როგორც აღნიშნული პარტიის იდეოლოგიური საფუძველი.

თბილისში დასტამბულ ჟურნალ-გაზეთებს შორის ,,საქართველო“ ერთ-ერთი პოპულარული გაზეთი იყო. მისი პირველი ნომერი 1915 წლის 24 მაისს გამოიცა.

გაზეთს საკმაოდ კარგი და კომპეტენტური პუბლიცისტების ქსელი ჰქონდა ჩამოყალიბებული. მისი სპეციალური კორესპონდენტები საქართველოს ყველა კუთხესა და საზღვრებს გარეთაც ინტენსიურად მუშაობდნენ, რათა ოპერატიულად მიეწოდებინათ საჭირო ინფორმაცია მთავარი ოფისისათვის.

,,საქართველოს“ თავისი არსებობის განმავლობაში რამდენიმე ცნობილი მოღვაწე რედაქტორობდა. პირველი ორი წლის განმავლობაში მას პუბლიცისტი სანდრო შანშიაშვილი ხელმძღვანელობს, რომელიც, ძირითადად, ყველა საპროგრამო წერილის ავტორია.

1917 წლის 12 აპრილს გაზეთ ,,საქართველოს“ რედაქტორობა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, თვალსაჩინო ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და პუბლიცისტმა **გრიგოლ ვეშაპელმა** გადაიბარა. მისი ყოველი სტატია ქართული დამოუკიდებლობის არსის ეროვნული გააზრებაა. ,,თავისთავად, საქართველოს ორიენტაცია ყოველთვის ქართული იყო“, - წერს ის 1918 წლის გაზეთის მეცხრე ნომერში (ვეშაპელი, 1918, გვ. 2).

1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო იმავე წლის 15 აგვისტოდან გაზეთ ,,საქართველოს“ დიდი დიპლომატი და თვალსაჩინო მოღვაწე, **გერონტი ქიქოძე** მეთაურობს.

გერონტი ქიქოძე, მიუხედავად მისი ოპოზიციური განწყობისა, ყველა პარტიას ერთობისაკენ მოუწოდებდა საქართველოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად: ,,სახელმწიფოს აშენების დროს საჭიროა ყველა სახელმწიფოებრივი ელემენტის გამოყენება, პარტიული რწმენის დამოუკიდებლად. საჭიროა შეთანხმებული პლატფორმის შედგენა“ (საქართველო, 1918, გვ. 4). თუნდაც ეს რამდენიმე წინადადება ცხადყოფს

პოლარიზებული პოლიტიკური ძალების მორიგებისა და საერთო შეთანხმებებისაკენ სწრაფვას.

გაზეთი ,,საქართველო“ სახელმწიფოსათვის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე და მათ შორის, ქართულ-გერმანული ურთიერთობების შესახებაც ბევრს წერდა. ,,საქართველოელების“ აზრით, რუსეთ-გერმანიის შერიგება დამამცირებელი იყო რუსეთის მხრიდან და არა გერმანიისთვის: ,,ბოლშევიკურმა რუსეთმა შეკრა სრულიად სამარცხვინო ზავი. გერმანიის იმპერიამ მიიღო არა მარტო ის ტერიტორია, რომელიც მის ძლევამოსილ ჯარს ეჭირა, არამედ ის მიწაც, სადაც დღემდე არცერთ გერმანელს არ დაუდგამს ფეხი“ (ქიქოძე, 1918, გვ. 1). ავტორი შიშობდა, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიაში დაგროვებულ რუსულ იმპერიალისტურ ენერგიას, შესაძლოა, სრულიად წაელეკა საქართველო.

გერონტი ქიქოძე, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი და შემდგომ დამოუკიდებელი პოლიტიკური მოღვაწე, ბოლომდე იზიარებდა ,,საქართველოელთა“ სულისკვეთებას. მისი ყოველი წერილი განმსჭვალულია შემდეგი ღირებულებებით: თავისუფლება, პიროვნება, საზოგადოება, მრავალფეროვნება, ერი, სამართლიანობა და პროგრესი.

1920 წლის ზაფხულიდან გაზეთის რედაქტორია ერთ-ერთი ღირსეული ეროვნულ-დემოკრატი **სპირიდონ კედია**. მისი პუბლიცისტიკის შესწავლით შეგვიძლია ვიმსჯელოთ გაზეთის ანალიტიკურ შინაარსზე. წერილები გამოირჩევა ძირითადად კრიტიკული მიმართულებებით. როგორც ჩვენთვის თვალსაჩინო გახდა, კედია წერს საქართველოში იმხანად მიმდინარე რომელიმე ძირითად მნიშვნელოვან პრობლემაზე, ასაბუთებს ამ პრობლემის წარმოშობის მიზეზებს და მიუთითებს ხარვეზებზე. ის ყოველთვის ცდილობს მმართველი ძალის შეცდომებზე აქცენტირებას და სთავაზობს საკუთარ მოსაზრებებს, ემხრობა ალტერნატიული გზების ძიებას ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას.

სპირიდონ კედია ხმამაღლა აჟღერებს ,,საქართველოელთა“ ერთსულოვან პოზიციას: ,,არსებობს ერთი საკითხი, გარდაუვალად ყველასათვის სავალდებულო - ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხი. აქ ჩვენ ყველა მთავრობასთან ვიქნებით, ყოველ გასაჭირის დროს“ (კრებული, 2019, გვ. 172). სწორედ ეს ,,უზენაესი სავალდებულო კატეგორია“ საქართველოს დამოუკიდებლობისა, რომელიც ასულდგმულებს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, არის გაზეთ ,,საქართველოს“ ღერძი. ჩვენი კვლევაც ამ მიმართულების ვექტორს მიჰყვება. გარდა ამისა, ,,საქართველოელებისათვის“ ,,ეროვნული თავისუფლება უცილობელი პირობაა პიროვნების თავისუფლების“ (საქართველო, 1918, გვ. 2), ამიტომ, გასაგებია, რომ გაზეთი ,,საქართველო“ გათვითცნობიერებული სიხარულითა და ზეიმით შეხვდა 26 მაისის დადგომას. ამ დღეს გამოდის გაზეთის ასმეერთე ნომერი. სათაურშივე იკვეთება უდიდესი პათოსი: ,,საქართველოს დამოუკიდებლობა გადასწყდა!“. ,,საქართველოს ყოველი ნაწილი, ქართველი ერის ყოველი საზოგადოებრივი წრე, ჯგუფი, ქედს მოიხრის საქართველოს აღდგენილი თავისუფლების წინაშე“ (საქართველო, 1918, გვ. 1).

გაზეთი ,,საქართველო“ მოსახლეობას საზეიმოდ ამცნობს: ,,დამოუკიდებელი საქართველო აღდგა, გაუმარჯოს საქართველოს!“ აქვეა სტატიები, რომლებშიც გააზრებულია ამ დღის განსაკუთრებული მნიშვნელობა: ,,საქართველოს დამოუკიდებლობის წინაშე“, ,,ახალი გზით’, ,,საქართველო მკვდრეთით აღდგა“, ხოლო 28 მაისის ნომერში სრულადაა გადმოცემული ისტორიული სხდომის მიმდინარეობა.

ჩაიარა ყველაზე მნიშვნელოვანმა დღემ და რედაქციაში მაშინვე იწყებენ ,,მუშაობას“, მსჯელობენ და წერენ სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებზე, ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე, საგარეო საშიშროებებზე, აწვდიან მკითხველს სრულ ტექსტებს და უტოვებენ კამათისა და აზროვნების საშუალებას.

კვლევისას აღმოჩნდა, რომ პირველად ქართული პოლიტიკის სივრცეში ეროვნულ-დემოკრატები გვთავაზობენ სახელმწიფო მოწყობის ყველასაგან დამოუკიდებელ, დემოკრატიულ მოდელს. მიუხედავად იმისა, რომ პირველ ეტაპზე მათაც აქვთ გერმანიის მხარდაჭერის იმედი, ისინი მაინც საკუთარი ნაბიჯებით სვლას ამჯობინებენ. როგორც დღეს, ასევე საუკუნის წინათაც, საზოგადოების ნაწილს ვერ წარმოედგინა საქართველოს არსებობა რომელიმე ძლიერი პროტექტორის გარეშე, თუმცა, გაზეთ ,,საქართველოს" 1918 წლის 4 იანვრის ნომერში ეროვნულ-დემოკრატები უშიშრად წერდნენ საკუთარი ძალებით დემოკრატიული რესპუბლიკის მოწყობის თაობაზე. ,,საქართველოს დემოკრატიის კონსტიტუცია სრულიად არ განისაზღვრება გერმანიისა და ინგლისის დემოკრატიით" (საქართველო, 1920, გვ. 2). საქართველოსა და გერმანიის დემოკრატიას ეროვნულ-დემოკრატები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ელემენტებს უწოდებდნენ.

1920 წლის ,,საქართველოს" მე-80 ნომერში საგარეო ურთიერთობების პრობლემატიკასთან დაკავშირებით ვრცელი სტატია ქვეყნდება: ,,ევროპა თუ რუსეთი", რომელშიც დემოკრატები სინანულით აღნიშნავენ, რომ იმ ომგამოვლილ ქვეყნებშიც კი მტკიცდება თანდათან ეკონომიკური მდგომარეობა, სტაბილური ხდება სოციალური პირობები ნორმალური ცხოვრებისთვის. ევროპის ქვეყნებში იკლებს სიდუხჭირე და საქართველოში იმატებს. რა არის ამის მიზეზი? - სვამენ ისინი პრობლემურ კითხვას. ობიექტური მსჯელობის შედეგად, მათი არგუმენტირებული პასუხიც აქვეა. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც წინ უსწრებს საქართველოს ეკონომიკის უკუსვლით, ბოლშევიკური რუსეთია. ამის მიზეზად პარტიის მესვეურები საქართველოს ბოლშევიკურ რუსეთზე დამოკიდებულებას ასახელებენ. დემოკრატების დასკვნით, სოციალისტური ექსპერიმენტები რუსეთისთვის დამღუპველი აღმოჩნდა, ხოლო ევროპაში მუშათა კლასის ცხოვრება შედარებით თავისუფალი და დამაკმაყოფილებელია, ამიტომ ,,ყველა კითხვის გადაჭრისას უნდა გვახსოვდეს ევროპის მაგალითები და იქვე არ

უნდა დავივიწყოთ, რამ დაამშია და გააღატაკა რუსეთი“ (საქართველო, 1920, გვ. 1).

როდესაც გავეცანით ოთხი წამყვანი პოლიტიკური ძალის პარტიულ პრესას, ყურადღება მივაქციეთ, რომ ყველა პარტიას ჰქონდა შემუშავებული პროგრამა მინიმუმი და პროგრამა მაქსიმუმი, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატებში გრძელვადიანი სტრატეგიული მოქმედების გეგმა ვერ ვიპოვეთ. თუმცა, ეს თავად გაზეთმა ,,საქართველომ“ ახსნა 1918 წლის 20 იანვრის მე-16 ნომერში. პუბლიცისტები მსჯელობენ, რომ პროგრამა მინიმუმი ბურჟუაზიული წყობილების სრული დემოკრატიზაციაა, ხოლო ,,პროგრამა მაქსიმუმი მხოლოდ და მხოლოდ სრული თავისუფლება!“

ეროვნულ-დემოკრატები დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად რეგულარული და ძლიერი არმიის ჩამოყალიბებას ითხოვდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მუშები, რომლებიც მრავლად არიან წითელი გვარდიის რიგებში, შექმნიან დისციპლინირებულ და კარგად გაწვრთნილ ჯარს.

ამ საკითხზე მიდის ცხარე მსჯელობა საკუთრივ ეროვნულ-დემოკრატებშიც. კერძოდ, არმია ჯობია თუ გვარდია. საბოლოოდ, ისინი თანხმდებიან, რომ არმია უპირატესია გვარდიაზე და ქმნის მეტ ფიზიკურ ძალას ქვეყნის დასაცავად. რა თქმა უნდა, არმია საჭიროა ისევ და ისევ საქართველოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად და სამშობლოს საკეთილდღეოდ. აღნიშნულ საკითხზე გვხვდება სპირიდონ კედიას კრიტიკული პუბლიკაცია: ,,ახალგაზრდა სახელმწიფოს გამაგრებისათვის, აუცილებელია წესიერი ჯარის შექმნა. ჩვენი მთავრობის პოლიტიკა ამ საქმეს მტრულად შეხვდა და ჯარის შექმნა შეაფერხა“ (კრებული, 2019, გვ. 169).

კვლევის შედეგად ცხადია, რომ კრიტიკა გაზეთის ფურცლებზე იყო მუდამ საქმიანი, მოტივირებული და არგუმენტირებული. კრიტიკული წერილები აუცილებლად სრულდებოდა ლოგიკური დასკვნით და მკითხველს (მთავრობას) შეეძლო ბევრი საგულისხმო რეკომენდაციის მიღება. მწვავე კრიტიკის სამიზნე სწორედ ის ფაქტები და მოვლენები ხდებოდა, რომლებიც,

გარკვეულწილად, საფრთხეს უქმნიდნენ საქართველოს დემოკრატიზაციასა და დამოუკიდებლობას. აქვეა პოლარიზების გამომწვევი მიზეზების არგუმენტები და მისი გამოსწორების გზების ძიებაც.

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმშენებლობაში უდიდესი წვლილი ეროვნულ-დემოკრატებმა საკონსტიტუციო პროექტზე მუშაობისას შეიტანეს. აღნიშნულ თემატიკაზე ისინი გაზეთის ფურცლებზეც მსჯელობენ და გამოაქვთ საკუთარი პრინციპული შეხედულებები საზოგადოების წინაშე.

დასასრულ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაზეთი ეროვნული მიმართულებით განიხილავდა იმ ეპოქისა და რეალობისათვის დამახასიათებელ ყველა საკითხსა და პრობლემას, რომლებიც რელევანტური იყო მისი კონცეფციისათვის. აღსანიშნავია, რომ პუბლიკაციები არ არის ვიწროპარტიული და სუბიექტური. გაზეთი ,,საქართველო“ გამოირჩევა თავისი ეროვნული პოზიციითა და დემოკრატიული ხასიათით.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი მიზანი იყო ერთიანი და განუყოფელი მამული, დამოუკიდებელი საქართველოს შექმნა და შენარჩუნება. საკუთარი ბეჭდური ორგანოს მეშვეობით მათ ნამდვილად გააკეთეს ყველაფერი ამ მისიის მსახურებისთვის.

3.3. გაზეთი ,,სახალხო საქმე“ - სოციალიზმი და ეროვნული იდეა

სოციალისტ-ფედერალისტთა იდეალი საქართველოში სოციალიზმის დამკვიდრება იყო და მათი მსოფლმხედველობა გულისხმობდა აბსოლუტურად თანასწორუფლებიან საზოგადოებას, რომელშიც ადამიანები ვალდებულნი იქნებოდნენ, სხვებთან ერთად თანაბრად მიეღოთ მონაწილეობა ქვეყნის კეთილდღეობის მშენებლობაში. შეხედულებებს

სახელმწიფოს მოწყობის შესახებ ისინი საკუთარი პოლიტიკური ორგანოს ,,სახალხო საქმის“ საშუალებით გამოხატავდნენ.

ოფიციალური წყაროების შესწავლით დასტურდება, რომ პარტიის ძირითადი პრინციპის თანახმად, უნდა გაუქმებულიყო კერძო საკუთრება, რითაც მოისპობოდა ორგანიზაციების კლასობრივი ხასიათი. სოციალ-ფედერალისტები მიიჩნევდნენ, რომ საჭირო იყო ადამიანების გათავისუფლება ყოველგვარი ჩაგვრის, დისკრიმინაციისა და ეკონომიკური ექსპლოატაციისაგან. აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა და ბურჟუაზიული იდეოლოგიისაგან თავის დაღწევა კი მხოლოდ რევოლუციით ესახებოდათ.

დავაკვირდეთ, როგორ მკაფიოდ აქვთ მათ ჩამოყალიბებული საკუთარი პოზიცია: ,,დამოუკიდებლობა შინაურ საქმეებში, ე.ი. ავტონომია, და საერთო საქმეებში შეთანხმება, ე.ი. ფედერაცია, აუცილებელი საჭიროებაა თავისუფალი განვითარებისათვის და სოლიდარული მოქმედებისათვის“, - გაწერილია სოციალ-ფედერალისტთა პროგრამაში (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პროგრამა, 1918, გვ. 7). იქვე ვკითხულობთ, რომ პარტიული ორგანიზაციის უპირველესი მიზანია, დამყარდეს სიტყვის, გამოხატვის, კრებისა და კავშირების, მიმოსვლისა და გაფიცვების სრული თავისუფლება. უნდა იყოს სრული თანასწორობა, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა.

ასე რომ, სოციალ-ფედერალისტების კონცეფცია სოციალურ თანასწორობას ეფუძნებოდა და მათ სახელმწიფოს მოწყობის სოციალისტური მოდელი ამისთვის ყველაზე შესაფერისად მიაჩნდათ. შესაბამისად, სოციალიზმის პროპაგანდას ისინი დიდ როლს უთმობდნენ საკუთარი პარტიული პერიოდული ორგანოს **,,სახალხო საქმის“** პუბლიკაციებში და საზოგადოებას უმტკიცებდნენ სოციალისტური წყობის უპირატესობას მათივე კეთილდღეობისთვის. რადგანაც სხვა პარტიებისგან ისინი ყველაზე მეტად ამ მსოფლმხედველობით გამოირჩევიან, ამიტომაც გამოვიტანეთ ეს საკითხი

გაზეთის ძირითად პრიორიტეტად, რომელმაც განსაზღვრა პარტიის სხვა შეხედულებებიც.

საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაზეთი ,,სახალხო საქმე“ იბეჭდებოდა თბილისში ამავე სახელწოდების სტამბაში. ეს ნიშნავს, რომ გაზეთს გააჩნდა საკუთარი სტამბა, რომლის არსებობა ბევრად მომგებიანი იყო მატერიალურად. შემცირებული ხარჯებით პარტიულ ორგანოს საშუალება ჰქონდა, სტაბილურად გამოეცა ოთხგვერდიანი გაზეთი. ბოლო გვერდზე მითითებულია მისამართი: ბარონის ქუჩა №14. შრიფტი - სტანდარტული.

პირველ ფურცელზე, რომელზეც გაზეთისა და გამომცემელი პოლიტიკური ორგანოს სახელწოდება დიდი შრიფტითაა დაბეჭდილი, მოცემულია საყურადღებო და მნიშვნელოვანი ინფორმაციული სტატიების ანონსი.

,,სახალხო საქმის“ საინფორმაციო ველი პუბლიკაციების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ყურადღებას იპყრობს სტატიების სათაურები, რომლებიც მიზნობრივად არის მორგებული თავად ტექსტს, ერთგვარად იდენტიფიცირებულია შინაარსთან და აღძრავს მეტის გაგების სურვილსა და ინტერესს. ,,სახალხო საქმე“ პოლიტიკურ ჭრილში განიხილავდა ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან მოვლენას.

ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს ყველა პუბლიკაციის დეტალური ანალიზი, მაგრამ ზოგადი შთაბეჭდილების შესაქმნელად დავასახელებთ რამდენიმეს: ,,მწარე სინამდვილე“; ,,ცხოვრების სინამდვილიდან“; ,,ხმა ჩვენც ამოვიღოთ“; ,,მაგარი ნერვები“; ,,ზოგი რამ“; ,,ჩვენი რესპუბლიკა“; ,,ცხოვრების ზედაპირზე“ და ა.შ. გვხვდება პერმანენტული სტატიებიც: ,,სოფლად და ქალაქად“; ,,ამიერკავკასია და საქართველო“; ,,ომის დეპეშები“; ,,ჟურნალისტის დღიური“ ...

,,სახალხო საქმეში“ დაბეჭდილია დამფუძნებელი კრების ყველა სხდომის შინაარსი, მინისტრებისა და მთავრობის წევრების სიტყვით გამოსვლები: ,,დამფუძნებელი კრება“; ,,მთავრობაში“; ,,სოციალ-დემოკრატების პარტიაში“; ,,პარლამენტის ცხოვრება“...

,,სახალხო საქმე“ მუდმივად აქვეყნებდა სოციალ-ფედერალისტების პარტიის თათბირებს, სხდომებს, გადაწყვეტილებებსა და სამუშაო გეგმებს. სხვა პარტიების შეხედულებების ფედერალისტთა ბეჭდური მედიის ფურცლებზე გამოტანა ყოველთვის რაღაც მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს უკავშირდებოდა.

პუბლიკაციების შესწავლით იკვეთება სოციალ-ფედერალისტების ძირითადი მიზანი - უფლება-მოვალეობებით განმტკიცებული, ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ცხოვრება.

,,სახალხო საქმე“ წერდა საქართველოში დემოკრატიული წარმომადგენლობითი მმართველობის ჩამოყალიბებაზე, რომელიც დაემყარებოდა საყოველთაო, თანასწორ და ფარულ საარჩევნო უფლებას. პრიორიტეტად მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა ცხადდებოდა.

საგაზეთო ტექსტებში დიდი ყურადღება ეთმობა სამუშაო საათებისა და შრომის ექსპლუატაციის საკითხებს, არასრულწლოვანთა, ფეხმძიმე ქალბატონების, მცირეწლოვანი ბავშვებისა და მრავალშვილიანი დედების შრომით უფლებებს. აღსანიშნავია ფედერალისტების მიერ პირველად გაჟღერებული შრომის ბიუროების დაარსების ინიციატივაც.

სოციალ-ფედერალისტებმა საკუთარი მოწოდება შემდეგი ლოზუნგით გამოაქვეყნეს: ,,საქართველო მშრომელ ხალხს!“ ესაა მათი სლოგანი ყველა არჩევნებისას. ,,მუშათა კლასის დღევანდელი ბრძოლის საგანია თანამედროვე ეკონომიკური წესწყობილების დარღვევა. მისი მთავარი საქმეა

არამხოლოდ ეკონომიკური კეთილდღეობა, არამედ განვითარება უმაღლეს სულიერ თვისებათა“ (სახალხო საქმე, 1918, გვ. 2).

,,სახალხო საქმის“ პირველივე ნომერში, დევიზივით იკითხება: ,,ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა უნდა იყოს სინდისისა და სიმართლის მეტყველი“. საინტერესოა გაზეთის ბოლო გვერდი, რომელიც ყოველთვის პრესის მიმოხილვას ეძღვნება. ფორმატი დანარჩენი პარტიული ბეჭდური ორგანოების მსგავსია. ჩანს, ქართული, რუსული და უცხოური პრესა ქართველ საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევდა. ცალკე რუბრიკები ეთმობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს: ,,რუსული პრესა“, ,,თურქული პრესა“, ,,ლონდონში“, ,,ევროპაში“, ,,ამერიკაში“.

,,სახალხო საქმე“ საინფორმაციო პორტალს წარმოადგენდა და ყოველღიურად აწვდიდა საზოგადოებას ახალ ამბებს. საგაზეთო რუბრიკები ,,უკანასკნელი ცნობები“ და „ახალი ამბები“ ეძღვნებოდა მნიშვნელოვან, პრობლემურ საკითხებს.

ჩვენ შევისწავლეთ გაზეთის 1918-21 წლების პლატფორმა, რომელიც შეგვიძლია ასე ჩამოვაყალიბოთ: ,,სახალხო საქმე“ ასახავდა ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესს, ეხმაურებოდა საზოგადოებისათვის საინტერესო და პრობლემატურ საკითხებს, სისტემატურად აშუქებდა დამფუძნებელი კრების მუშაობას.

მართალია, ,,სახალხო საქმე“ წმინდა პარტიული ორგანოა და ეს გულისხმობს, რომ გაზეთს გააჩნია საკუთარი ტაქტიკა, მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია, მაგრამ იგი არ ზღუდავს აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალებას და ცდილობს, მაქსიმალურად ობიექტურად აღწეროს მიმდინარე მოვლენები. ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს ჩვენ მიერ შესწავლილი ბეჭდური ორგანოს მასალა.

,,სახალხო საქმის“ პუბლიცისტები შემდეგი ფსევდონიმებით აქვეყნებდნენ საკუთარ პუბლიკაციებს: ქაქუჩელა, სანგანიძე, ძია ლადო, შინაური, დამსწრე, ვარლამ იმერელი, კახელი, პარტიზანი, სანდო..

,,სახალხო საქმე“ ეროვნული და პატრიოტული საკითხების ერთგვარი აპოლოგეტია. პარტიის მესვეურებს მიაჩნდათ, რომ დამოუკიდებლობა რევოლუციური ძალების შეკავშირებით მიიღწეოდა და ეროვნული ერთიანობაც მხოლოდ სოციალიზმის პირობებში წარმოედგინათ. გაზეთის პუბლიკაციები გვარწმუნებს, რომ სოციალისტ-ფედერალისტებისათვის ეროვნულობა და სოციალიზმი ერთი, განუყოფელი კონტექსტითაა გააზრებული: ,,სოციალისტის უპირველესი მოვალეობაა ყოველის ღონით, ყოვლის საშუალებით ისეთი არსებობა მოუპოვოს ეროვნულ კოლექტივს, რომელიც სრულად უზრუნველყოფს მის თავისუფალ განვითარებას“ (სახალხო საქმე, 1918, გვ. 2). აღნიშნულის დადასტურებაა 1919 წლის 455-ე ნომერში გამოქვეყნებული სტატია, რომელიც სოციალ-ფედერალისტების მისიას ცხადყოფს: ,,ჩვენი პარტიის მიზანი მუდმივად იყო ეროვნული თავისუფლების მოპოვებით ქართველი ხალხისთვის გზა გაგვეხსნა ფართო სოციალური შემოქმედებისაკენ“ (სახალხო საქმე, 1919, გვ. 1).

სოციალიზმის თავსებადობა ეროვნულ იდეასთან ჩანს გაზეთის რედაქტორის სამსონ ფირცხალავას სტატიებში: ,,ეროვნული თავისუფლება ადამიანის არსებობის სრული შემოქმედების მისწრაფებაა. ეროვნება და სოციალიზმი ერთი-მეორეს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ საერთო საქმეს აკეთებს და ემსახურება“ (ფირცხალავა, 1918, გვ. 3).

ხალხის უფლებამოსილებების შესახებ სოციალ-ფედერალისტებს ასეთი პოზიცია ჰქონდათ: როგორც დემოკრატიული ქვეყნის საზოგადოებას შეეფერება, პირველ ადგილზეა არჩევნების გამართული სისტემა, რომელიც თითოეულ მოქალაქეს აძლევს უფლებას, მიიღოს მონაწილეობა და გააკეთოს საკუთარი არჩევანი. ყველაფერ ქართულს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ქართულ საკანონმდებლო ინსტიტუციებს, ქართულ სასამართლოს,

სამმართველოებს, საგანმანათლებლო სისტემას და ა.შ. გამომდინარე აღნიშნულიდან, ქართველ ხალხს ექნებოდა უდიდესი პრიორიტეტი, ქართულად განეგო საკუთარი ქვეყნის საქმე. აქეთკენ იყო მიმართული სოციალიზმის პროპაგანდაც. ეროვნული ღირებულებები შენივთებული იყო სოციალისტურ თემატიკასთან. გაზეთი აღიარებდა ეროვნულ მთლიანობას და, ამავდროულად, იცავდა სხვა ერების თავისუფლებას.

როგორ აისახება კრიტიკა გაზეთ ,,სახალხო საქმეში“? სოციალ-ფედერალისტები, გარკვეულწილად, ემიჯნებოდნენ მმართველ ძალას და საკუთარი გამოცემით მემარცხენე ოპოზიციის პლატფორმას ქმნიდნენ. თუმცა, ეროვნულ-დემოკრატებისაგან განსხვავებით, მათ ერთმანეთთან უფრო ,,თბილი“ ურთიერთობა ჰქონდათ, რაზეც ხშირად მწვავედ რეაგირებდნენ ეროვნულ-დემოკრატები. სარედაქციო წერილებში საჯაროდაა აღიარებული სოციალ-ფედერალისტების დამოკიდებულება სხვა პოლიტიკური ძალებისადმიც: ,,შეუძლებლად მიგვაჩნია შეთანხმება ეროვნულ-დემოკრატებთან, რადიკალ-დემოკრატებთან და დამოუკიდებელი პარტიის წარმომადგენლებთან. ჩვენი დემოკრატიული ეროვნების შემეცნება ვერასოდეს შეეგუება მათ ნაციონალისტურ პოლიტიკას. ასევე სოციალისტურ პარტიებთან ჩვენი საერთო გამოსვლა იშვიათად თუ მომხდარა“ (სახალხო საქმე, 1918, გვ. 2).

რიგ მიმართულებებში მმართველი ძალისა და ფედერალისტების აზრები მკვეთრად უპირისპირდებოდა ერთმანეთს. ასეთი იყო აგრარული და სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, რომლებიც წარმოადგენდა დავის, დისკუსიისა და განსჯის საგანს.

ფედერალისტები მუდმივად აქილიკებდნენ სოციალ-დემოკრატების ე.წ. ბურჟუაზიულ მიდგომებს, უგერგილო ქმედებებს საზოგადოებრივი მოწყობის საკითხებში და ვერ იტანდნენ მათ დამოკიდებულებას მუშათა კლასის მიმართ. შესწავლილი პუბლიკაციების მიხედვით, ვფიქრობთ, რომ მათი შენიშვნები მართებული იყო. ,,სოციალ-დემოკრატია საქართველოს

სახელმწიფოს აშენებს ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შერიგების მიხედვით, ხოლო სრულიად ყრუდ არის დატოვებული ქართველი ხალხის ის ელემენტი, რომელსაც გლეხკაცობა ეწოდება“ (ღლონტი, 1919, გვ. 2).

ფედერალისტები, და პირადად ,,სახალხო საქმის“ რედაქტორი, მიიჩნევდნენ, რომ ჯანსაღი კრიტიკა ხელისუფლების მიმართ აუცილებელი და სავალდებულო იყო.

დაპირსიპირება მმართველ ძალასა და სოციალისტ-ფედერალისტებს შორის განსაკუთრებით მწვავედ გამოჩნდა მთავრობის ახალი დეკლარაციისა და პროგრამის განხილვისას. მართალია, დეკლარაცია ნამდვილად შეიცავდა დემოკრატიული სოციალიზმის ელემენტებს, მაგრამ ეს დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა ფედერალისტებისათვის და მათი სერიოზული კრიტიკა გამოიწვია. ,,მმართველი პარტია აპირებს საქართველოში დაამყაროს მარტოოდენ დემოკრატიული სახელმწიფო და ერიდება მისცეს მას სოციალისტური ხასიათი,“ - მსგავსი განცხადებები პერმანენტულად იბეჭდებოდა გაზეთ ,,სახალხო საქმის“ ფურცლებზე. პარტია მიზანშეწონილად მიიჩნევდა მეურნეობის განსაზოგადოებას, რომელიც მოწყობილი იქნებოდა კოოპერატივების, საერობო და საქალაქო თვითმმართველობების მიერ.

სოციალისტ-ფედერალისტები ეროვნული არსებობის შიშით შეპყრობილ პარტიას ეძახდნენ სოციალ-დემოკრატიას. საყვედურობდნენ მას, რომ ისინი უგულებელყოფდნენ ქვეყნის მთავარ ძალას - ერს. ასევე, ფედერალისტები სოციალ-დემოკრატებს ქართველი ერის სულისკვეთების იგნორირებასა და ეროვნული საკითხისადმი ინდიფერენტულობაში სდებდნენ ბრალს: ,,სოციალ-დემოკრატების მთელ წარსულს არ გააჩნია არცერთი ტრაქტატი, რომელიც ქართველი ერის უფლებას შეეხება. მათ არ დაუწერიათ არცერთი ასო, რომ გამოეღვიძებინათ ქართველ ერში მიძინებული უფლებრივი შეგნება“ (კოტეტიშვილი, 1918, გვ. 2).

მიუხედავად სოციალისტ-ფედერალისტთა ოპოზიციური, წინააღმდეგობრივი სტატიებისა და კრიტიკული პუბლიკაციებისა, რომლებიც სოციალ-დემოკრატების საწინააღმდეგოდ იბეჭდებოდა, ფედერალისტები გამოკვეთდნენ საკუთარ პოზიციას, რომ ყოველი მამულიშვილის ვალი მაინც საქართველოს მთავრობის დახმარება და გვერდში დგომა იყო, რადგან ,,ყოველი ისარი, მთავრობის წინააღმდეგ ბოროტად გადმოსროლილი, ჰკოდავს და კვეთს სამშობლოს გულს და არყევს მის სტაბილურობას“ (სახალხო საქმე, 1919, გვ. 2).

ამ მხრივ აღსანიშნავია ეროვნული საბჭოს კრებაზე სამსონ ფირცხალავას მისასალმებელი სიტყვა, რომელშიც ის აცხადებს, რომ სოციალ-ფედერალისტები ყველანაირ მსხვერპლს გაიღებენ საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის: ,,ვუცხადებთ სრულ ნდობას რესპუბლიკის პირველ მთავრობას, რომელსაც დავეხმარებით ჩვენი ძალით იმ მძიმე და პასუხსაგებ საქმეში, რომელიც თავს იდვა ყოვლად მწვავე და რთულ პირობებში“ (სახალხო საქმე, 1918, გვ. 2).

საოცარი კეთილსინდისიერება და მაღალი სახელმწიფოებრივი თვითშეგნება არის გაჟღერებული ფედერალისტების შემდეგ პოზიციაში: ვებრძოლოთ ერთმანეთს კეთილშობილურად საკუთარი აზრების დასაცავად, მაგრამ საერთო საქმისთვის გავერთიანდეთ.

გაზეთ ,,სახალხო საქმის“ პუბლიკაციებით ჩანს, რომ ფედერალისტები თავს ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლ, საქართველოს თავისუფლების თვალმოუხუჭავ გუშაგად მიიჩნევდნენ. ხელისუფლებას მოუწოდებდნენ დიალოგისა და თანამშრომლობისაკენ, თუმცა ყველა საკითხი მათ მიერ სოციალიზმის თვალსაწიერიდან განიხილებოდა.

3.4. გაზეთი „შრომა“ - რევოლუციისა და პროლეტარიზმის ფილოსოფიური გააზრებისათვის

საქართველოს სოციალ-რევოლუციონერთა პარტია საკმაოდ მყარი პოზიციებით იმკვიდრებს თავს ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. იგი გამოსცემს საკუთარ პარტიულ ორგანოს, გაზეთ ,,შრომას“, რომელიც საერთოდ არაა შესწავლილი. დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ კვლევების კატალოგში მხოლოდ ერთი სამაგისტრო ნაშრომი შეგვხვდა, რომელიც აღნიშნული პარტიის ისტორიული მიმოხილვაა, ხოლო თავად ბეჭდური ორგანო, რომელიც მრავალმნიშვნელოვანია შინაარსობრივი თვალსაზრისითა და ობიექტურობის მხრივ, ყურადღების მიღმაა დარჩენილი.

წლების განმავლობაში, საბჭოთა ცენზურის გამო, გაყალბებულად და დამახინჯებულად ისწავლებოდა საქართველოს ისტორია და ბევრი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი. ქართულ სოციალ-რევოლუციონერთა პარტიაზე საბჭოთა მკვლევრები მხოლოდ უარყოფითი კონტექსტით წერდნენ. კომუნისტური პარტიის ისტორიის შრომებში ქართველი ესერები რევოლუციის მტრად და ანტაგონისტურად განწყობილ ძალად არიან მოხსენიებული. ჩვენ კი ხელთ გვაქვს თანამედროვედ, რეალურად შესაფასებელი დოკუმენტური მასალა, რომლის მიხედვითაც ესერებს საქართველოს შემდგომი განვითარებისთვის პერსპექტიულად რევოლუციური გზა მიაჩნდათ. რევოლუცია იყო მათთვის საწყისი ყოველგვარი სიახლის, კეთილდღეობის, პრობლემების გადაწყვეტისა.

ქართველმა სოციალ-რევოლუციონერებმა საქართველოს რუსეთისგან გათავისუფლებაზე ადრიდანვე დაიწყეს ზრუნვა. ისტორიული დოკუმენტებით დასტურდება, რომ მათ თბილისში კრებაც კი მოიწვიეს და დროებით მთავრობას დეპეშა გაუგზავნეს საქართველოს დამოუკიდებელი პოლიტიკური ავტონომიის შექმნისა და გამოყოფის თაობაზე.

ასეთი განსხვავებული შეხედულებების ფონზე, მით უფრო საინტერესო იქნება ჩვენეული ინტერპრეტაცია, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოებრივი საკითხების მიმართ ესერების დამოკიდებულებასა და მათი მოქმედებების შეფასებაზე, რომელსაც მათი პარტიული ორგანოს ,,შრომის“ პუბლიცისტიკა ასახავს.

,,გაზეთი ,,შრომა“ - ორგანო საქართველოში მოქმედ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა“. მიუხედავად ამ ვრცელი სათაურისა, გაზეთის პირველი გვერდის მარცხენა ზედა კუთხეში განთავსებულია წარწერა: სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია. ოდნავ დაბლა მოთავსებულია სხვა მონაცემები: გაზეთის ფასი - ერთი თვით 9 მანეთი, ხოლო ცალკეული ნომერი 40 კაპიკი ღირს. გაზეთში გამოქვეყნებული განცხადებების ფასი მანეთიდან 80 კაპიკამდე მერყეობს, აღნიშნულია, რომ ყველა წერილი აუცილებლად ხელმოწერილი უნდა იყოს.

გაზეთის სტრუქტურის შესწავლისას ყურადღება მრავალ დეტალზე გავამახვილეთ. ,,შრომის“ რედაქცია თავდაპირველად განთავსებული იყო ჭავჭავაძის ქუჩა №4-ში მდებარე სკოლის შენობაში, ხოლო მოგვიანებით, 1918 წლის სექტემბრიდან, ბარონის ქუჩის №16-ში. სტამბა, რომელიც რევოლუციონერების გაზეთს ბეჭდავდა, იხსენიება როგორც ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობა და გოლოვინის ქუჩის №26-ში მდებარეობდა.

გაზეთ ,,შრომას“, როგორც ყველა პარტიულ ორგანოს, აქვს რევოლუციური პათოსის სლოგანი - ,,ბრძოლაში ჰპოებ შენს უფლებას“. პირველი გვერდი ეთმობა ე.წ. სარჩევს (დაბეჭდილი პუბლიკაციების მოკლე შინაარსს) და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან სტატიებს. აქაც, როგორც სხვა პარტიულ გამოცემებში, ყურადღებას იპყრობს მუდმივი რუბრიკები: ,,მთავრობაში“, ,,ახალი ამბავი“, ,,საქართველოს პარლამენტი“, ,,პროვინცია“, ,,პარტიული ცხოვრება“, ,,პრესა“, ,,სოფლად და ქალაქად“, ,,დეპეშები“, ,,საზღვარგარეთ“. ამას გარდა, ცალკეული ტექსტები ეხება ყველა

მნიშვნელოვან და აქტუალურ თემას. უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელწოდებები დამაინტრიგებელი და თვალშისაცემია: ,,გაშიშვლდნენ“, ,,ჩვენი მტრები“.

გაზეთს სარედაქციო კოლეგია განაგებს: ლეო შენგელაია, ილია ნუცუბიძე და ივანე გობეჩია. სტატიების უმრავლესობა უავტოროა და თავად რედაქტორების მიერ იწერება. ხშირია ფსევდონიმებით გამოქვეყნებული პუბლიკაციები: ნაღმი, ზუგდიდელი, სუფსელი გლეხი, ხალხოსანი, კახათელი, დილიანი.

პირველი, რაც უნდა აღვნიშნოთ, ისაა, რომ მიუხედავად მწირი ფინანსური მდგომარეობისა, გაზეთი ,,შრომა“ მკითხველის ყურადღებას იპყრობს თავისი ტევადობით, ინფორმაციულობით, შინაარსობრივი და თემატური მრავალფეროვნებით. არ არსებობს საკითხი, რომელიც სოციალ-რევოლუციონერებს საკუთარი თვალთახედვის ჭრილში არ ჰქონდეთ განხილული. გარდა პოლიტიკური შინაარსის სტატიებისა, ბევრი პუბლიკაცია ეძღვნება საზოგადოებისათვის პრობლემურ და მნიშვნელოვან საკითხებს.

თვალსაჩინოა უცხოური პრესის დეტალური ანალიზი. საქართველოს მოსახლეობა ,,შრომის“ ფურცლების მეშვეობით თვალს ადევნებდა ევროპასა და აზიაში განვითარებულ მოვლენებს. ინფორმაცია თითქმის არასოდესაა მშრალი, თუ სათვალავში არ მივიღებთ განცხადებებს, რომელთა მიზანიც, ძირითადად, ამბების ერთგვარი ანონსირება და რეკლამაა. მედიატექსტები ყოველთვის ლოგიკურად, მკითხველთა ყველა ფენისათვის გასაგებ ენაზეა დაწერილი და ხშირად ერთვის ავტორის კომენტარი.

გაზეთის შესწავლისას გამოიკვეთა კიდევ ერთი საყურადღებო ნიუანსი - პუბლიკაციების ორგვარი სტანდარტი. გარკვეულ საკითხზე დაბეჭდილია ლაკონიური ტექსტი ინფორმატული სათაურებით, რომლებიც მაქსიმალური სიზუსტით ასახავს ფაქტებსა და მოვლენებს. გვერდით განთავსებულია მეორე სტატია იმავე თემაზე, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული ფაქტ-მოვლენის ანალიზს, ,,შრომელების“ ხედვას, მსჯელობასა და განხილვას

სხვადასხვაგვარი ვარიაციით. ფაქტობრივად, მსგავსი ტიპის სტატიები, რომლებიც სოციალ-რევოლუციონერი პუბლიცისტების მიერ იქმნება, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ავტორთა შეფასება და დასკვნა საკმაოდ მრავალფეროვანი ინტერპრეტაციებით. აღნიშნული ცხადყოფს ქართული ჟურნალისტიკის მაღალ დონესა და პუბლიცისტების განათლების ხარისხს.

ბევრი პუბლიკაცია ეძღვნება მიწის საკითხს. აღნიშნულთან დაკავშირებით ესერები სოციალ-ფედერალისტების თანამოაზრენი არიან. საინტერესო ხედვა აქვთ მათ საკონსტიტუციო პროექტზე, სოციალ-რევოლუციონერები სიღრმისეულად და კომპეტენტურად ეკიდებიან საკვანძო საკითხებს.

კვლევა გვაძლევს საშუალებას, ერთმნიშვნელოვნად განვსაზღვროთ ესერთა პოზიცია. მათი მიზანი, თან ერთ-ერთი პირველი, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება გახლდათ, თუმცა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ამ დამოუკიდებლობასაც ისინი სოციალური საკითხების პრიზმაში განიხილავდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალიზაციის კუთხით მათი მსოფლმხედველობა მსგავსი იყო სოციალ-ფედერალისტების შეხედულებებისა, ისინი მაინც ეჭვის თვალით უყურებდნენ ამ პარტიის მოსაზრებებს.

ესერები ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასაც არ ენდობოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მიწის საკითხი პრინციპულად უმნიშვნელოვანესი იყო ორივესთვის.

ქართველი ესერები რევოლუციის უდიდესი გულშემატკივრები და მისი მიმდევრები იყვნენ. ისინი მას ყოველგვარი დრომოჭმულის, გადაგვარებულისა და გამოუსადეგარის ახლით, საზოგადოებაზე მორგებული ყოფით შეცვლის გარანტად მიიჩნევდნენ. ამ პათოსითაა გაჟღენთილი თითოეული სტატია. აქედან მომდინარეობს ის მწვავე კრიტიკაც, რომელიც მმართველი ძალისა და მისი მხარდამჭერების მიმართ

ჟღერდება. ,,თუკი ხალხი დაინახავს, რომ მთავრობა არის რევოლუციური, რომ ის წინ უძღვის ხალხს მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მაშინ ოსმალოს აგენტებსა და კონტრ-რევოლუციონერებს არავითარი გასავალი არ ექნებათ", - წერენ ესერები, რომლებიც რევოლუციურ ხელისუფლებას ხალხის სწორუპოვარ მცველად მოიაზრებენ. ,,ფართო რეფორმები და რევოლუციონური შემოქმედება. აი, რა მოუღებს ჩვენში ბოლოს ანარქიასა და არევ-დარევას და განამტკიცებს რევოლუციურ წესრიგს, რაც აუცილებელი პირობაა რევოლუციური სახელმწიფოს ასაშენებლად (ფარი, 1918, გვ. 3).

ესერები თამამად აჟღერებდნენ საკუთარ პროექტებს, გეგმებსა და შეხედულებებს. ღიად ინიცირებდნენ როგორც პარლამენტში, ასევე, პრესის ფურცლებზე. სტატიაში ,,ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალი", რომელიც 1919 წლის 38-ე ნომერშია დაბეჭდილი, ,,შრომის" რედაქცია მწარედ პასუხობს მთავრობის ცილისწამებას: ,,მიწათმოქმედების მინისტრი ბრალს გვდებს, თითქოს ჩვენ ვუმალავდეთ ჩვენს პროგრამას და შეხედულებებს გლეხებს. თუკი ვინმე უმალავდა გლეხებს რამეს, ეს იყო სოციალ-დემოკრატია".

ესერები რევოლუციისა და გლეხობისადმი დიდ სოლიდარობას გამოხატავდნენ. მათთვის მიუღებელი იყო პოზიცია მმართველი ძალისა, რომელსაც გლეხები ყოველგვარი უარყოფითის სათავედ და ,,რეგვენ რეაქციონერებად" მიაჩნდა. ასევე, ისინი იწუნებდნენ მთავრობის პოზიციას პროლეტარიზაციის მიმართ.

ჩვენ შევისწავლეთ ყველა სტატია, რომლებიც რევოლუციასა და პროლეტარიზაციის საკითხებს ეხება. ,,შრომის" პუბლიცისტები ძალიან საინტერესოდ და არგუმენტირებულად მსჯელობენ. კვლევამ აჩვენა, რომ ესერები სოციალიზმის მშენებლობის ორ გზას გამოყოფენ: კაპიტალიზაციისა და კოლექტივიზაციისას. პირველი გზით სოციალიზმის განხორციელებას ესწრაფვის მარქსისტული მიმდინარეობა. მიუხედავად იმისა, რომ საგაზეთო ტექსტებში ბევრგან ჩანს მარქსისტული თეორიების

მიმღებლობა, ამ შემთხვევაში, სოციალ-რევოლუციონერები საკუთარი შეხედულებებით ხელმძღვანელობენ. ესერები კოლექტივიზაციას საკუთარ, ხალხოსნურ გზად მიიჩნევენ და ამ განწყობით პოზიციონირებენ. ასევე, კაპიტალიზაცია მათთვის გლეხობის გაპროლეტარებას, ანუ მათ გაქრობას ნიშნავს, მაშინ როცა, მეორე მიმართულება სოციალიზმის მშენებლობის იმედს სწორედ გლეხობისა და მუშათა კლასის პოტენციალზე ამყარებს.

ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ლეო შენგელაია გადაჭრით ეწინააღმდეგება რუსული მმართველობის დამყარებას, ააშკარავებს მის მანკიერებებს და ხსნის მის შეუთავსებლობას დემოკრატიულ ფორმებთან.

გლეხობის პროლეტარიზაციას ესერები უარყოფითად აფასებენ. მათი აზრით, ეს გლეხობის გაღატაკებას ნიშნავს. 1919 წლის 42-ე ნომერში, რომელიც 23 თებერვალს გამოიცა, გამოქვეყნებულია სტატია ,,საჭირო გაკვეთილი". პუბლიკაციაში ჩანს, რომ გაზეთი ,,ერთობა" უარყოფს საკუთარ ნააზრევს, ცდილობს შეალამაზოს ის და ამბობს, რომ გლეხობის პროლეტარიზაცია სრულიადაც არ ნიშნავს მის დაკნინებასა და დუხჭირ ყოფაში ცხოვრების გაგრძელებას. ,,შრომის" რედაქცია ლოგიკურად და არგუმენტირებულად აბათილებს სოც-დემოკრატების პოზიციას. ,,პროლეტარი ისეთ კაცს ჰქვია, რომელსაც შეუძლია თქვას, რაც მაქვს, თან დამაქვსო," - წერია აღნიშნულ ნომერში.

,,შრომელები" სოციალ-დემოკრატებს უპირისპირებენ ამონარიდებს გერმანელი რევოლუციონერის კარლ მარქსის მოძღვრებიდან, მოჰყავთ ციტატები, აანალიზებენ და აზოგადებენ მათ. მარქსიცა და ენგელსიც წვრილ მრეწველებს, ვაჭრებსა და ხელოსნებს თითქმის პროლეტარიატში გადასულ ფენებად აღიქვამდნენ და ამას დამღუპველ გარემოებად ასახელებდნენ. ნაწყვეტი კარლ კაუცკის შრომებიდანაც პროლეტარიატის შემდეგ ნიშნებს გამოყოფს: გლეხთა ფენაში წარმოების იარაღებისა და საშუალებების ნაკლებობა, რაც ავტომატურად ნიშნავს ამ ფენის გაპროლეტარებას: ,,ამრიგად, სოციალ-დემოკრატია გლეხების პროლეტარიზაციას ქადაგებს,

ხოლო გლეხების პროლეტარიზაცია არის გლეხების გაღატაკება“ (შრომა, 1919, გვ. 2).

აღნიშნულ საკითხზე ცხარე დებატებია გამართული. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი ,,ერთობა“ ცდილობს, უარყოს ცილისმწამება, თუმცა, მათი არგუმენტი ,,პროლეტარიზაცია ჩვენს მოძღვრებაში კი არ წერია, არამედ ის ჩვენდა დამოუკიდებლად ხდება და ჩვენ მას აღვნიშნავთ, როგორც აუცილებელ ფაქტსო“, - კიდევ უფრო მწვავე კრიტიკის თემა ხდება. თუკი ეს საშიშროება არსებობს, ვისი, თუარა მთავრობის ვალდებულებაა ებრძოლოს მას? ფაქტია, რომ ასეთი დეტალური ანალიზი და პუბლიკაციები სხვა ოპოზიციურ გაზეთებში არსად გვხვდება.

გაზეთ ,,შრომაში“ რევოლუციური ხასიათის ტექსტები საკმაოდ მრავლადაა. ესერების აზრით, ყოველგვარი ცუდის, მათ შორის, ყველაზე დიდი ბოროტების, ომის დასრულება მხოლოდ რევოლუციითაა შესაძლებელი. გაზეთი ,,შრომა“ იმდენადაა განმსჭვალული რევოლუციური სულისკვეთებით, რომ ბოლშევიზმის, როგორც რადიკალური მიმდინარეობის სასიკეთო გარდატეხის ერთადერთ საშუალებადაც მას მოიაზრებს: ,,ბოლშევიზმის დამარცხებას კი არ უნდა ვცდილობდეთ, უნდა ვესწრაფოთ მის გარდაქმნას რევოლუციურ მეთოდურ მოძრაობად“ (შრომა, 1918, გვ. 1).

,,შრომის“ პუბლიკაციებში რევოლუციის უდიდეს ძალად მისი ზნეობრივი მხარე მიიჩნევა. რუსეთის რევოლუციას ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მან საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა. ესერების აზრით, სწორედ რუსეთის რევოლუციის დაგვიანებული გამოძახილი იყო გერმანიის რევოლუცია. აქვეა დასაბუთებული, რატომ ვერ მიიღო რუსეთმა რევოლუციისაგან მაქსიმუმი. იმიტომ, რომ ის ატარებს მეშჩანურ ზომიერებას და მინიმალურ ტენდენციებს და ,,გერმანიის რევოლუციასაც იგივე ბედი ეწევა, თუ ის ვერ გასცდა გერმანიის საზღვრებს“ (შრომა, 1919, გვ. 1).

მათ მიაჩნდათ, რომ რუსეთის რევოლუცია თავდაპირველად ადამიანის ღირსებების ერთგული ქომაგი და დამცველი იყო, აკრიტიკებდნენ ბოლშევიკების ქმედებებსა და მათ უარყოფით, დამღუპველ ზეგავლენაზე მიუთითებდნენ: ,,სანამ რევოლუციას მაღლა ეჭირა დროშა ზნეობრივი სისპეტაკისა, ის ძლიერი იყო, მაგრამ როცა ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს მისი მესვეურობა, მათ ეს დროშა სისხლში ამოსვარეს“ (შრომა, 1918, გვ. 2). სტატია გმობს ბოლშევიკების ქცევას, რომ მათ დაუწყეს დევნა პრესას, სიტყვის თავისუფლებას და ფეხქვეშ გათელეს ყოველგვარი უფლებრივი ნორმები, რამაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვია რევოლუციის მონაპოვარის განადგურება.

ქართველი ესერები საღად მსჯელობენ რევოლუციურ საკითხებზე. ისინი მიიჩნევენ, რომ რუსეთის რევოლუციის მარცხი ოპორტუნიზმისა და ავანტურიზმის ნაზავმა გამოიწვია და თუკი გერმანია ვერ აიღებს საჭირო გამოცდილებას, შესაძლოა, სწორედ ზემოთ აღნიშნულმა განაპირობოს გერმანიის რევოლუციის დამარცხებაც.

მიუხედავად სოციალ-რევოლუციონერების ოპონირებისა, კვლევამ აჩვენა მათი დადებითი განწყობა ოპოზიციურ პარტიებსა და მმართველ ძალასთან თანამშრომლობის მიმართ, ასევე, მზაობა კონსენსუსის მისაღწევად. როგორც ჩანს, რევოლუციური ბრძოლები და მათი რეზონანსი იმდენად მნიშვნელოვანი იყო ესერებისათვის, რომ ისინი მზად იყვნენ ერთობლივი ფრონტის შესაქმნელად გაერთიანებულიყვნენ: ,,როცა საფრთხე ემუქრება დემოკრატიასა და რევოლუციას, ჩვენი პოლიტიკა არის შეთანხმება დემოკრატიულ ძალასთან საერთო საფრთხის წინააღმდეგ“, - აჟღერებს ლეო შენგელაია თანაპარტიელების შეხედულებას მთავრობის სხდომაზე (შრომა, 1918, გვ. 2).

საბოლოოდ, გვინდა ჩვენი დასკვნით დავადასტუროთ, რომ ქართველი სოციალ-რევოლუციონერები და მათი პერიოდული ორგანო ,,შრომა“ ნამდვილად იმსახურებს უფრო მეტ ყურადღებას.

შესწავლილი პუბლიკაციებიდან, მათი შინაარსის, აქტუალობისა და სარგებლიანობის თვალსაზრისით, აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ ქართველი ესერები ფიქრობდნენ და მოქმედებდნენ ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე და მათი სიტყვა და საქმე პატრიოტიზმის გამოხატულებაა. ეროვნული თავისუფლება და ქვეყნის დამოუკიდებლობა კი მათ რევოლუციის მონაპოვრად მიაჩნდათ. აუცილებლად უნდა ვახსენოთ ესერების წვლილი ორი უდიდესი პროექტის - აგრარული საკითხისა და კონსტიტუციის შემუშავებაში, რომლებიც მათ წარადგინეს დამფუძნებელ კრებაზე. მიუხედავად ესერების თავდაუზოგავი მცდელობისა, მათმა იდეებმა ვერ პოვა თანამოაზრეები.

ვფიქრობთ, ქართველი ესერების მიმართ შექმნილი სკეპტიკური დამოკიდებულება მხოლოდ მათი ისტორიული ფესვებიდან არ მომდინარეობს. სოციალ-რევოლუციონერების თავგამოდებულ ერთგულებას რევოლუციისადმი, შესაძლოა, არასწორი ინტერპრეტაცია გამოეწვია. გაზეთ ,,შრომის“ პუბლიკაციების კვლევამ დაგვარწმუნა, რომ ესერები რევოლუციას ყოველგვარი სიკეთისა და სიახლის წინაპირობად და თავისუფლების საპირწონედ მიიჩნევდნენ. თავისუფლების არსი და მნიშვნელობა სწორად რომ ჰქონდათ გააზრებული, ამის ბევრი დამადასტურებელი დოკუმენტი ვიპოვეთ, და რაოდენ პარადოქსიც უნდა იყოს, აღნიშნული საკითხისადმი სერიოზულმა მიდგომამ გამოიწვია ბოლშევიკებისადმი ესერების განწყობის შედარებით დათბობა, როგორც ზოგიერთ სტატიაში აღმოვაჩინეთ. ზოგადად, სოციალ-რევოლუციონერები მუდმივად აკრიტიკებდნენ ბოლშევიკებს და თუკი მათ მიმღებლობაზე თანხმობას აცხადებდნენ, იმიტომ, რომ რუსეთში რეაქციულ ძალებს არ გაემარჯვა და ამით საფრთხე არ შექმნოდა საქართველოს სუვერენიტეტს.

3.5. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“ - საქართველოსა და გერმანიის სტრატეგიული პარტნიორობის ანალიზი

,,საქართველოს რესპუბლიკა“ პირველი სახელისუფლებო გაზეთია, რომელიც საქართველოს გათავისუფლებიდან, დაახლოებით ორ თვეში იბეჭდება. ყოველდღიური პერიოდული ორგანო ინფორმაციას ოთხიდან ექვს ფურცლამდე იტევს და დოკუმენტურად ასახავს დამოუკიდებლობის სამწლიანი პერიოდის გამოწვევებით სავსე ცხოვრების ეტაპებს. ,,საქართველოს რესპუბლიკა“ იბეჭდებოდა სამთავრობო სტამბაში და წარმოადგენდა ყოველდღიურ **,,საქართველოს მთავრობის მოამბეს**“.

,,საქართველოს რესპუბლიკა“, როგორც ხელისუფლების ოფიციალური ორგანო, ატარებდა სამთავრობო კურსს, თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ გაზეთში არ ხდებოდა მმართველი ძალის შეხედულებათა უპირობო კონსტატაცია. გაზეთი იყო საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ობიექტური ინფორმატორი.

გაზეთის პირველი რედაქტორი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი, ჟურნალისტი და პუბლიცისტი **პავლე საყვარელიძე** იყო. ,,საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორის მოვალეობის შესრულებისას, პავლე საყვარელიძე თავად გვევლინება პუბლიკაციების ავტორად. იგი, ასევე, პასუხისმგებელი იყო გაზეთის არაოფიციალური ნაწილის სტატიების პოლიტიკურ შინაარსსა და მიმართულებებზე.

1919 წლის მაისიდან გაზეთს შეეცვალა რედაქტორი და პერიოდული ორგანოს გამოცემას ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდა **ვიქტორ ნოზაძე** ხელმძღვანელობდა. რამდენიმე თვეში რედაქტორის პოზიციაზე **გრიგოლ მაჭავარიანი** დაინიშნა, რომელმაც უშრეტი ენერგიითა და პატრიოტული განწყობით ღირსეულად გააგრძელა წინამორბედთა

ტრადიცია და ბოლო ნომრამდე, 1921 წლის 23 თებერვლამდე იყო სამთავრობო ორგანოს მესაჭე.

გაზეთი ცდილობდა საკუთარი საქმიანობით წვლილი შეეტანა მოპოვებული დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, რომელიც ქვეყნის ირგვლივ არსებული რთული და საპასუხისმგებლო ვითარებისა და საჭირბოროტო პრობლემატიკის გარშემო მოსახლეობის კონსოლიდირებას, სახელმწიფოებრივი აზროვნების ამაღლებას მოიაზრებდა.

სტრუქტურულად ,,საქართველოს რესპუბლიკა“ ორ, ოფიციალურ და არაოფიციალურ ნაწილად იყოფა. ოფიციალურ ნაწილში გამოქვეყნებულია აღმასრულებელი და საკანონმდებლო აქტები, ბრძანებები, ქრონიკები, მთავრობის სტრუქტურული ერთეულების სხვადასხვა შინაარსის განცხადებები, მოწოდებები და სხვა. არაოფიციალური ნაწილი, რომლის კონტენტის შესწავლასაც დავუთმეთ წინამდებარე კვლევა, წარმოადგენს ჟურნალისტურ მასალას. ის ასახავს ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარებას ეკონომიკის, პოლიტიკის, საგანმანათლებლო, სასოფლო-სამეურნეო, სამხედრო და სხვა მიმართულებებით. გაზეთი ბეჭდავდა სტატიებს საერთაშორისო საკითხებსა და მეზობელი ქვეყნების პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

ერთ-ერთი მთავარი პრესის მიმოხილვის რუბრიკაა, რომელშიც დეტალურადაა გაანალიზებული საქართველოს იმ პერიოდის ძირითადი პარტიული გამოცემების ესა თუ ის საყურადღებო სტატია, ასევე, უცხოეთის პრესაც. აღნიშნული ცხადყოფს, რომ ქართველი საზოგადოება თვალს ადევნებდა, როგორ აფასებდნენ საქართველოს მდგომარეობას ევროპულ ბეჭდურ მედიაში.

,,მთავრობის მოამბის“ ფურცლებზე ვხვდებით დამფუძნებელი კრების, დროებითი პარლამენტის სხდომათა დეტალურ ანგარიშებს, რომლებშიც სიტყვასიტყვით, საგაზეთო სტატიების სტილით, დახვეწილი ენობრივი

ფორმით აღწერილია სხდომათა მიმდინარეობა, კამათი, შეკითხვები, მომხსენებელთა სიტყვით გამოსვლები, ოვაციები.

25 ივლისის ,,საქართველოს რესპუბლიკის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა ახლადშექმნილი მთავრობის სამომავლო სტრატეგია, მიზანი, სამოქმედო გეგმა და პროგრამა.

ხელისუფლებამ, ,,მთავრობის მოამბის“ მეშვეობით, მოუწოდა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებებს, მოქალაქეებს, მიუხედავად განსხვავებული კონცეფციებისა თუ შეხედულებებისა, მხარი დაეჭირათ მისთვის და ხელი შეეწყოთ აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში. ,,დღეიდან საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია, ,,მთავრობის მოამბიდან“ დაკვირვებით ამოიკითხოს სახელმწიფოს კანონი და ბრძანება და მათი გონიერი, უარუთქმელი ასრულებით ხელი შეუწყოს სახელმწიფოებრივ შემოქმედებას“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1918, გვ. 1).

აქტუალური საკითხი, რომელიც შესწავლილი სტატიების დომინანტია, არის **გერმანიასთან საქართველოს პარტნიორობა.** პუბლიკაციები აღნიშნულ თემატიკაზე 1918 წლის თითქმის ყველა ნომერშია დაბეჭდილი. ქართველი საზოგადოება გერმანიის გამარჯვების მომხრეა და მეტიც, იმედიანი თვალით შეჰყურებს ამ მოვლენას.
ქართულ-გერმანული ურთიერთობები დღეს განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც გერმანია დიდი შვიდეულის და ტრადიციული ევროპის ერთ-ერთი ძლიერი წარმომადგენელია და ჩვენს ქვეყანასთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ პირველ და მეორე მსოფლიო ომებში ის ჰეგემონობას ესწრაფვოდა, საქართველოს დამოკიდებულება, განსაკუთრებით ჩვენს საკვლევ პერიოდში, გერმანიის მიმართ საკმაოდ პოზიტიური იყო.

რას შეცვლიდა გერმანული მხარის გამარჯვება ჩვენი ქვეყნისათვის და გვიხსნიდა თუ არა 1921 წლის 25 თებერვლისაგან, იყო თუ არა გერმანია

მხოლოდ კოლონიზატორი და როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ქართველი ინტელიგენციის ეს არჩევანი რომ გამართლებულიყო? - ამ ფაქტების ახლებურად გადაფასება, ვფიქრობთ, აქტუალური და მნიშვნელოვანია.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში აშაკარაა გერმანოფილური განწყობა. გერმანული ორიენტაციის აღება უცებ, დაუფიქრებლად და ერთბაშად არ მომხდარა. ქართველი ინტელიგენცია დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა პროტექტორი ქვეყნის არჩევანს: ,,ჩვენი საერთაშორისო ორიენტაცია კარგა ხანია შეიცვალა, გერმანიას დავუკავშირდით და შევდივართ თავისუფალ ერთა და სახელმწიფოთა საერთაშორისო ოჯახში“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1918, გვ. 2)

ქართული პრესა ფხიზლად ადევნებდა თვალყურს გერმანიაში მიმდინარე პროცესებს, ასევე, გერმანიის პოლიტიკურ პერიპეტიებს, გამოხატავდა საკუთარ დამოკიდებულებას და სათანადოდ ასახავდა. ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი ინტელიგენცია საკმაოდ კარგად იცნობდა გერმანულ კულტურას, სისტემატურად ეცნობოდა გერმანულ პრესას და აკვირდებოდა ამ ქვეყნის პოლიტიკას მსოფლიო ასპარეზზე. ქართველები სათანადოდ აფასებდნენ გერმანელი ხალხის საუკეთესო თვისებებს.

სტატიებიდან ვეცნობით, რომ ხელისუფლება გერმანულ ორიენტაციას ევროპულ ოჯახში თვითდამკვიდრების, ასევე, ფიზიკურად ერის გადარჩენისა და ოსმალეთის დამპყრობლური პოლიტიკისაგან თავდაცვის ერთადერთ რეალურ შესაძლებლობად მიიჩნევდა. ეს ნაბიჯი რუსული ბოლშევიზმის მზაკვრული გეგმების შემაფერხებელიც აღმოჩნდა. გარდა ამისა, საქართველო ღრმად იყო დარწმუნებული, რომ გერმანიის ბედი პირველ მსოფლიო ომში დადებითად გადაწყდებოდა და ეს არიული ქვეყანა საკუთარი რწმენით, ძველი ტრადიციებითა და სტოიკური ხასიათით მალე შეცვლიდა მსოფლიო პოლიტიკის კურსს.

ჩვენი თვალთახედვის არეში მოექცა სტატიები ომის შედეგების წინასწარმეტყველების შესახებ და თვალსაჩინოა ქართული სიმტკიცე და შემართება. ,,როგორადაც არ უნდა წავიდეს საქმე, რა მიმართულებაც არ უნდა მიიღოს ომმა და საერთაშორისო ვითარების ხასიათმა, ჩვენმა რესპუბლიკამ, უპირველეს ყოვლისა, თავისი სახელმწიფოებრივი წყობილება და თავისუფლება უნდა განამტკიცოს და ამაგროს“, - ვკითხულობთ ,,მთავრობის მოამბეში“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1918, გვ. 2). ყველა პუბლიკაციაში ჩანს გერმანელთა გამარჯვებაში ქართველთა ღრმა რწმენა. მეტიც, თუკი რომელიმე უცხოური თუ ქართული გაზეთი ეჭვს გამოთქვამს აღნიშნულ საკითხზე, ,,საქართველოს რესპუბლიკა“ მყისიერად რეაგირებს და თავგამოდებით ექომაგება გერმანიას. 1918 წლის 78-ე ნომრის ერთ-ერთ პუბლიკაციაში ხაზგასმულია, რომ ხელისფლების მესვეურთ ზღაპრად მიაჩნიათ გერმანიის დამარცხებაზე ფიქრიც კი.

სტატიების კლასიფიცირებისა და სხვა ოფიციალური წყაროების გამოკვლევით, იკვეთება გერმანულ-ქართული ურთიერთობის სარგებელი და ვალდებულებები.

1918 წლის 8 ივნისს ფოთში სპეციალური მისიითა და საკუთარი შტაბით ჩამოდის ფრიდრიხ შულენბურგი და პროფესორი ერნსტ ცუგმაიერი. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“ ამ პერიოდიდან უფრო აქტიური ხდება. მრავლადაა პროპაგანდისტული სტატიები. ვხვდებით გერმანული მხარის საქმიანობის აღიარებასა და პოზიტიურ განწყობას. თითქმის ყოველ ნომერში დაბეჭდილია ოფიციალური პუბლიკაცია, რომელშიც ქვეყნდება ცუგმაიერის შეხედულებები და რჩევები.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ მეტი ყურადღება ეთმობა სარკინიგზო და სანაოსნო ტრანსპორტს. საქართველოში კარგად განვითარებული სარკინიგზო მაგისტრალი კავკასიაში მთავარი სატრანსპორტო არტერია იყო. აქედან გამომდინარე, სატრანზიტო ქსელის კონტროლი, რაც უმნიშვნელოვანესი იყო გერმანიისათვის, სწორედ ჩვენი ქვეყნის

საშუალებით უნდა განხორციელებულიყო. საზღვაო პორტების მეშვეობით კი, რომლებიც კავკასიის მთავარ კარიბჭეს წარმოადგენდა, გერმანია საკომუნიკაციო საშუალებებთან თავისუფალ წვდომას მიიღებდა.

შესწავლილი მასალიდან ჩანს, რომ ,,საქართველოს რესპუბლიკა" საზოგადოების წინაშე გერმანული ორიენტაციის მასშტაბურ აგიტაციას ეწეოდა. განსაკუთრებით ეს იკვეთება სტატიებში, რომლებშიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში გერმანიის უდიდეს წვლილზეა საუბარი. ,,მთავრობის მოამბე" ბევრჯერ იმეორებს ინფორმაციას 1918 წლის 28 მაისის მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ, როდესაც გერმანიასა და საქართველოს შორის დაიდო შეთანხმება და გერმანიამ, ფაქტობრივად, სცნო 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი და აღიარა საქართველოს სუვერენიტეტი. თუმცა, იურიდიულად ცნობა გერმანიის მხრიდან საკმაოდ გაჭიანურდა 1920 წლის 24 სექტემბრამდე. ,,26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და როდესაც იყო წამი, რომ ჩვენი ქვეყანა წარხოცილიყო და გავერანებულიყო, მან ხელი მოჰკიდა გერმანიას და მისი შემწეობით გადაარჩინა ქვეყანა ოსმალთა აწიოკებისაგან" (საქართველოს რესპუბლიკა, 1918, გვ. 2).

გარდა აღნიშნულისა, სტატიებში გვხვდება განათლების საკითხის მნიშვნელობის გააზრება ქართულ-გერმანული ურთიერთობის ფონზე. გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან იკვეთება სამი ინიციატივა, რომლებიც ამ მიმართულებით განხორციელდა: საქართველოში შესაძლებელი გახდა გერმანულენოვანი განათლების მიღება, გერმანიაში გაიგზავნა ქართველი წარჩინებული სტუდენტობა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოიწვიეს გერმანელი პროფესორები. საგაზეთო ტექსტების შესწავლის შედეგადაც ჩანს, რომ ზემოხსენებული სამი კომპონენტი ქმნიდა განათლების ევროპული ორიენტაციის შესაძლებლობას ქართველთათვის და აძლევდა უპრეცედენტო შანსს, ადგილზე მიეღოთ გერმანული განათლება. შემუშავდა სტუდენტების ევროპაში (უმეტესად გერმანიაში) სწავლის დაფინანსების

გრძელვადიანი პროგრამა, ხოლო ჩვენს უნივერსიტეტებში ფაკულტეტების გაძლიერება.

საკითხის სიღრმისეულად შესწავლამ აჩვენა, რომ აღნიშნულ პერიოდში გერმანიაში წარგზავნილი სტუდენტობის მთავარ მისიას სამეცნიერო და კულტურულ სფეროში საქართველოს კულტურისა და ისტორიის უნიკალურობის აღიარება წარმოადგენდა. ამ გზით ქართველი ახალგაზრდები ცდილობდნენ, გზა გაეკვალათ ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავლისკენ და რუსეთის პოლიტიკური გავლენებისგან დისტანცირებულიყვნენ. სამწუხაროდ, ეს მართლა საშვილიშვილოდ მნიშვნელოვანი წამოწყებები 1921 წლის შემდეგ თანდათან შეჩერდა.

რამდენად შეასრულა გერმანულმა ექსპედიციამ პოლიტიკური მისია და რამდენად გამართლდა მოლოდინი? ასე მოკლე პერიოდში საქართველოში ძლიერი არმიის შექმნა ვერ მოხერხდა. კავკასიის რესურსების გამოყენება თავიდანვე გადაჭარბებული იყო და ომში მოულოდნელი დამარცხების გამო საქართველო გერმანიას ვერც ტრამპლინად გამოადგა. მიუხედავად გერმანიაში არსებული უმძიმესი სოციალური მდგომარეობისა, ისინი მაინც ცდილობდნენ კავკასიაში საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური გაფართოების გეგმა განეხორციელებინათ. გერმანელები საქართველოს იშვიათ ქვეყანად მიიჩნევდნენ, სადაც მათ სანდო და კარგი რეპუტაცია ჰქონდათ შენარჩუნებული სამომავლო ეკონომიკური თუ პოლიტიკური საქმიანობისათვის. 1918 წლის ,,საქართველოს რესპუბლიკის“ პირველი ნოემბრის ნომერში გერმანიის ჯარების გაყვანით შეშფოთებული ქართველი ინტელიგენცია შიშობს, რომ საქართველო ჯერ კიდევ არ არის ისე მძლავრი, რომ მარტო დარჩენა შეძლოს საფრთხის პირისპირ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკით გერმანიის დაინტერესება არ იყო უანგარო და მას საკუთარი მიზნები ჰქონდა, არცერთი მისი ინტერესი არ ლახავდა საქართველოს სუვერენიტეტს: ,,გერმანია იცავდა

ჩვენს დამოუკიდებლობას და არ ჩარეულა ჩვენს საშინაო საქმეებში“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1918, გვ. 2).

აშაკარაა, რომ გერმანია საქართველოს თავის პარტნიორად მიიჩნევდა და აპირებდა ორმხრივ თანამშრომლობას, რომელიც ორივე სახელმწიფოსათვის ხელსაყრელი იქნებოდა. ,,საქართველო არასოდეს დაივიწყებს იმ კეთილ საქმეებს და შედეგებს, რაც გერმანიის აქ შემოსვლასა და მისგან ჩვენი ქვეყნის გადარჩენაში გამოიხატა“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1918, გვ. 2). ასე გამოთქვა ქართველმა ხალხმა საკუთარი მადლიერება და წუხილი იმის გამო, რომ ურთიერთკავშირი ამ ორ კეთილგანწყობილ სახელმწიფოს შორის, მიუხედავად ორმხრივი სურვილისა, არ შედგა.

ჩვენ შევეცადეთ, წარმოგვედგინა თითოეული გაზეთი პრიორიტეტული საკითხის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ,,მთავრობის მოამბე“ ცდილობდა, ყველა თემაზე ეწერა, ჩვენ დავასკვენით, რომ ის ძირითადად მხოლოდ მნიშვნელოვანი ფაქტებისა და ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლებოდა. გარდა 1918 და 1919 წლის პირველი ნახევრისა, გაზეთი ნაკლებად აქვეყნებს ანალიტიკურ სტატიებს. მასში იშვიათად ვხვდებით მსჯელობას, არგუმენტებს, პასუხს სხვა პარტიული პრესის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებზე. ამიტომაა გაზეთი უფრო მშრალი და ოფიციალური.

თუმცა, აუცილებლად უნდა გამოვყოთ გაზეთის მთავარი ღირსება. ,,საქართველოს რესპუბლიკა“ მთავრობის მოამბეა, ოფიციალური სახელისუფლებო ბეჭდური ორგანო. ჩვენმა კვლევამ და პარტიულ გაზეთებთან შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ის არ იყო სოციალ-დემოკრატიის გავლენის ქვეშ და არ პოზიციონირებდა მხოლოდ მმართველი ძალის შეხედულებებით. სოციალ-დემოკრატებს თავისი აზრებისა და დებატებისათვის საკუთარი პარტიული ორგანო, გაზეთი ,,ერთობა“ ჰქონდათ, ამიტომ ,,საქართველოს რესპუბლიკა“ ობიექტურად ოფიციალური მასალებით შემოიფარგლებოდა. გაზეთში არ გვხვდება მწვავე კრიტიკა, ან

ოპონენტებისადმი საპასუხო წერილები, მას არ აქვს არც სპეციალური მოწოდება და თუ არ ჩავთვლით დამფუძნებელი კრების წინასაარჩევნო ლოზუნგებს, რეალური შთაბეჭდილება იქმნება ნეიტრალური და მიუკერძოებელი მედიასივრცის არსებობის შესახებ. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს საქართველოში პრესის თავისუფლებისა და პლურალიზმის მაღალ ინდექსს.

3.6. სიღრმისეული ინტერვიუს თვისებრივი ანალიზი

ჩვენი საკვლევი პრობლემა ჩარჩოშია წარმოდგენილი, რომელიც ეფუძნება რელევანტურ თეორიებს და ახდენს საკვლევი საკითხის იდენტიფიცირებას.

კვლევის მეთოდოლოგიის აღწერისას ვრცლად ვისაუბრეთ ნაშრომში გამოყენებული თვისებრივი კვლევის მეთოდების შესახებ, რომელთაგან სიღრმისეული ინტერვიუ ყველაზე გავრცელებული და პოპულარულია. მკვლევრები ინტერვიუს ინფორმაციის მოპოვების ეფექტურ და საიმედო მეთოდად ასახელებენ და თვისებრივი კვლევის მეთოდების ,,სავიზიტო ბარათს“ უწოდებენ.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია ინტერვიუს ყველაზე გავრცელებული და ტრადიციული ფორმა - ინდივიდუალური ინტერვიუ, რომელიც გულისხმობს მკვლევარსა და რესპონდენტს შორის ინტერაქციას. სოციოლოგი ლია წულაძე ინტერვიუს ,,შემოქმედებით ინტერვიუსაც“ უწოდებს, რომელიც ცოდნის, როგორც საზრისის წვდომის ერთობლივი პროდუქტის საფუძველზე იქმნება. ეს შეხედულება ეფუძნება სოციოლოგიური თეორიების მკვლევრის, ჯეკ დუგლასის კვლევას. ორივე ავტორის აზრით, სიღრმისეული ინტერვიუს გზით მიიღწევა აღნიშნული საზრისის წვდომა. ,,სწორედ სიღრმისეული ინტერვიუს აქტიური და შემოქმედებითი ხასიათის გამოა, რომ ის სოციალური რეალობის

კონსტრუირების მნიშვნელოვან მექანიზმად გვევლინება“ (წულაძე, 2020, გვ. 81).

1918-21 წლების პუბლიკაციების კვლევა და რეპრეზენტაცია მნიშვნელოვანია არამარტო წარსულის პოლიტიკური, კულტურული ან ეკონომიკური ფონის ძირითადი პრინციპების გასააზრებლად, აქტუალურია დღევანდელობაში არსებული პრობლემებისა და არასწორი ტენდენციების გამოსარკვევადაც. კვლევის ძირითადი **კონცეპტიც** ასწლოვანი მთავარი ფიქრის რეალობაში დანახვა და ანალიზია. საქართველოს ისტორიაში ამ მნიშვნელოვანი პერიოდის იდეათა კონტექსტუალური განხილვა ერთადერთი საშუალებაა ჩვენი კულტურულ-პოლიტიკური იდენტობის გასააზრებლად. რა თქმა უნდა, წარსული პასუხისმგებლობის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებები ვერ იქნება საყრდენი და ვერ განსაზღვრავს მასშტაბურ ფონს. ვფიქრობთ, დროის საუკუნოვანი მონაკვეთი და მისი პერიპეტიების შეფასება გზამკვლევი იქნება მომავლის მართებული ორიენტირის განსაზღვრისათვის.

სწორედ ამიტომ, აუცილებლად მივიჩნიეთ გავსაუბრებოდით დარგის ექსპერტებს, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მკვლევრებს, რომელთაც არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს 1918-21 წლებს. ჩვენი რესპონდენტები არიან ისტორიკოსები: **დიმიტრი სილაქაძე** (რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მკვლევარი, ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ენციკლოპედია-ლექსიკონის“ ავტორ-შემდგენელთა ჯგუფის წევრი, 1918-21 წლებზე არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი), **მიხეილ ბახტაძე** (საქართველოს ისტორიის მკვლევარი, ავტორი სამეცნიერო ნაშრომისა - ,,ბრძოლა თბილისის დაცვისათვის 1921 წლის საქართველო-რუსეთის ომის დროს“), **ირაკლი ირემაძე** (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მკვლევარი, 1918-21 წლების პერიოდზე არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელ ცენტრს, იყო საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის - ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

გახსენება 100 წლის შემდეგ: მოდელი ევროპისთვის?“ კოორდინატორი), **ხათუნა ჭანიშვილი** (სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ჟურნალისტიკის მიმართულებით, მონოგრაფიებისა და სამეცნიერო სტატიების ავტორი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ. აქვს ნაშრომები უშუალოდ 1918-21 წლების პრესაზე: ,,გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკა (გაზეთი ,,საქართველო“ 1918-1921), გრიგოლ რობაქიძის მთავარი პუბლიცისტური ფიქრი, 1918 წელს გაზეთ საქართველოში გამოქვეყნებული რამდენიმე პუბლიკაციის გამო, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პუბლიცისტური გააზრება და ენობრივი პოლიტიკის საკითხები), **რუსუდან ვაშაკიძე** (სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალისტი, ერთ-ერთი პირველი დისერტაციის ავტორი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრესის შესახებ), **თამარ ჩიბურდანიძე** (პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალისტი, არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი საქართველოს დემოკრატიული პროცესების შესახებ). მკვლევრები შევარჩიეთ მიზნობრივად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ ცოდნისა და კომპეტენტურობის მიხედვით.

ჩვენი კვლევის წიაღსვლების გასაღრმავებლად მკვლევარ-რესპონდენტებისათვის ჩამოვაყალიბეთ კონკრეტული კითხვები, რომელთა მიხედვით მათ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება გაგვიზიარეს, რამაც კიდევ უფრო ზუსტად განსაზღვრა ჩვენი კვლევის ობიექტი და ინტერესების სფერო. ინტერვიუები ჩაიწერა ერთ-ერთი აპრობირებული ,,ონლაინ“ მეთოდით. რაკი ზოგიერთ კონკრეტულ შეკითხვაზე საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანი პასუხი მივიღეთ, საუბრისას ახალი, მოუმზადებელი კითხვები გაჩნდა, რამაც ინტერვიუს **ნახევრადსტრუქტურირებული** სახე მისცა:

1. რა ფაქტორებმა გამოიწვია პლურალისტური და თავისუფალი პრესის ჩამოყალიბება 1918-21 წლების საქართველოში?

2. იყო თუ არა სოციალ-დემოკრატების მიერ არჩეული გეზი დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის ერთადერთი სწორი გზა დღევანდელი გადასახედიდან?
3. რა გარემოებები მიანიშნებდა, რომ საქართველოს ძლიერი პროტექტორი სჭირდებოდა?
4. შეინიშნებოდა თუ არა პოლიტიკური ძალების, და შესაბამისად, საზოგადოების პოლარიზება?
5. რატომ ენიჭება დემოკრატიული რესპუბლიკის კვლევას პრაქტიკული თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა?
6. რომელ საკითხს გამოყოფდით 1918-21 წლების მედიაპლატფორმაზე, რის გარშემოც მოხდა კონსოლიდაცია?
7. როგორ შეიძლება გავითვალისწინოთ საუკუნისწინანდელი პოლიტიკური ხედვა და მიდგომები თანამედროვე ქართულ რეალობაში?

სიღრმისეული ინტერვიუს მონაცემების ანალიზი ოთხი ეტაპისაგან შედგება: კოდირება, კატეგორიზაცია, ლოკალური ინტეგრაცია და ინკლუზიური ინტეგრაცია.

პირველ ეტაპზე გავშიფრეთ აუდიოჩანაწერები და მოვამზადეთ ტრანსკრიპტები, შემდგომ კი მოხდა მონაცემების კოდირება და კატეგორიზაცია. მონაცემები დავალაგეთ ინტერვიუებიდან გამოყოფილი საკვანძო ცნებების მიხედვით.

შესაბამისად, საკვანძო საკითხები შემდეგი ინტერპრეტაციით გამოიყო:

- პლურალისტური და თავისუფალი პრესის ჩამოყალიბების მთავარი მიზეზები.
- ქვეყნის მმართველი ძალის ევროპული არჩევანი.
- 1918-21 წლების მედიაპლატფორმაზე შექმნილი პოლარიზება და კონსენსუსი.
- საქართველო ძლიერი პროტექტორის მოლოდინში.

პრესის დამოუკიდებლობაზე საუბრისას მკვლევრები სოციალ-დემოკრატების სწორ პოზიციასა და ლიბერალურ შეხედულებებზე აკეთებენ აქცენტს. ისინი თანხმდებიან, რომ ქვეყნის ლიდერ ძალას აზრადაც არ მოსვლია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება რაიმე ქმედებით შეეზღუდა, ან რაიმე ტიპის ცენზურა შემოეღო. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს მათ პროგრესულ იდეებსა და დემოკრატიული აზროვნების სტრუქტურაზე. ისტორიკოს მიხეილ ბახტაძეს მაგალითად მოჰყავს პარლამენტის თავმჯდომარის კარლო ჩხეიძისა და სოციალ-დემოკრატ ალექსანდრე ლომთათიძის პირადი მიმოწერა, რომელშიც ისინი საგანგაშოდ მიიჩნევენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლობის სიმცირეს და იმედს გამოთქვამენ, რომ მომდევნო არჩევნებისას მათი რიგები საგრძნობლად გაიზრდება. ანალოგიურად მსჯელობს პირველი რესპუბლიკის მკვლევარი დიმიტრი სილაქაძე. აღნიშნული დოკუმენტური საბუთის განხილვისას უნდა დავასკვნათ, რომ სოციალ-დემოკრატებს არ აშინებდათ ოპოზიციური ძალების სიძლიერე. ჯანსაღი ოპონირება მათ უფრო საინტერესოდაც მიაჩნდათ, ვიდრე დუნედ და ერთფეროვნად წარმართული პროცესები (დანართი 1,2).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ ისტორიოგრაფიული შრომების ავტორი **ირაკლი ირემაძეც** ამავე აზრისაა. იგი ეხმიანება კოლეგა რესპონდენტების პოზიციას და არგუმენტირებულად ცდილობს, სწორ დასკვნებამდე მიგვიყვანოს (დანართ 4).

დიმიტრი სილაქაძესა და **მიხეილ ბახტაძეს** 1918-21 წლების უაღრესად დემოკრატიული გარემოს მთავარ მიზეზად ქვეყნის მმართველი ძალის სახელმწიფოებრივი აზროვნება და დიდი შეგნება მიაჩნიათ.

განსხვავებულია დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ერთ-ერთი სოლიდური კვლევის ავტორის, **ხათუნა ჭანიშვილის** პოზიცია. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ისტორიულად უპრეცედენტო ფაქტს არც ის უარყოფს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ეს ყოველივე არა სოციალ-დემოკრატების, არამედ

მანამდე მოღვაწე დიდებული პიროვნებების (სოლომონ დოდაშვილი, ილია ჭავჭავაძე და სხვ.) მემკვიდრეობაა, ხოლო სოციალ-დემოკრატები, უბრალოდ, დროის სწორად წამკითხველნი აღმოჩნდნენ და არ ან ვერ შეცვალეს ის მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდნენ (დანართი 5) .

მკვლევარი **თამარ ჩიბურდანიძე** ამ მხრივ ხათუნა ჭანიშვილის თანამოაზრეა. თავისუფალი პრესის შექმნის თარიღად 60-იანელთა პერიოდი ესახება და ღრმადაა დარწმუნებული, რომ იმ ძლიერ მუხტს, რომელიც თერგდალეულებმა შემოიტანეს, ვერანაირი ძალა ვერ შეაჩერებდა (დანართი 6).

საგაზეთო მასალების შესწავლისას ჩვენ მოვიკვლიეთ ფაქტი, როდესაც დაიხურა ეროვნულ-დემორკატიული პარტიული ორგანო, გაზეთი ,,საქართველო". აღნიშნულ ფაქტს მკვლევრებიც იხსენებენ და შესაბამისი არგუმენტები მოჰყავთ: მიხეილ ბახტაძე ასახელებს კიდევ რამდენიმე შემთხვევას, როდესაც დახურეს პერიოდული ორგანო და აქვე აღნიშნავს მიზეზებსაც. თუკი ხელისუფლება ფიქრობდა, რომ რომელიმე სტატია საფრთხეს უქმნიდა სახელმწიფოს ინტერესებს, აღნიშნულ რადიკალურ ზომებს მხოლოდ მაშინ იღებდა. არცერთი გაზეთი არასდროს დაუხურავთ პირადი კრიტიკისა და წყენის გამო (დანართი №1).

ის, რომ სოციალ-დემოკრატიული ძალა იმ პერიოდში უკონკურენტო ლიდერი იყო, მეცნიერთათვის სრულიად ბუნებრივია. ხელისუფალთა დემოკრატიულ ორიენტირებს უკავშირებენ დიმიტრი სილაქაძე, მიხეილ ბახტაძე და ირაკლი ირემაძე თავისუფალი და პლურალისტური პრესის არსებობასაც, გერმანიის პროტექტორობის არჩევანსაც მართებულად მიიჩნევენ და პარტიათა პოლარიზების მინიმალისტურ კოეფიციენტს ასახელებენ.

მიხეილ ბახტაძის პოზიცია ასეთია: აღნიშნულ პერიოდში სოციალ-დემოკრატია უკონკურენტო პოლიტიკური ძალა აღმოჩნდა. ეს იყო ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელსაც სწორი ხედვა და მაქსიმალური შესაძლებლობები ჰქონდა, ემართა ახალშობილი რესპუბლიკა.

სოციალ-დემოკრატების მსოფლმხედველობასთან მიმართებით საგულისხმოა **ხათუნა ჭანიშვილის** განსხვავებული პოზიცია. მკვლევარი გვეთანხმება, რომ სოციალ-დემოკრატებმა დემოკრატიის საკმაოდ მაღალი ინდექსი აჩვენეს, მაგრამ აქვე აღნიშნავს, რომ ეს ქართული მენტალობითა და ხასიათით არის განპირობებული. უდავოა, რომ თუ მსჯელობას ,,ერთობაში" დაბეჭდილი პუბლიკაციების მიხედვით წავიყვანთ, სოც-დემოკრატებისა და სხვა, თუნდაც ეროვნულ-დემოკრატების, აზროვნების სტრუქტურას შორის დიდ განსხვავებას შევნიშნავთ.

საინტერესოა დემოკრატიული რესპუბლიკის პრესაზე ერთ-ერთი პირველი დისერტაციის ავტორის, **რუსუდან ვაშაკიძის** ხედვა. მიუხედავად ეროვნულ-დემოკრატების იდეებისადმი პიროვნული და მეცნიერული კეთილგანწყობისა, მას სოციალ-დემოკრატიის გეზი მიაჩნია ევროპულად და ერთადერთ სწორ გზად.

ოთხი პარტიის ბეჭდური ორგანოს მედიაპლატფორმის მიმოხილვისას ჩვენ შევისწავლეთ სტატიები, რომლებიც ეხებოდა საქართველოს სრულიად დამოუკიდებლად, პროტექტორის გარეშე არსებობის დაშვებას. ჩაწერილ ინტერვიუებში ყველა მკვლევარი ასაბუთებს, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოს მხოლოდ საკუთარი თავის იმედად არსებობა, ფაქტობრივად, წარმოუდგენელი იყო. გვესმის, რომ შესაძლებელია ქვეყნის მოამაგე რომელიმე პატრიოტს თეორიის დონეზე დაეშვა ეს საკითხი, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა ამ საკითხის შეუძლებლობაზე მიუთითებს და ჩვენც სრულიად ვიზიარებთ მეცნიერთა აზრს. თუმცა, დავძენთ, რომ გერმანიის პროტექტორობის საკითხიც, რომლის გარშემოც პოლიტიკურ პარტიათა შორის მეტ-ნაკლები კრიტიკით მაინც მიღწეულ იქნა კონსენსუსი, ეროვნული თვითშეგნებისა და პირადი ღირსების გრძნობით უნდა მიგვეღო. მოგვიაზრებდა თუ არა გერმანია პარტნიორის ამპლუაში, საქართველოს მოქმედებებსა და სიმტკიცეზე იყო დამოკიდებული.

ქვეყნის მმართველი ძალის ინდიფერენტული დამოკიდებულება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით, რესპონდენტთა შორის საკამათო აღმოჩნდა. მკვლევრების ნაწილი სოციალ-დემოკრატების ასეთ ქმედებას მიზანშეწონილად და ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევს. აღნიშნულ პერიოდში, როდესაც კავკასიის ფრონტზე რუსეთის 500 000 ჯარისკაცისაგან შემდგარი არმიაა, და თუ ოსმალეთის იმპერიის ფაქტორსაც გავითვალისწინებთ, ქვეყნის ყველაზე ერთგულ გულშემატკივრებსაც კი საქართველოს სრულ გათავისუფლებაზე ლაპარაკიც სახიფათოდ უნდა მიეჩნიათ. მიხეილ ბახტაძე სოციალ-დემოკრატების ასეთ პოზიციას სიფრთხილესა და წინდახედულებას უწოდებს. მას ეთანხმებიან ირაკლი ირემაძე და დიმიტრი სილაქაძე. ხათუნა ჭანიშვილის კონცეფცია ამ კუთხითაც კრიტიკულია. ის იხსენებს გაზეთ ,,საქართველოში“ გამოქვეყნებულ ერთ პუბლიკაციას, რომელშიც საუბარია, რომ ქვეყნის ლიდერი პარტია ილუზიებს ვერ ელევა და ერთგვარ ეიფორიაშია: ,,ჩვენი სოციალ-დემოკრატია შეეჩვია თავის ქებას, დარწმუნდა და ქვეყანაც დაარწმუნა იმაში, რომ ჭკვიანი და გონიერია, რომ პოლიტიკური გამჭრიახობა და მიხვედრილობა სანიმუშო აღმოაჩნდა. ყველას სერიოზულად არწმუნებს, რომ ის რომ არა, სახელმწიფო ვერც დამოუკიდებლობას ეღირსებოდა და თუ ეღირსებოდა, მეორე დღეს დაკარგავდა. სახელმწიფო ახლა ოაზისია და ამ ოაზისის შემქმნელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიაა“ (დანართი 3). მკვლევარი ხაზს უსვამს ქართველი ხალხის თვისებას - მოვლენების გაიდეალებისა და რეალობის ლამაზად შეფუთვის მცდელობებს, რაც მიზეზი გახდა ბევრი შეცდომისა.

პროტექტორობის საკითხის შესახებ პარტიების გადაწყვეტილება მართებულად მიგვაჩნია. საქართველოს აუცილებლად სჭირდებოდა ძლიერი მფარველი, რომელიც არ ჩაერეოდა მის პოლიტიკაში და ითანამშრომლებდა ქვეყანასთან, თუნდაც საკუთარი ეკონომიკური თუ გეოგრაფიული ინტერესებიდან გამომდინარე.

რაც შეეხება პრესის მედიაპლატფორმის შეფასებას, აქაც საგულისხმოა ხათუნა ჭანიშვილის აზრი. ინტერვიუში ის აქცენტს აკეთებს ,,ერთობისა“ და ,,საქართველოს“ პუბლიკაციების განსხვავებულ შინაარსსა და აზროვნების მანერაზე. ,,ერთობაში“ იკვეთება კოლექტივის ძალისხმევა, ხოლო ,,საქართველო“ ადამიანის პიროვნულობას ანიჭებს უპირატესობას. სოციალ-დემოკრატები განაზოგადებენ ტენდენციებს, ეროვნულ-დემოკრატები კი ღირსეული ცხოვრების წესით მართულ სახელმწიფოზე ოცნებობენ (დანართი 3). შესწავლილი პუბლიკაციებიდან გამომდინარე, ჩვენ ვეთანხმებით მკვლევრის აზრს - ,,საქართველოელების“ აზროვნების სტრუქტურა მაქსიმალურად უახლოვდებოდა ,,სამყაროს მიერ შექმნილ კანონმდებლობას“. რომ ეროვნულ-დემოკრატების იდეური შინაარსი ინდივიდების (ადამიანების) ღირსებით შექმნილი სახელმწიფო იყო და ყოველივე ამას მივყავართ დასკვნამდე, რომ აღნიშნულ პარტიას ევროპული ცივილიზაციის ანტიკური საწყისის იდეა აქვს გადმოტანილი.

ჩვენი კვლევებით დადასტურდა ინტერვიუერთა პოზიცია, რომ სოციალ-დემოკრატიას არ შეუზღუდავს პრესის ფუნქციონირება დემოკრატიულ საქართველოში. ასევე, მიუხედავად მათი ,,იძულებითი ნაბიჯისა“, გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა, მათ მომდევნო სამი წლის განმავლობაში არასოდეს დაუჩივლიათ აღნიშნულის შესახებ. პირიქით, ვხვდებით ისეთ სტატიებს, რომლებშიც თავგანწირულად ამტკიცებენ, რომ ქვეყნის გათავისუფლების იდეურად მებრძოლი ერთადერთი ძალა აღმოჩნდნენ. ასევე, დამფუძნებელი კრების არჩევნები, ბევრი სახელმწიფოებრივი რეფორმა და პლურალისტური პრესა მათ დემოკრატიულ გეზზე მიუთითებს.

1918-21 წლების პრესის პლატფორმა სარკეა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ესაა დოკუმენტების მრავალფეროვანი პალიტრა, რომლის მეშვეობით ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტისა თუ მოვლენის აღმოჩენა შეიძლება, მეტადრე, როდესაც საბჭოთა პერიოდის მკვლევრებისათვის ბევრი რამ აკრძალული, ან

არასწორად ინტერპრეტირებული იყო. რესპონდენტების საერთო აზრია, რომ წარსულის საფუძვლიანად შესწავლა გვიხსნის მომავალი შეცდომებისაგან და სამწლიანი მონაკვეთი ბევრი პრაქტიკული მაგალითითაა დატვირთული. ხათუნა ჭანიშვილი აქაც აღნიშნავს, რომ საჭიროა წარსულის ობიექტური შეფასება და არა მითების შეთხზვა, რადგან სწორად გამოტანილი დასკვნები დღევანდელ პრაქტიკაში გადმოსატანი თეორია იქნება. დავამატებთ, რომ ბევრ საკითხში პარალელების აღმოჩენების გამო, ნამდვილად საჭიროა იმ ნაბიჯების კვლევა, რომელთა წყალობით საქართველო ევროპულ გზაზე საკმაოდ წარმატებულად მიდიოდა.

რაკი ჩვენ, 21-ე საუკუნის ადამიანებს, ასე დაწვრილებითა და სიღრმისეულად შეგვიძლია ვიკვლიოთ საუკუნისწინანდელი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი პროცესები, ცხადია, რომ 1918-21 წლების პრესამ შეძლო და ღირსეულად ასახა ხალხისა და სახელმწიფოს ცხოვრება, განწყობები და ნაბიჯები.

დ ა ს კ ვ ნ ა

1918-1921 წლებს დამსახურებულად ეწოდა ახალი, მოდერნისტული ეპოქის დასაწყისი და საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ საკუთარი დემოკრატიული ფორმებით, მიდგომებით, ტენდენციებითა და გადაწყვეტილებებით ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული და, ზოგადად, დემოკრატიული სახელმწიფოების ისტორიაში.

თანამედროვე მსოფლიოს ურთიერთობების სახეცვლილმა ფორმატმა და იმ პლატფორმებმა, რომელთა ბრძოლის იარაღი ინფორმაციაა, ნათლად დაგვანახა ისტორიული ნარატივის საფუძვლიანი კვლევის საჭიროება, საუკუნის წინანდელი ბეჭდური სიტყვა კი ერთ-ერთი მთავარი და ავთენტური წყაროა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდათ საკუთარი ბეჭდური ორგანოები, რომლებიც ეროვნული სულისკვეთებისა და ლიბერალური ღირებულებების ფორმირებასა და განმტკიცებაში მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა. ამიტომაა, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულმა პრესამ დიდი წვლილი შეიტანა დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებაში და შექმნა ჭეშმარიტად პლურალისტური გარემო.

1918-21 წლების საკმაოდ მრავალფეროვანი ქართული პოლიტიკური სპექტრი გამოირჩეოდა მაღალი ინტელექტით, გამჭრიახობითა და სიღრმისეული პოლიტიკური ხედვით. ძირითად პოლიტიკურ ბირთვს **სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად** ქმნიდნენ **ეროვნულ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები** და **სოციალ-რევოლუციონერები**. თითოეულ მათგანს ჰქონდა ქართული რეალობისა და დამოუკიდებლობისადმი მისადაგებული სამოქმედო პროგრამა და მის განსახორციელებლად საქმესთან ერთად სიტყვითაც იბრძოდა. მათი მსოფლმხედველობა, პოზიციები, **საზოგადოებრივ-პოლიტიკური**

პროცესების ხედვა და წარმართვაზე გავლენის სურვილი თუ ინტერესი ნათლად ვლინდება პარტიული ბეჭდური ორგანოების მეშვეობით: **„ერთობა“** (სოციალ-დემოკრატები), **„საქართველო“** (ეროვნულ-დემოკრატები), **„სახალხო საქმე“** (სოციალ-ფედერალისტები), **„შრომა“** (სოციალ-რევოლუციონერები). საინფორმაციო სივრცეში მალევე გამოჩნდა სახელისუფლებო ორგანო **„საქართველოს რესპუბლიკა“.**

1918 წელი მსოფლიოში გლობალური ცვლილებების პერიოდია. პირველი მსოფლიო ომი და რუსეთის იმპერიის ორი რევოლუცია საკმაოდ რთულად აისახა პატარა ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. **ასეთ ბობოქარ პოლიტიკურ ვითარებაში გამოიცემოდა პირველი რესპუბლიკის გაზეთები**, რომელთა ფურცლებზეც, როგორც მათი შესწავლის შედეგად დავრწმუნდით, მსოფლიოსა და საქართველოში მიმდინარე ყველა პროცესი ობიექტურად და ოპერატიულად აისახებოდა.

პრესა ბეჭდავდა არა მხოლოდ სტატიებს, არამედ პოლიტიკოსთა სიტყვით გამოსვლებსაც, რომლებიც მოიცავდა ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორებიც იყო: მიწის სოციალიზაცია, სამხედრო საკითხი, საქართველო-გერმანიის ურთიერთობა, ეთნიკური უმცირესობის პრობლემები, განათლების რეფორმა, სიკვდილით დასჯის ინსტიტუტის გაუქმება... კვლევით დადასტურდა, რომ 1918-21 წლების პოლიტიკური სიტყვიერი სარბიელი, საკუთარი მიდგომებით, სტრუქტურით, შინაარსით, ენობრივი აგებულებით, მანერითა და კონტექსტუალური ხედვით, საკმაოდ ძლიერი იყო და **პოლიტიკური მჭევრმეტყველების კლასიკური ნიმუშების შექმნას განაპირობებდა.**

პოლიტიკური სპექტრისა და ხელისუფალთა ორატორული ხელოვნების შესწავლისას საჭიროდ ჩავთვალეთ, გამოგვეყო აღნიშნული ეპოქის რამდენიმე **პუბლიცისტის პორტრეტი, რადგან მათი შემოქმედება ნაკლებად შესწავლილი აღმოჩნდა.** ჩვენ მიერ გამოკვლეული დიდძალი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბევრი ავტორის ნააზრევი ჯერ

კიდევ ჩრდილშია და მათი მნიშვნელობა არ არის ჯეროვნად შეფასებული საქართველოს პირველი რესპუბლიკის **საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში.**

პარტიების **სააგიტაციო და პროპაგანდისტული** მასალების შესწავლამ და 1919 წლის დამფუძნებელი კრების წინასაარჩევნო პლატფორმამ დაგვანახა სხვადასხვა პოლიტიკურ პოზიციაზე მდგარი ქართული პრესის დამოუკიდებელი მიდგომები. თითოეული პარტიული ორგანო ღირსეულად და არგუმენტირებულად იბრძოდა საკუთარი ელექტორატის გასაძლიერებლად. მართალია, ვხვდებით არაეთიკურ გამოსვლებსაც, მაგრამ ასეთი შემთხვევები უმნიშვნელოა და ვრწმუნდებით, რომ ის არასდროს გადაზრდილა ერთმანეთის ღირსების შემლახველ წინააღმდეგობაში.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების წარმართვის თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე პარტიებს განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ. თითოეული მათგანი ცდილობდა საკუთარი მოსაზრების დაცვას საკმაოდ ძლიერი არგუმენტებით. მიუხედავად მწვავე დაპირისპირებებისა, აგრარული რეფორმის, სიკვდილით დასჯის, სამხედრო თემისა და სხვა საკვანძო საკითხების გარშემო, **ბოლშევიზმის საფრთხის გაცნობიერება და მისი კრიტიკა** ერთ-ერთი სერიოზული მიმართულებაა, რომელმაც დაპირისპირებულ პარტიულ ძალებს შორის ერთიანი პოლიტიკური მიდგომის გამომუშავებას შეუწყო ხელი. კონსენსუსის მაგალითმა დაგვარწმუნა, რომ ქვეყნისთვის ყველაზე გადამწყვეტ მომენტში ქართველ პოლიტიკოსებს შეეძლოთ ერთიანი პლატფორმით გამოსულიყვნენ, რაც მაღალ სახელმწიფოებრივ თვითშეგნებასა და ჯანსაღ პოლიტიკურ აზროვნებაზე მიუთითებს.

თითოეული გაზეთის **ძირითადი ტენდენციების** წინა პლანზე გამოტანით განისაზღვრა თითოეული პერიოდული ორგანოს სტრუქტურა და წარმოჩნდა შინაარსობრივი მახასიათებლები:

- სოციალ-დემოკრატების პარტიული ორგანოს **,,ერთობის“** პერმანენტული რუბრიკების შესწავლისას გამოიკვეთა მათთვის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი - **მუშათა კლასის სოციალიზაცია.** ქვეყნის მმართველთათვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო საკუთარ ელექტორატზე ზრუნვა. სოციალ-დემოკრატებმა სწორად დასვეს აქცენტები და სამოქმედო პროგრამაშიც მუშათა საკითხს მთელი რიგი დებულებები მიუძღვნეს.
- ეროვნულ-დემოკრატების გაზეთ **,,საქართველოსთვის“** ეროვნულობა ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ამიტომ ისინი ეროვნულ ჭრილში განიხილავდნენ ყველა საჭირბოროტო საკითხს. მათი შეხედულებით, საქართველო უნდა ყოფილიყო ერთიანი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული რესპუბლიკა. აღნიშნულ თემატიკაზე ისინი მრავალ ანალიტიკურ პუბლიკაციას აქვეყნებდნენ და საკუთარ პრინციპებს ავლენდნენ საზოგადოების წინაშე.
- სოციალ-ფედერალისტების მისია **სოციალიზმის დამკვიდრება** იყო. რევოლუციური გზით ბურჟუაზიული წესწყობილების დამხობა, შიდა საქმიანობაში სრული დამოუკიდებლობა, ქართულისა და ეროვნულის წინა პლანზე წამოწევა - აი, **,,სახალხო საქმის“** გაიდლაინი. ქართულ დემოკრატიულ სახელმწიფოში ყველაფერი ქართული უნდა ყოფილიყო უპირატესი და ,,ქართველ ხალხს ექნებოდა უდიდესი ბედნიერება ქართულად განეგო თავისი ქვეყნის საქმე“.
- **ესერები რევოლუციური იდეოლოგიის მატარებელნი იყვნენ** და რევოლუცია მიაჩნდათ ყოველივე სიახლის სათავედ. **,,შრომის“** პუბლიცისტები არც ოპონირებით ჩამოუვარდებოდნენ მოწინააღმდეგე პარტიებს და არც სახელმწიფოებრივ საკითხებზე მართებული მსჯელობით. ესერებს შეეძლოთ და სვამდნენ კიდეც სწორ აქცენტებს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში.

- საქართველოს ფიზიკური და გეოპოლიტიკური მდგომარეობის შესწავლამ აჩვენა, რომ აღნიშნულ პერიოდში ეს ქვეყანა ძლიერი პროტექტორისა და მხარდამჭერის გარეშე არსებობას ვერ შეძლებდა. შესაბამისად, ქართული არჩევანი, რომელიც **გერმანიას** პარტნიორად მოიაზრებდა, იმხანად ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ჩანდა. ამ საკითხის გარშემო ყველაზე მეტს და ყველაზე დიდი პათოსით სამთავრობო გაზეთი **,,საქართველოს რესპუბლიკა"** წერდა. კვლევისას გამოჩნდა, რომ ,,საქართველოს რესპუბლიკა" ცდილობდა ნეიტრალური და ხელისუფლების გავლენისაგან თავისუფალი ყოფილიყო, შესაბამისად, ქმნიდა კიდეც ოფიციოზის საინფორმაციო პორტალს.

ის, რომ საუკუნისწინანდელი პოლიტიკური მოღვაწეები დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენებდნენ, ერთმნიშვნელოვანია. ამას მიანიშნებს გეზი, რომელიც მათ აირჩიეს რუსეთის იმპერიის ბატონობისაგან თავდასახსნელად. ყველა გამოკითხული მკვლევარი თანხმდება, რომ სწორედ ამ პროცესების ასახვა, არგუმენტირებულად და ლოგიკურად ხდებოდა სიტყვის სრული თავისუფლებითა და ინფორმაციის ობიექტურად გადმოცემის ფონზე. **1918-21 წლების პრესა ნამდვილად იყო ლიბერალურ ღირებულებებზე აღმოცენებული, პლურალისტული და თავისუფალი.**

ტექსტების შინაარსობრივი და ჟანრობრივი ვერიფიკაციის შედეგად, ასევე, საარქივო მასალების მედიატექსტებთან გააზრებული შედარებითი ანალიზისას, და საბოლოოდ, სიღრმისეული ინტერვიუებისას გამოვლენილმა მკვლევრების პოზიციებმა მოგვცა საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბების საშუალება.

თავისუფალი და პლურალისტური პრესა, რომელიც დაფუძნებული იყო საუკუნოვანი ქართული კულტურის უწყვეტობასა და ისტორიულ-ეროვნული თვითმყოფადობის გამორჩეულ მაგალითებზე, ქმნიდა

დემოკრატიული სახელმწიფოებრივი აზროვნების ყალიბს ქართულ საზოგადოებაში, რაც **ადასტურებს ჩვენს ჰიპოთეზას.**

1918-21 წლების ქართულ პრესას უდიდეს დამსახურებად უნდა ჩავუთვალოთ საზოგადოების სწორი ორიენტირების დასახვა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ფორმირების მცდელობა. ქართველი ერის ეროვნული აზროვნების არქიტექტორი ქართული ბეჭდური სიტყვაა, რომელიც 1918 წლის 26 მაისამდეც ქმნიდა ამინდს ქართულ საზოგადოებაში და შემდგომაც. აღნიშნული ნარატივის კიდევ ერთხელ თვალის გადავლებამ გვაჩვენა, რომ იმ პერიოდის აქტუალური საკითხები დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას და **საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების რეპრეზენტაცია** ყველა ეპოქაში ღირებული იქნება.

ბიბლიოგრაფია

პერიოდული გამოცემები:

1. (1915 წლის 24 მაისი). *საქართველო*, გვ. 1.
2. (1918 წლის 9 აგვისტო). *საქართველოს რესპუბლიკა*, გვ. 2.
3. (1918 წლის 28 მაისი). *საქართველო*, გვ. 2.
4. (1918 წლის 3 სექტემბერი). *საქართველოს რესპუბლიკა*, გვ. 2.
5. (1918 წლის 26 მაისი). *საქართველო*, გვ. 1.
6. (1918 წლის 11 ივნისი). *საქართველო*, გვ. 1.
7. (1918 წლის 22 ივნისი). *საქართველო*, გვ. 2.
8. (1918 წლის 18 ივნისი). *ერთობა*, გვ. 3.
9. (1918 წლის 24 იანვარი). *საქართველო*, გვ. 2.
10. (1918 წლის 26 მაისი). *საქართველო*, გვ. 1.
11. (1918 წლის 25 ივლისი). *საქართველოს რესპუბლიკა*, გვ. 1.
12. (1918 წლის 24 აგვისტო). *საქართველოს რესპუბლიკა*, გვ. 2.
13. (1918 წლის 1 ნოემბერი). *საქართველოს რესპუბლიკა*, გვ. 2.
14. (1918 წლის 1 ნოემბერი). *საქართველოს რესპუბლიკა*, გვ. 2.
15. (1918 წლის 23 ოქტომბერი). *საქართველო*, გვ. 4.
16. (1918 წლის 21 ივნისი). *საქართველოს რესპუბლიკა*, გვ. 2.
17. (1918 წლის 19 მაისი). *საქართველო*, გვ. 1.
18. (1918 წლის 1 იანვარი). *საქართველო*, გვ. 1.
19. (1918 წლის 4 ივნისი). *სახალხო საქმე*, გვ. 2.
20. (1918 წლის 4 ივნისი). *სახალხო საქმე*, გვ. 2.
21. (1918 წლის 25 სექტემბერი). *სახალხო საქმე*, გვ. 2.
22. (1918 წლის 18 ივნისი). *სახალხო საქმე*, გვ. 2.
23. (1918 წლის 20 დეკემბერი). *შრომა*, გვ. 1.

24. (1918 წლის 18 აგვისტო). *შრომა*, გვ. 2.

25. (1918 წლის 20 დეკემბერი). *შრომა*, გვ. 2.

26. (1918 წლის 20 ივნისი). *ერთობა*, გვ. 1.

27. (1918 წლის 4 სექტემბერი). *ერთობა*, გვ. 1.

28. (1918 წლის 25 დეკემბერი). *ერთობა*, გვ. 1.

29. (1918 წლის 25 მაისი). *ერთობა*, გვ. 1.

30. (1918 წლის 26 მაისი). *ერთობა*, გვ. 1.

31. (1918 წლის 28 მაისი). *ერთობა*, გვ. 1.

32. (1918 წლის 19 მაისი). *ერთობა*, გვ. 4.

33. (1918 წლის 12 მაისი). *საქართველო*, გვ. 1.

34. (1918 წლის 7 თებერვალი). *საქართველო*, გვ. 2.

35. (1919 წლის 7 იანვარი). *საქართველოს რესპუბლიკა*, გვ. 2.

36. (1919 წლის 3 თებერვალი). *სახალხო საქმე*, გვ. 2.

37. (1919 წლის 25 იანვარი). *შრომა*, გვ. 4.

38. (1919 წლის 18 იანვარი). *ერთობა*, გვ. 2.

39. (1919 წლის 9 თებერვალი). *საქართველო*, გვ. 3.

40. (1919 წლის 8 თებერვალი). *სახალხო საქმე*, გვ. 2.

41. (1919 წლის 20 თებერვალი). *შრომა*, გვ. 2.

42. (1919 წლის 8 თებერვალი). *სახალხო საქმე*, გვ. 2.

43. (1919 წლის 9 აპრილი). *სახალხო საქმე*, გვ. 2.

44. (1919 წლის 22 იანვარი). *ერთობა*, გვ. 1.

45. (1919 წლის 30 იანვარი). *ერთობა*, გვ. 2.

46. (1919 წლის 5 მარტი). *სახალხო საქმე*, გვ. 2.

47. (1919 წლის 23 თებერვალი). *შრომა*, გვ. 2.

48. (1919 წლის 4 იანვარი). *შრომა*, გვ. 1.

49. (1919 წლის 9 თებერვალი). *საქართველო*, გვ. 2.

50. (1919 წლის 5 იანვარი). *საქართველოს რესპუბლიკა*, გვ. 3.

51. (1919 წლის 12 თებერვალი). *სახალხო საქმე*, გვ. 1.

52. (1919 წლის 1 თებერვალი). *ერთობა*, გვ. 1.

53. (1919 წლის 3 აპრილი). *ერთობა*, გვ. 1.

54. (1919 წლის 30 იანვარი). *ერთობა*, გვ. 4.

55. (1919 წლის 7 თებერვალი). *ერთობა*, გვ. 4.

56. (1919 წლის 3 იანვარი). *ერთობა*, გვ. 2.

57. (1920 წლის 16 აპრილი). *ერთობა*, გვ. 2.

58. (1920 წლის 23 აპრილი). *ერთობა*, გვ. 2.

59. (1920 წლის 30 ივნისი). *ერთობა*, გვ. 2.

60. (1920 წლის 20 აგვისტო). *საქართველო*, გვ. 1.

61. გვაზავა, გ. (1918 წლის 6 თებერვალი). *საქართველო*, გვ. 2.

62. გვაზავა, გ. (1918 წლის 15 მაისი). *საქართველო*, გვ. 3.

63. გვაზავა, გ. (1919 წლის 7 თებერვალი). საარჩევნო კამპანია. *საქართველო*, გვ. 1.

64. გვაზავა, გ. (1919 წლის 9 თებერვალი). უნიადაგო პარტია. *საქართველო*, გვ. 1.

65. გვაზავა, გ. (1920 წლის 4 სექტემბერი). *საქართველო*, გვ. 3.

66. გვაზავა, გ. (1920 წლის 4 დეკემბერი). *საქართველო*, გვ. 3.

67. გვაზავა, გ. (1920 წლის 5 მარტი). საქართველო და დემოკრატიზმი. *საქართველო*, გვ. 4.

68. გობეჩია, ი. (1919 წლის 23 თებერვალი). *შრომა*, გვ. 3.

69. გობეჩია, ი. (1919 წლის 23 თებერვალი). *შრომა*, გვ. 2.

70. გომართელი, ი. (1919 წლის 22 იანვარი). გლეხები და სოციალ-დემოკრატიული პარტია. *ერთობა*, გვ. 1.

71. დილიანი. (1919 წლის 27 თებერვალი). *შრომა*, გვ. 2.

72. ვეშაპელი, გ. (1918 წლის 1 იანვარი). ქართული ორიენტაცია. *საქართველო*, გვ. 2.

73. ინგილო. (1918 წლის 18 მაისი). *საქართველო*, გვ. 1.

74. კოტეტიშვილი, ვ. (1918 წლის 9 ივნისი). ამიერკავკასია და საქართველო. *სახალხო საქმე*, გვ. 2.

75. ნათაძე, ლ. (1918 წლის 18 იანვარი). *ერთობა*, გვ. 2.

76. ჟორდანია, ნ. (1918 წლის 28 ივნისი). *ერთობა*, გვ. 1.

77. სანგანიძე. (1919 წლის 14 იანვარი). *სახალხო საქმე.*

78. ფარი. (1918 წლის 3 აგვისტო). *შრომა*, გვ. 2.

79. ფირცხალავა. (1918 წლის 12 სექტემბერი). *სახალხო საქმე*, გვ. 2.

80. ფირცხალავა, ს. (1918 წლის 12 სექტემბერი). *სახალხო საქმე*, გვ. 2.

81. ფირცხალავა, ს. (1918 წლის 20 აგვისტო). *ახალხო საქმე*, გვ. 1.

82. ფირცხალავა, ს. (1918 წლის 6 ივნისი). *სახალხო საქმე*, გვ. 3.

83. ფირცხალავა, ს. (1918 წლის 3 ნოემბერი). სახელმწიფო. *სახალხო საქმე*, გვ. 3.

84. ფირცხალავა, ს. (1919). ეროვნება და ეროვნული თავისუფლება. *სახალხო საქმე*, გვ. 3.

85. ქართლელი. (1918 წლის 5 ივნისი). *საქართველო*, გვ. 1.

86. ქიქოძე, გ. (1918 წლის 14 თებერვალი). რუსეთ-გერმანიის შერიგება და საქართველოს განსაცდელი. *საქართველო*, გვ. 1.

87. ღლონტი, თ. (1919 წლის 9 თებერვალი). *სახალხო საქმე*, გვ. 2.

88. ღლონტი, თ. (1919 წლის 9 თებერვალი). *სახალხო საქმე*, გვ. 2.

89. ღლონტი, თ. (1919 წლის 20 თებერვალი). *სახალხო საქმე*, გვ. 2.

90. შენგელაია, ლ. (1918 წლის 3 ნოემბერი). სიკვდილით დასჯის შესახებ. *შრომა*, გვ. 2.

91. შენგელაია, ლ. (1919 წლის 3 ნოემბერი). *შრომა*, გვ. 3.

92. შენგელაია, ლ. (1919 წლის 6 ოქტომბერი). *შრომა*, გვ. 3.

93. შენგელაია, ლ. (1919 წლის 9 ოქტომბერი). სახელმწიფო და სიკვდილით დასჯა. *შრომა*, გვ. 2.

94. წერეთელი, ი. (1918 წლის 9 აგვისტო). *ერთობა*, გვ. 1.

95. ჯაჯანაშვილი, ა. (1919 წლის 6 თებერვალი). *სახალხო საქმე*, გვ. 1.

96. ჯაჯანაშვილი, ა. (1919 წლის 2 თებერვალი). *სახალხო საქმე*, გვ. 2.

97. ჯაჯანაშვილი, ა. (1919 წლის 2 თებერვალი). *სახალხო საქმე,* გვ. 2.

98. ჯაჯანაშვილი, ა. (1919 წლის 11 თებერვალი). *სახალხო საქმე,* გვ. 3.

ლიტერატურა:

1. ადეიშვილი, ქ. (2013). *არგუმენტაცია პოლიტიკურ დისკურსში.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. ავალიანი, ლ. (1990). *კონსტანტინე გამსახურდია კენისბერგში.* თბილისი: ქართული მწერლობა.
3. ავალიშვილი, ზ. (1929). *საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში.* თბილისი: მთარგმნელის გამოცემა.
4. ავტორთა კრებული. (2018). *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ენციკლოპედია-ლექსიკონი.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
5. ავტორთა კრებული. (2019). *თავისუფლება, სამართლიანობა და დემოკრატია ქართულ აზროვნებაში.* თბილისი: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი.
6. ავტორთა კრებული. (2018). ახალი ეპოქის დასაწყისი-საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტი.
7. ავტორთა კრებული. (2018). *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება ასი წლის შემდეგ - მოდელი ევროპისთვის?.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
8. ანდერსენი, ე. (2020). *საქართველო და საერთაშორისო შეთანხმებები 1918-1921 წლებში.* თბილისი: მწიგნობარი.
9. არისტოტელე. (1981). *რიტორიკა.* (თ. კუკავა, თარჯ.) თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
10. ბალახაძე, მ. (2021). *საქართველო გერმანიის ურთიერთობები.* თბილისი: საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტი.
11. ბაქრაძე, ლ. (2009). *გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს.* თბილისი: პეგასი.

12. ბახტაძე, ნ. (2021). *მანიპულაციის ენობრივი საშუალებები პოლიტიკურ დისკურსში.* ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
13. ბენდიანიშვილი ა. (1999). *საქართველოს ისტორია 1901-1921.* თბილისი: განათლება.
14. ბენდიანიშვილი, ა. (1980). *ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921.* თბილისი: მეცნიერება.
15. ბენდიანიშვილი, ა. (2001). *საქართველოს პირველი რესპუბლიკა.* თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.
16. ბრეგაძე, მ. (2023). პუბლიცისტი სამსონ ფირცხალავა პოლიტიკური რეალობის პირისპირ. *მოამბე,* 45.
17. ბრეგაძე, მ. (2023). პუბლიცისტური დისკურსის მედიატექსტებში ასახვის თავისებურებანი - პარალელები თანამედროვეობასთან. კრებული-ში, *შრომები* (გვ. 562). თბილისი: მერიდიანი.
18. ბუკია, ც. (2018). *გაზეთი ,,საქართველო" (1918-1919 წწ.).* თბილისი: უნივერსალი.
19. გაგოშიძე, შ. (2004). *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია: XX საუკუნის 20-იანი წლები.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
20. გაგოშიძე, თ. (2015). *პოლიტიკური დისკურსი - მსმენელზე ორიენტირებული ფსიქოლინგვისტური ხელოვნება.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
21. გაჩეჩილაძე, ბ. (2017). *ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში: წარსულის გამოცდილება და თანამედროვეობა.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
22. გიორგაძე, ი. (2016). *ეროვნული მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში (XX ს-ის 20-90-იან წლებში).* თელავი: იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
23. გოცირიძე, ქ. (2017). *სამოქალაქო ნაციონალიზმის ფორმირების მცდელობა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
24. გურული, ვ. (1999). *ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918).* თბილისი: მერიდიანი.

25. დობორჯგინიძე, ნ., ცაგარელი, ლ., რაისნერი, ო., & ქავთარაძე, გ. (2019). *ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
26. ვაშაკიძე, რ. (2009). *საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა 1917-18 წლების ქართულ პრესაში.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
27. ზოსიძე, ნ., & დიასამიძე, ე. (2021). საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი და ქართულ-გერმანული ურთიერთობები 1914-1918 წლებში. *აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის შრომები VII*, 144.
28. კაპანაძე, გ. (2013). *ქართული მედია და საქართველოს საგარეო პოლიტიკა.* თბილისი: საზოგადოება ,,ცოდნა".
29. კენჭიაშვილი, ნ. (2018). *პოლიტიკური რიტორიკა 1918-1921 წლების ქართული პოლიტიკური დისკურსის მიხედვით.* (რ. მეტრეველი, რედ.) თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტი.
30. კეჟერაშვილი, შ. (2019). *1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები და პოლიტიკური პარტიების პროგრამები.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
31. კუკულაძე, გ. (2016). *საქართველოს პარლამენტის როლი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის პროცესში 1918-1920წწ.* ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
32. მაისაშვილი, ხ., & ტორაძე, მ. (2019). *მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
33. მაცაბერიძე, მ. (2019). *საქართველოს პოლიტიკური სისტემა.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
34. მაჭარაშვილი, თ. (2022). 1918-1921 წლების ქართულ პარტიულ პრესაში აღბეჭდილი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების პოლიტიკა. *ქართველი მეცნიერები.*
35. მემანიშვილი, მ. (2011). *ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი ,,საქართველო" 1915-1921 წწ. (აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და საინგილოს პრობლემატიკა).* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

36. მინაშვილი, ს. (2004). *გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა" 1918-1921 წ.წ.* თბილისი: უნივერსალი.
37. ნანიტაშვილი, ლ. (1993). *ერის წყლული აჩნდა წყლულად.* თბილისი: მერწყული.
38. ნიკვაშვილი, თ., & ჯანანაშვილი, ც. (2018). *დამფუძნებელი კრების არჩევნები და პოლიტიკური თანაცხოვრება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.* (რ. მეტრეველი, რედ.) თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტი.
39. სართანია, მ. (2019). სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
40. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პროგრამა. (1918). თბილისი.
41. ტაბიძე, ნ. (2011). *პუბლიცისტიკის საკითხები.* თბილისი: უნივერსალი.
42. ტალახაძე, ნ. (2021). უფლებრივი თანასწორობის პრობლემა 1918-1921 წლების ქართულ პრესაში. *ენა და კულტურა.*
43. შამილიშვილი, მ., & წერეთელი, მ. (2018). საქართველოს რეგიონული კონფლიქტების რეპრეზენტაცია 1918-1921 წლების პრესაში. თბილისი: *სახელმწიფოებრივი სუვერენობის იდეა და XX საუკუნის მწერლობა*, 512.
44. შანშიაშვილი, ს. (1977). *თქვენც რომ გახსოვდეთ, ახალგაზრდებო.* თბილისი: განათლება.
45. შარაძე, გ. (1991). *უცხოეთის ცის ქვეშ.* თბილისი: მერანი.
46. შარაძე, გ. (2001). *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია.* თბილისი: ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.
47. შარაძე, გ. (2003). *საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა.* თბილისი: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.
48. შენგელია, კ. (2018). *ახალი ეპოქის დასაწყისი-საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.* (რ. მეტრეველი, რედ.) თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტი.
49. შველიძე, დ. (1993). *პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ფედერალისტები.* თბილისი: გამომცემლობა ,,არსი".
50. შველიძე, დ. (2021). *საქართველოს უახლესი ისტორია.* თბილისი: მერიდიანი.
51. შველიძე, დ. (2012). *გზა დასავლეთისაკენ.* თბილისი: უნივერსალი.

52. ცხადაია, ზ. (2016). *ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსფოლიო ომამდე (1921-1941წწ).* თბილისი: მწიგნობარი.
53. წერეთელი, მ. (2017). *დროის პარალელები.* თბილისი: უნივერსალი.
54. წულაძე, ლ. (2020). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები.* თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
55. ჭანიშვილი, ხ. (2018). *1918 წლის გაზეთ ,,საქართველოში" გამოქვეყნებული რამდენიმე პუბლიკაციის ფილოსოფიური გააზრებისათვის.* (რ. მეტრეველი, რედ.) თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტი.
56. ჭანიშვილი, ხ., & მანჯგალაძე, მ. (2021). *საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პუბლიცისტური გაზრება და ენობრივი პოლიტიკის საკითხები.* თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტი.
57. ჯავახიშვილი, ლ. (2003). *დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ასახვა ქართულ პრესაში (1918-1921 წლები).* თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
58. ჯანელიძე, ო. (1990). *26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ.* თბილისი: გამომცემლობა ,,ცოდნა".
59. ჯანელიძე, ო. (2018). *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები.* თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
60. ჯანელიძე, ო. (2018). საქართველოს რეპუბლიკის მთავრობის დეკლარაციები და ქართული პოლიტიკური სპექტრი. კრებული-ში, *ახალი ეპოქის დასაწყისი-საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა* (გვ. 28). თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტი.
61. ჯანელიძე, ო., ხოსიტაშვილი, მ., & თაქთაქიშვილი, ლ. (2020). *ბეჭდვითი სიტყვა თბილისში 1918-1921 წწ.* თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
62. ჯოლოგუა, თ. (2013). *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია.* თბილისი: არტანუჯი.
63. ჯონსი, ს. (2007). სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა (1883-1917). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

64. ჰელინი, დ., & მანჩინი, პ. (2015). *მედიასისტემების შედარება, მედია და პოლიტიკური სისტემების სამი მოდელი.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
65. Borg, W. (1963). *Educational Research: An Introduction.* Michigan: D. Mckay Company.
66. Chilton, P. (2004). *Analysing Political Discourse.* London: Routledge.
67. Dewey, J. (1927). *The Public and Its Problems.* New York: Holt Pulblishers.
68. Hill, J., & Kerber, A. (1967). *Models, Methods, and Analytical Procedures in Education Research.* Detroit, Michigan: Wayne State University Press.
69. Hockett, H. (1955). *The Critical Method in Historical Research and Writing.* New York: The Macmilan Company.
70. Lasswel, H. (1979). *Propaganda and Communication in World History.* Honolulu: The University of Hawaii Press.
71. Lasswell, H. (2006). *Язык Власти.* Москва: Центр гуманитарных технологий.
72. Lasswell, H., & Atkins, W. (1924). *Labor Attitudes and Problems*. New-York: Prentice-Hall.
73. Laswell, H. (1940). *Who says what to whom in what channel with what effects?* New-York: Chicago Studio.
74. Shamilishvili, M., & Tsereteli, M. (2016). Reflection of liberal values in the Georgian press in 1918-1921. *International Relations and Diplomacy*, 342.
75. Липман, У. (2004). *Общественное мнение.* Москва: Институт Фонда ,,Общественное мнение".

ინტერნეტ რესურსები:

1. ასტამაძე, გ. (2022). *ქართულ-გერმანული ურთიერთობები 1918-1921 წლებში.* მოპოვებული https://shorturl.at/bntUY -დან (ბოლო ნახვა: 05.01.2024).
2. ირემაძე, ი. (2018 წლის 03 ნოემბერი). *უდიდესი მოვლენა ერის ცხოვრებაში - დამფუძნებელი კრების არჩევნები.* მოპოვებული https://shorturl.at/cdjp9 -დან (ბოლო ნახვა: 10.12.2023).
3. ირემაძე, ი. (2021 წლის 26 მაისი). *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - მივიწყებული და რეპრესირებული პოლიტიკური მოდელი.* მოპოვებული https://shorturl.at/eCHN3 -დან (ბოლო ნახვა: 15.11.2023).

4. ირემაძე, ი. (2021 წლის 6 ოქტომბერი). *პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემა 1917-1921 წლების საქართველოში.* მოპოვებული https://shorturl.at/tCJRX -დან (ბოლო ნახვა: 25.12.2023).
5. ჯანელიძე, ო. *რუსეთის ექსპანსია კავკასიაში და საქართველო. სამსონ ფირცხალავა. georgian Foundation for Strategic and International Studies.* მოპოვებული rondeli foundation: https://shorturl.at/fgpxP (ბოლო ნახვა: 19.01.2024).
6. ჯანელიძე, ო. *რუსეთის ექსპანსია კავკასიაში და საქართველო. გიორგი გვაზავა. georgian Foundation for Strategic and International Studies.* მოპოვებული rondeli foundation: https://shorturl.at/asGJP (ბოლო ნახვა: 19.01.2024).
7. ჯონსი, ს. (2018 წლის 26 მაისი). *პირველი რესპუბლიკის მემკვიდრეობა.* მოპოვებული: https://shorturl.at/glqGY -დან. (ბოლო ნახვა: 12.01.2024).
8. Kurtanidze, E. (2020). *Georgian-German Relations During 1918-1921.* Obtained: https://shorturl.at/grKQY (last seen: 22.01.2024).

დანართი №1

მიხეილ ბახტაძე. (საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი).

1. **რა ფაქტორებმა გამოიწვია პლურალისტული და თავისუფალი პრესის ჩამოყალიბება 1918-21 წლების საქართველოში?**

პლურალისტული და თავისუფალი პრესის ფენომენი პირდაპირ კავშირშია 1918 წლის პოლიტიკური ელიტის აზროვნების ტიპთან. საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტა დემოკრატიული აზროვნების მატარებელი იყო. პოლიტიკური მოღვაწეები დემოკრატიული იდეებით იყვნენ განმსჭვალული, ამიტომ უდავოა ის ფაქტი, რომ ისინი აშენებდნენ დემოკრატიულ სახელმწიფოს და პრესის დამოუკიდებლობა იყო ერთ-ერთი ატრიბუტი დემოკრატიისა. თუკი სოციალ-დემოკრატებზე ვორიენტირდებით, მათთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა ოპოზიციის კრიტიკა.

მეორეც, სოც-დემოკრატია იმდენად გავლენიანი და ძლიერი პარტია იყო მთელს საქართველოში, რომ ვერც ერთი პარტია მას კონკურენციას ვერ გაუწევდა. ეს იყო იმ პერიოდისათვის ერთადერთი პარტია, რომელსაც შეეძლო სახელმწიფოს მართვა. სხვა ძალას არ ქონდა ამხელა შესაძლებლობა. სოციალ-დენოკრატებმა თავადაც მშვენივრად იცოდნენ, რა ძალასაც ფლობდნენ და რომ კონკურები არ ჰყავდათ. რეალურად მათი მსფომხედველობა იმდენად დემოკრატიული იყო, მიუხედავად რიგი ოპონირებისა, რომ ცალსახად აღვნიშნავთ, რომ ისინი აშენებდნენ სწორედ დემოკრატიულ სახელმწიფოს.

სოციალ-დემოკრატებისთვის საკითხი - პრესა შეეზღუდათ, არ არსებობდა. სულ თითზე ჩამოსათვლელი მაგალითებია, როდესაც მათ მოუწიათ მკაცრი ზომების მიღებამ. კერძოდ, მათ ორჯერ დახურეს გაზეთი ,,საქართველო“ და ერთხელ, მგონი სომეხთა პარტიის ბეჭდური ორგანო. მაგრამ ამას აკეთებდნენ მხოლოდ მაშინ, თუკი ფიქრობდნენ, რომ პარტიას კი არა სახელმწიფოს დაემუქრებოდა საფრთხე. როდესაც ისინი თვლიდნენ, რომ რაღაც ზედმეტად რადიკალური გამოსვლები შეინიშნებოდა და უკვე

სახელმწიფო ინტერესები ილხებოდა. ეს იყო მიზეზი. პირადი კრიტიკისა და ოპონირების გამო ამათ არასდროს არ მიუღიათ სანქციები.

2. **იყო თუ არა სოციალ-დემოკრატების მიერ არჩეული გეზი დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის ერთადერთი სწორი გზა დღევანდელი გადასახედიდან?**

ეროვნულ-დემოკრატებს სხვანაირი პოზიცია ჰქონდათ, ძალიან ბევრ საკითხში, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ალტერნატივა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ ჰქონდა. ნოე ჟორდანიას მსგავსი პოლიტიკური ფიგურა სამხრეთ კავკასიაში არ არსებობდა. ის გამორჩეული გახლდათ როგორც პოლიტიკოსი, როგორც გავლენიანი ფიგურა, ავტორიტეტი. ამას თავადაც აღიარებდა ყველა.

პოლიტიკოსები აღიარებდნენ, რომ არა ნოე ჟორდანია, საქართველო ვერ იარსებებდა, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა და ყველაფერი დაიღუპებოდა. სხვა საკითხია, რომ არსებობდა პოლემიკა , დებატები და ყველას განსხვავებული აზრი გააჩნდა.

ერთ მაგალითს გავიხსნებ, ალექსადნრე ლომთათიძე პარიზში მყოფ კარლო ჩხეიძეს, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარის პოზიციაზეა, უგზავნის წერილს დამფუძნებელი კრების არჩევნებთან დაკავშირებით და ატყობინებს, რომ არჩევნების შედეგად ოპოზიციური პარტიებიდან მცირე წამომადგენლები მოხვდნენ და ეს სავალალოდ აისახება პროცესებზე. აქვე, ალექსანდრე ლომთათიძე გამოთქვამს იმედს, რომ დამატებითი არჩევნებისას ოპოზიციონერთა რიგები უფო გაიზრდება. და ეს არ იწერებოდა აფიშირებითის. ყოველი სოციალ-დემოკრატი აფასებდა ოპონენტებს და ამრიგად აშენებდა დემოკრატიულ სახლემწიფოს.

რა თქმა უნდა, შეცდომები ჰქონდათ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აღნიშნულმა პიროვნებებმა პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყეს რუსეთის იპერიაში. მათი არჩევანი - პოლიტიკა, იყო მათი ბუნებრივი არჩევანი. პოლიტიკაში იმიტომ არ წასულან, რომ ფინანსური კეთილდღეობა, ან გავლენა მოეპოვებინათ. მათ ამ პოლიტიკაში ყოფნით, დევნისა და შევიწროვების მეტი არაფერი მიუღიათ. ანუ, ეს ხალხი იდეურად პოლიტიკური ხალხი გახლდათ.

- **ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ სოც-დემოკრატებისთვის ეს კრიტიკა არ იყო მათი პოზიციების შემასუსტებელი?**

არანაირად, ეს გაზეთები ვერანაირად ვერ მოახდენდნენ მათზე გავლენას უარყოფითი კუთხით. სოციალ-დემოკრატიული ძალა ყველაზე გავლენიანი პარტიაა. საფრთხედაც კი არ აღიქვამდნენ, რაც არ უნდა მწარე კრიტიკა ყოფილიყო. ფაქტია, რომ საზოგადოებაში მათი იდეები იყო ყველაზე პოულარული.

- **თუმცა ის, რომ თავიდან საკმაოდ ინდიფერენტულები იყვნენ ეს ვერ აპატია ქართულმა ოპოზიციამ მათ. ჰქონდათ სხვა პოზიცია 26 მაისამდე და შემდეგ შეიცვალა მათი დამკიდებულება.**

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ სოციალ-დემოკრატებს ჰქონდათ თავისი მსოფლმხედველობა. არის ფაქტები, რომ დამოუკიდებლობაზე მათ უკვე აპრილიდან დაიწყეს ფიქრი.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამაზე ადრე ფიზიკურად ვერ შეძლებდნენ დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ვერც ფიქრს აღნიშნულ საკითხზე. მიდის პირველი მსოფლიო ომი. კავკასიის ფრონტზე დგას 500 000 ჯარისკაცისაგან შემდგარი რუსული არმია. წარმოგიდგენიათ რას იზამს ეს არმია, თბილისში რომ დამოუკიდებლობა გამოცხადდეს?

ამიტომ იკავებდნენ თავს. მათ ეშინოდათ! თუმცა, ჩემის ზრით, ეს მათ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს. გამოაცხადონ დამოუკიდებობა და მერე ვერ შეინარჩუნონ ეს კატასტროფაა. იქით ბაქოს ბოლშევიკები, აქეთ თურქეთის არმია, რომელიც შეტევაზე გადმოდის. ისინი ამიტომ ფრთხილობდნენ. მეორეც, აღნიშნული წლები იმპერიების ეპოქაა იყო და მსგავსი პატარა სახელმწიფო ევროპაში ერთი თუ ორი მოიპოვებოდა.

მსოფლიო ომის ქარცეცხლში აცხადებ დამოუკიდბელობას ვისი იმედით? ეს იყო მათი სიფრთხილე. და როგორც კი მიეცათ ხელსაყრელი პირობები მაშინ მიიღეს ძალიან ლოგიკური გადაწყვეტილება. ეს უკვე მათი მსოფლმხედველობა იყო ისინი სიფრთხილით ფიქრობდნენ. მაგრამ უნდა დავაფასოთ ერთი რამ, როგორც კი სიტუაცია შეიცვალა, მათ ნელ-ნელა გადახედეს საკუთარ მსოფლმხედველობას და მას შემდგე რაც დამოუკიდბელობა გამოაცხადეს, ისინი აშენებენ უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოს. პრობლემები იყო, რადგან გაწერილი გეგმა არ ჰქონდა არავის და სპონტანურად ქმნიდნენ ყველა სახელმწიფო ინსტიტუციას, ამიტომ კიდე გასაკვირია თავი როგორ გაართვეს.

რაც შეეხება მათ გეზს, სოც-დემოკრატია აკეთებდა იმას, რასაც თვლიდა საჭიროდ. არავის არასდროს არ უთქვამს, რომ იმ სახელმწიფოში რაღაც ხდებოდა ანტიდემოკრატიული ან არადემოკრატიული.

მაგალითად შესაძლებელია მოვიყვანო ერთი ფაქტი. იყო ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, რომ სოციალ-დემოკრატებმა ძველი პოლიციის შტატები ხელშეუხებლად დატოვეს.

შეცდომებზე საუბრისას, ამას ნოეც აღიარებდა. გავიხსენოთ, რომ საგანგებო რაზმის მეთაურის მოადგილე იყო მელქისედეკ კედია. მანამდე რუსეთის იმპერიის ჟანდარმი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გეზი მაინც იყო დემოკრატიული. არავინ არ დაუპატიმრებიათ ნებისმიერი პარტიიდან პოლიტიკური მოსაზრების გამო. კამათი, პოლემიკა და ჩხუბი იყო დამფუძნებელ კრებაშიც და პრესის ფურცლებზეც. მაგრამ ცალსახაა, რომ ისინი დემორკატიულ რესპუბლიკას აშენებდნენ.

მეტიც, როდესაც ევროპიდან ჩამოვიდა ინტერნაციონალების დელეგაცია 1920 წელს, იქ ბრიტანელმა ცნობილმა სოციალისტმა თქვა ასეთი რამ: სოციალ-დემოკრატიას მსფოლიოში აქვს განვითარების ორი გზა. ერთი არის მოსკოვი და ბოლშევიკები, რაც ჩვენთვის მიუღებელია და მეორე თბილისი და საქართველოო. ანუ, სოციალ-დემოკრატების არჩევანი ევროპლელმა სოციალისტებმაც სწორად შეაფასეს.

მიუხედავად ბევრი შეცდომისა, უნდა ვთქვათ, რომ ეს სახელმწიფო არ დანგრეულა შინაგანი პრობლემით. ანუ, ეს სახელმწიფო კარგად იდგა და კარგად მიდიოდა. შინაგანი პრობლემები არ ჰქონია იმ დონის, რომ სახელმწიფოს საფრთხე შექმნოდა, რომ არა გარე აგრესია სახელმწიფო იარსებებდა.

გამოდის, რომ ისინი მეტ-ნდაკლებად სწორი მიმართულებით მიდიოდნენ. ეს იყო სრულიად ვეროპული გზით სიარული. დღევანდელი გადასახედიდან მითუმეტეს. საკუთარი კონსტიტუციით, ადამიანის უფლებებითა და ყველაფრით.

3. **რა გარემოებები მიანიშნებდა, რომ საქართველოს ძლიერი პროტექტორი სჭირდებოდა?**

გერმანიას რა თქმა უნდა თავისი ინტერესები ჰქონდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ის თავის კოლონიად გვაქცევდა. არსებობს გერმანული წყარო, რომ მათ უნდოდათ საქართველო მოკავშირედ გაეხადათ და საქართველოს ირგვლივ შეექმნათ დიდი ანტისლავური ბლოკი. აბსოლუტურად თანასწორი შეიძლება არ ყოფილიყო საქართველო, მაგრამ ეგეთი დამოკიდებულება არ იგრძნობოდა.

ზოგადად, არცერთი ევროპული ქვეყანა, რომელმაც გამოთქვა სურვილი საქართველოსთან ურთიერთობის, არ აპირებდა მის დამცირებას რაიმე კონტრაქტით. ისინი უფრო პარტნიორს, თანაც პერსპექტიულ პარტნიორს ხედავდნენ მასში, ვიდრე დამორჩილებულ ქვეყანას.
რაც შეეხება პროტექტორის გარეშე არსებობას, ფაქტობრივად, იმ სამი წლის განმავლობაში, თუ არ ჩავთვლით პირველ მხარდაჭერას გერმანიისას, სანამ პირველი მსოფლიო ომი დამთავრდებოდა, საქართველომ იარსება სრულიად დამოუკიდებლად.

4. **შეინიშნებოდა თუ არა პოლიტიკური ძალების, და შესაბამისად, საზოგადოების პოლარიზება?**

მე ვფიქრობ, არანაირი პოლარიზება არ იყო. მიმდინარეობდა ჩვეულებრივი პოლიტიკური კამათი, რომელიც ხანდახან გადადიოდა ზღვარს. მაგრამ არანაირი პოლარიზება არ ყოფილა, იმიტომ რომ პირველ რიგში, თვითონ იყვნენ მაღალი დონის ადამიანები, ნამდვილი პოლიტიკოსები და თავის თავს არ აძლევდნენ უფლებას გზიდან გადახვევის. ყველა პარტიის წარმომადგენელი, რომელიც დამფუძნებელ კრებაში მოხვდა იყო განათლებითა და გამოცდილებითაც უზადო. საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ყოველთვის ერთად იყვნენ. საგარეო მისიების უმეტესობა ეროვნულ-დემორკატიული პარტიის ჩართულობით ხორციელდებოდა. იყენებდნენ მათ იდეებს. იგივე მელქისედეკ კედია, ეროვნულ-დემოკრატებთან უფრო ახლო იყო, ვიდრე სოციალ-დემოკრატებთან. ანუ, საქმეს როცა სჭირდებოდა, ისინი თანხმდებოდნენ და ერთ საქმეს აკეთებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მწარედ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. დაპირსიპრება არ გადადიოდა ქმედებაში. და ეს არც საზოგადოებაზე არ აისახებოდა. იმდენად დიდი იყო სოც-დემოკრატების გავლენა, რომ ეროვნულ-დემოკრატების მხარდაჭერა არ ხლეჩდა საზოგადოებას. როცა რაღაცა კარგს აკეთებდნენ ამას ყველა აღიარებდა და აქებდა.

5. **რატომ ენიჭება დემოკრატიული რესპუბლიკის კვლევას პრაქტიკული თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა?**

წარსულის კარგად შესწავლა, მომავალი შეცდომების თავიდან აცილების გარანტია. სწორედ ამას მოიაზრებს პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩვენს ნაბიჯებზე უნდა ვისწავლოთ. რამე მაგალითი ხომ უნდა გადვაიღოთ. თუნდაც ერთმანეთთან ურთიერთობის, რომელიც ძალიან მაღალი მორალითა და ეთიკით გამოირჩეოდა საუკუნის წინანდელ ხელისყფალთა რიგებში.

6. **რომელ საკითხს გამოყოფდით, 1918-21 წლების მედიაპლატფორმაზე, რის გარშემოც მოხდა კონსოლიდაცია?**

იყო რამდენიმე პროექტი, სახელმწიფო მნიშვნელობის, რომელმაც თავდაპირველად ცხარე დებატები და შეხლა-შემოხლა გამოიწვია, თუმცა საბოლოოდ მხარეებმა მოახდინეს მის გარშემო კონსოლიდაცია. ასეთი იყო აგრარული რეფორმა და ის, რომ კონსიტუციით გაუქმდა სიკვდილით დასჯა.

7. **როგორ შეიძლება გავითვალისწინოთ საუკუნისწინანდელი პოლიტიკური ხედვა და მიდგომები თანამედროვე ქართულ რეალობაში?**

საუკუნე ვერ ცვლის ადამიანების მენტალობას, ფსიქოტიპს, ერის ფსიქოლოგიურ სტრუქტრურასა და ხასიათს. ამიტომ, აუცილებელი და შესასწავლია ის ნაბიჯები, რაც პირველმა დმეოკრატიულმა მთავრობამ გადადგა.

დანართი №2

დიმიტრი სილაქაძე (ასოცირებული პროფესორი; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მკვლევარი).

1. **რა ფაქტორებმა გამოიწვია პლურალისტული და თავისუფალი პრესის ჩამოყალიბება 1918-21 წლების საქართველოში?**

პლურალისტული და თავისუფალი პრესის მედიაპლატფორმა ნამდვილად არსებობდა. პირველი მაგალითი ისაა, რომ ყველა პოლიტიკურ ძალას გააჩნდა საკუთარი ბეჭდური ორგანო. ამას გარდა, სხვადასხვა ტიპის საგაზეთო სისტემაც ჩამოყალიბდა, რომლებიც ჟანრობრივად განსხვავდებოდნენ. თითოეულ ამ გაზეთს ჰქონდა სკაუთარი იდეა, პროგრამა და იდეოლოგია.

1918 წლის ხელისუფლება ცდილობა აეშენებინა ისეთი ქვეყანა, სადაც იქნებოდა სიტყვის თავისუფლება, კანონის უზენაესობა, თავისუფალი სასამართლო, თავისუფალი პრესა და ადამიანის უფლებები იქნებოდა დაცული. ეს იყო სოციალ-დემოკრატების მიზანი და აქედან გამომდინარე მათი დამოკიდებულება პრესისადმი გამომდინარეობს მათი ზოგადი მსოფლმხედველობიდან. ეს მსოფლმხედველობა განაპირობებდა მათ პოლიტიკას და პოლიტიკის ნაწილი იყო ტავისუფალი პრესა, ტავისუფალი არჩევნები და ასე შემდეგ.

მათ სურდათ მოქალაქეების აღზრდა დ ა არა ქვეშევრდომების! ანუ, საზოგადოების აღზრდა ჯანსაღი აზროვნებით. ამას ემსახურებოდა განათლების რეფორმაც. გაარომაგეს კი არა გადააჭარბეს კიდეც სკოლებში მოსწავლეთა აოდენობა.

2. **იყო თუ არა სოციალ-დემოკრატების მიერ არჩეული გეზი დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის ერთადერთი სწორი გზა დღევანდელი გადასახედიდან?**

ბევრი ისეთი თანამდებობა ეკავა ოპოზიცირუი პარტიების ლიდერებს, რომ მათდამი არსებობდა ხელისუფლების გარკვეულწილი ნდობა და საკვანძო თანამდეობებზე ნიშნავდნენ ოპოზიციის წარმომადგენლებს. გარდა ამისა, მათი დემოკრატიული გეზი ჩანს ყველა მნიშვნელოვან გადადგმულ ნაბიჯში. ეს ჩანს თავისუფალ სასამართლოში, ეს ჩანს თავისუფალ არჩევნებში, ეს ჩანს პარტიათაშორის ურთიერთნდობის გარემოში.

3. **რა გარემოებები მიანიშნებდა, რომ საქართველოს ძლიერი პროტექტორი სჭირდებოდა?**

დღევანდელ მსოფლიოში კიდევ უფრო მეტადაა გადარჩენის შანსი დამოუკიდებლად არსებობისას, ვიდრე მაშინ. ესაა იმპერიების ეპოქა, და დიდი სახლემწიფოს მიერ პატარა სახელმწიფოს დაპყრობა ძალიან ჩვეულებრივი ამბავია. აქედან გამომდინარე ამ მნიშვნელოვან რეგიონში სრულიად საკუთარ თავზე დაყრდნობა აბსოლუტურად შეუძლებელი იყო. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ჩვენ სულ სხვის იმედზე უნდა ვყოფილიყავით. სხვა ვერაფერს დაგვეხმარებოდა, ჩვენ თუ ძლიერ სახელმწიფოს არ შევქმნიდით მაშინ და არ შევქმნით ახლა.

იმ პერიოდში გვჭირდებოდა ძლიერი სახელმწიფოების მფარველობა. იგივე შეიძლება ვთქვათ დღევანდელ მდგომარეობასა და ჩვენს მისწრაფებაზე ევროკავშირსა და ნატოში.

უსაფრთხოების მოსაპოვებლად ერთია, რომ უნდა გვეცადა ძლიერი ჯარი გვყოლოდა (დღესაც) და მოკავშირე ძლიერი სახელმწიფოები. უპირატესი ვარიანტი იყო გერმანიის ვარიანტი. შემდეგ იყო ბრიტანეთი და ბოლოს, ისტორიამ აჩვენა, რომ როდესაც ჩვენ მარტო დავრჩით პირისპირ რუსეთის წინაშე, მან მოახდინა კიდეც საქართველოს ოკუპაცია.

4. **შეინიშნებოდა თუ არა პოლიტიკური ძალების, და შესაბამისად, საზოგადოების პოლარიზება?**

ბევრად ნაკლებად პოლარიზებული იყო საქართველოს მოსახლეობა. ერთაფერთი აგრესიული ძალა რომელიც პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას არ იღებდა და ცდილობდა უხეშად, აგრესიით და იარაღით ხელისუფლების შეცვლას ესენი იყვნენ ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც მარგინალურ და სუსტ ძალას წარმოადგენდნენ და ისინი ვერანაირ ამინდს ვერ ქმნიდნენ.

დანარჩენი პლიტიკური ძალები ახერხებდნენ შეთანხმებას და თანაშრომლობითი პრობლემების მოგვარებას.

5. **რატომ ენიჭება დემოკრატიული რესპუბლიკის კვლევას პრაქტიკული თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა?**

ეს არის ისტორიის ქრონოლოგიურად მცირე მონაკვეთი, მაგრამ ძალიან ბევრი პრაქტიკული მაგალითით დატვირთული. მაგალითებით იმისა, როგორ შეიძლება პოლიტიკურმა ძალებმა ითანამშრომლონ და კონსესუსს აღწევდნენ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე. მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება გქონდეს თავისუფალი სასამართლო. არის შეცდომის მაგალითებიც, რაც კიდევ უფრო მეტად გასათვალისწინებელია.

ჩვენ ერთი რამაც უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენი თანამედროვე სახელმწიფო განსხვავდება შუა საკუკუნეების სახელმწიფო ან ანტიკური სახელმწიფოების მოწყობისაგან, ამიტომ ჩვენ მაგალითი ისტორიული თანამედროვე სახლემწიფო წყობისა გავქვს მხოლოდ ის სამი წელი. იქ ძალიან ბევრი მაგალითია იმისა, რაც დღევანდელობას ეხმიანება და შეიძლება გამოდგეს დღევანდელი სახელმწიფოს მშენებლობის საკითში.

6. **რომელ საკითხს გამოყოფდით, 1918-21 წლების მედიაპლატფორმაზე, რის გარშემოც მოხდა კონსოლიდაცია?**

ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხი საგარეო პლიტიკისადმი მისწრაფებები და სამხედრო თემა იყო გადაწყვეტილი სრული კონსესუსით. შიდა პოლიტიკის საკითხებში იყო აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა დემოკრატიული პრინციპების დაცვით.

7. **როგორ შეიძლება გავითვალისწინოთ საუკუნისწინანდელი პოლიტიკური ხედვა და მიდგომები თანამედროვე ქართულ რეალობაში?**

1918-21 წლები ეს უკვე მოდერუნლი ეპოქაა. შესაბამისად, პრინციპების დონეზე, რაც იმ ეპოქაში ინერგება არსებობს დღესაც. იდეების დონეზე ბევრი თანხვედრაა თანამედროვე დემოკრატოულ პრინციპებთან. იგივე სასამართლოს თავისუფლება. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ 100 წლის წინანდელი

მაგალითები არ გამოგვადგება, რამეთუ პრინციპების დონეზე თანხედრა დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობის მიხედვით, ძალიან დიდია.

დანართი №3

ხათუნა ჭანიშვილი (ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი)

1. **რა ფაქტორებმა გამოიწვია პლურალისტული და თავისუფალი პრესის ჩამოყალიბება 1918-21 წლების საქართველოში?**

ჩვენ უნდა გავიაზროთ ორი მოცემულობა - ერთი, რაც იყო ხელისუფალთა ინტერესები და სურვილები და მეორე ის რეალობა, რომელიც მათ დახვდათ მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებისას. უნარი, დრო სწორად წაეკითხათ მათ ნამდვილად აღმოაჩნდათ და რადიკალურად აცდენილები დროსთან არ ყოფილიყვნენ.

ინდივიდუალური ძალისხმევები ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მე ასე მგონია, რომ ერთიანი და ფუნდამენტური ხედვა პლურალიზმთან დაკავშირებით არ იყო ჩამოყალიბებული.

1918-21 წლის მთავრობამ ისეთი პროექტები განახორციელა, რამაც დადებითი შედეგები მოიტანა და ბევრი კარგი რამ გაკეთდა. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ჩვენი კულტურა მართლა ევროპული ცივილიზაციის ნაწილია. მართალია, სახელმწიფოებრივი წყვეტა გვქონდა, მაგრამ კულტურული წყვეტა არ გვქონია და ამას ჩვენი ენაც ადასტურებს.

ჩვენ შეგვიძლია წავიკითხოთ და გავიაზროთ მეხუთე საუკუნის ტექსტი. მეორე ასეთი ფენომენი არც არსებობს თანამედროვე სამყაროში. ქართულმა მენტალობამ მოახერხა, რომ სწორედ ეს უწყვეტობა შეენარჩუნებინა.

ყოველივე აღნიშნული იმდენად ძლიერი მუხტი და ძარღვია, რომ კრიტიკულ სიტუაციებში ყოველთვის ზედაპირზე ამოტივტივდება. საუკუნეების შემდეგ, როდესაც მოგვეცა საშუალება სახელმწიფო გვქონოდა, ასეთ დიქტატს აზრისას ვერ გაატარებდა ხელისუფლება. შეიძლება ამას დრო დასჭირვებოდა და ეს დამოუკიდებლობა რომ გაგრძელებულიყო 10-15 წელი, მიგვეღო კიდეც აზრის დიქტატი, მაგრამ სამი წელი არ იყო საკმარისი დრო.

ამას ემატება კიდევ ცოცხალი ტრადიცია, რომელიც შექნა სოლომონ დოდაშვილმა, დიმიტრი ყიფიანმა და ილია ჭავავაძემ, ამ დიდებული პიროვნებების ცხოვრებისა და აზროვნების მანერა და ეს იმდენად ახლო წარსულია, რომ ასეთ მაგალითებს დიქტატით ვერ შეარყევ.

და ეს მაგალითები ცოცხალი და ახლო იყო მაშინ. ამ ხალხმა თავიანთი ცხოვრების წესით, არა მხოლოდ ტექსტებით, არამედ იდეებით დამუხტა საზოგადოება.

რომ შევაჯამოთ, ეს იყო ხალხი, რომელმაც ისეთი მძლავრი მორალური საყრდენი შექმნა, ღირსების სტრუქტურები ისე მყარად ააგო, რომ მათი სიტყვა და საქმე იყო ერთი და იგივე და შესაბამისად ეს ცოცხალი მეხსიერება მონოლითურ საყრდენს შექმნიდა, იმისთვის რომ პირველი დემოკრატიული სახელმწიფოს ხელისუფლება უკიდურესობაში არ გადაშვებულიყო.

2. **იყო თუ არა სოციალ-დემოკრატების მიერ არჩეული გეზი დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის ერთადერთი სწორი გზა დღევანდელი გადასახედიდან?**

თუ დემოკრატია არის ევროპულობის სინონიმი, მაშინ რა თქმა უნდა გვქონდა. მრავალი ხმა ისმოდა პრესაში. მაგრამ აქ მთავარი მაინც არის ის, თუ როგორი ხედვა ჰქონდა თითოეული პარტიას. სამწლიანი თავისუფლების გამოცდილება არ არის საკმარისი, რომ ჩვენ ეპოქაზე ვისაუბროთ. ეს იყო დასაწყისი ახალი ეპოქის.

სოციალ-დემოკრატებისა და ეროვნულ-დემოკრატების აზროვნების განსხვავებულ სტრუქუტრაზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ. სოციალ-დემკრატებმა ნამდვილად აჩვენეს დემოკრატიის მაღალი ხარისხი. ეს ალბათ, ქართულმა მენტალობამ და ხასიათმა განაპირობა. ქართველებს, პრესტიჟულობისა და ტრენდულობის გატარება ყველაფერში გვიყვარს. ამიტომ, ეს ქვეყანაც არის თავის დემოკრატიის, როგორც ტრენდის მოაზრება. პრინციპში, ეს ინდივიდუალური ძალისხმევები სწორედ ამ მიმართულებით მუშაობდა და ამ ველში ყოფნა ქართველებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მთავარ ფიქრს მაინც აზროვნების სტრუქტურა განაპირობებს. საბოლოოდ სწორედ იმის მიხედვით ლაგდება რეალობა, რასაც ფიქრობს ადამიანი.

ჩვენ აუცილებლად უნდა ვიფიქროთ იმაზე, რა შეცდომები იყო დაშვებული. იყო თუ არა აზროვნების სტრუქტურა სოციალ-დემოკრატებში გამართული. და ამ კუთხით თუ ვილაპარაკებთ, მაშინ ,,ერთობაში“ დაბეჭდილ პუბლიკაციებსა და ,,საქართველოში“ დაბეჭდილ პუბლიკაციებს შორის არის მკვეთრი განსხვავება აზროვნების სტრუქტურის მიხედვით.

,,ერთობაში“ ჩვენ ვხედავთ კოლექტივის ძალისხმევას, მაშინ როცა ,,საქართველო“ უპირატესობას ანიჭებს ადამიანის ინდივიდის მნიშვნელობას. პირველში ვკითხულობთ კოლექტიურ განცხადებებს,

ერთიან გადაწყვეტილებებსა და ტენდენციებს. ეროვნულ-დემოკრატების იდეური შინარსი კი საქართველოში ღირსეული ცხოვრების წესით შექმნილი სახელმწიფოა. აი, ასეთ განცხადებებს ვერ ნახავთ ,,ერთობაში". ეროვნულ-დემოკრატებს ანტიკურობის იდეა აქვთ გადმოტანილი, საიდანაც იწყება კიდეც ევროპული ცივილიზაცია.

,,მმართველობის ფორმები და სტრუქტურები, აზროვნების მანერა მაქსიმალურად დაუახლოვო სამყაროს მიერ შექმნილ კანონმდებლობას' - მთელი გაზეთი ,,საქართველო" ამ იდეაზეა აწყობილი. ეროვნულ დემოკრატების ხედავენ, რომ ამ სამყაროში დიდი სურათი და კანონზომიერებები არსებობს და ჩვენ ვალდებულები ვართ ეს კანონები აღმოვაჩინოთ, წავიკითხოთ, გავიაზროთ და მათ ჩვენი ცხოვრების წესი შევუფარდოთ. ,,ერთობაში" ეგ არ ხდება. სოც-დემოკრატების აზროვნების მანერა არის ზედაპირული, კოლექტივის ფენომენი და ინდივიდი არც არსებობს. ამიტომაც იყო ეს დემოკრატია და თავისუფლება ხონჩით მორთმეული, და ამიტომ მათ არ შეეძლოთ ამ ფენომენის ბოლომდე მიღება და გააზრება.

- **თუმცა, ბევრი მკვლევარი ფიქრობს, რომ საქარტველოს დამოუკიდებლობა სოციალ-დემოკრატებმა შეინარჩუნეს და ბევრი კვლევაა მათზე დადებითი კონტექსტით.**

ზოგადად, ჩვენ გვიყვარს მოვლენების გაიდეალება, მითებით ცხოვრება, ცხოვრება ილუზიების სამყაროში. ამ ილუზიებს შემდეგ მოყვება ისტორიულად ძალიან მძიმე შედეგები. ჩვენ ვერ ვახერხებთ რელობისა და ილუზიების ერთმანეთისგან გარჩევას. იმიტომ, რომ ეს ილუზიები შემდეგ მოითხოვენ ლანდებს და ლანდებს კი ახასიათებთ მსხვერპლი. ადამინაის უპირველესი ვალია, რომ გამიჯნოს ერთმანეთისგან რელობა და ილუზია. ის ვალდებულია წარსულის და ყველა დროის წინაშე. ,,ჩვენი სოციალ-დემოკრატია შეეჩვია თავის ქებას, დარწმუნდა და ქვეყანაც დაარწმუნა იმაში, რომ ჭკვიანი და გონიერია, რომ პოლიტიკური გამჭრიახობა და მიხვედრილობა სანიმუშო აღმოაჩნდა, ყველას სერიოზულად არწმუნებს, რომ ის რომ არა სახელმწიფო ვერც დამოუკიდებლობას ეღირსებოდა და თუ ეღირსებოდა, მეორე დღეს დაკარგავდა. სახელმწიფო ცხოვრებას ვერ დააწყობდა. სახელმწიფო ახლა ოაზისია და ამ ოაზისის შემქნელი საქართველოს სოციალ-დემორკატიაა" - ეს ამონარიდია ერთი პუბლიკაციიდან. და ჩემი აზრით, თუკი პრესის დამოუკიდებლობასა და ამ დემოკრატიულ გეზზე ვილაპარაკებთ ეს უფრო იმ ახლო წარსულის ხალხის დამსახურებაა, ვინც ეს ნიადაგი შექმნა. ღირსეული პიროვნებების მიერ შექმნილ აუცილებლობას სოციალ-დემოკრატებმა ვერაფერი უქნეს. თუნდაც,

ნოე ჟორდანიას სიტყვის პირველ ფრაზასაც დაუკვირდით. მისი გულისტკივილია სეიმი რომ დაიშალა. მაგ სიტყვაში ქვეტექსტებს თუ ამოვიკითხავთ, ნათლად ჩანს რომ ეს ადამიანი სულაც არ არის აღფრთოვანებული დამოუკიდებლობის გამოცხადებით. ასევე, თუ გავიხსენებთ იმ პოლემიკას ნოესა და ილია ჭავჭავაძეს შორის პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებით, როგორ გააცამტვერა ნოემ ილია. რამაც გამოიწვია ასეთი მარცხი და ფიასკო, გარდა იმისა რომ ისტორიული პროცესები ჩვენდა საწინააღმდეგოდ დალაგდა.

და ამ დალაგებაშიც, თუკი ,,საქართველოელებს" დავეყრდნობით ჩვენი, ადამიანების ბრალეულობაა. ეროვნულ-დემოკრატები თვლიან, რომ თუ სწორად აზროვნებ და ალაგებ შენს გონებაში სამყაროს კანონმდებლობის მყარ სტრუქტურებს, მაშინ ისტორიულმა მოვლენებმაც შეიძლება უფრო დაგინდოს და ისე მძაფრად არ დალაგდეს.

ამას დანახვა სჭირდება.

3. **რა გარემოებები მიანიშნებდა, რომ საქართველოს ძლიერი პროტექტორი სჭირდებოდა?**

მოდი, დავიწყოთ აქედან. ერს რა თვისებები აქვს? რაც ადამიანს. აქვს თავისი წარსული, ღირსება, შეცდომები, დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილებები და ა.შ. თუ ერს აქვს თავისი წარსულიდან, ისტორიიდან და მენტალობიდან მკვეთრად გამოხატული და სწორად ამოტანილი ფასეულობები და თუ ამ ეროვნულ ღირსებას ვატარებთ ეთიკურად, ამის მიხედვით დალაგებული პოლიტიკა. ეს, თავისთავად, უკვე გამოიწვევს ყველა მეზობელ ერს, შორის შენს პატივისცემას. ყველა კი თავისი ინტერესიდან მოქმედებს, მაგრამ ეს ინტერესების სფერო გადანაწილდება სწორად, იმის მიხედვთ, რა მოპყრობასაც იმსახურებს ესა თუ ის სახელმწიფო.

შენ თუ გაქვს ავთენტურობის განცდა, რომ დამოუკიდბელად შეგიძლია არსებობა, ღირსების განცდა, ისტორიის, კულტურის გამო, შენი სინდისის ერთგულების გამო, ეს დიდი ქვეყნები საკუთარ ინტერესს არ დახევენ, მაგრამ ისე კი მოხდება, რომ პრობლემების გადაჭირსას, შენს მიმართ შეძლებისდაგვარად პატივისცემით მოგეპყრობიან.

რაც შეეხება გერმანიას და ინგლისს და ა.შ. მათ ქონდათ თვაინთი ინტერესი, მაგრამ როგორ დახვდებოდა საქართველო ამას, რამდენად ღირსეულად, შესაძლებებლია ეს სახელმწიფოებს აღვექვით პარტნიორებად. საქართველოზე იყო დამოკიდებული ექნებოდათ თუ არა ღირსეული

დამოკიდებულება. სოციალ-დემოკრატებს არ ქონდათ ეგეთი დამოკიდებულება არც საკუთარი ქვეყნის და არც პიროვნების მიმართ. ეს იყო დიდი პრობლემა და მიზეზი ერთ-ერთი გასაბჭოებისა.

4. **შეინიშნებოდა თუ არა პოლიტიკური ძალების, და შესაბამისად, საზოგადოების პოლარიზება?**

პრესა ასახავს საზოგადოების ცხოვრებას და განწყობებს, აქედან გამომდინარე, თუ პრესის დამკვეთია ხალხი, იქაც იქნებოდა, მაგრამ ის პოლარიზება 1918-21 წლებში იყო გაცილებით ეთიკური და არა დღევანდელივით ვულგარული. ენაც უფრო კულტურული იყო, და არა როგორც ჩვენთან. მსჯელობისა და განსჯის კულტურა, არგუმენტის სწორად მოყვანის კულტურა არ არსებობს ახლა. აქ არის უბრალოდ ცხელი ემოცია საუკუნის წინანდელი გამოცდილებიდან განსხვავებით. რაც საუბრობს რეგრესზე. მსგავს რამე იქ ვესრად შევხვდებით. ვერც ასეთ რადიკალიზმს. მიუხედავად იმისა, რომ იყო მძაფრად განსხვავებული პოზიციები, პოზიცია-ოპოზიცია ეთიკური ნორმების შენარჩუნებას ყოველთვის ახერხებდა. საუკუნისწინანდელ პოლიტიკოსებს ჰქონდათ განსჯის კულტურა. სოციალ-დემოკრატების ,,ერთობას" ენაც კი არის კულტურული, ცოცხალი, არ ძალადობეს ადამიანზე, მიუხედავად შეცდომებად რასაც ვუთვლით.

5. **რატომ ენიჭება დემოკრატიული რესპუბლიკის კვლევას პრაქტიკული თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა?**

ენიჭება და რატომ. ჩვენ თუ შევძლებთ ობიექტურად იმ ისტორიის წაკითხვას ალოგიკური დასკვნების გამოტანას, ეს იქნება ჩვენთვის ერთგვარი სახელმძღვანელო, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენი შეცდომების გასააზრებლად. რა შეცდომები დავუშვით, რა გავაკეთეთ სწორად, სად იყო კომპრომისი საჭირო და ა.შ.

უნდა მოხდეს ამ საკითხის ავთენტური გადააზრება და არა მითებში გადაჭრა, ესაა პრაქტიკული მნიშვნელობა. სწორად გამოტანილი დასკვნები იქნება ჩვენთვის პრაქტიკაში გადასატანი თეორია, რომელიც გამოცდილებამ დადო.

6. **რომელ საკითხს გამოყოფდით, 1918-21 წლების მედიაპლატფორმაზე, რის გარშემოც მოხდა კონსოლიდაცია?**

კონსტიტუცია ის მაგალითია, რომელზეც ეგ შეიძლება ითქვას. დროსაც გაუძლო ამ კონსიტუციამ და დღესაც მკვლევრები ამბობენ, რომ ეს არის ფანტასტიკური ნიმუში. და ეროვნულ დემორკატების წილი იყო უზღვავი და სოც-დემოკრატიამ მიიღო მათი ნამუშევარი და ეს დადებითად შეგვიძლია

ჩავუთვალოთ მათ. განათლების, მიწის, ჯარის რეფორმა, რაზეც ერთობლივად მუშაობდნენ. 1918-21 წლების პოლიტიკური ელიტა დღევანდელობისგან განსხვავებით რადიკალურად განსხვავებული მანერების მიუხედავად საქმის ერთად კეთებასა და პრობლემის ერთად გააზრებას ახერხებდნენ. ჩვენ შეგვიძლია ამის მაგალითებიც გამოვიყენოთ.

7. **როგორ შეიძლება გავითვალისწინოთ საუკუნისწინანდელი პოლიტიკური ხედვა და მიდგომები თანამედროვე ქართულ რეალობაში?**

ადამიანებმა, რომლებაც არ დაზოგეს საკუთარი შესაძლებლობები და ჩვენ ამას ვკითხულობთ, ვიკვლევთ, ვსწავლობთ - ეს უკვე დიდი გამოცდილებაა. იქნებ ის ადამიანები იმიტომ წერდნენ, რომ ჩვენთვის, ასი წლის შემდეგ გზა ეჩვენებინათ. ჩვენ გვაქვს მზა რეცეპტები რითაც შეგვიძლია ვიხლემძღვანელოთ. მართალია არ უნდა დავაკოპიროთ, მაგრამ შესაძლებელია თანამედროვე კონტენთით მორგება დღევანდელ მოდლეზე.

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ სოციალ-დემოკრატებში საერთოდ ვერ ვხედავთ სამყაროს შემოქმედთან ურთიერთობის ქართულ ტრადიციას. პრესის ფურცლებზე მარტო კოლექტივი ცოცხლობს მშრალი ლოზუნგებით. ეროვნულ დემოკრატებს არ გაუწყვეტიათ ეს ურთიერთობა უმნიშვნელოვანეს საყრდენთან რამაც შექმნა ქართული კულტურა, ისტორია და მენტალობა და შემობრუნება ამ იდეის თვალსაზრისით არის ძალიან მნიშვნელოვანი და ამ კუთხით ხიდი ჩვენსა და ეროვნულ-დემოკრტბის მსოფლმხედველობს შორის ხელახლაა ასაგები.

დანართი №4

ირაკლი ირემაძე (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მკვლევარი, ისტორიის დოქტორი)

1. **რა ფაქტორებმა გამოიწვია პლურალისტული და თავისუფალი პრესის ჩამოყალიბება 1918-21 წლების საქართველოში?**

პოლიტიკური ძალები, რომლებიც ხელისუფლებაში მოვიდნენ 1918 წელს, ათწლეულების განმავლობაში იდევნებოდნენ საიმპერიო ხელისუფლების მხრიდან. ფაქტობრივად, ეს დევნა გულისხმობდა იმას, რომ 900-იან წლებში პერმანენტულად ხდებოდა ქართული გაზეთების დახურვა. სოციალ-დემოკრატებს ჰქონდათ ეს მწარე გამოცდილება და არც არასდროს ჰქონიათ გეგმა, რაიმე გზით ან შეეზღუდათ, ან გაეკონტროლებინათ მედიაპლატფორმა. ყველა პოლიტიკური დაჯგუფება ცდილობდა, რომ ჰქონოდა საკუთარი პოლიტიკური გაზეთი და უმეტესობას ჰქონდა კიდეც.

ჩვენ სამი ფაქტი შეგვიძლია დავასახელოთ ამ მხრივ, როდესაც ხელისუფლებამ გამოავლინა ეგრეთწოდებული სიმკაცრე: დაიხურა გაზეთი ,,კლდე", რეზო გაბაშვილის სტატიის გამო. ოფიციალურ მიზეზად დასახელდა ბრიტანეთის შეურაცხყოფა და ხელისუფლებამ თავი ვალდებულად ჩათვალა, როდესაც ქვეყანაში იდგა ბრიტანული ჯარი, მსგავსი სახის სტატიას შეიძლება რაიმე დიდი პრობლემა გამოეწვია დიპლომატიური ურთიერთობების კუთხით.

მეორე, ეროვნულ- დემოკრატების გაზეთი ,,საქართველო" დაიხურა ორჯერ. დახურვის მიზეზი გახლდათ საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის დამოკიდებულების ინტერპრეტირება. ვისომხური გაზეთების დახურვა ლოგიკური იყო, რადგან ანტიქართულ განწყობას ავრცელებდნენ და რამდენიმეჯერ რუსულენოვანი გაზეთი დაიხურა, რომელიც ასევე ხელისუფლების დამხობის პროპაგანდას ეწეოდა.

დასასრულ, შეიძლება ვთქვათ, რომ პიროვნული შეურაცხყოფის ან კრიტიკისა და ვითომ ,,დანაშაულში მხილების" გამო სოციალ-დემოკრატებს არცერთი გაზეთი არ დაუხურავთ.

2. **იყო თუ არა სოციალ-დემოკრატების მიერ არჩეული გეზი დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის ერთადერთი სწორი გზა დღევანდელი გადასახედიდან?**

დემოკრატიული ცალსახად იყო. 1890-იან წლებშიც იკვეთებოდა მათი ეს დამოკიდებულება და მიმართულება. რაც შეეხება მათ განწყობას. თანამედროვე კვლევების მიერ გადახედილ მასალაში დასტურდება, რომ 1918 წლამდე არცერთი პოლიტიკური ძალა არ საუბრობდა საქართველოს სრულ დამოუკიდებლობაზე. თუმცა სოც-დემოკრატებს ჰქონდა რამდენიმე კონსპირაციული შეხვედრა და იქ გააჟღერეს, რომ თუკი ამის შანსი მიეცემოდა ქვეყანას, რატომაც არა.

რაიმე პოლიტიკური გეგმის არასრებობის მიუხედავად, მათ ჰქონდათ საკმაოდ დიდი გამოცდილება და 1916-17 წლებში არაერთი პოლიტიკური ბროშურაა გამოქვეყნებული პოლიტიკურ საკითხებზე. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ რაჟდენ არსენიძის ბროშურა დემოკრატიულ პრინციპებზე, სადაც განხილულია თუ რა ტიპის სახელმწიფოს მოიაზრებდნენ ისინი.

ისეთი მნიშვნელოვანი რეფორმები ისეთ რეჟიმში ვერანაირად ვერ განხორციელდებოდა, რომ სოციალ-დემოკრატებს და ზოგადად, პოლიტიკურ ძალებს არ ექნებოდათ რაიმე თეორიული ცოდნა და მონახაზები ამასთან დაკავშირებით.

აქვე იყო ნათქვამი როგორ უნდა მოწყობილიყო სახელმწიფო. 1917 წელს, მართალია ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის გავლენის ქვეშ, იწერებოდა, რომ თუ დამოუკიდებლობის ვარიანტი გაჩნდებოდა რომელიმე გავლენიანი სახელმწიფოს გარანტიის ქვეშ, ისინი ამაზე წამსვლელი იყვნენ. ამავე წლიდან საქართველოს მართვა ძირითადად სოციალ-დემოკრატებისა და ქართველი პოლიტიკოსების მიერ ხდებოდა.

3. რა გარემოებები მიანიშნებდა, რომ საქართველოს ძლიერი პროტექტორი სჭირდებოდა?

აბსოლუტურად დადასტურებულად შესაძლებელია ვთქვა, რომ იმ პერიოდში ვინც კი იცნობს გეოპოლიტიკურ რუკას, საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა ფაქტობრივად გამორიცხული იყო. იმპერიების შუაში მომწყვდეული ასე მცირე ქვეყნისთვის ეგ იყო გამორიცხული.

როცა პროტექტორობა ავიღეთ, გერმანიის დამარცხებას ვერავინ წარმოიდგენდა. და ჩვენ ვიცით, რომ გერმანია პირველ მსოფლიო ომში დანებდა შიდა ბრძოლებით გატეხილი.

ასევე მეცხარმეტე საუკუნის ბოლოს ჩვენში გერმანოფილობა გავრცელდა და მოსახლეობის განწყობაც საკმაოდ სიმპატიური იყო.

4. **შეინიშნებოდა თუ არა პოლიტიკური ძალების, და შესაბამისად, საზოგადოების პოლარიზება?**

მოსახლეობის 80 პროცენტი ერთ პარტიას უჭერდა მხარს, გავიხსენოთ. ამიტომ პოლარიზებისთვის, ფაქტობრივად ძალიან მცირე პროცენტი რჩებოდა. გარდა ამისა, რეპუბლიკის პერიოდში აღნიშნულმა, მანამდე დაპირისპირებულმა ძალებმა შეძლეს და თანამშრომლობითი ურთიერთობა დაამყარეს. პირველი 10 თვის განმავლობაში კოალიციური მთავრობა არსებობდა და შეთანხმებით მართავდნენ და მერეც ძალიან ბევრი ოპოზიციონერი დანიშნეს თანამდებობაზე. დიპლომატიურ მისიებშიც ძალიან ბევრი ოპოზიციონერი იყო გაგზავნილი. დაპირიპირება და პოლარიზაციის ელემენტები იყო, მაგრამ ეს ყველაფერი არ გადაზრდილა უხეშ ბრძოლებში. და 21 წლის თებერვალშიც გამოჩნდა, რომ ისინი რუსეთის წინააღმდეგ ერთად შეიკრნენ.

5. **რატომ ენიჭება დემოკრატიული რესპუბლიკის კვლევას პრაქტიკული თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა?**

ბევრი რაღაც რაც მაშინ იყო, მეროდება. ალბათ, ეს გულისხმობს პრაქტიკულ მნიშვნელობას. თუმცა ნაკლებად აქცევენ ყურადღებას დღევანდელი პოლიტიკური ძალები საუკუნისწინანდელ გამოცდილებას, სამწუხაროდ.

6. **რომელ საკითხს გამოყოფდით, 1918-21 წლების მედიაპლატფორმაზე, რის გარშემოც მოხდა კონსოლიდაცია?**

ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ძალიან დიდი დაპირისპირება და ბრძოლა იყო გაჩაღებული. სოციალ-დემოკრატებს გააჩნდათ დამოუკიდებელი იდეები და საკუთარი გადაწყვეტილებებით დომინირებდნენ. თუკი მაგალითად კონსიტუციას ავიღებთ, მართალია ერთად იმუშავეს, მაგრამ ბოლო მომენტში ესერებმა წარადგინეს საკუთარი პოზიცია და უარი განაცხადეს თანამონაწილეობაზე.

სოციალ-დემოკრატებს იმდენად დიდი უმრავლესობა ჰქონდათ, რომ თუ არ იქნებოდა მათი კეთილი ნება, უბრალოდ მარტივად გადაწყვეტდნენ საკუთარი ინიციატივით.

7. **როგორ შეიძლება გავითვალისწინოთ საუკუნისწინანდელი პოლიტიკური ხედვა და მიდგომები თანამედროვე ქართულ რეალობაში?**

მოტივაციისათვის შესაძლებელია გამოდგეს, მაგრამ პირდაპირ კოპირება რა თქმა უნდა ვერ მოხერხდება.

დანართი №5

რუსუდან ვაშაკიძე (საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკის დოქტორი)

1. **რა ფაქტორებმა გამოიწვია პლურალისტული და თავისუფალი პრესის ჩამოყალიბება 1918-21 წლების საქართველოში?**

მთავარ ფაქტორად აუცილებლად უნდა დავასახელოთ დიდი სამწერლო მემკვდრეობა, ილიას ეპოქა და მეცხრამეტე საუკუნის ,,ჟურნალ-გაზეთები", როგორც ამას ილია უწოდებდა. თანამედროვე ენაზე 1918-21 წლები ქართული პოლიტიკური ჟურნალიზმის ოქროს ხანაა, როცა დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება მართავს ქვეყანას, ხოლო წამყვანი გაზეთები იმ პარტიებს წარმოადგენენ, რომლებიც დამფუძნებელ კრებაში ან ეროვნულ საბჭოში არიან. რომ გაეცნობით მაშინდელ პრესას, ჩაგესმით საზოგადოების ხმა, რა ინტერესები და პრიორიტეტები ამოძრავებს ჩვენს ხალხს. როგორი დისკუსიაა გამართული ბევრი კუთხით.

2. **იყო თუ არა სოციალ-დემოკრატების მიერ არჩეული გეზი დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის ერთადერთი სწორი გზა დღევანდელი გადასახედიდან?**

სოციალ-დემოკრატებმა ზედმიწევნით სწორად აირჩიეს ის გეზი, რაც მაშინდელ მოცემულობაში გვქონდა. შეგვიძლია გავაკრიტიკოთ ბევრი მიმართულებით, მაგალითად, გერმანიის და შემდეგ უკვე ინგლისის წარმომადგენლობის გარეშე ქვეყნის დატოვება შანსებს მეტად გვიკარგავდა თუ არა, მაგრამ ფაქტი სახეზეა, სოციალ-დემოკრატია იყო ევროპული ხელისუფლება და კანონდმებლობაც სრულ შესაბამისობაში ევრპეისტული, ასე უწოდებდნენ მაშინ, იქმნებოდა. სოციალ-დემოკრატებს ეროვნული საკითხისადმი მგრძნობელობის ნაკლებობა 1918 წლის 26 მაისამდე უფრო მეტად ჰქონდათ, ხოლო შემდეგ უკვე გადაიაზრეს და წინა ხაზზე წამოსწიეს, რადგან ევროპული სოციალ-დემოკრატია ეროვნული თემატიკის გარეშე არ არსებობდა.

3. **რა გარემოებები მიანიშნებდა, რომ საქართველოს ძლიერი პროტექტორი სჭირდებოდა?**

წარმოუდგენელი იყო პროტექტორის გარეშე საქართველოს არსებობა. ერთა ლიგისკენ სწრაფვაც ამიტომ ჰქონდათ, რაც არ გვეღირსა. იმ პერიოდში ვუდრო ვილსონის კონცეფციამ შეცვალა სამყარო. ჩვენ წითელ ტერორს

მარტო ვერ გავუმკლავდეოდით და ვერც გავუმკლავდით. ევროპა იმდენად იყო მზად გამხდარიყო ფარი და დაეცვა საქართველო, როგორც ეს პირველ მსოფლიო ომს გადატანილ კონტინენტს შეუძლია. ამერიკა კი ახალი გამოსული იყო იზოლაციონიზმის პოლიტიკიდან. საბოლოოდ, მაინც მარტომ იბრძოლა საქართველომ და დამარცხდა. მაშინ ძლიერი ევროპული ალიანსებიც არ არსებობდნენ.

4. **შეინიშნებოდა თუ არა პოლიტიკური ძალების, და შესაბამისად, საზოგადოების პოლარიზება?**

პოლარიზება საქართველოში მუდმივად იყო და გამორჩეული არც ეგ პერიოდია. ეროვნულ-დემოკრატების, სოციალ-ფედრალისტების ბევრ კრიტიკას ვეთანხმები სოციალ-დემოკრატების მისამართით. რუსეთის ფაქტორი მთავარი იყო მათ იდეოლოგიაში, პარალელურად დემოკატიული სისტემა და ბოლშვიზმი კი შეუთავსებელი. 1921 წელსაც ოკუპაცია ისე მოახდინეს 26 მაისიც აზეიმეს ხალხს ბოლშევიკებმა. დიდი დეზინფორმაციული მანქანაც ჩართეს სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, ყველა ბოლშევიკური იდეა ყალბი და დიდი ტყული აღმოჩნდა. ალბათ ამას პოლარიზებამ შეუწყო ხელი.

5. **რატომ ენიჭება დემოკრატიული რესპუბლიკის კვლევას პრაქტიკული თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა?**

არ უნდა დავიღალოთ აღნიშნული პერიოდის კვლევით. მასალა დიდია. ისტორია კი ხშირად მეორდება. მე ახლაც ბევრ პარალელს ვხედავ მაშინდელთან, პრაქტიკული თვალსაზრისით კი ის მნიშვნელობა აქვს უფრო უკეთ გაიგო რატომ იყო საქართველოში წარმატებული ევროპული სოციალ-დემოკრატია და პოლიტიკური კოალიციის ჩანასახები როგორ გაჩნდა.

6. **რომელ საკითხს გამოყოფდით, 1918-21 წლების მედიაპლატფორმაზე, რის გარშემოც მოხდა კონსოლიდაცია?**

კონსტიტუციის და სახელმწიფოს მოწყობის შესახებ მსჯელობები იყო საინტერესო, როგორ იღებდნენ ქვეყნის მთავარ კანონს და როგორ შექმნეს მართლაც შედევრი დოკუმენტი.

7. **როგორ შეიძლება გავითვალისწინოთ საუკუნისწინანდელი პოლიტიკური ხედვა და მიდგომები თანამედროვე ქართულ რეალობაში?**

ზედმიწევნით დაგვეხმარება ყველას. წარსულზე რეფლექსირება, იმ პერიოდის გამოცდილება და ისევ იგივე შეცდომები, ზოგჯერ აბსოლუტურად იდენტური. ისტორიის დაუფასებლობა და ჟორდანიას მთავრობის ევროპული ემიგრაცია ცალკე კვლევის საგანია, რასაც ჩვენს მეტი არავინ გააკეთებს.

დანართი №6

თამარ ჩიბურდანიძე (პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი)

1. **რა ფაქტორებმა გამოიწვია პლურალისტული და თავისუფალი პრესის ჩამოყალიბება 1918-21 წლების საქართველოში?**

თავისუფალი პრესა არ შექმნილა 1918-21 წლებში, ეს ბევრად უფრო ადრე შეიქმნა მეფის რუსეთის დროს, თერგდალეულთა მიერ საქართველოში, რომელსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე ედგა. მიუხედავად მეფის რუსეთის მარწუხებისა, იმდენად დიდი იყო 60-იანელთა განათლება და აზროვნება, რომ ამის შეჩერება შეუძლებელი იყო.

სწორედ ილიას თაობამ და ბრძოლამ მოიტანა თავისუფალი პრესა და არა სოციალ-დემოკრატებმა ან სოციალ-ფედერალისტებმა. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ხელისუფლებაც ილიას თაობა იყო. უფრო მეტიც, ეროვნულ-დემოკრატების მთელი ძირითადი ბირთვი წამყვან თანამდებობებზე იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატები კარგად ვერ თანამშრომლობდნენ ეროვნულ-დემოკრატებთან, ილიას მკვლელობის შემდეგ მისმა უძლიერესმა გუნდმა რეიტინგი შეინარჩუნა ხალხში და სწორედ ამიტომ დაიყენა ისინი გვერდით ნოე ჟორდანიამ. ეროვნულ-დემოკრატები ფაქტობრივად სოციალ-დემოკრატების ოპოზიციას წარმოადგენდნენ. მართალია, ისინი ერთად იყვნენ უკვე ხელისუფლებაში, თუმცა, თავისუფალი პრესა ძირითადად ჯერ კიდევ ეროვნულ-დემოკრატების იყო. ამიტომ, თავისუფალი პრესის შეზღუდვა ისევ ხელისუფლებას შეუქმნიდა პრობლემას. ნოე ჟორდანიაზე, როგორც გონიერ მმართველზე, ძალიან გამიჭირდება საუბარი, თუკი რამ ღირებული გაკეთდა იმ სამწლიანი დამოუკიდებლობის პერიოდში, ისევ ილიას მიერ დატოვებული ეროვნულად მოაზროვნეების შედეგად.

2. **იყო თუ არა სოციალ-დემოკრატების მიერ არჩეული გეზი დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის ერთადერთი სწორი გზა დღევანდელი გადასახედიდან?**

საუკუნისწინანდელ პოლიტიკურ ელიტას დემოკრატია სხვადასხვაგვარად ესმოდა. ეროვნულ-დემოკრატებისთვის დემოკრატია მხოლოდ ეროვნულ ღირებულებებზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული და უმთავრესი პრინციპი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნება იყო. ისინი მემარჯვენე იდეოლოგიას

წარმოადგენდნენ. გარდა ამისა, მათთვის მაშინდელ ევროპაში ბევრი მიუღებელი იყო, ის, რაც ტრადიციებს არ ესადაგებოდა. მიუხედავად ამისა, მათთვის საქართველოს განვითარების პერსპექტივა ევროპული გზა იყო მხოლოდ ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებით.

სოციალ-დემოკრატებისთვის დემოკრატია ძირითადად სოციალურ თანასწორობას ეფუძნებოდა. მათთვის ევროპაც სოციალური თანასწორობის გამო იყო მეტად მიმზიდველი. ისინი მემარცხენეები და ნაწილობრივ ცენტრისტები იყვნენ. პოლიტიკური იდეოლოგია დემოკრატიული პრინციპებისადმი მიდგომას გარკვეულწილად ცვლის.

რაც შეეხება დღევანდელ პროცესებს, ვერ ვიტყვით, რომ ეს იმ დემოკრატიის გაგრძელებაა, რადგან დღევანდელი ევროპული დემოკრატიაც კი არ არის იმდროინდელი დემოკრატიის გაგრძელება. დროთა განმავლობაში ბევრი რამ იცვლება, მათ შორის, დამოკიდებულებაც პრინციპებისადმი. დღესაც არა არის და ვერ იქნება ერთიანი მიდგომა საქართველოში დემოკრატიზაციის მიმართ, რადგან აქ განსხვავება ისევ პოლიტიკურ იდეოლოგიაშია. თუკი მემარჯვენე ხარ, ვერ იქნება შენთვის ლიბერალური ფასეულობები სრულად მისაღები, რაც თავისთავად არღვევს დემოკრატიის პრინციპებს დღევანდელტა სეფასებით, თუმცა, საუკუნის წინ ასე არ ფიქრობდნენ.

3. რა გარემოებები მიანიშნებდა, რომ საქართველოს ძლიერი პროტექტორი სჭირდებოდა?

საუკეთესო მოდელი იქნებოდა ილიას მოდელი - დამოუკიდებელი სახელმწიფო მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობებით როგორც რუსეთთან, ასევე ევროპასთან და სხვა სახელმწიფოებთან. პრატექტორობა ფაქტობრივად იყო პარტნიორობა. ჩემი აზრით, ახალბედა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მჭიდრო თანამშრომლობას ევროპულ სახელმწიფოებთან შესაძლოა გარკვეულწილად თავიდან აერიდებინა საქართველოს გასაბჭოება და რუსეთის მხრიდან ანექსია. თუმცა, ამაზე მტკიცებით ფორმაში საუბარი ძნელია, რადგან სოციალიზმმა შთანთქა მაშინ არა მარტო რუსეთი, არამედ, ნახევარი ევროპა. საქართველოშიც რუსეთთან თანაცხოვრების მომხრე ბევრად უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე ევროპასთან. ევროპა უფრო ელიტარულ ფენას სურდა, რუსეთტან ურთიერთობა კი საშუალო და დაბალ ფენას. ამიტომ მოხდა ბოლშევიკური რევოლუცია საქართველოშიც.

4. **შეინიშნებოდა თუ არა პოლიტიკური ძალების, და შესაბამისად, საზოგადოების პოლარიზება?**

პოლარიზებული იმდენად იყო, რომ ილია მოკლეს! ამაზე დიდი პოლარიზება არ არსებობს. პოლარიზება იყო თავად სოციალისტებში, მენშევიკებად და ბოლშევიკებად. პოლარიზება იყო ეკლესიის მრევლსა და უღმერთოთა შორის და ა.შ.

რაც შეეხება პრესას, მაშინაც პრესაში გამოქვეყენბული მწარე ურთიერთკრიტიკა აღრმავებდა პოლარიზებას საზოგადოებაში.

ერთადერთი, მაშინ არ იყო ამ დონის ტექნოლოგიური მიღწევები, რომ დეზინფორმაცია მძლავრად ეწარმოებინათ, როგორც დღეს და კიდევ უფრო გაეხლიჩათ საზოგადოება.

აგიტაცია-პროპაგანდა პოლიტიკური მოვლენების მუდმივი თანმდები პროცესია, სხვა საკითხია, ვინ როგორ იყენებს ამას. ეს არ უნდა გამოიყენო ცრუ ინფორმაციის გასავრცელებლად ხალხში. ასევე, კატეგორიულად მიუღებელია არადიპლომატიური ენა და შეურაცხყოფები. ეს იყო, არის და სამწუხაროდ, ალბათ ჯერ კიდევ იქნება ქართულ საზოგადოებაში. მაგრამ, უნდა გაიზარდოს პოლიტიკური და სამოქალაქო კულტურა, რაც მოგვცემს საშუალებას ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფო ავაშენოთ ქართული ტრადიციებითა და ევროპული მიღწევებით.